

1180  
1968

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქ ა ნ თ უ ლ ი  
წყაროთმცოდნეობა

||


«საბჭოთა კავშირი»

1968

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,  
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი  
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И  
ЭТНОГРАФИИ ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



1968

# Грузинское источниковедение

II

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“  
ТБИЛИСИ  
1968

# ქართული წყაროთმცოდნეობა

II

22200

~~კაშუ~~

სკკვ-2000  
გამომცემი უწყება



901 (C 41)  
902 (47.322)  
ქ 279

ქრეზულში შესულია სხვადასხვა სტატიები, რომლებიც შეეხებიან საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხებს. აქ განხილულია ქართული და უცხოური (ბერძნული, სომხური, სპარსული, თურქული, არაბული, ფრანგული) წყაროების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის ცალკეულ მოვლენათა გასაშუქებლად.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბერძნიშვილი  
ვ. დონდუა  
რ. კიკნაძე  
ბ. სილაგაძე  
თ. ყაუხჩიშვილი

215 83

2612

1-16

რედაქციისაგან

წინამდებარე „ქართული წყაროთმცოდნეობა“ კრებული II აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სათანადო განყოფილების მორიგი ცდაა— შეძლებისამებრ მიჰყვეს იმ გეგმის განხორციელებას, რომელსაც გვაცნობს თანამოსახელე კრებული I (თბ., 1965) სარედაქციო წერილში.

გეგმის მოთხოვნაა საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების (უპირატესად შუა საუკუნეთა ისტორიისა)—ნარატიულის, დიპლომატიკურის, ეპიგრაფიკულის და ა. შ. კრიტიკულად შესწავლა და გამოქვეყნება. ქართველი ერის რთული ცხოვრება იმთავითვე ეწყობოდა და „მდინარებდა“ ახლო მეზობელ ხალხთა ვარდა, სხვა მრავალ თესლ-ტომთა, „ნათესავთა“ ამა თუ იმ სახით ზეგავლენით თუ მონაწილეობით—ჩვეულებრივ მძიმე სამხედრო პირობებში, უცხო დამპყრობთაგან საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ საოკუპაციო ვითარებაში, მაგრამ ამავე დროს გარკვეული საისტორიო კანონზომიერებით დამყარებულ ორკერძო კულტურულ ურთიერთობაში, სავაჭრო, სამწიგნობრო თუ სხვა შესაძლებელი ხასიათის დამოკიდებულებაში.

აქედან წარმოდგება წყაროთა მრავალენიანობა და, მაშასადამე, განყოფილების წინაშე დასახული გეგმის განმახორციელებელ შემოქმედებთს მუშაობაში წყაროთა ენების, მათ შორის ბერძნულის, სომხურის, არაბულის, სპარსულის, თურქულისა და სხვათა, ღრმად მცოდნე ისტორიკოსთა მონაწილეობის აუცილებლობა.

კრებულში ძირითადად გაზიარებულია დიდს წყაროთმცოდნეობითს ლიტერატურაში კარგად ცნობილი წესი, რომლის მიხედვით პუბლიკაცია მოიცავს წყაროში თემატიკურად შერჩეული ნაწილების (თავები, პასაჟები, აბზაცები) ნაკრებს, მოვიგონოთ აკად. ვ. ლატიშევის „Известия древних писателей... о Скифии и Кавказе“, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის „გეორგია“. იზიარებს რა პუბლიკაციის ასეთ წესს პირობით, პრაქტიკული საჭიროების ძალით, განყოფილება ცდილობს წყაროთმცოდნეობითი ნაკრებები შეძლებისამებრ შეიცვალოს სრული პუბლიკაციებით. მაგრამ ეს ფაქტიურად კიდევ მომავლის საქმედ რჩება.

ნაშრომის საფუძვლებს შეადგენს, კვლევა-ძიებითი მუშაობის გვერდით, ტექსტების პუბლიკაცია ქართულსა და რუსულ ენებზე შესრულებული თარგმანებით.

ქართულ ენაზე დაცულ ძველთაგან ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევა ეხება, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებს, დოკუმენტურ მასალებს (სვანური საბუთები, ანდერძ-მინაწერები, რკონის სიგელი რუსულად თარგმნილი); უმნიშვნელოვანეს უცხო ავტორთაგან—არისტოტელეს, მხითარ გომს, რაშიდ ად-დინს, მუნეჯიმ-ბაშის, ეგვიპტესთან, საფრანგეთთან ურთიერთობის ამსახველ მასალებს და ა. შ.

22200

საქართველოს  
მეცნიერული  
ბიბლიოთეკა

სპეციალისტები ინტერესით გაეცნობიან აწ განსვენებული ისტორიკოსის მაქსიმე ბერძნიშვილის ერთ-ერთ ადრინდელ გამოკვლევას—„ძველი ქართული პოლიგრაფიული ტერმინები“.

კრებული, ვფიქრობთ, საქართველოს ისტორიის საკითხებით, ქართულ სიძველეთა მარაგით დაინტერესებულ მკითხველს აგრძნობინებს ჩვენს დარგში მიღწეულ პროგრესს, მიაწვდის მატერიალურადაც, თეორიულადაც საგულისხმო ახალ ფაქტებს.

თინათინ შაშხინიშვილი

არისტოტელეს ფოზიკური ცნობისათვის

არისტოტელე იმდენად მრავალმხრივი მოღვაწეა და მის პიროვნებას იმდენი თხზულება მიეწერება და უკავშირდება, რომ მასზე სრული, თუნდაც მხოლოდ მიმოხილვითი ნაშრომის დაწერა დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული.

წარმოდგენილი ნაშრომი ერთ პატარა საკითხს ეხება და თუ სათაურის უფრო მეტ დაზუსტებას მოვიწოდებთ, მაშინ მას უნდა ვუწოდოთ: „მასალა საქართველოს ისტორიისათვის არისტოტელეს სახელით ცნობილ ნაწარმოებებში“, რადგან ბევრი ის თხზულება, რომელსაც ჩვეულებრივ არისტოტელესად მიიჩნევენ და რომელშიც საქართველოს შესახებ რაიმე ცნობა მოიპოვება, ავტორიტეტულ მკვლევართა მიერ მეტწილად ან არისტოტელეს მოწაფეებისად არის აღიარებული ან არა და შემდეგში, მისი მიმდევრების მიერ დაწერილად. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ, ცალკეულ ნაშრომთან დაკავშირებით გვექნება ლაპარაკი, ჭერჯერობით კი პირობითად ამ ცნობებს ზოგადად არისტოტელესად მივიჩნევთ.

არისტოტელემ (384—322 წწ.) იმდენი რამის გაკეთება იკისრა და იმდენი მოასწრო თავის ცხოვრებაში, რომ ერთი კაცი ამას ვერ აუვიდოდა, რა მონაცემები, ენერჯია და სურვილებიც არ უნდა ჰქონოდა. მან ამდენის გაკეთება იმით შეიძლო, რომ გარს უამრავი მოწაფე და თანამშრომელი ეხვია, რომლებიც მისთვის მასალას აგროვებდნენ, ამ მასალას ამუშავებდნენ და ა. შ. ასეთები იყვნენ: თეოფრასტე, ვედემოსი, სტრატონი, მემონი, არისტოქსენოსი, დიკაარქოსი და სხვები.

საფიქრებელია, რომ ჩვენამდე მოღწეული არისტოტელეს სახელით ცნობილი ნაწარმოებების ბირთვის შეადგენენ თვით არისტოტელეს შენიშვნები და კონსპექტები, რომელთაც ის წერდა საღეჭციოდ. მათ შორის იყო ისეთებიც, რომლებიც თვით ავტორის მიერ საბოლოოდ იყო დამუშავებული და გამზადებული გამოსაცემად, ხოლო არის ისეთებიც, რომლებიც მისი მსმენელების ჩანაწერი უნდა იყოს.

არისტოტელეს ბიოგრაფი, დიოგენე ლაერტი მას 400-მდე წიგნს მიაწერს, ხოლო I თუ II ს-ის პერიპატეტიკოსი პტოლემადოსი კი ამბობდა, რომ მას 1000 წიგნი ჰქონდა დაწერილი.

არისტოტელემ (და მისმა სკოლამ) წვლილი შეიტანა მეცნიერების თითქმის ყველა დარგის განვითარებაში—ეს დარგებია: ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ისტორიოგრაფია, სამართლის მეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა. არისტოტელე ითვლება დიალექტიკის სისტემატიზატორად, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ფუძემდებლად, ეთიკისა და სოციოლოგიის უდიდეს წარმომადგენლად. არისტოტელე არის ლოგიკის მამამთავარი და აღწერითი ბიოლოგიის საფუძვლის ჩამყრელი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> RE, II, 1896, გვ. 1012—1054. სტატია Aristoteles, ავტორია Gercke; ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 1949, გვ. 19—25; И. М. Тронский, История античной литературы, 1957, стр. 186—192; История греческой литературы, II, Москва, 1955, стр. 199—218; Christ, W. Geschichte der griechischen Litteratur, I Teil 6, München, 1912, გვ. 718—771.



არისტოტელე უპირველეს ყოვლისა ფილოსოფოსია. საყოველთაოდ ცნობილია მისი ნაშრომები: „ორგანონი“, „ფიზიკა“, „მეტაფიზიკა“, „სულისათვის“, „ეთიკა“ და სხვ. მაგრამ ასევე დიდი მნიშვნელობისაა სხვა თხზულებებიც, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა დარგს განეკუთვნებიან.

არ ჩამოვთვლი ყველა ნაშრომს, რომელიც არისტოტელეს სახელითაა ცნობილი (მოღწეულია 47 მეტნაკლებად მთლიანი ნაწარმოები და კიდევ ასული ფრაგმენტი), მოვიხსენიებ მხოლოდ მათ, სადაც საქართველოს შესახები ცნობები მოიპოვება. გეოგრაფიული ხასიათის ცნობებია შემდეგ ნაწარმოებებში: „მეტეოროლოგია“, „ქარების შესახებ“, „სამყაროს შესახებ“, „ცის შესახებ“ (სქოლიოებში), „პრობლემები“ და „გამოუცემელი პრობლემები“. ცნობები არის ზოოლოგიურ ნაშრომებში: „ცხოველთა ისტორია“, „ცხოველთა დაბადების შესახებ“, „ცხოველთა ნაწილები“. ცნობები გვაქვს სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ტრაქტატებში: „პოლიტიკა“, „პოლიტიები“, „ეკონომიკა“. ასევე კომპილაციურ ნაშრომში, სადაც შერწყმულია ბუნებისმეტყველებისა და ისტორიის საკითხები: „საოცარ ამბავთა შესახებ“. ცნობები მოიპოვება ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრობლემატიკის მქონე თხზულებებშიც: „მჭევრმეტყველება“, „ნიკომაქოსის ეთიკა“, „პოეტური ხელოვნება“, „მეორე ანალიტიკა“ (სქოლიოებში), „ძილის დროს მისნობა“. ცნობები არის ფრაგმენტებშიც, რომლებიც სულ სხვადასხვა რიგის ნაწარმოებების ნაწყვეტებს წარმოადგენენ. ცნობილია, რომ არისტოტელეს ჰქონდა ნაშრომი *Νόμια καὶ ἀρχαί* („არაბერძენთა წეს-ჩვეულებები“), სადაც განხილული იყო სხვა ხალხებთან ერთად კავკასიის ტომთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებიც.

სამწუხაროდ, *Νόμια καὶ ἀρχαί*, რომელიც მკვლევართა მიერ ერთხმად არისტოტელესეულად არის აღიარებული, ჩვენამდე არაა მოღწეული, მაგრამ სხვა ნაწარმოებებში არა სპეციალურად, არამედ სხვათაშორის შესულია ბევრი ცნობა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს შესახებ, რაც, საფიქრებელია, არ განსხვავდება იმისაგან, რაც *Νόμια καὶ ἀρχαί*-ში იყო.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებები შეიცავენ სხვადასხვაგვარ ცნობებს, რომელნიც ძირითადად რამდენიმე ჯგუფის სახით წარმოიდგინება. ეს ჯგუფებია:

1. წმინდა გეოგრაფიული ხასიათის ცნობების შემცველი.
2. ზოოლოგიური მასალით წარმოდგენილი.
3. ტომთა მომხსენებელი და მათი დახასიათების შემცველი ცნობები, რომლებიც აგვიწერენ ტომთა წეს-ჩვეულებებს, მათ საქმიანობას და ა. შ.
4. ძველი თქმულებების, არგონავტებისა და პრომეთეისის მითის მომხსენებელი (ძირითადად ლიტერატურული ჟანრის ანალიზის ასპექტში).

სამწუხაროდ, აქ ვერ შევჩერდები ყველა ცნობის განხილვაზე, რაც კი შესწავლილი მაქვს, გამოვყოფ მხოლოდ მათ, რომლებმაც ამჯერად მიიპყრეს საგანგებო ყურადღება.

სანტერესო გეოგრაფიული ხასიათის ცნობები არის ნაწარმოებში „მეტეოროლოგია“<sup>2</sup>, რომელიც არისტოტელეს უტყუარ ნაშრომთა რიცხვშია.

მომყავს სამი სხვადასხვა ციტატი:

350a „ხოლო კავკასიონიდან ბევრი სხვადასხვა მდინარე მოედინება, გამორჩეული წყლის სიმრავლითა და სიდიდით და მათ შორის—ფასისი. კავკასიონი უდიდესი

<sup>2</sup> ესარგებლობდი გამოცემით Aristotle Meteorologica with an english translation by H. D. P. Lee 1952 (ლოგების სერია. ნაშრომი ამ სერიაში პირველად 1952 წელს გამოქვეყნდა).

<sup>3</sup> W. Christ... გვ. 734. RE... გვ. 1045—46.

მთაა, როგორც სიფართოვით, ასევე სიმაღლით, და მიმართულია ზაფხულის აღმოსავლეთისაკენ (ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ—თ. ყ.). საბუთი მისი სიმაღლისა ისაა, რომ ის კარგად ჩანს ეგრეთწოდებული სიღრმეებიდანაც (*ἀπὸ τῶν ἀβυσμῶν καὶ βυθῶν*)<sup>4</sup> და მათთვისაც, ვინც ტბაში შეცურდება. მისი მწვერვალები მზითაა განათებული... მისი სიფართოვის (ნიშანია ის), რომ მასში ბევრი ადგილსამყოფელია<sup>5</sup>, სადაც მრავალი ტომი (*ἔθνη*) და ტბაა“.

351a „კავკასიონის ქვემოთ არის ტბა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ზღვას უწოდებენ. რადგან ამ ტბას მრავალი დიდი მდინარე ერთვის და ცხადი გამოსავალი კი არა აქვს, იგი მიწის ქვეშ მიედინება კორაქსებისაკენ და გამოდის პონტოს ეგრეთწოდებულ სიღრმეებთან (*περὶ τὰ ἀβυσμῶνα βυθῶν Πόντου*)<sup>6</sup>. ეს არის ზღვის რაღაცა ნაწილი, რომელსაც განუსაზღვრელი სიღრმე აქვს. ჭერ არასოდეს არავის შესძლებია იქ ჩასვლა და ფსკერის აღმოჩენა. აქვე, ნაპირიდან დაახლოებით 300 სტადიონის დაშორებით ამოდის სასმელი წყალი დიდ ფართობზე, მაგრამ მთლიანად კი არა, არამედ სამ ადგილას“.

354a „არის ბევრი ზღვა, რომლებიც ერთმანეთს არ უერთდებიან არცერთ ადგილას, მაგ., მეწყამული ზღვა ოკეანეს უკავშირდება ჰერაკლეს სტელეებს გარეთ, როგორც ჩანს, სულ ვიწრო [ნაწილით], ხოლო ჰირკანიისა და კასპიის ზღვები გამოყოფილი არიან [ოკეანისაგან] და ირგვლივ სულ დასახლებული არიან. ისე რომ არ დაიმალებოდა [მათი] წყაროები, თუ კი რომელიმე ადგილას ასეთი რამ იქნებოდა“.

ამ ცნობათა შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

1. ფასისს იცნობს არისტოტელე, როგორც კავკასიონიდან მომდინარე, წყალუბე, დიდ მდინარეს.

ფასისი ბერძნულ მწერლობაში მანამდეც იყო ცნობილი (ჰესიოდე, ჰეროდოტე, ჰიპოკრატე, სოფოკლე, ევრიპიდე,...), მაგრამ ასე დაწვრილებით და ზუსტად სხვაგან მის შესახებ არ არის (ჰესიოდე, ჰეროდოტე, ჰიპოკრატე ახსენებენ მის შესართავს და დინების ქვემო ნაწილს), ეს არის თანამედროვე რიონი.

2. კავკასიონის ქედი (რომლის ხსენება და აღწერილობა გვხვდება მანამდე ჰეროდოტესა და ესქილესთან) არისტოტელესთან სწორად არის დახასიათებული. ის იმ ცნობასაც კი იძლევა, რომ ამ მთებში, უფრო ზუსტად იმ ხეობებში, რომლებიც სერავენ მათ, ბევრი ტომი (*ἔθνη*) ცხოვრობს (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით აქვს შემდეგ სტრაბონს „გეოგრაფიაში“)<sup>7</sup>.

3. კორაქსებს, როგორც კოლხურ ტომს, იცნობენ ჰეკატაეოსი (ფრგ. 185), ფსევდო-სკილაქსი (77); ახსენებს მათ არისტოტელეც, მაგრამ არ საზღვრავს არც მათ საცხოვრისს, არც მათ ეთნიკურობას. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ მის დროს მის მკითხველ თუ მსმენელ საზოგადოებას ამისი საგანგებო ახსნა არ სჭირდებოდა.

<sup>4</sup> ინგლისურ თარგმანში გვაქვს: „It is visible... from the so-called Deeps“ ...რუსულ თარგმანში გვაქვს: „Он виден с так называемых пучин“. ლათინურ თარგმანში: „qui Profunda Ponti vocatur“.

<sup>5</sup> *ἔθνη*—ნიშნავს: *седалище (стул, скамья, трон и т. п.); местопребывание; основание; сидение, медление, бездействие.* რუსულ თარგმანში არის *долина (?)*.

<sup>6</sup> ინგლისურ თარგმანში არის: „The so-called Deeps of Pontus“. რუსულ თარგმანში არის: „Около так называемых пучин Понта“. ლათინურ თარგმანში: „loca Ponti, quae Profunda appellantur“.

<sup>7</sup> შტრ. სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 120, 122—123, 126, 128, განსაკუთრებით გვ. 140—141.

კასპის ზღვას ბევრი მდინარე ერთვის, თვითონ კი არ უკავშირდება არც ერთ ზღვას თუ ოკეანეს; ის ირგვლივ სულ დასახლებულია, დასანახავად მისგან არაფერი გამოდის, წყალს კი გამოსავალი სჭირდება. ასეთი რამ მიწის ქვეშ ხდება, წყალი მიედინება კორაქსებისკენ და გამოდის პონტოსთან, ე. ი. კორაქსებიც ამ მიმართულებით არიან საძებნელი. პონტო და კორაქსები ერთ კონტექსტში იხსენიებიან. ВДИ არისტოტელეს ამ ტექსტთან აკეთებს ასეთ შენიშვნას (XX, გვ. 323): „Земля Кораксов—в данном случае кавказское побережье в центральной его части“. ВДИ (XIX, გვ. 300) ჰეკატაოსის კორაქსებთან დაკავშირებით აკეთებს შენიშვნას: „Кораксы горное племя на западно-кавказском побережье, в районе милетской колонии Диоскуриады.... В более позднее время были подчинены колхам“.

ფსევდო-სკილაქსი კორაქსებს ახსენებს ჰენიოხებზე სამხრეთით და კოლხებზე ჩრდილოეთით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამათზე კიდევ უფრო სამხრეთით არის ტომი კოლხებისა და მის ტერიტორიაზე დიოსკურიისი. ისე რომ, ამ ავტორის თანახმად კორაქსების ტომი თანამედროვე სოხუმზე უფრო ჩრდილოეთით არის ნაჯარაუდღევი. არისტოტელე სხვაგან არსად ახსენებს კორაქსებს, ისე რომ დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მას უფრო ზუსტად სად ესახება მათი ადგილსამყოფელი, მაგრამ მისი კორაქსები და ე. წ. სიღრმეები დიდად დაშორებული არ უნდა იყვნენ ერთმანეთს.

4. ზემოთ მოყვანილ ციტატებში საგანგებოდ მინდა შევჩერდე ერთ გამოთქმაზე, რომელიც ორჯერ გვხვდება: ა. ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ კავკასიონის ქედი მაღალია, არის შემდეგი: ის კარვად ჩანს ე. წ. სიღრმეებიდანაც (ἀπὸ τῶν καλσιμύων βαθείων) და მათთვისაც, ვინც ტბაში შეცურდება\*<sup>8</sup>; ბ. კასპის ზღვას ბევრი მდინარე ერთვის და ცხადი გამოსავალი კი არა აქვს, ის მიწის ქვეშ მიედინება კორაქსებისაკენ და გამოდის პონტოს ევრეთწოდებულ სიღრმეებთან (περὶ τὰ καλσιμύων βαθείων τῶν Πόντου). ეს არის ზღვის ერთი რაღაცა ნაწილი, რომელსაც განუსაზღვრელი სიღრმე აქვს. ჯერ ვერაფერ შეიძლო იქ ჩასვლა და ფსევდოსის აღმოჩენა. τὰ καλσιμύων βαθείων, რაც რუსულად თარგმნილია როგორც причина და ინგლისურად Deeps, უეჭველად ყურადღება მისაქცევია. არისტოტელე აღნიშნავს ამ სიტყვით რაღაცა გეოგრაფიულ პუნქტს. ეს უეჭველია—ის არის პონტოს ზღვასთან რაღაცა ადგილი. თუ დავუშვებდით პირველი მაგალითის მიხედვით იმას, რომ არისტოტელე ამბობს—კავკასიონი ისე მაღალია, რომ ის შუა ზღვიდანაც კარვად მოჩანს და ტბაში შესვლისასაცო, მაშინ გაუგებარია, ჯერ იქვე „ევრეთწოდებული“ რა საჭიროა და შემდეგ, მეორე მაგალითში ხომ დაზუსტებულია, რა არის ეს „ევრეთწოდებული სიღრმეები“—τὰ πρὸ τῆς ἀπειρῆς τῆς βαθείων βαθείων. „ეს არის ზღვის რაღაცა ნაწილი, რომელსაც განუსაზღვრელი სიღრმე აქვს“, თანაც ეს ადგილი სანაპიროსთან ახლოსაა—ამის შემდეგ არის თხრობა იმისა, რომ „აქვე, დაახლოებით 300 სტადიონის დაშორებით ამოდის სასმელი წყალი“.

ჩემის აზრით, ორგზის მოხსენიებული τὰ καλσιμύων βαθείων არის ზღვისპირა გეოგრაფიული პუნქტი, საიდანაც მოჩანს კავკასიონის სიმაღლეც და სადაც ზღვას განუსაზღვრელი სიღრმე (βαθείων) აქვს. შავი ზღვა რომ საერთოდ ღრმაა, ამის შე-

\* ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს ტბა მეოტისია (როგორც ესმით რუს და ინგლისელ მთარგმნელებს) თუ კასპისა—შესაძლოა კასპის ზღვაც იყოს. არისტოტელე ხომ აქვე, ამავე შრომაში წერს, რომ კავკასიონის ქვემოთ არის ტბა (λίμνη), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ზღვას უწოდებენო.

სახე დავა არ არსებობს, მაგრამ არისტოტელესთან მისი სიღრმის ამჯერად ერთი ადგილის მიმართ საგანგებოდ მოხსენიება, ვფიქრობ, უკავშირდება იმას, რომ პუნქტს ჰქვია *τὰ βῆμα* და ავტორს ამისი ახსნა უნდა. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ პლინიუს უფროსის (I ს.) ერთი ცნობა, რომელიც, როგორც ჩანს, მომდინარეობს არისტოტელესაგან (*Naturalis Historia*, II, 224): *Altissimum mare XV stadiorum Fabianus tradit. alii in Ponto ex adversa Coraxorum gentis (vocant βῆμα Ponti) trecentis fere a continenti stadiis immensam altitudinem maris tradunt, vadis numquam repertis.*

„ფაბიანუსი ვადმოგვცემს, რომ ყველაზე მეტი სიღრმე ზღვისა არის 15 სტადიონი. სხვები კი ამბობენ, რომ კორაქსების მოდემის (საცხოვრისის) პირდაპირ ((ამ ადგილს) პონტოს *βῆμα*-ს უწოდებენ), თითქმის 300 სტადიონის მანძილზე ხმელეთიდან ზღვას აქვს განუზომელი სიღრმე და ფსკერი, რომელიც არასოდეს ყოფილა ნახული“ (აქ პატარა განსხვავებაა, მაგრამ ძირითადად იგივეა, რაც აქვს არისტოტელეს II ცნობაში).

პლინიუსის აზრითაც პონტოს „ბათეასთან“, ხმელეთიდან 300 სტადიონზე ზღვა ძალიან ღრმაა, ე. ი. აქაც იხსენიება ადგილი „ბათეა“, პირდაპირაა ნათქვამი, რომ მას პონტოს ბათეას უწოდებენ (ეს იმიტომ, რომ არის სხვა ბათეაც—მემფისის, ლუზიტანიის, ტარენტის). ამ ცნობებისათვის აქამდე ყურადღება არავის მიუქცევია მხოლოდ არსებობს ტომაშეკის პატარა საენციკლოპედიო სტატია (*RE*, III, 1899 წ. გვ. 123), სადაც *Βῆμα τῆς Πόντου* ცალკე პუნქტად არის აღიარებული (თუმცა მის ბათუმთან გაიგივებაზე არაფერია ნათქვამი) და აღნიშნულია, რომ ის არის კორაქსების სანაპიროს 360 სტადიონით დაშორებული, არის დიოსკურიაზე სამხრეთით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე (და სწორადაა მიჩნეული მეზღვაურთა დაკვირვება—რომ შავი ზღვის ჩრდილოეთით სანაპიროსკენ წყალი უფრო თხელია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით—უფრო ღრმა).

ამრიგად, პონტოს სამხრ.აღმ. სანაპიროზე აღნიშვნა პუნქტისა, რომლის სახელსაც „ბათ“ ძირი ჰქონდა (და ეს „ბათ“ ბერძნულ *βῆμα*-ად არის გაგებული, მოცემულია მისი ბერძნული ეტიმოლოგია) არის ჯერ კიდევ არისტოტელესთან და შემდეგ მას იმეორებს პლანიუსი.

მდ. ბათუსს ახსენებენ იგივე პლინიუსი იმავე ნაშრომის სხვა ადგილას (*NH*, VI, 12), არიანე (II ს.) *PPE*—§ 7 და ანონიმი (V ს.) § 2. პლინიუსი წერს: „140.000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდ. აბსაროსია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა იბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრეტები, ლაზები, მდინარეებია: აკამფსისი, ისისი, მოგროსი, ბათისი; კოლხთა ტომებია აქ. ქალაქია მატუმი“. მდინარე ჰერაკლეუმში, იმავე სახელწოდების კონცხითურთ და უსახელოვანესი პონტოს მდინარეთაგან—ფასისი“ (საინტერესოა, რომ ამ „ბათუსს“—ლათინური თარგმნის *река Глудокая*). არიანე წერს: „აკამფსისიდან მდინარე ბათისამდე სამოცდათხუთმეტი სტადიონია. მდ. აკინასე ბათისიდან ოთხმოცდათი სტადიონითაა დაშორებული“.

კალხეთის ტერიტორიაზე არსებული ქალაქი „მატიუმის“ ლოკალიზაცია ჯერ არავის მოუხდენია. საგულისხმოა, რომ ამ სახელწოდების რამდენიმე გეოგრაფიულ პუნქტს ბერძენ-რომაელ ავტორთა შორის მხოლოდ პლინიუსთან ვხვდებით. მისი „მატიუმი“ არის: 1. კრეტის ჩრდილო სანაპიროზე (IV, 12, 20). 2. იონიაში (V, 29, 31). 3. კოლხიდაში (VI, 4, 4) და 4. ესაა გვიანდელი სახელი კომანასი (VI, 3, 4).

სხვა ავტორები *Matium*, *Μάτιον*-ს არ იცნობენ. არის ცდა მისი გაიგივებისა პტოლემეაძის „მადიასთან“.

ანონიმს კი აქვს: „მდ. აკამფისიდან მდ. ბათისამდე სამოცდათხუთხმეტი სტადიონია, ათი მილიონი. მდ. ბათისიდან მდ. კინასამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილიონი“.

ამ ავტორებთან ხსენებული მდინარეები დღეს ცნობილია, თუ რომელი რას ნიშნავს: აკამფისის ჭოროხის ერთი ტოტია (აფსაროხი—II), აკინასე და კინასი—მდ. კინტრიშია, მოგროსი სუფსაა, ისისი—ნატანები. ერთი სიტყვით, მდ. ბათსი გამოდის ჭოროხსა და კინტრიშს შორის, 12—13 კმ-ით ჭოროხის ჩრდილოეთით, ე. ი. იქ, სადაც არის ყოროლის წყალი. აღსანიშნავია, რომ ფსევდო-სკილაქს (ძვ. წ. IV ს.) ისისა (=ნატანებს) და აფსაროხს (=ჭოროხს) შორის აქვს ერთი მდინარე *Ἀγρῶν ποταμὸς*, რაც ნიშნავს „ყაჩაღთა წყალს“, თუ ვთარგმნით ქართულად. რომელი მდინარე იგულისხმება ამ სახელით, დაბეჯითებით თქმა ჭირს, შეიძლება იყოს ეს კინტრიშიც და ყოროლის წყალიც.

მდ. Bathys-თან დაკავშირებით ტომამეკი საენციკლოპედიო სტატიაში წერს (RE, III, 1899, გვ. 139): „An seiner Mündung lag ein Hafen gleichen Namens“—ე. ი. მდინარეა ბათსი და მის შესართავთან არის ნავსადგური ბათსი. ტომამეკი თუმცა არ აზუსტებს, ბათუმს უნდა ვარაუდობდეს.

პაპეს საკუთარ სახელთა ლექსიკონში ვკითხულობთ: *Bzმზღ, ბ... Küstenfluss im Pontus Cappadocicus, j. Tzulschuda—Su, Arr., Plin...*

პლინიუსისა და არიანეს ცნობას მდ. ბათსის შესახებ ყურადღება მიაქცია თ. უსპენსკიმ, რომელსაც თავის ერთ სტატიაში ასეთი ადგილი მოეპოვება: „Что касается реки Вафи у Плиния и Арриана, то нам бы представлялось справедливым видеть здесь долину *Bzмзღ*, т. е. местность и название нынешнего Батума“ (ИАН, 1917, № 2).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ანტიკური წყაროები ბათუმის ისტორიისათვის ს. ყაუხჩიშვილის შემოტანლია. მას პლინიუსის, არიანეს, *Tabula Peutingeriana*-სა (II ს-ის ძეგლი, გადაკეთებული IV—VI სს-ში) და „პასქალური ქრონიკის“ (VII ს.) მონაცემების საფუძველზე ასეთი დასკვნები აქვს გაკეთებული:

ბათსი იყო ქალაქის სახელიც და მდინარის სახელიც (ისევე, როგორც მაგ. ფასისი), ბერძენმა ეს ადგილობრივი სახელი გააზრა, როგორც ბერძნული სიტყვა (*βζμზღ*—ღრმა), ამიტომ არის *Tab. Peut.*-ზე *Portus altus* (*altus* არის თარგმანი *βζμზღ*-ის), ე. ი. ღრმა ნავსადგური (ნავსადგური ბათსი). რომ ეს დასახლებული პუნქტი მნიშვნელოვანი ნავსადგური არ ყოფილიყო, ის ვერ მოხვდებოდა რუკაზე, და არც „პასქალური ქრონიკა“ უწოდებდა მას *μυχαλή πρῆξις*<sup>10</sup>.

ეს დაკვირვება დამაჯერებელი ჩანს და ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ არა მხოლოდ პლინიუსისა და არიანეს დროიდან გვაქვს ცნობა „ბათუმის“ შესახებ, არამედ უფრო ადრე, არისტოტელეს დროიდან. ის, რაც შემდგომ საუკუნეებში დიდ ქალაქად და მნიშვნელოვან ნავსადგურად იხსენიება, რამდენიმე საუკუნის წინ ისეთი პუნქტი ყოფილა, რომელზე მითითებითაც, არისტოტელეს აზრით, აიხსნებოდა ისეთი რამ, რასაც მის დროს განმარტება სჭირდებოდა (კასპიის ზღვის საკითხს).

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე დღესდღეობით ასეთი დასკვნაა გამოტანილი, რომ ბათუმის გორაზე (მდ. ყოროლის წყლის შესართავის მარცხენა ნაპირზე) ინტენსიური ცხოვრება იწყება ძვ. წ. 1 ათასწლე-

<sup>10</sup> ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951, გვ. 17—23.

ულის დასაწყისიდან მაინც, უკვე ძვ. წ. VII ს-დან ბათუმს ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური კავშირი აქვს ბერძნულ სამყაროსთან, რაც დასტურდება განათხარი იმპორტული კერამიკით<sup>11</sup>.

5. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით არ შეიძლება, რომ არ შევჩერდეთ კასპიის ზღვის საკითხზე, რომელიც არისტოტელემდე ბერძნულ საგეოგრაფიო მწერლობაში სხვაგვარად იდგა. მანამდე იყო აზრი, რომ კასპიის ზღვა უფრო დიდობდა ოკეანეს და ეს შეერთება, წყლის სადინარი ყელი, მას ჩრდილოეთ ნაწილში ჰქონდა. არისტოტელე კი მართებულად წერს, რომ არსებითად ეს არის ტბა, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლები მას ზღვას უწოდებენ (351a). მეორეგან ამავე ტბას (seu ზღვას) იგი ორი სახელით იხსენიებს: ჰირკანიისა და კასპიის ზღვები (რომლებიც ასევე არ არიან ოკეანესთან დაკავშირებული) და იმეორებს იმას, რაც ზემოთაც თქვა, რომ ამ ზღვას თვალსაჩინო სადინარი არ აქვს, ე. ი. მისგან არაფერი გამოდის, ის სხვა ზღვებთან არ არის დაკავშირებული (354a).

ВДИ-ს შენიშვნის მიხედვით (XX, გვ. 324), „Повидимому, здесь Аристотель называет Гирканским южную часть Каспийского моря, Каспийским же—северную часть того же моря“<sup>12</sup>. რა წყარო აქვს არისტოტელეს იმისათვის, რომ კასპიის ზღვის მიწისქვეშა დინებაზე ილაპარაკოს, არ ვიცი.

ზოოლოგიური ხასიათის ცნობებიდან, რომლებიც დიდი რაოდენობით არის მოცემული არისტოტელეს თხზულებებში, მინდა შევჩერდე შემდეგზე:

„ცხოველთა ისტორიაში“<sup>13</sup> (რომელიც ძირითადად თვითონ არისტოტელეს მიერ დაწერილად არის აღიარებული, მხოლოდ მისი VII და X წიგნები ითვლება სხვა წარმოშობისად<sup>14</sup>) არის ერთი ასეთი ცნობა: III, 21. „მეწველი საქონელი მტე რძეს მოიწველის, თუ ნაკლებს ეს დამოკიდებულია სხეულის სიდიდებზე და საკვების ნაირსახეობაზედაც. მაგალითად, ფასისთან არიან პატარა ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იწველის, ხოლო ეპირის დიდი ძროხებიდან თითოეული იწველის ერთ ამფორა რძეს და შესაძლოა სულაც ნახევარს, ხოლო ის, ვინც სწველის, გამართული დვას, ოდნავ წახრილი, რადგან არ შეუძლია მისწვდეს მის ჯიქანს“. ე. ი. ფასისის ძროხები პატარები არიან და ბევრს იწველიან (ეს დამოკიდებულია, ჩანს, საკვების ნაირსახეობაზე), ხოლო ეპირისა—დიდები არიან და ცოტას იწველიან, თანაც ეს ცოტა არის 1 ამფორა. ერთი ამფორა შეიცავს დაახლ. 15—20 ლიტრს, თანამედროვე ქართული ჯიშის ძროხების შესახებ ის აზრი არსებობს, რომ ისინი იმდენად ბევრს არ იწველიან, რამდენსაც მაღალხარისხიან ცხიმთან რძეს იძლევიან. ძველი კოლხური ჯიშის ძროხას ზოოლოგებს გარდა ყურადღება მიაქცია გ. ჩიტაიამ, რომელიც წერს: „ხევესურებსა და ქართველების სხვა ტომებს საუკუნეთა მანძილზე დიდად უშრომიათ ამ ჯიშის (იგულისხმება ხევესურული ძროხა—თ. ყ.) გაუმჯობესებაზე. თავისი

<sup>11</sup> ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ბათუმის უძველესი ისტორიისათვის: „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, 1966, გვ. 69—75, ა. კ ა ხ ი ძ ე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის: „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, IV, 1965, გვ. 67—94.

<sup>12</sup> ჰირკანიისა და კასპიის ზღვებს ასახელებს ნაწარმოებში „Περὶ ζώου“ („სამყაროს შესახებ“), რომელიც მიეწერება არისტოტელეს, მაგრამ სინამდვილეში მისი არ არის. აქ ეს ზღვები ოკეანესთან არიან დაკავშირებული.

<sup>13</sup> ვსარგებლობდი შემდეგი გამოცემით: Aristotelis De animalibus historia, textum recognovit Leonardus Dittmeyer. Lipsiae, 1907 (Bibl. Teubn.).

<sup>14</sup> RE.. გვ. 1047; Christ... გვ. 734.

ჩამომავლობით ეს ძროხა ძველი კოლხური ძროხის ჯიშისა უნდა იყოს, რომელსაც, პატარა ტანის მიუხედავად დიდი წველადობა ახასიათებდა. ხევესურულ ძროხას დღეს ახასიათებს მალალი წველადობა, ხოლო მის რძეს—დიდი ცხიმინობა. ხევესურულ ძროხას ეს თვისებები შეძენილი აქვს ადამიანის კულტურული ზეგავლენის შედეგად, კერძოდ, საკვების შერჩევა-გაუმჯობესების გზითაც. საძოვარ-საბალახოს შერჩევას ხევესურეთში დიდი ყურადღება ექცევა<sup>15</sup>.

პონტოს თავლის შესახებ არაერთი ბერძენი მწერალი წერდა: ქსენოფონტი, სტრაბონი, კლავდიუს ელიანუსი. არისტოტელე „ცხოველთა ისტორიაში“ შემდეგს წერს ამ საკითხზე:

V, 22. „პონტოში არიან ერთგვარი ფუტკრები, მეტისმეტად თეთრები, რომლებიც თავლს თვეში ორჯერ აკეთებენ. ხოლო თემისკირაში, რომელიც მდინარე თერმოდონტთან არის, ფუტკრები მიწაშიაც და სკებშიც ისეთ ფიჭას აკეთებენ, რომელშიც ცვილი ბევრი კი არ არის, არამედ ძალიან ცოტა, ხოლო თავლი კი სქელი. ფიჭა გლუვი და თანაბარია. (ფუტკრები) მუდამ კი არ აკეთებენ ამას, არამედ (მხოლოდ) ზამთრობით: რადგან პონტოში ბევრია სურო, (რომელიც) სწორედ ამ დროს ჰყვავის და მისგან იღებენ თავლს (ფუტკრები). ამისთვის ჩამოაქვთ ზემოდან<sup>16</sup> თეთრი და ძალიან სქელი თავლი, რასაც აკეთებენ ფუტკრები უფიჭოდ ხეებზე. ამგვარი (თავლი) პონტოში სხვაგანაც გვხვდება“.

ამრიგად, არისტოტელეს უტყუარ ნაწარმოებში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი პონტოს ფუტკარი და თავლი.

„საოცარ ამბავთა შესახებ“ ტრადიციულად არისტოტელეს სახელს უკავშირდება, მაგრამ თანამედროვე სპეციალისტები სრულიად უარყოფენ ამის შესაძლებლობას. იგი მიჩნეულია კომპილაციურ ნაშრომად, რომელიც სამი სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება და აშკარად არისტოტელეს შემდეგ არის შექმნილი<sup>17</sup>. მაგრამ საბუნებისმეტყველო მასალა ასე თუ ისე თეოფრასტეს სახელს უკავშირდება, ის უნდა ყოფილიყო წყარო მისი ნაშრომის ამ ნაწილის ავტორისათვის, მაშინ, როდესაც ისტორიული ექსცერპტები მომდინარეობენ ტიმეოზისაგან, რომელიც პოსეიდონიოსის მეშვეობით არის ცნობილი მათი ავტორისათვის და მთლიანად კი მთელი ეს ნაწილი არიანეს დროს განეკუთვნება.

ნაწარმოებში „საოცარ ამბავთა შესახებ“ არის ცნობები პონტოს თავლზე. სახელდობრ: 831b. 17. „ამბობენ, რომ კაპადოკიის ზოგიერთ ადგილას თავლი ფიჭის გარეშე კეთდება, ხოლო სისქით ის ზეთის მსგავსია“.

18. „ტრაპეზუნტში, რომელიც პონტოშია, წიფლის თავლი მძიმე სუნინანია. ამბობენ, რომ ჯანმრთელებს ის ავიყებს, ხოლო ბნელიანებს საბოლოოდ სპობს<sup>18</sup>“.

ამ ნაწყვეტის § 17 ახლოსაა არისტოტელეს ჭეშმარიტ ცნობებთან, ხოლო რაც შეეხება მეორეს (§ 18), იგი გვაგონებს ქსენოფონტისა (Anab. IV, 8,20) და კლავდიუს ელიანუსის (ცხ. ისტ. V, 42) მონათხრობს.

<sup>15</sup> ხევესურული სახლის „სენე“: „ნაწლები“, 1, 1947, გვ. 153.

<sup>16</sup> *ἀγνάμην*—რუსულ თარგმანში არის „изнутри материка“. გერმანულ თარგმანში— „aus den höheren Gegenden“.

<sup>17</sup> ВДИ, стр. 327. Christ გვ. 734. უფრო დაწვრილებით არის RE-ის სტატიაში, სადაც მისი სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვაგვარად არის დათარიღებული, ხოლო ყველაზე გვიანდელი ახ. წ. VI ს-ით, გვ. 1048.

<sup>18</sup> რუსულ თარგმანში: „совсем убивает“ ინგლისურ თარგმანში: „epileptics are cured by it immediately“—ბერძნული ზმნა *ἀπαλλάσσει*—ამ ორივე შესაძლებლობას იძლევა.

ქსენოფონტი წერს: ტრაპეჯუნტის მიდამოში რომ მოვიდნენ ელინები, ბევრი სკა დახვდათ. ჯარისკაცებმა თავლი რომ შეჭამეს, გონება დაჰკარგეს. მათ გული ერეოდათ, კუჭი აეშალათ, ფეხზე დგომა არავის შეეძლო. ვინც ცოტა შეჭამა, ისინი მოვრალეებს ჰგვანდნენ, ხოლო ვინც ბევრი—გიჟებს, ანდა მომაკვდავებს. მაგრამ არავინ მომკვდარა. მეორე დღეს ისინი გონს მოვიდნენ, ხოლო ჰესამე და მეოთხე დღეს აღგენენ და ისე გრძნობდნენ თავს, თითქოს მოწამვლის მერე რჩებიანო (ანაბ. IV, 8,20).

კლავდიუს ელიანუსის ცნობა არისტოტელეს ცნობაზე არის დამყარებული. იქ ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ კაპადოკიელთა ქვეყანაში ფუტკრები თავლს უფიჭოდ აკეთებენ და ეს თავლი ისევე სქელია, როგორც ზეთი. მე ვიცი, რომ პონტოს ტრაპეჯუნტში თავლს იღებენ წიფლისაგან. ამ თავლს მეტად ძვირად სუნი აქვს, ჯანმრთელ ადამიანებს ის აგიჟებს, ხოლო ბნედიანებს კვლავ ჯანმრთელობას უბრუნებს“ (V, 42). ის განსხვავება, რაც არისტოტელეს და კლავდიუს ელიანუსის ტექსტებს შორის არის, მომდინარეობს თვითონ არისტოტელეს ციტატის გაგებისაგან. მსგავსი, მაგრამ უფრო ლაკონიური ხასიათის ცნობები აქვთ სტრაბონსა და პლინიუსს. სტრაბონი კოლხიდის აღწერისას გადმოგვცემს: „ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის, გარდა თავლისა, ეს მეტწილად მწარეა“ (გეოგრაფია, XI, 2, 17). ხოლო პლინიუსი ამბობს: „საუკეთესო ცვილი არის პუნიკური. ხოლო ყველაზე უფრო ჰგავს მას პონტოს ქვეყნებისა—ის ყვითელი ფერისაა, თავლისსუნიანია და სუფთა. ეს მე ძალიან მაკვირვებს, რადგან აქაური თავლი შხამიანია“ (HN, XXI, 83).

ცნობა ამგვარი თავლის შესახებ რომ შეესაბამება სინამდვილეს, ამას ადასტურებს მ. მაქსიმოვას შენიშვნა<sup>19</sup>: „По рассказам современных путешественников, подобный мед и в настоящее время можно встретить в приморских городах этой области (г. о. შავი ზღვის სამხრეთ-აღმ. სანაპიროზე)... По-тურецки он называется... „одуряющий мед“.

არისტოტელეს ცნობათა ერთი რიგი იძლევა ქართველურ ტომთა დახასიათებას.

„პოლიტიკასა“ და „ნიკომაქოსის ეთიკაში“, რომელიც არისტოტელეს შეიძლება დაუმთავრებელ, მაგრამ უტყუარ ნაწარმოებებად ითვლებიან, ლაპარაკია პონტოს ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის შესახებ. სახელდობრ:

ნიკომაქოსის ეთიკა, 1148 ხ 22 „ცხოველურ (ჩვევებს) ვუწოდებ ისეთებს... როდესაც ამბობენ, რომ ზოგიერთები პონტოს ირგვლივ მცხოვრებ ველურ ტომთაგან სიამოვნებას განიცდიან ერთნი იმისაგან, რომ უმ ხორცს (სჭამენ), მეორენი—ადამიანის ხორცს, მესამენი (იმისაგან), რომ ერთმანეთს ბავშვებს ასესხებენ ხოლმე წვეულებისათვის“. უფრო დაზუსტებულია ეს ცნობა „პოლიტიკაში“, 1338 ხ: „ტომთა შორის ბევრია ისეთი, რომელთაც მიდრეკილება აქვთ მკვლელობისა და კაციჭამიობის მიმართ, როგორც მაგ., პონტოსთან მცხოვრებთ შორის აქეებსა და ჰენიონებს და ხმელეთზე მოსახლე ტომთა შორის სხვებს, ზოგს ამათ მსგავსად და ზოგს კიდევ მეტად; (ეს ტომები) მეკობრეები არიან, მაგრამ ვაჟაკობას ვერ დაიკვებნიან“.

აქვეა მოსატანი ცნობა „პოლიტიკებიდან“, რომელიც თუ პირადად არისტოტელესი არ არის, მისი სკოლიდან არის მაინც გამოსული და „ფასისელთა სახელმწიფო წყობილების“ პატარა ფრაგმენტს წარმოადგენს<sup>20</sup>.

<sup>19</sup> К сенофонт, Анабасис, М.-И. стр. 275.

<sup>20</sup> უფრო დაწვრილებით იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰერაკლიდეს და მისი ცნობა საქართველოს შესახებ. არისტოტელეს ფრაგმენტების დამუშავებისას ვსარგებლობდი გამოცემით: Aristotelis Fragmenta, edidit V. Rose, Lipsiae, 1886.



46. „ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყავის გამხდელი ტომი, შემდეგ კი მილეტელები, ხოლო ესენი სტუმართმოყვარენი არიან, ისე რომ ამარაგებენ მათ ვისაც გემები ელუპებათ; (ესენი) 3 მნას აძლევენ (მილეტელებს) და ზღვითვე მიემგზავრებიან“. ამრიგად ამ ცნობებში არა ერთგზის არის აღნიშნული პონტოსპირეთის ტომების (ჰენიოხებისა და აქეების) ცხოველური ჩვევები და ველური მიდრეკილებები—კაციჭამიობა, მკვლელობა, ადამიანის ტყავის გახდა, მეკობრეობა.

„ეთიკაცა“ და „პოლიტიკაც“ განმაზოგადებელი ნაშრომებია, იქ კატეგორიებზე არის ლაპარაკი და არა ცალკეულ ფაქტებზე, ამდენად დებულებები კაციჭამია ტომების შესახებ ზოგადია, დაუთარილებელია; თარიღდება „პოლიტიკების“ ფრაგმენტის მიხედვით. ყოველივე ეს ხდებოდა, ჩანს, ე. წ. მილეტელთა კოლონიზაციამდე. მაგრამ ჩვენ მაინც გვიჭირს, მიუხედავად არისტოტელეს დიდი ავტორიტეტისა იმის დაშვება, რომ ფასისში (და მის მიდამოებში) მილეტელთა კოლონიზაციამდე ასეთი დაბალი კულტურული დონე იყო. არქეოლოგიური მასალა, მოპოვებული ამ ტერიტორიაზე, ამის საშუალებას არ იძლევა<sup>21</sup>.

ბერძნულ მწერლობაში ცნობა ჰენიოხების და აქეების ველურობის შესახებ ამის შემდეგ არა ერთხელ გვხვდება. ჰენიოხთა ტომის დახასიათებისას ძველი ავტორები ერთსულოვნებას იჩენენ: ისინი მეკობრეობითა და მომთაბარეობით ცხოვრობენ (დიოდორე, ბიბლიოთეკა, 20, 25; სტრაბონი, XI, 2, 12); ისინი ველურები არიან და ზიანს აყენებენ მეზღვაურებს (ე. ი. მეკობრეობას ეწვევიან—ოვიდიუსი, Epist. ex Ponto, IV, 10). ისინი ველური, უღმობელი ზნისა არიან (truces), რაც მედეას დროს გამოიჩინეს (ვალერიუს ფლაკუსი VI, 41). ჰენიოხების მეკობრული ცხოვრება უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი სტრაბონს (გეოგრაფია, XI, 2, 12), მაგრამ სხვაგან არსად არ არის ლაპარაკი მათ კაციჭამიობაზე. სტრაბონი ჰენიოხების შესახებ იმასაც წერს, რომ „ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ, როდესაც მითრიდატე ევპატორმა... ამათ ქვეყანაზე გადაიარა“ (XI, 2, 13). ჰენიოხების „ბასილევსები“, იმის საფუძველზე, რაც ამავე ავტორს ამ ტომის შესახებ უწერია, მესმის როგორც გვარის უფროსები, ე. ი. ძვ. წ. I ს-ისათვის ჰენიოხებს გვაროვნული საზოგადოება აქვთ და მათი ბასილევსი გვარის უფროსია. აპიანე ჰენიოხებს მითრიდატეს მოკავშირეებად აცხადებს, მაგრამ ასეთივე მოკავშირეები არიან არანაკლებ ველური აქეები, სკვითები, ხალიბები (მითრიდატეს ომების ისტორია, გვ. 144, 196, 223—224). ერთი სიტყვით, არისტოტელეს ცნობის თანადროული სხვა ცნობები არ გვაქვს, მაგრამ ერთი დაშვება შეიძლება: არისტოტელე კაციჭამია და კაცისკვლის მოყვარულ ტომთა შორის, მართალია, ასახელებს ჰენიოხებსა და აქეებს, მაგრამ იქვე ამბობს, რომ სხვები, რომლებიც უფრო

<sup>21</sup> ფასისის მოსახლეობის (არისტოტელეს ცნობის თანახმად, ჰენიოხთა) განვითარების დონის შესახებ მსჯელობა შეიძლება იმ მასალის მიხედვით, რაც ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოიპოვა. არაფერს ვამბობ იმპორტულ კერამიკაზე, რომელიც ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება. ძველ ფასისთან დაკავშირებულ ნამოსახლარზე, სოფ. ქვემო ჭალაღიდის მიდამოში აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი, ტიპური კოლხეთისათვის და დამახასიათებელი ბრინჯაოდან რკინაზე გარდასაკლფენებისთვის: თ. შიქელიძე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1962 წლის მუშაობის შედეგები: სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები, თბ. 1963, გვ. 47—52, შიქელიძე, ფოთის არქ. ექსპედიციის მიერ 1963 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები: XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე—არქ. კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ. 1964 წ.

დამორებით ცხოვრობენ ზღვისაგან, ზოგი ამათსავით ველურია და ზოგი კიდევ უფრო მეტადო.

რადგან ეს ცნობა დათარიღებული არ არის (და მეორე ცნობის მიხედვით კი ყოველივე ეს უფრო ადრე ხდებოდა, ვიდრე მილეტელები ფასისში მოვიდოდნენ), ამიტომ საფარაუდებელია, რომ ეს ეხება დაახლ. ჰომეროსის დროს, როდესაც სტრაბონის ცნობით, „არ შეიძლებოდა ამ ზღვაზე (ე. ი. შავ ზღვაზე) ცურვა და იწოდებოდა არასტუმართმოყვარედ (ἄξενος) მისი მღელვარებისა და ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის გამო; ეს ეხება განსაკუთრებით სკვითურ ტომებს, რომლებიც უცხოელებს სწირავენ მსხვერპლად, ჭამენ მათ ხორცს და თავის-ქალებს სასმისებად იყენებენ. ხოლო შემდეგში მას სტუმართმოყვარე (ἐξένος) ეწოდა, მას შემდეგ, რაც იონიელებმა სანაპიროზე ქალაქები ააგეს (VII, 3,6).

მთელი ეს მასალა მოტანილია იმისათვის, რომ ავხსნა—საიდან მოდის ის გადაჭარბება, რაც არისტოტელეს აქვს ამ ორი ტომის მიმართ. ბერძნულ მწერლობაში, მრავალი საუკუნის მანძილზე ისინი დაბალი განვითარების ტომებად არიან მიჩნეული, ხოლო რაც შეეხება მათ კაციჭამიობას, ეს ცნობა უნდა მომდინარეობდეს სკვითების (ეს ფართო ცნება ბევრ ტომს აერთიანებდა, რომელთაც განვითარების თანაბარი დონე არ ჰქონიათ) იმ რეპუტაციიდან, რაც მათ ბერძნებში ჰქონდათ. შესაძლოა ცნობა სკვითების კაციჭამიობის შესახებ ავტორმა განავრცო აქეებსა და ჰენიოხებზედაც, რომლებიც აგრეთვე სკვითურ ტომად მიიჩნია.


თუ ერთ ფრაგმენტში ფასისის მცხოვრებლები ველური კაციჭამიები არიან, მეორე ფრაგმენტში (83) ფასისიდან მოსული ხალხი ათენშია და მათ საზოგადოებაში ატარებს დროს ათენელი სახალხო ორატორი.

83 „სხვები ამბობენ ფილოქსენოსზე“<sup>22</sup>, რომ ის თევზის მოყვარულია, ხოლო არისტოტელე ამბობს, რომ ის უბრალოდ წვეულების მოყვარული იყო. ის სადღაც წერს კიდევაც შემდეგს: სახალხო ორატორები მთელ დღეს ხალხში ატარებენ, სასწაულთმოქმედთა სანახაობებზე და ფასისიდან ან ბორისთენედან ზღვით მოსულლებთან, მათ არაფერი აინტერესებთ საერთოდ, გარდა ფილოქსენოსის წვეულებისა“<sup>23</sup>.

იმას ვერ ვიტყვით, რომ სახალხო ორატორების საქმიანობა დიდად იყო მოწონებული, მაგრამ ერთი კია, რომ ამ ცნობის მიხედვით ათენში ამ დროისათვის ფასისიდან მოსული ხალხი იშვიათობა არ ყოფილა და მათთან დროსტარებას სახალხო ორატორები არ გაუბრუნდნენ. ამ ჩამოსულთა მიზნებზე არაა ლაპარაკი ამ ფრაგმენტში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი, ზღვით მოსულნი ამოდენა მანძილზე, ტყუილად არ იქნებოდნენ წამოსულნი, უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, უთუოდ სავაჭრო საქმიანობა და ურთიერთობა ექნებოდათ ათენელებთან; იმ მოედანზე, სადაც სასწაულთმოქმედთა სანახაობები იმართებოდა, ესენიც ტრიალებდნენ და თავის საქმეს აკეთებდნენ.


ზემოხსენებულ ნაწარმოებებში „საოცარ ამბავთა შესახებ“ კარგა დიდი ნა-

Handwritten notes: 22200 and K13-564



<sup>22</sup> ფილოქსენოსი იყო ათენელი ფილოსოფოსი, ანაქსაგორას მოწაფე, წერს მის შესახებ, ВДИ. პლატონი იხსენიებს მას როგორც ავტორს ნაწარმოებისა 'Οπαρυσία (ჰომეროსზე იყო პაროდია, თემა—საქმელ-სასმელი. Christ, I<sup>6</sup>... გვ. 415—416).

<sup>23</sup> ეს ფრაგმენტი არის რუსულად თარგმნილი. თარგმანი შეიცავს უზუსტობებს და ბოლო საერთოდ გაუგებარია: „...он где то пишет так: „народные ораторы проводят целый день на представлениях фокусников и в болтовне с приезжающими из Фасида или Борисфена, не читая ничего (?) кроме обеда Филоксена, да и то не целого (?)“.



წყვეტება ბევრ სხვა ბერძენ მწერალთან ხსენებული ხალიბური რკინისა და მონინიკური სპილენძის თვისებებისა, ღირსებისა და დამუშავების წესების შესახებ. ჩემგან ამ რიგის ცნობებს დიდი კომენტარები არ სჭირდება, ერთს კი აღვნიშნავ, რომ ასე კარგად ჩამოყალიბებული ეს ცნობები სხვა ავტორებთან არ არის.

833b „ამბობენ, რომ განსაკუთრებულია ხალიბური და ამისური რკინის წარმოშობა. რადგან, როგორც ამბობენ, ის დაკავშირებულია იმ ქვემასთან, რომელიც მდინარეებს ჩამოაქვს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ (ქვიშას), უბრალოდ გარეცხილს ახურებენ, ხოლო (სხვების აზრით) ის, რაც რჩება გარეცხვისა და გახურების შემდეგ, კიდევ მრავალგზის ირეცხება, ხოლო შემდეგ მასში სდებენ ეგრეთწოდებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც ამ ქვეყანაში ბევრია.“

ეს რკინა ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე. მაგრამ იგი ერთ ღუმელში რომ არ დნებოდეს, როგორც ჩანს, არაფრით განსხვავდებოდა ვერცხლისაგან. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს (რკინა), რომ არ იყენება, მაგრამ ის ბლომად არ მოიპოვება“.

835a „ამბობენ, რომ მონინიკური სპილენძი ყველაზე მეტად მბრწყინავი და თეთრია, იმიტომ კი არა, რომ თუთია ურევია, არამედ იმიტომ, რომ მიწის რაღაცა (ნაწილი) არის მასში შერეული და გახსნილი. ამბობენ, რომ მან, ვინც აღმოაჩინა ეს ნარევი, (სხვას) არავის ასწავლა, ამიტომაც, რომ ამ ადგილებში უწინ გაკეთებული სპილენძის ჭურჭელი (თავისი ღირებულებით) გამოირჩეულია, ხოლო ახალი გაკეთებული აღარ (გამოირჩევა)“.

ძველ ბერძნულ მწერლობაში გაცილებით უფრო ადრე ჩნდება ცნობები კოლხების შესახებ, ვიდრე იბერებზე. ამისი მიზეზი უთუოდ ისაა, რომ ბერძნებმა უფრო ადრე გაიცნეს შავი ზღვის პირას მოსახლე კოლხები, ვიდრე ქვეყნის შიგნით მცხოვრები იბერები. ამდენად, იბერების ხსენებას არისტოტელესთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ეს იქნებოდა უძველესი ცნობა, რაც კი მოიპოვება ბერძნულ მწერლობაში იბერების შესახებ. არისტოტელე „იბერებს“ ჩვეულებრივ უწოდებს ესპანეთის მკვიდრთ და მათ საკმაოდ ხშირად იმოწმებს. მაგრამ „პოლიტიკაში“ ერთგან გვაქვს ისეთი მოხსენიება „იბერებისა“, რომ სრულიად შესაძლებელია ეს ცნობა საქართველოს იბერებს ეხებოდეს. Pape თავის ლექსიკონში არისტოტელეს მიერ ამჯერად ხსენებულ იბერებსაც ესპანეთის იბერებად მიიჩნევს.

1324b „ზოგიერთ (ტომებში) კანონები კიდევაც აქვებენ ხალხს ამ სიქველის (იგულისხმება ვაჟაკობა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლა—თ. ყ.) მიმართ, როგორც მაგ., კარქედონში, სადაც ამბობენ, რომ კაცი იმდენი რგოლისაგან შემდგარ სამკაულს იღებს, რამდენ ლაშქრობაშიც მიუღია მონაწილეობა. ოდესღაც მაკედონიაში იყო კანონი, რომ კაცს, თუ მას არასოდეს მოეკლა მტერი, ცხენის აღვირი უნდა შემოერთტყა წელზე (ქამრის ნაცვლად). სკვითებში ნება არ იყო რომელიღაცა დღესასწაულის დროს ჩამოტარებული სასმისის დაღვევისა იმის მიერ, ვისაც არცერთი მტერი არ ჰყავდა მოკლული. ხოლო იბერთა შორის, რომელიც მეომარი ტომია, (წესია), იმდენი ობელისკი<sup>24</sup> უნდა დაირჭოს კაცის საფლავის ირგვლივ, რამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული. ამრიგად, ამისთანა მრავალი რამ არის სხვადასხვა ტომთა შორის, ზოგი კანონის მიერ დაწესებული და ზოგი კიდევ ჩვეულებათა (საფუძველზე განმტკიცებული)“.

<sup>24</sup> „Obeliskos—небольшой вертел или рожен, обелиск, мелкая монета (obelisk—четырёхугольная колонна, съезживающаяся кверху и окончивающаяся пирамидальным острием“. რუსულ თარგმანში: „столько колышков“. ინგლისურ თარგმანში: „small spits“ და შენიშვნაში: „or perhaps pointed „stones“.

მხოლოდ ამ ნაწყვეტის მიხედვით არ ჩანს, რომელ იბერებზეა ლაპარაკი. აქ სხვადასხვა ხალხია ჩამოთვლილი—კართაგენელები, მაკედონელები, სკვითები, იბერები. სკვითების მერე იბერების მოხსენიება არ ნიშნავს მაინცადამაინც იმას, რომ მეზობლობის პრინციპია დაცული, რადგან მანამდე მაკედონელები იყვნენ და იქამდე კიდევ კართაგენელები. თუმცა ესპანეთის იბერების მოხსენიება უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ კონტექსტში სულ თავში, რადგან ასეთი ჩამოთვლების შემთხვევაში არისტოტელეს საერთოდ ერთგვარი გეოგრაფიული თანმიმდევრობა ახასიათებს. მაგალითად, აქვე ცოტა ზემოთ წერია ასეთი რამ: „იმ ტომებში, რომლებიც საკმაოდ ძლიერნი და ხარბნი არიან, ამგვარი (სამხედრო) ძლიერება დიდ პატივშია. (ეს ტომები არიან) სკვითები, სპარსელები, თრაკიელები და კელტები“ (ხომ არ არის გვერდიგვერდ—„სკვითები და კელტები“). მართალია, იბერები აქ მოხსენიებულნი არიან როგორც მეომარი ტომი (რაც მერეც ხდება ხოლმე საქართველოს შემთხვევაში), მაგრამ არც ესპანეთის იბერებზე წერია არსად, რომ ისინი მეომრები არ არიან.

ერთადერთი, რაც გვაძლევს საშუალებას ეს ცნობა ქართველებს განვუკუთვნოთ, არის ის ქართული ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც მას უჭერენ მხარს.

კავკასიის მთიელების შესახებ ერთი ასეთი ცნობა არსებობს: „თურმე მათ (ქისტებს—თ. ყ.) წესად ჰქონდათ; რამდენსაც ვინ მაგანძურს მოკლავდა, იმდენ წითელ ჯელისაჯოცს ამოიტანებდა ქამარში, წელში... ქორწილში ქისტებმა თურმე ფერჯისა დაბეს და ერთ ქისტს თორმეტი ჯელისაჯოცი ეტანა წელში, თორმეტი მეგანძური მოეკლა“<sup>25</sup>, ე. ი. რამდენ მტერსაც მოკლავდა ქისტი, იმდენი წითელი ხელსახოცი უნდა გაეკეთებინა ქამარში. არსებობს ასეთი ცნობაც: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ მთიულეთში არის ასეთი ჩვეულება: მოკლულის დამარხვისას მისი მახლობლები მის საფლავთან ფიცს სდებენ, რომ მას ისისხლებენ, ხოლო ფიცის დადება გულისხმობს ჭდეების დადებას კვერთხზე, ე. ი. იმდენი ჭდე იქნება კვერთხზე, რამდენმა კაცმაც დასდო ფიცი, რომ მოკლულს ისისხლებდა<sup>26</sup>...

არცერთ ამ ცნობაში არ არის განმეორებული ის, რასაც არისტოტელე წერს, მაგრამ მტრის მოკლა რომ კავკასიონის აღმოსავლეთ მთიანეთში რაღაცა ერთეულებით აღინიშნებოდა (ერთ შემთხვევაში წითელი ხელსახოცებით, რომელიც მკვლელს უნდა ეტარებინა და მეორე შემთხვევაში ჭდეებით, რომელსაც მოკლულის მახლობლები აკეთებდნენ), ეს ცხადია.

ყოველივე ამის მიუხედავად, არისტოტელეს მიერ მოხსენიებულ იბერებს მხოლოდ პირობით შევიტან ჩვენს მასალაში, რადგან, სამწუხაროდ, არ ვიცნობ ეთნოგრაფიულ მასალას ესპანეთის იბერების შესახებ, რაც საშუალებას მომცემდა გარკვევით მეთქვა, რომ მათ შორის არ არსებობს ამის მსგავსი წეს-ჩვეულება მტრის მოკვლასთან დაკავშირებით.

ამ რიგის წერილობითი ცნობები სხვაც მოგვეპოვება (მაგრამ, სამწუხაროდ, საკუთრივ იბერების შესახებ არა).

<sup>25</sup> აღ. ო ჩ ი ა უ რ ი; ხეცსურების ჯვრებთან დაკავშირებული ამბები, რვ. 1. 1949 წ. გვ. 1 (მასალები დაცულია საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მასალა მომავლია თ. ოჩიაურმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ).

<sup>26</sup> ეს ცნობა მომავლია პროფ. გ. ჩიტაიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

ძვ. წ. I ს-ის ავტორი, ნიკოლოზ დამასკელი წერს: „სინდები საფლავზე იმდენ თევზს ადებენ, რამდენი მტერიც ჰყავს მოკლული გარდაცვალებულს“ (უცნატურ ჩვეულებათა კრებული, § 120).

სინდები სკვითური მოდგმის ტომია, უფრო ზუსტად—მეოტი ტომია, ისინი ცხოვრობდნენ დღევანდელი ანაპის მიდამოში, ე. ი. საქართველოს იბერებთან უფრო ახლოს, ვიდრე ესპანეთის იბერებთან. ეესტათის კომენტარის მიხედვით სინდები იგივე Ζιჯი (ჯიჯები) არიან.

ცხადია, არისტოტელეს ცნობა იბერთა შესახებ იგივე არ არის, მაგრამ მოტივები უეჭველად საერთოა. თანაც ნიკოლოზ დამასკელის ერთ-ერთ წყაროდ არისტოტელეა მიჩნეული.

„პეპლოსი“ არ ეკუთვნოდა არისტოტელეს და ისე მიეწერა მის სახელს. ჯერ კიდევ იოანე ცეცე იყო ამ აზრის. ის ეპიგრაფები, რომლებიც ამ მითოლოგიური ხასიათის ნაწარმოებში იყო ჩართული, ზოგი სპეციალისტის აზრით, დაახლ. ძვ. წ. 250—150 წწ-ში უნდა იყოს შეთხზული<sup>27</sup>.

მიუხედავად ამისა, არისტოტელეს ფრაგმენტებში ყოველთვის არის ხოლმე შეტანილი ამ „პეპლოსიდან“ მოღწეული ნაწყვეტები<sup>28</sup>.

მე მინდა მათგან შევჩერდე ერთ ეპიტაფიაზე:

43. „აეეტეს მიმართ, რომელიც განისვენებს კოლხიდაში.

აეეტე, ოქრომრავალი კოლხების მეუფე

აქ გააპატიოსნა ღმერთების ყველაფრის დამთრგუნველმა ბედისწერამ“.

პირველ რიგში ერთი ენობრივი ხასიათის შენიშვნა მინდა გავაკეთო ამ ნაწყვეტის მიმართ—ბერძნული *παυδαμαρα μαιρα* (ყველაფრის დამთრგუნველი ბედისწერა) მთლად გამართული გამოთქმა არ არის, უთუოდ ის ლექსის გამოა დაშვებული. ჯერ ერთი, *παυδαμαρα* არის მამრობითი სქესის ფორმა (იმავე მნიშვნელობისა მდებარ. სქესისათვის *παυδαμαρα*) და შემდეგ—ეს არის არსებითი სახელი, რაც გამოყენებულია *μαιρα*-სთან (მდებრობითი სქესის სუბსტანტივთან) მსაზღვრელად ისე, როგორც გამოიყენებდნენ ზედსართავს. როგორც ჩანს, ასეთი გადახვევა გამოიწვია ლექსის (დაქტილური პენტამეტრის) საჭიროებამ არაპირველხარისხოვან პოეტთან. მთავარი, რის გამოც მივაქციე ამ ფრაგმენტს ყურადღება ისაა, რომ მისი ავტორისათვის კოლხები ოქრომრავალი, ოქროთი მდიდარი ტომია და რომ ეს ეპითეტი (*παιλαχρυσαι*) ბერძნულ მწერლობაში განეკუთვნებოდა ხოლმე მიკენს (სოფოკლე, ელექტრა, 9), სარდეს (ესქილე, სპარს. 45), ბაბილონს (იქვე, 53); პირთაგან—გიგესს (არქილოქე, 2), პრიამეს (კოლუთუს, 283).

მართალია, ეს მასალა უფრო გვიანდელია, ვიდრე არისტოტელეა. შესაძლოა მისი ავტორი კარგად იცნობდა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“ და ცნობა იქიდან ჰქონდა აღებული, მაგრამ ის, რომ მან სწორედ ისე მოიხსენია კოლხები, როგორც იმდროინდელ მსოფლიოში სიმდიდრით განთქმული ქალაქები (მიკენი, სარდე, ბაბილონი) და პირები (გიგესი, პრიამე), იმის მაუწყებელია, რომ მის წარმოდგენაში კოლხები მდიდარი (და ძლიერი) ხალხი ყოფილა აეეტეს დროს.

„პეპლოსის“ ნაწყვეტების გადაკითხვისას ადვილი შეამჩნევია ის, რომ მასში ეპიტაფიების ორი ჯგუფია: ერთი ჯგუფი არის აქაველთა ბანაკის გმირების შესახები ეპიტაფიები და მეორე—ტროელი გმირებისა (ბოლოში არის რამდენიმე ეპი-

<sup>27</sup> RE... გვ. 1054.

<sup>28</sup> ვსარგებლობდი გამოცემით: Aristotelis Fragmenta, edidit V. Rose, Lipsiae, 1886. Anthologia lyrica, Ididit E. Diehl, VI,.. Lipsiae, 1924.

ტავია და აქ ერთად არიან ოადიპოსი, აქილევის, პატროკლე. როგორც ჩანს, ეს ერთგვარად შემდგომი დამატებაა კიდევ). თუ ეს გამომცემლობისა და რედაქტორის ნაღვაწი არ არის და ხელნაწერს, დედანს ძირითადად ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც ის გამოცემულია, მაშინ უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოება: ადრე, ისევე როგორც აქილევის, აქაველთა ჯგუფშია.

მე არ ვლაპარაკობ იმ ვითარებაზე, რომელიც ჰომეროსის „ილიადასა“ და საკუთრივ მის „ხომალთა კატალოგში“ არის. შემდეგ ხანებშიც, თუნდაც მაგალითად, პეროდოტესთან ისეთი ცნობებია, რომ უდავოა, ერთმანეთს უპირისპირდებიან ელინები (seu აქაველები) და ტროელები, და კოლხები ამ სიტუაციაში ტროელების მოკავშირეები არიან<sup>29</sup>.

როგორც ჩანს, „პეპლოსის“ შემდგენელი ასეთ საკითხებში არ იყო ჯეროვნად გარკვეული.

მე მინდა შევჩერდე კიდევ ერთ ცნობაზე, რომელიც არის არისტოტელეს ერთ-ერთ ნამდვილი თხზულების<sup>30</sup> Περὶ ἀρχαῶν (ცის შესახებ) სქოლიოში. მართალია, არც სქოლიოები ეკუთვნის არისტოტელეს<sup>31</sup> და არც ცნობა ეხება საკუთრივ საქართველოს, მაგრამ ჩვეულებრივ სქოლიოები მასთან ერთად განიხილება, რასაც ისინი განმარტავენ, ხოლო ცნობა კიდევ საკმაოდ საინტერესოა.

სქოლიო განეკუთვნება აღნიშნული ნაშრომის II წიგნს. იქ წერია: „ამბობენ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არქტიკული რკალისა, რომელიც ჩრდილოეთ პოლუსის მახლობლადაა და ტრობიკული (რკალის) შუაში; სკვითები—რუსები (τὸν μὲν Σκῆψαζ τὸν Πῶν) და სხვა ჰიპერბორეელი ტომები ცხოვრობენ ჩრდილოეთის რკალის მახლობლად, ხოლო ეთიოპები, არაბები და სხვები—საფხულის ტრობიკული (რკალის) მახლობლად... ელინები კი ცხოვრობენ ჰიპერბორეელი ტომებისა და აღმოსავლეთის მახლობელი (ტომების) შორის. ამიტომაც, რომ ისინი სხვებზე უფრო გონივრები არიან, და ბრძოლებში სხვებზე უფრო ძლიერნი და მამაცინი, რადგანაც უფრო ზომიერ ადვილას ცხოვრობენ“.

ის ვარაუდება, რომ ბერძენს თავისი თავი ყველაზე უკეთესი ეგონა (და არისტოტელეც ხომ ბერძენია), არ საჭიროებს დიდ კომენტარებს. ამდროინდელი ბუნებისმეტყველების მონაპოვარია ისიც, რომ ზომიერი ჰავის უპირატესობა აღიარებული იყო მაშინდელ შრომებში (და საერთოდ ბევრი იწერებოდა იმაზე, თუ კლიმატი რა გავლენას ახდენს ადამიანთა ფიზიკურ და სულიერ მონაცემებზე. შდრ. მაგ., ჰიპოკრატეს ტრაქტატი „ჰაერთა, წყალთა და ადვილთა შესახებ“).

მინდა შევაჩერო ყურადღება გამოთქმაზე—„სკვითები-რუსები და სხვა ჰიპერბორეელი ხალხები ცხოვრობენ ჩრდილოეთის რკალის მახლობლად“.

„სკვითები-რუსები“ მე მესმის ისე, რომ სქოლიასტის აზრით, ვისაც უწინ ერქვა სკვითი, ახლა რუსი ჰქვია. ეს იგივე ვითარებაა, რაც გვქონდა გაცილებით ამაზე ადრე, ძვ. წ. V ს-ში პეროდოტესთან, რომელთანაც დასტურდება ასეთი ფორმები: ააა—კოლხიდა (ააა ძველი სახელია ქვეყნისა, კოლხიდა უფრო ახალი),

<sup>29</sup> თ. ყაუხჩიშვილი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960 გვ. 29—30.

<sup>30</sup> W. Christ... გვ. 733. RE... გვ. 1045. გერკეს ამ ნაწარმოების სახელწოდება ციციონის დროს დარქმეული მიაჩნია.

<sup>31</sup> სქოლიოები ამ ნაწარმოების მიმართ ეკუთვნის სიმპლიციუსს, რომელიც VI—ს-ში მოღვაწეობდა: RE გვ...1045.

პითო-დელფო (პითო ძველი სახელია ფოკიდის ერთი ადგილისა და ქალაქისა. დელფო—შედარებით ახალი—იმავე ადგილისათვის), პელაზგები—ეგიალები (ესენიც პარალელური სახელებია; იონიელებს ჯერ ეწოდებოდათ პელაზგები და შემდეგ ეგიალები, ე. ი. უფრო ადრე ერქვათ მათ პელაზგები, ეს უფრო ძველი სახელია და შემდეგ ეგიალები, ეს შემდეგ დარქმეული სახელია)<sup>32</sup>.

ამგვარად ერთ რიგში გვაქვს—აჰა, პითო, პელაზგები, სკვიტები და მეორე რიგში, მათ შესაბამისად უფრო ახალი სახელები: კოლხიდა, დელფო, ეგიალები, რუსები.

ВДИ, XX, გვ. 332 ამ ადგილის მიმართ ასეთ კომენტარს აკეთებს: „Наименование „русь“ или „рос“ употребляется византийскими писателями, наряду с наименованием „скифы“, применительно к славянским племенам; при этом подчеркивается, что термин „рос“ является местным и самобытным<sup>33</sup>. Его происхождение и этимология не могут еще, однако, считаться окончательно выясненными“... რუსულ თარგმანში ამ ადგილას გვაქვს სკიფი—რუსი.

ბერძნულ მწერლობაში Ρῥς, ὀნი გვხვდება ცეცესთან, ლეონთან, ეესტათის კომენტარებში დიონისიოს პერიეგეტის მიმართ, მაგრამ ასეთ კონტექსტში იქ არაა (სკვიტი-რუსი!). ცეცე ამბობს, რომ ტავრებს (ე. ი. ტავრიდის მკვიდრთ) ეწოდებათ რუსებიო. დაახლოებით ამასვე ამბობს ლეონი—ტავრო-სკვიტებს ჩვეულებრივ რუსები ეწოდებათო. ხოლო ეესტათი კი ასახელებს ცალ-ცალკე—ტავრებსა და რუსებს. ტავრები ძველ ბერძნულ წყაროებში სკვიტურ ტომად არიან მიჩნეული, მაგრამ „სკვიტის“ საბადლო ტერმინი „ტავრი“ არასოდეს ყოფილა. „რუსი“ კი, ჩანს, გახდა მისი მემკვიდრე და შემცვლელი. Περὶ Ἰσθμίου-ს სქოლიასტის „რუსის“ მომხსენიებული ცნობა ერთ-ერთი უძველესი ცნობაა ბერძნულ მწერლობაში. აქ ავტორი კლასიკური ბერძნულის ტრადიციების მიხედვით ერთად წარმოგვიდგენს ძველსა და ახალ სახელებს („სკვიტისა“ და „როსის“).

<sup>32</sup> იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ... გვ. 48—49.

<sup>33</sup> აქ უნდა იგულისხმებოდეს ის გარემოება, რომ ბიზანტიელი მწერლებისათვის (Ρῥς, ὀნი) იგივე სიტყვაა, რაც არის მდინარე აზიის სარმატიაში. ე. ი. მდინარესა და მასთან მცხოვრებ ხალხს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ. ჯერ არსებობდა დადი კრებითი სახელი „სკვიტი“ (რომელიც ბევრ სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ, განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ტომს გულისხმობდა) და შემდეგ, რაც გაძლიერდა ტომი „როსი“, მისმა სახელმა შესძლო „სკვიტის“ შეცვლა.

თავარ ხაზომი

ანდერძ-მინაწერთა შენდობის ფორმულა „გველია“

ანდრინდელი (X—XI სს.) ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში გვხვდება ზოგიერთი ისეთი გამოთქმა, რომლის ისტორია და მნიშვნელობა ჭერჭერობით გაურკვეველი რჩება. ასეთად მიგვაჩნია შენდობის მიზნით სიტყვა გველიას ხმარება.

„გველია“ ივ. ჯავახიშვილის სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში და თ. ფორდანიას აღწერილობაში შენიშნულია, როგორც უჩვეულო ფორმა და აღნიშნულია სათანადო ნიშნით<sup>1</sup>.

ჩვენი მიზანია თავი მოვუყაროთ ამ ხანის ქართულ ტექსტებში გაბნეულ სიტყვა „გველია“-ს გამოყენებას და შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ მისი წარმოშობა.

სიტყვა „გველია“ გვხვდება ჩვეულებრივ ერთსა და იმავე კონტექსტებში სხვადასხვა ფორმით.

X ს-ის ცნობილი მოღვაწის იოანე ზოსიმეს ანდერძებში ვკითხულობთ: „ფდ ხაშმა და თულთმორიდებთსა დამიხხრეკიან საუდაბნოდ მეცნიერისა კცი<sup>2</sup>სათუს რლი რაჲ დამეკლოს შემდეგთ, ღისათუს და ლ<sup>3</sup>ცსა წ<sup>4</sup>სა თქ<sup>5</sup>სა გველია ს<sup>6</sup>ლი ჩ<sup>7</sup>მი ფდ ცდ<sup>8</sup>ილი და თქ<sup>9</sup>ნცა ქ<sup>10</sup>ნ შგ<sup>11</sup>წენ, ან<sup>12</sup>“.

„მიხრ<sup>13</sup>კლი ამისი ი<sup>14</sup>ნე ლ<sup>15</sup>ცსა წ<sup>16</sup>ა თ<sup>17</sup>ქსა გველია“<sup>3</sup>

„ი<sup>18</sup>ნე მ<sup>19</sup>ხ<sup>20</sup>კლი ლ<sup>21</sup>ცა წ<sup>22</sup>ა თ<sup>23</sup>ქსა გველია“<sup>4</sup>

X—საუკუნის მიწურულში გადაწერილ წმინდა „სიმეონის ცხორების“ ანდერძში გადამწერი დოსითე წერს: „დასრულდა ესეცა წ<sup>24</sup>ს სვიმეონის ცხოვრება ზელითა ფრიად ცოდვილისა დოსითესითა: გველია (sic) ლოცვასა სული ჩემი საწყალობელი და ყოველი რომელნი წერილ არიან აქა, ცთომისათუს შემნღვ“...<sup>5</sup>. იქვე, იმავე ხელნაწერის სხვა ანდერძშიც ვკითხულობთ: „აწ ვინცა მიემთხუნეთ წმიდათა ამთ კაცთა ცხორებას გველია (sic) სული ვარაზ-ვაჩესი და ცთომილად წერისათუს შემდეგით და ლოცვა ყავთ“<sup>6</sup>.

XI საუკუნის გადამწერის დავით ჯიბისძის 1035 წლის ანდერძშიც გვაქვს:

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 16; Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея Карталино-Кахетинского духовенства, I, 1903, გვ. 395.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, № 34, გვ. 58, 123a (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენა—თ. ხ.).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 58, 56b, 111b.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 58, 116a.

<sup>5</sup> თ. ფორდანია, დასახელებული ნაშრომი. გვ. 395, A 397.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 395.



„ამის წიგნისა ეტრატისა კატისა საფასითაჲთა [!] ვიყიდე ლ'ცვსა გველია ლ'ნ დავაჭროს. ვინ ესე წიგნი ამის ეკლესიასა გამოაგუეს წ'მცა ლ'თის მშ'ბელი არს მოს'ჯლი მის და არსმცა ც'დვთა ჩემთა მზ'ღველ წ'ე ლ'ისა: დაიწერა ქრო-ნიკენსა ს'ნე“.<sup>7</sup>

„დიდებამ ღმერთსა ყოვლადე და მარადის ბერსა კლიმის შ'ნდ ღმერთმან ცოდვილიცა სული ჩემი; გველია უფალო“.<sup>8</sup>

იერუსალიმის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში „გველია“ გვხვდება ორწერ-ტილით განკვეთილი: „მე, ცოდვილი დანიელ ლოცვასა წმიდასა თქ'ნსა გვე: ღია“.<sup>9</sup>

დაქარაგმებული ეგვიპე სიტყვა გვხვდება გველია სახით:

„მჩ'ხკლი ამისი ი'ნე ც'დლი ლ'ცსა წ'სა თ'ქსა გველია“.<sup>10</sup>

დასტურდება ეს გამოთქმა გველია სახეობითაც „დაეს'რლა წ'ე სხ'ბე, თავი წ'ისა ლ'კა მხრე'ბლისა მჩ'ხკლი ამისი ი'ნე ც'დლი ლოცვასა წ'სა თ'ქენ-სა გველია“.<sup>11</sup>

უჩვეულო არ არის ამ ზმნის სხვადასხვა პირისა და რიცხვის ფორმაში ხმარება.

ვადსტურებთ ამავე ანდერძ-მინაწერებში შემდეგ ფორმებსაც: გველივართ გველივარ (გვეღ'ვართ), გველიეთ, გვეღეთ (გვეღ'ეთ, გვეღეთ გვეღეთ, გვეღთ).

...და ვინ ესე ჩემი ანდერძი დაამტკიცოს ჯ'ი აქოს [!] და კორთხევაჲ [!] წონო (sic) მმ'ნო, ვინ იგმარებდეთ, ლოცვასა გველივართ (!) მოძღორი (!) ჩემი ჩიხთარელი და მე გ'ი მორკნეველი“.<sup>12</sup>

1050 წლის მარტილის ოთხთავის ანდერძში ვკითხულობთ: „არ'სნი ეშმ ძე ლოც'ვასა წ'დსა თქ'ნსა გველივარ წ'დნო ლ'თისანო ლ'თისათჳს“.<sup>13</sup> იქვე ქარაგმით: ი'ვ ქ'ე შ'ე სწ'ყლი და მწარედ ცოდვილი არ'სნი მწერალი ლ'თისათს ლ'ც'ვასა გველივარ“.<sup>14</sup>

„და მჩ'ხკლი ამისი ი'ნე ფ'დ ც'დლი ლ'ცსა წ'სა თ'ქ'ნსა გველიეთ და ყ'ლი დაკ'ლბა შე'მღთ“.<sup>15</sup>

„აჲ გვეღრები თ'ქ'ნ ყ'ლთა ქ'ეს მოყ'რეთა მამათა და ძმათა რ'ნი იმ-სახ'რბდეთ ამას წ'სა წიგნასა გველიეთ წ'სა ლოც'ვასა თ'ქ'ნსა ს'ლ'ნი ჩ'ნ'ნი ცოდვილნი და ს'ლ'ნი მშ'ბლთა და ძმთა და ყ'ლთა ნათესავთა ჩ'ნთანი“.<sup>16</sup>

„დაეს'რლა წ'ე აღს'ბამ მჩ'ხრკლი ამისი, იო'ვნე, ფ'დ ც'დლი ზ'სმე, და მშ'ბლნი და ძმანი ჩემნი და ყ'ლ'ნივე ჩემეულნი, ცოცხ'ალნი და გრ'დცვლ'ლნი,

<sup>7</sup> საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A 135, 156b; თ. ყორღანის აღწერილობაში ეს ადგილი გამოტოვებულია. შტრ. № 135, გვ. 144.

<sup>8</sup> აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნა-წერთა აღწერილობა (A კოლექცია) ტ. IV, № 1105, გვ. 86.

<sup>9</sup> სსრ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება, ხელნაწერი: E 16, 176.

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 58, № 134, 108a, 113a.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 36, № 15, 224b.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 16, № 5, 1b; აღწერილობაში „გვეღვართ“, ხელნაწერში „გვეღივართ“.

<sup>13</sup> ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 391, 180b.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 152a, 170a.

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 52, № 30, 2.

<sup>16</sup> H. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940, გვ. 58, № 47.

სლერნი და ჯცლნი ლცსა წსა თქნსა გვედით, და ყლი დაკლბა ჩმი შემდვეთ ლთისათს და თქნცა ქნ შეგვენ და შეგწყლნ ყნი ან<sup>17</sup>.

...„მჩხკლი ამისი იწე ფდ ცდლი და მშბლნი და ძმნი ჩმნი და ყნი ცოცხლნი და გრდაცბლნი ჩმნი, სლერნი და ჯრცელნი, ლცსა წსა თქნსა გვედით და ყლი დაკლბა და უგნბა ჩმი შმდთ და თქნცა ქნ შგწყნ ან<sup>18</sup>.

...„ლცყო ჩნთს წნო მაშნო ლცყო და გვედით წსა ლცსა თქნსა ჩნ ცოცხლნი...<sup>19</sup>“.

...„მჩხკლი ამისი იწე ფდ ცდვლი და ყნივე ჩემუღნი ლცვასა წსა თქნსა გვედით და ყნივე დაკლბა შმდთ ლნთს და ლცყო, ან<sup>20</sup>“.

„დაესრლა ქშს შბა, მჩკლი ლცსა გვედით“<sup>21</sup>

„დაესრლა გრცხდებ, მჩკლი ლცსა გვედით ან<sup>22</sup>.

„დაესრლა დიდი ორშბთი მჩხკლი ლცსა გვედით“<sup>23</sup>.

სიტყვა გვედია-ს საინტერესო ფორმა გვევდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც, როდესაც მერეს მონასტერში შეხვედრისას დედამისი მიმართავს გრიგოლს „და თანამოსრულნი იგი სახლეულნი თჳსნი შეჰვედრნა და ჰრქუა: „ჩემდა მსგავსად ესენი გვედიან შვილო, რომელთა გულს-მოდვინედ მსახურება ჩემი თავს იღვეს“<sup>24</sup>.

შენდობის ფორმულა გვედია (გვედით და სხვა.) უნდა შეიცავდეს ვედრ = ფუძეს ვედრება ზმნისა, ოღონდ დაქარაგმების წესის მიხედვით მასში გამოტოვებული უნდა იყოს რ თანხმოვანი.

როგორც ანდერძ-მინაწერების გავრცელებული გამოთქმა, ბუნებრივია, იგი დაქარაგმებით ყოფილიყო შემოკლებული, ხოლო დაქარაგმებისას მიღებული შემოკლებული სახეობა (გვედია, გვედით) გამოყენებულ იქნა უქარაგმოდაც. საგულისხმოა, რომ აშკარად შემოკლებული სახეობა მაგ. გვედი გვევდება უქარაგმოდ (დაესრლა დიდი ორშბთი, მჩხკლი ლცა გვედი)<sup>25</sup>. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ვარემოებაც, რომ გვედია, გვედით და სხვა ფორმები ქარაგმიითაც გვევდება. საყურადღებოა, რომ ერთსა და იმავე ფრაზაში ავტორს ჩვეულებრივ სიტყვა-ხმარებაში „გვედრები“ აქვს, ხოლო შენდობისას, საფიქრებელია, ამ ფუძეს შემოკლებულად ხმარობს:

<sup>17</sup> ივ. ჯაეახი შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101, № 37, 172b; ხელნაწერში „გვედით“ ქარაგმიით.

<sup>18</sup> იქვე, გვ. გვ. 104, № 38; 98b.

<sup>19</sup> ნ. მარი, დასახ. ნაშრომი გვ. 76 № 52, 51a.

<sup>20</sup> ივ. ჯაეახი შვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 36, № 15, 84a, იხ. იქვე ანალოგიური ანდერძი, 138b.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 86 № 37, 43a.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 88, 61b.

<sup>23</sup> იქვე, 90, 83b და იქვე 105a; ანალოგიური ფორმით „გვედ“.

<sup>24</sup> Георгий Мерчул, грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию, С. П., 1911, გვ. ლწ, თავი ლთ. ნ. მარიამ ადგოლს ასე თარგმნის: ...Она сперва благословила бога, затем—сына и поручила ему пришедших с нею домашних со словами: „сын, подобно мне да будут предметом твоих забот эти, принявшие на себя ревностное служение мне!“ თავი XXXIX, გვ. 111.

ამ ტექსტზე მიითვებისათვის მაღლობას მოვახსენებთ პროფ. ვ. დონდუას.

<sup>25</sup> ივ. ჯაეახი შვილი, დასახ. აღწერილობა, გვ. 91 № 37, 121b.

„აწ გვედრებით თქნ ყლთა ღრთის მოყუარეთა მამათა და ძმათა ჩნთა **გვედიეთ** წლასა ლცვასა თქუენსა მე ფდ ცოდვილი იოანე მჩქლ და მჩქლ<sup>26</sup>“ და კიდევ.

„აწ გვედრები თქნ ყლთა ქეს მოყრეთა მამათა და ძმთა ჩნთა რნი იმსახრბდეთ ამას წსა წიგნასა **გვედიეთ** წსა ლოცვასა თქნსა სლნი ჩნნი ცოდვილნი<sup>27</sup>“.

რ თანხმოდანი რომ მართლაც დაქარაგმების გამო უნდა იყოს გამოტოვებული და ამ სიტყვაში „ვედრ„ უნდა იქნეს აღდგენილი, ამას ადასტურებს ზოგჯერ შემორჩენილი უქარაგმო ფორმები: **გვედრით**, **გვედრია**; მაგალითად, მარტვილის ოთხთავის ანდერძში ასეთი აღგილიც მოგვეპოვება: „დაიწერა წმდაჲ ესე სახარებაჲ ჳელითა, აღიდენ ღმერთმან, იოვანე მესუეტისაჲთა, ლუცვასა წმიდასა თქუენსა გვერდით. ქრონიკონი იყო სო...“<sup>28</sup>.

XI საუკუნის სინურ ხელნაწერში, რომელიც გამცხოველებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, წერია: „ნკზ ფდ ცდვლი ლცვსა **გვედრია**“<sup>29</sup>.

ათონის ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში ი. ფანცულაიას მიუწერია: „**გვედია**“-სათვის გვედრებით“<sup>30</sup>.

ფეიჭრობთ, რომ **გვედია** ნაწარმოები უნდა იყოს ვედრება ზმნისაგან (ფუძე ვედრ) და უნდა მომდინარეობდეს გვედია-გვედრია, გვედივართ-გვედრივართ, გვედიან-გვედრიან ფორმებისაგან.

ხოლო თვით წარმოებები: გვედია (<გვედრია), გვედიეთ (<გვედრიეთ), გვედივართ (<გვედრივართ), გვედიან (<გვედრიან), გვედეთ (<გვედრეთ) და გვდი (<გვედრი), ძველი ქართულის თვალსაზრისით საყურადღებო ზმნური ფორმებია და მოითხოვს საგანგებო გარკვევას.

<sup>26</sup> ნ. მარო, ОГРСМ, გვ. 25, № 32—33, 214b.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 58 № 47, 90a.

<sup>28</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), 1, № 391, გვ. 490, 186b.

<sup>29</sup> სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტი, ლენინგრადის განყოფილება, ხელნაწერი 13, 95b. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების ტექსტშიც „გვედია“-ს, გვედრია, გვედრა ვარიანტებით ხმარება ამასვე ადასტურებს: „...ხოლო პირველი ევე წინამძღუარა კეთილად გვედია და ვსრეთ მოგვლოცა მონასტერი“. იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II. (XI—XVI სს) თბ. 1967, გვ. 181.

<sup>30</sup> იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A 1140, ი. ფანცულაიას კატალოგი, გვ. 8 b, მეორე აბზაცი.

ლიანა ღაზლიანიძე

მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“

XII—XIII სს-ის ცნობილი სომეხი მწერლის მხითარ გოშის ნაწარმოებთა შორის „ალბანეთის ქრონიკა“ ნაკლებად ცნობილია. არსებობდა ცნობა იმია შესახებ, რომ მხითარ გოში მოსე დასხურანელის „ალბანეთის ისტორიის“ გაგრძელების დაწერას აპირებდა, მაგრამ მის მიერ დაწყებული შრომა დაუმთავრებელი დარჩენილა<sup>1</sup>. ის ნაწილი, რაც გააკეთა მხითარ გოშმა სომხურ ენაზე დაიბეჭდა 1901 წელს ქ. ვენეციაში ალიშანისა და ლევონდიანის კრებულში<sup>2</sup>. რამდენადაც ეს წიგნი დიდი ხანია რაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ამდენად მასში მოთავსებული მხითარ გოშის ნაწარმოებებიც ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა. 1958 წელს ამ შრომის ინგლისური თარგმანი გამოაქვეყნა ჩ. დოვსეთმა<sup>3</sup>. მას ხელთ ჰქონია ქ. ვენეციის მხითარისტა მონასტერში არსებული ორი ხელნაწერი, რომელთა შეჯერებას დაურწმუნებია, რომ ეს უნდა ყოფილიყო მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკის“ ტექსტები. ამ უკანასკნელი გამოცემიდან ეს ნაწარმოები რუსულ ენაზე თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზ. ბუნიათოვმა<sup>4</sup>.

წინამდებარე სრული სომხური ტექსტი მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკისა“ აღებული გვაქვს ალიშანისა და ლევონდიანის ზემოთ დასახელებული კრებულიდან. ტექსტს თან ერთვის ქართული თარგმანი, ხოლო შესავალ წერილში ყურადღებას ვამახვილებთ ქრონიკის იმ ცნობებზე, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხება.

მხითარ გოში, როგორც აღინიშნა, XII—XIII სს-ის მოღვაწეა. მისი ბიოგრაფიისათვის ვრცელი ცნობები მოიპოვება კირაკოს განძაკელის „სომხეთის ისტორიაში“<sup>5</sup>. ამ ცნობების საფუძველზე ჩანს, რომ მხითარი დაბადებულია ქ. განძაში 1130-იან წლებში, იქვე უკუთხოვებით მღვდლად. მისი მასწავლებელი ყოფილა იმ დროისათვის გამოჩენილი სწავლული იოანე ტაუშელი. მხი-

<sup>1</sup> „Базмавел“, Венеция, 1897, გვ. 577—578.

<sup>2</sup> Ի. Է. Գևորգիայ, Վ. Մ. Ալիշան, Պատմիչը և պատմութիւնը Հայոց, Կենտրոն, 1901, II, გვ. 351—362, 384—391.

<sup>3</sup> C. J. F. Dowsett, The Albanian Chronicle of Mxitar Gos. BSOAS XXI/3, 1968, გვ. 472—490.

<sup>4</sup> Мхитар Гош. Албанская хроника предисловие, перевод и комментарии З. М. Буниятова, Баку, 1960, შემდეგში ეს გამოცემა მითითებული იქნება: З. Буниятов, დასახ. ნაშრ.

<sup>5</sup> Տիրախոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց, თბილისი, 1909, გვ. 195—209, შტრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, ტფილისი, 1928, გვ. 214—218.

თარ გოშს მასთან ყოფნის დროს მიუღია „მოძღვრის“ (ვარდაპეტის) წოდება, ხოლო შემდეგ გამგზავრებულა კილიკიაში სხვა გამოჩენილ მოძღვრებთან. განძამი დაბრუნების შემდეგ მისულა ხაჩენის მხარეში ალბანეთის კათალიკოზის სტეფანეს თხოვნით, ხოლო უფრო მოგვიანებით ის ჩანს კაენის მხარეში არსებულ გეტყის მონასტერში. მონასტრის წინამძღვარმა სარკავაგმა დაუთმო თავის მასწავლებელს წინამძღვრობა. აქ დაუყვია მხითარ გოშს მიწისძვრამდე, რომლის დროსაც მონასტერი მთლიანად განადგურებულა. ამის შემდეგ მხითარ გოში წასულა ტანწუტის ხეობაში, სადაც მისთვის ხელი შეუწყვიათ ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ახალი მონასტრის აგების საქმეში, რომლისთვისაც ნორგეტყი, ანუ ახალი გეტყი უწოდებია და საბოლოოდ იქ დამკვიდრებულა, იქვე გარდაცვლილა, სადაც დაუსაფლავებიათ კიდეც. მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა შორის უფრო ცნობილი იყვნენ ვარდან აღმოსავლელი და ვანაკან ვარდაპეტი, ხოლო ამ უკანასკნელის მოწაფე იყო კირაკოს განძაკელი, რომელმაც ვრცლად აღწერა ჩვენი ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობა.

როგორც აღვნიშნეთ, „ალბანეთის ქრონიკა“ არის გაგრძელება მოსე დასხურანელის „ალბანეთის ისტორიისა“, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ აგრძელებს მოსე კალანკატუელის ამავე სახელწოდების ნაშრომს. მხითარ გოშის თხზულება მოიცავს მოკლე პერიოდს, კერძოდ 1130 წლიდან 1162 წლამდე. ეს არის სელჩუკების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის ხანა ამიერკავკასიის ქვეყნებში. საქართველოში ეს პერიოდი ემთხვევა დავით აღმაშენებლის ძის დემეტრე I-ის (1125—1156) მეფობას.

დემეტრეს, როგორც ცნობილია, საკუთარი მემატიანე არ ჰყოლია, ამდენად ქართულმა წყაროებმა მის შესახებ იმდენად მცირე ცნობები შემოინახეს, რომ თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ხეირიანად არც კი ჩანს რაზე იყო დამყარებული ამ მეფის დიდი სახელი“-ო<sup>6</sup>. ქართულ საისტორიო მწერლობაში სამი მემატიანე იხსენიებს დემეტრე I-ს. ესენი არიან: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარისდროინდელი მემატიანე — „ისტორიანი და აზმანის“- ავტორი და ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე; მათ მცირე ცნობებს ნაწილობრივ ავსებენ უცხოელი ავტორები, მათ შორის ძველი სომეხი მწერლებიც. ივ. ჯავახიშვილმა თავის გამოკვლევაში დემეტრე I-ის შესახებ, გამოიყენა ძველი სომხური ისტორიული მწერლობიდან: მათე ურპაელის, კირაკოს განძაკელის, ვარდანისა და სტეფანოს ორბელიანის შრომები. ამ ავტორთა ცნობებს რამდენადმე ავსებენ მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკის“ მონაცემები.

პირველი ცნობა ეხება დემეტრეს ლაშქრობას განძაში 1138—1139 წლების მიწისძვრის შემდეგ. ამ ამბებს კირაკოს განძაკელიც აღნიშნავს „სომხეთის ისტორიაში“<sup>7</sup>. მხითარ გოშის გადმოცემით, მიწისძვრის შემდეგ ქართველთა მეფე დემეტრე დიდი ჯარით მიადგა არანის ოლქს და ქ. განძას სპასილარ ივანე აბულეთის ძის მეთაურობით. მათ დალაშქრეს დანგრეული ქალაქი და იქიდან დიდძალი ნადავლი წაიღეს. ავტორი ბრალად სდებს ქართველთა მეფეს მიწისძვრით დანგრეულ ქალაქში ლაშქრობას, მაგრამ საყურადღებოა, რომ იმ დროს განძას და არანის ოლქს განაგებდა, სელჩუკიანი სულთნის სანჯარის (1118—1157) მიერ დანიშნული მმართველი, რომელიც საერთო მტერი იყო რო-

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნაწ. II, თბ. 1949 გვ. 221.

<sup>7</sup> Киряку, დასახ. ნაშრ. გვ. 108, შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 223.

გორც არანისა, ასევე საქართველოსიც. ისიც საგულისხმოა, როგორც ქვემოთაღნიშნული იქნება აღნიშნული, გაჭირვების დროს განძის ადგილობრივი მფლობელები დემეტრე მეფეს ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის.

ამ ბრძოლიდან რამოდენიმე დღის შემდეგ ირანიდან არანში მოსულა ერთი მუსლიმანი ამირათაგანი სახელად ხარანგური — (*შარანგურ* ანუ მხითარ აირივანელის *ჰარასხმურ*), რომელსაც დაუწყია ამ მხარის აღდგენა. სულ მალე ხარანგური ანუ ღარასენთური<sup>8</sup> წასულა დემეტრე I-ის წინააღმდეგ, რათა სამაგიერო გადაეხადა, რადგანაც როგორც მხითარ გომი აღნიშნავს, განძა ყველა თავისი საზღვრებით წინდაწინვე ითვლებოდა მის სამფლობელოდ“. მას ორჯერ ულაშქრია ქართველთა მეფის სამფლობელოში, აუღია ციხე-სიმაგრენი და დიდი ვნება მიუყენებია მოსახლეობისათვის. აქედან დაბრუნებულა მთიანი გელამის გზით, ხოლო შემდეგ გადასულა მდინარე არაქსზე და მიუღწევია ატროპატაკანის (აღარბადაგანი) საზღვრებისათვის და იქვე გარდაცვლილა სომხური წელთაღრიცხვის 589 წელს (1140—1141 წწ.) ქართული წყაროები ამ ლაშქრობის შესახებ არაფერს ამბობენ, ხოლო ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში გარდა მხითარ გომისა, ამ ამირას იხსენიებს XIII საუკუნის ავტორი, მხითარ აირივანელი. მას მოჰყავს მოკლე ცნობა, რომელიც მოქცეულია 1131—1141 წლებს შორის:

*ქმტორე ქაყალიონ ხნარ ვკარა-* დემეტრე მეფემ დაამარცხა ღარასენთურ  
*აღნქორ აქაყაქსინ 'ქ სირხერქინ* ათაბაგი ნორბერდში<sup>9</sup>

მხითარ გომისა და მხითარ აირივანელის ცნობების ურთიერთშედარებით ნათელი ხდება, რომ დემეტრე მეფეს ღარასენთურ ათაბაგის საქართველოში ლაშქრობა უპასუხოდ არ დაუტოვებია. რადგანაც ღარასენთურ ათაბაგთან ქართველთა მეფეს ნორბერდში მოხდენია შეტაკება. საფიქრებელია, რომ ქართველთა ლაშქარმა მოულოდნელად შემოჭრილ ათაბაგს ფეხდაფეხ სდია, ნორბერდში მიუსწრო და დაამარცხა. თუმცა მხითარ გომი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ მისი თქმით, ღარასენთურის უეცარი გარდაცვალება ატროპატაკანის საზღვრებში, იქნება მძიმე ლაშქრობის შედეგიც იყოს?

უნდა აღინიშნოს, რომ მხითარ აირივანელი ზემოთ მოყვანილი ცნობის შემდეგ წერს: დმანისი და ხუნანი აიღო აბულეთთაო, — *დემანისი და ხუნანის* *ქათა საყოქსქ* — რაც განძაში მიწისძვრამდე ბევრად ადრე მოხდა (დმანისი დემეტრე I-მა 1125 წელს შემოიერთა, ხოლო ხუნანი 1128 წელს)<sup>10</sup>, მაგრამ თუ დავუჯერებთ მხითარ გომს, ღარასენთურ ათაბაგი მოსულა არანში მიწისძვრის შემდეგ, რაც იმაზე მიუთითებს რომ 1139 წლამდე ბრძოლას დემეტრე I-სა და ათაბაგს შორის ადგილი არ შეიძლებოდა ჰქონოდა.

1144/5 წლებში ვინმე მხედართმთავარი ირანის ქვეყნიდან სახელად ჯავლი, მეორედ მოვიდა არანში და გაემურა ტაუტუმის ციხისაკენ, სადაც გამაგრებული იყო მეფე აბასი, დიდი ხნის ალყის შემდეგ ციხე-სიმაგრე აიღო, ხოლო აბასმა ქართველთა მეფეს მიაშურა თავშესაფარად, ეს მაგალითი კარგად ადას-

<sup>8</sup> ღარასენთური ჩანს აზერბაიჯანისა და არანის ათაბაგად 1139 წელს. მის შესახებ იხ. *Бартольд В. В. том II ч. I, Москва, 1964, გვ. 690, 778.*

<sup>9</sup> *Մխիթարայ Տրիպլիանցեոյ, Պատմութիւն Հայոց, Մոսկվա, 1860 გვ. 62.*

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 222.

ტურებს. განძის მფლობელთა კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას საქართველომ მეფე დემეტრე I-თან.

ამის შემდეგ კიდევ ორჯერ გაუგზავნია დემეტრეს ჯარი არანში, განძელების თხოვნით: 1148 წელს განძის დაპყრობას ცდილა ვინმე ამირა ერგიში<sup>11</sup>. ქალაქის მკვიდრთა წინააღმდეგობის შემდეგ ერგიში გადასულა მთიან მხარეებში, შეუგროვებია აჯანყებულ თურქმანთა ბელადები და მათის საშუალებით მრავალი ზიანი მიუყენებია არანის მხარისათვის. მაშინ განძის მცხოვრებლებს დახმარებისათვის მიუმართავთ ქართველთა მეფისათვის. მხითარ გოში აქვე აღნიშნავს, რომ ამ დროს დემეტრეს ასული რუსუდანი სულთნის ცოლი უნდა გამხდარიყო, ხოლო სულთანი ამ დამოყვრების ნიადაგზე დემეტრე მეფეს განძაზე უფლებებს აძლევდაო. დემეტრეს მართლაც გაუგზავნია ჯარი, ერგიში იძულებული გამხდარა სპარსეთისაკენ გაქცეულიყო.

ქართველთა მეორე ლაშქრობა მოხდა სულთნის ძის ჯახ'რ-შაჰის<sup>12</sup> წინააღმდეგ, რომელიც არ დაემორჩილა სულთან მასუდის მიერ გამოგზავნილ განძის ამირა რავედის<sup>13</sup>. ჯახ'რ-შაჰსაც თავის წინამორბედ ამირა ერგიშის მსგავსად არანის წინააღმდეგ გამოუყენებია აჯანყებული თურქმანები. გელამის მთის თურქმანებს ის მეფედაც კი გამოუცხადებიათ. რის შემდეგაც დიდი ჯარით წამოსულა ქ. განძაზე და ალყა შემოურტყამს მისთვის. ამირა რავედის დახმარების მისაღებად ქართველთა მეფისათვის მიუმართავს. დემეტრეს დიდი ჯარი გაუგზავნია განძისაკენ. შეუტყვია თუ არა ეს ამბავი აჯანყებულ ჯახ'რ-შაჰს, უმალვე მოუხსნია ალყა და პეროზაბატის სამხრეთით გაქცეულა.

საქართველოს ჯარის ეს ორი ლაშქრობა მიუთითებს დემეტრე I-ს დიდ ავტორიტეტზე მეზობელ სახელმწიფოთა შორის.

დემეტრეს გარდაცვალების ამბის აღწერის შემდეგ, მხითარ გოში ორიოდ სიტყვით ახასიათებს მის ძეს დავით III-ს<sup>14</sup>. რადგანაც დავითის მეფობის მოკლე პერიოდი წყაროებით ნაკლებად არის ცნობილი, ვფიქრობთ ამ მცირე ცნობებსაც გარკვეული მნიშვნელობა ექნებათ.

ცნობილია, რომ დემეტრე I-ს, რომელსაც ორი ძე ჰყავდა: უმცროსი გიორგი ერჩია უფროსს დავითს. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი დავით უფლისწულის მამისაგან განდგომისა. დავითის განდგომის შესახებ მოწმობენ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი და სომეხი მემა-

<sup>11</sup> „Тюркское имя Эргиш упоминается у ибн-ал-Асира и ал—Исафахани в виде ارغش و ارغش. Ч. Довсет допускает, что возможно Эргиш-Агуш ارغش от ارغش Аргуш эмир, который был устранен в 549 г. х. (1154/5) из Ардебиля Ильдегизом Нусрат ад-динам Арслан-абехом (Арслан-апа)—„двумя правителями Азербайджана“ (ал—Исфакхани, გვ. 242—243), З. Бунят'ов, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, შენშ. 78.

<sup>12</sup> „Джагри-шах, сын Махмуда II (1118—1131 гг.) султана Ирака, и брат Мухаммеда II (1153—1159 гг.), султана Ирака, упоминается у ал-Исфакхани (стр. 243—244) и у Хамдуллаха Казвини (стр. 469) в связи с восстанием Сулейман-шаха, Ильдегиза и Арслан-абеха против мухаммеда II в 549 г. х (1154/5 г.)“, იქვე, შენ. 82.

<sup>13</sup> „Раввади, двоюродный брат Хашш-Бека ибн-Баланкири, однажды упоминается ал-Исфакхани (стр. 232) как правитель Арана, свергнутый Ильдегизом“, იქვე, შენშ. 79.

<sup>14</sup> მხითარ გოში აქ უთუოდ ცდება, რადგანაც წყაროები (ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი) ადასტურებენ, რომ დავითი დემეტრე I-ზე უწინ გარდაცვლილა.

ტიანე ვარდანის<sup>15</sup>. დავით უფლისწულს თანამზრახველებიც ჰყოლია, რომელთაგან ივანე აბულეთის ძე განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა. ვარდანის გადმოცემით, 1132 წელს დემეტრე I-მა შეძლო ივანე მოეკვლევინებინა, ხოლო მისი შვილი თირქაში, რომელიც ერთ ხანს გაქცეული იყო, ხელთ იგდო და საპყრობილეში ჩააწყვდია. ივანე აბულეთის ძის მოკვლის ამბავს ადასტურებს ლაშა გიორგისდროინდელი მემატრიანეც<sup>16</sup>.

როგორც ჩანს, დავით უფლისწულს თავისი გაუტანია, რადგანაც დემეტრე იძულებული გამზდარა სიცოცხლეშივე ხელი აეღო სამეფო ტახტზე და ბერად შემდგარიყო, ხოლო მეფედ მისი ძე დავითი დაჯდა.

დავით III-ის მეფობა მეტად ხანმოკლე გამოდგა. ამ პერიოდში დავითს დემეტრეს მიერ საპყრობილეში ჩასმული თირქაში გაუთავისუფლება და ამირსპასალარად დაუნიშნავს, ხოლო ეს პატივი ორბელებისათვის ჩამოუტრთმევია, მისივე სიტყვით, დავითი სუმბატ და ივანე ორბელებს მოუკლავთ ამ მიზეზის გამო<sup>17</sup>.

მხითარ გოშის ცნობებიც ადასტურებენ ვარდანის ამ გადმოცემას. ჩვენს ავტორის მიხედვით, დავითი განსაკუთრებით სწყალობდა სომეხ დიდებულებს, რომლებიც მისი ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. ასევე კეთილი დამოკიდებულება დაუმყარებია მას თბილისის სატრაპ ვასაკთან და მის ძმებთან ქურდთან და საარგისთან<sup>18</sup>. მას თავისთან უხშია სომეხთა მეფე კვირიკე, დავით ბაგრატიუნის ძე და აღუთქვამს მისთვის სამკვიდროს დაბრუნება, ამასთანავე განუზრახავს მოეწვია სასულიერო კრება და გამოეკვლინებინა სიმაართლე სარწმუნოების შესახებ.

ზემოთქმულის მიხედვით ჩანს, რომ დავით III, რომელიც მოძალეობით დაეუფლა მამის ტახტს, ცდილა მხარდამკერნი შეეძინა სომეხ დიდებულთა შორის, რისთვისაც მიუღწევია კიდევ მათ მიმართ მზრუნველობისა და კეთილგანწყობის საშუალებით. მაგრამ როდესაც ქართველ დიდებულებს შეუტყვიათ მეფის სურვილების შესახებ, შესწყრომიან მას, განსაკუთრებით კი ორბელები. მხითარ გოში თუმცა არ ასახელებს ორბელთა მტრობის გარკვეულ მიზეზს, მაგრამ აღნიშნავს, რომ სწორედ მათ მისცეს დავითს საწამლავი და მოკლეს. მის სიკვდილს ხანგრძლივი და მძიმე მწუხარება გამოუწვევია, როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში.

დავით III-ის შესახებ აქვე გვინდა კიდევ ერთი ცნობის მოტანა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ ჩანს რომ დავითს თავისი მეფობის მცირე დროში (6 თვე) ბრძოლა გადაუხდია და გამარჯვებაც მოუპოვებია. ეს ცნობაც ეკუთვნის სომეხ მემატრიანეს მხითარ აირივანელს. მისი გადმოცემით დემეტრეს ძე დავითმა დაამარცხა მელიქი სულთანნი და თბილისი აიღო<sup>19</sup>.

**(*Գառիթ՝ որպիս Դեմետրիէ կնար զՄէլէք սուլտանն և էսս զՄիქիս.*)**

დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლების დროიდან: 1122 წლიდან 1226 წლამდე—ჯალალედინის ბრძოლებამდე—თბილისი უცხო შემო-

<sup>15</sup> შტრ. ივ. ჯავეახი შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

<sup>16</sup> ქართლის ცხოვრება I, 367.

<sup>17</sup> ი. ჯავეახი შვილი, იქვე.

<sup>18</sup> З. Буннятов, დასახ. ნაშრომი, შენიშვნ. 93.

<sup>19</sup> Միքիսի Թ. Կրիկանյի. დასახ. ნაშრომი, გვ. 63.



სევეს არ შეუწყუხებია<sup>20</sup>. მაგრამ ჩანს, რომ მცირე ბრძოლებს მაინც ჰქონია ადგილი მაჰმადიანი ამირების წინააღმდეგ. მეტი სულთანი, რომელიც დავით III-ს დაუმარცხებია უნდა იყოს განძის მფლობელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, მალიქ სულთნის ძე, იბნ-ალ-ასირის მეტი თოღრულ მოჰამედის ძე და მათე ურჰაელის — სულთანი მეტი. აღსანიშნავია, რომ სომეხი ისტორიკოსები მათე ურჰაელი და მხითარ აირივანელი ერთნაირად, „სულთან მელიქად“ იხსენიებენ მას. მეტი თოღრული ჩანს დიდგორის ბრძოლის დროს (1121 წ.) თუმცა მისი მონაწილეობა ამ ომში საეჭვოდ მიიჩნია ვ. მინორსკიმ. ხოლო შემდეგ რ. კიკნაძე წერდა: ქართულ-სომხური წყაროების მალიქი, იგივე არაბული წყაროს თოღრული უნდა იყოს, რომელიც დიდგორის ომის დროს 11-იოდე წლის იყო და ამდენად ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა<sup>21</sup>. თუ ეს ასეა, შესაძლებელია, სწორედ ეს სულთანი მეტი შეეცადა შემდეგ თბილისის ხელში ჩაგდებას, რომელიც დავით III-ესთან ბრძოლაში დამარცხებულია.

დაბოლოს, მხითარ გოში, ორიოდ სიტყვით იხსენიებს გიორგი III-ს. მან გამეფებისთანავე შეიპყრო თბილისის მმართველი ვასაკი, რომელიც კეთილგანწყობაში იყო დავით III-თან. ვასაკი გაქცევა მეფეს და მისულა თეოდოპოლისში (კარინი). იქამად იქ ამირად მყოფი სალტუხი დიდის პატივით შეგებებია ვასაკს, რადგანაც 1153—1154 წწ. ანისის ბრძოლის შემდეგ დამარცხებული სალტუხისათვის, როდესაც ის დემეტრეს თბილისში ჰყოლია ტყვედ, ვასაკს მრავალი დახმარება აღმოუჩენია. სანაცვლოდ ვასაკს საჩუქრად მიუღია მრავალი სოფელი და იქვე დასახლებულა; მისი სიკვდილის შემდეგ ხელისუფლება გადაეცა მის ძმა ქურდს<sup>22</sup>, რომელიც ასევე პატივში ჰყოლია სალტუხს.

გიორგი III-ის მიერ ანისისათვის ბრძოლას მხითარ გოში უკავშირებს ეპისკოპოს ბარსელისა და მისი ძმების თხოვნას. გიორგიმ აიღო ქალაქი, მაგრამ შემდეგ იძულებული გამხდარა ძალადობა ეხმარა, რადგანაც ქალაქი აღარ დაუნებებიათ მისთვის. ქართველთა მეფეს ურჩები დაუსჯია, ქალაქის მმართველი დაუნიშნავს და თვითონ უკან გაბრუნებულა. მხითარ გოშს თარიღი აღნიშნული არა აქვს. თუმცა სხვა სომეხი ავტორები: მათე ურჰაელი<sup>23</sup>, ვარდან<sup>24</sup> და სტეფანოს ორბელიანი<sup>25</sup>, ერთნაირად 1161 წელს ასახელებენ. მაჰმადიანი მთავრები ანისის დაკარგვას ვერ შეგუებიან და მრავალი ზიანი მიუყენებიათ მისთვის. მოქალაქეებს უთხოვიათ გიორგისათვის რომ ქალაქი კვლავ ძველი მფლობელისათვის დაებრუნებინა, რათა მშვიდობა დამყარებულიყო. გიორგის ქალაქი თავის სპასალარ ივანესათვის მიუცია. ამ ცნობას ადასტურებს „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი და სტეფანოს ორბელიანი<sup>26</sup>.

ანისისათვის შემდგომი ბრძოლების შესახებ მხითარ გოში აღარაფერს ამბობს, მხოლოდ აღნიშნული აქვს, რომ როდესაც მთელი სპარსეთის მთავარმა ელდიგუზმა იგრძნო გიორგის ძალა, წინასწარ გამოიყვანა დიდი ჯარი და გავის ციხის მახლობლად დააყენა. მეფე გიორგიც ჯარითურთ მის საპირისპიროდ დაპ-

<sup>20</sup> დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 48.

<sup>21</sup> რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. 1, თბ., 1960, გვ. 123.

<sup>22</sup> З. Бунятов, დასახ. ნაშრ. შენიშვნ. 93.

<sup>23</sup> Մատթեոս Թեոփիլեի, Ճամանակագրութիւն, Վաղարշապատ, 1898, გვ. 426.

<sup>24</sup> Վարդան Արևելցի, Պատմութիւն տիեզերական, მოსკოვი, 1861, გვ. 167.

<sup>25</sup> Матфеану Спелески Орелески, Патомаири Сани Спасаки, Москови, 1861, გვ. 279.

<sup>26</sup> შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

დგარა და ბრძოლისათვის მომზადებულა. მაგრამ მხითარ გოში აქ ბრალსა დებს ამირსპასალარ ივანეს, რომელსაც უღალატია მეფისათვის და თარულად შეუტყობინებია ელდიგუზისათვის ბრძოლის დაწყების შესახებ. მტერს ბრძოლის წინაღამეს დაუტოვებია თავისი კარავი და გაქცეულა. შემდეგ კი დიდად დაუწოკებია ის მხარე, უწყამებია მოსახლეობა, მრავალიც დაუტყვევებია და შორეულ ტომებში გაუყიდა.

გაგის ციხის აღებისა და მისი აოხრების შესახებ მოთხრობილი აქვს „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს და სპარსელ ისტორიკოსს ჰამდალაჰ ყაზვინს, მაგრამ ივანე ორბელის ღალატის შესახებ მათ არაფერი აქვთ ნათქვამი. თუქცა ქართველი ისტორიკოსი კი აღნიშნავს, რომ ელდიგუზ ათაბაგი და მის მოკავშირეთა ლაშქარი გიორგი მეფის მხედრობის მოახლოებისთანავე გაიქცაო. ამ ცნობას ვარდანიც ადასტურებს, ხოლო სტეფანოს ორბელიანი ამტკიცებს, ელდიგუზ ათაბაგი თავისი ლაშქრით გაგიდან იმიტომ გაიქცა, რომ ივანე ამირსპასალარმა ათაბაგი თავისი გულადობით გაჭირვებაში ჩააგდოო. ელდიგუზ ათაბაგის გაქცევა, რომ ივანე სპასალარის სახელთან ყოფილა დაკავშირებული ამის შესახებ სტეფანოს ორბელიანსაც სცოდნია, მაგრამ ივანეს ღალატზე ის არაფერს ამბობს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მხითარ გოში უფრო ზუსტი უნდა იყოს, რადგანაც ომის დაწყების წინ ამირსპასალარის გულადობა კოალიციურ ლაშქარს უკან ვერ გააბრუნებდა. მითუმეტეს, რომ როგორც ცნობილია ივანე შემდეგმაც აღარა ჩანს მეფის ერთგული, პარიჭით, ის იყო იმ განდგომილების მოთავე, რომელიც დემნა უფლისწულმა მოუწყო თავის ბიძა გიორგი III-ს.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მხითარ გოშის „აღბანეთის ქრონიკა“, შეიცავს ზოგიერთ ისეთ ცნობას, საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით, რომელიც ადრე აღნიშნული არ ყოფილა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ესენია:

ა) აზერბაიჯანისა და არანის ათაბაგის ღარასენტურის ბრძოლა დემეტრე I-თან.

ბ) დემეტრე I-ის ჯარის ორი ლაშქრობა განძაში, ქალაქის მმართველების თხოვნით.

გ) დავით III-ის დახასიათება სომეხ დიდებულებთან დაკავშირებით.

დ) გიორგი III-ის გაგის ციხისათვის ბრძოლის დროს ამირსპასალარის ივანე ორბელის ღალატი.

ეს ცნობები, ვფიქრობთ, რამდენაღმე ავსებენ XII ს. მეფეთა მოღვაწეობის უცნობ მხარეებს.

### აღბანეთის ქრონიკა

*ჯამარესყაჲ დ ყაყა ხსა ჯარ-  
კადორ ქინს, ყი ყჯარ კარქი ზაყ-  
რაყსთაყნ ყიყოჲ დსკოთანიჲ. ყი  
დ ქაწინიჲქ ქამსნხსისანს' ყიყთა ირ  
აქტამ თნჩნ' ქარმარესყოჲ. ძი,  
ღასა აქჲმ ვრესიოჲ აყათნაიქ. სიქ-  
რიოჲ, ყი ქტ იჲ ქიქათსიყი ყიქს*

ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ აგრეთვე, რომ მოგვეტანა აღბანეთის მღვდელმთავრების სია, რათა ამჟამად ესეც გვექნოდა საერთოდ მოწესრიგებული. ჩამოვწერთ მათ, ჯერ ერთი ამ მიზეზის გამო, მეორეც იმიტომ, რომ თუ ვინმეს მოესურვება მატეიანის დაწერა, მოსე

<sup>27</sup> შლრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 234—235.



თას და ნათლიანს კაჭიყჩისა ვაჭერ  
სკრას, ირ კალას ამას ბრ: ხე ნახი-  
ნსაგენ აცაყჩის ხმს ათიფროქსენს ღერ,  
დორჩნასკ ვაყაარქისასკი ქეჭიჭინს კა-  
ღორეჭენს აცაყჩას. სკოლანსხე, სქინას  
და ღიკაქ კაჭიყჩისის:

სქერ აღირიქ ამას სწ, აქერ სორერ  
და აყაქაოაგხსალ ათაქრნოქსამერ,  
საქ ბრ, ჳს:

სქერ ღაქარქას აქერ სორერ და  
ამერქბ, ამას ქს:

სქერ ჳინანს ამას სხ:

სქერ მსქათანსქა, ამას ძრ:

სქერ სეჩაყარ ამას ღ. სას ღერ  
ქსათოდოქ ერარჩეგას ხ ნახსაყაანო-  
ქსინს, ჳაქ ბოასქანს ძსქ ღერ:

სქერ სსერქას ამას ძხ, და ღერ ნას  
სსოსქსალ ჴაყჩსეჩინს:

სქერ სქმქნიქ ამ მქ და სქას:

სქერ სქრქაქსლ ამას სს. საქ  
ბოასქანს ძს:

სქერ სსნასათას ამას რ:

სქერ ჳოსქჩი ამას ძხ:

სქერ რაქსქ ამას რ:

სქერ სქერ რაქსქ ამას ბ. საქ  
ბრ, სქს:

სქერ სსათქს ამ მქ და სქას:

სქერ სოქსქას ამ და სქას:

სქერ სსარინს ამას რ:

სქერ სოქიმინს სქას ამ:

სქერ ბქიოქირის ამას რ, საქ ბ:  
სქს:

სქერ სოქიმინს ამას ძს:

ხოლო კათალიკოსად დაჯდა უფალი  
აბასი, რომელსაც [ტახტი] ეპყრა 23  
წელს. წინაპრებში ასეთი რამ ჩვეულე-  
ბა იყო, რომ საპატრიარქო წერილზე  
ამგვარი აღრესი მოეთავსებინათ: „ალ-  
ბანთა, ლვინთა და ჩოლას კათალი-  
კოსი“.

უფალი ვირო [კათალიკოსად იჯდა]  
33 წელიწადს, იყო კაცი წმიდა და სათ-  
ნოებით გაბრწყინებული. სომხური  
წელთაღრიცხვის 75(=626) წელია.

უფალი ზაქარია, კაცი წმიდა და  
უცოდველი [კათალიკოსობდა] 17 წე-  
ლიწადს.

უფალი იოანე — 25 წელიწადს.

უფალი უბტანესი — 12 წელიწადს.

უფალი ელიაზარი — 6 წელიწადს.

ის იყო ღვთის რჩეული წინამდევარი.  
სომხური წელთაღრიცხვის 137(=688)  
წელია.

უფალი ნერსესი [კათალიკოსად იჯდა]  
15 წელიწადს. ის იყო ქალკედონობის  
მიმდევარი.

უფალი სიმეონი — წელიწადნახე-  
ვარს.

უფალი მიქაელი — 35 წელიწადს.  
სომხური წელთაღრიცხვის 190  
(=741) წელი [იყო].

უფალი ანასტასი — 4 წელიწადს.

უფალი იუსეფი — 15 წელიწადს.

უფალი დავითი — 4 წელიწადს.

მეორე უფალი დავითი — 9 წელი-  
წადს. [იყო] 225(=776) წელი სომხური  
წელთაღრიცხვით.

უფალი მათეოსი — წელიწადნახე-  
ვარს.

უფალი მოვსესი — წელიწადნახე-  
ვარს.

უფალი აპარონი — ორ წელიწადს.

უფალი სოლომონი — ნახევარ წე-  
ლიწადს.

უფალი თეოდოროსი — 4 წელი-  
წადს. [იყო] 234(=785) წელი სომხური  
წელთაღრიცხვით.

უფალი სოლომონი — 11 წელი-  
წადს.

სქერ შიქანანუა ამა ჩხ:  
 სქერ შაქანუა კუა ამა:  
 სქერ ზაქიშ ამა ჩხ:  
 სქერ ჩიქანუა ამა ჩხ. ნაკ მძკ:  
 მძხ:

სქერ შამიქუა ამა ძხ:  
 სქერ შიქანუა ამა ლ:  
 სქერ შიქანუა ამა ჩხ:  
 სქერ ზაქიშ ამა ლ. მძ. მძღ:

სქერ შანაკ ამა ჩხ:  
 სქერ ზაქიშ ამა ძ:  
 სქერ ზაქიშ ამა მ:  
 სქერ შხორი ამა ძხ: შორა ბ  
 კხნუანობისხანუა ზრატარხალ ქაქი-  
 იონ' ქაჯორექ ქაქიუ ჩღერ დსქერ  
 შიქანუა, ქანახანუა შაქიანიო: ჩსკ  
 ვქნჩ შიქიჩი ქაქალ ვაქიუ ნაკ-  
 რაქსობისხანუა აქრუ შათობიქ სქერ  
 შარხიუ.

ხ ქათ ზორა სქერ შიქანუა.  
 ხ აყა მქალ სქერ შარხიუ.  
 ხ ვქნჩ ზორა სქერ შახიანუა.  
 ხ აყა სქერ შიქანუა.

ხ აყა სქერ შახიანუა კიჯ-  
 გუა ჩ ხაქიქიქიობისხანუა ჩ თქი  
 აყათანახობისხანუა. ირ ხ ქაქალ ვაჯ-  
 თიქანუა ზაქარაქსობისხანუა ამა მქ ხ  
 კუა: შაკა ქათ ქაქანანუა ზორა'  
 ვამა იქ ათანუ ზაქარაქსობისხანუა  
 ზანანუა შიქანუა, ქორამ ხ იჯ  
 ვიქ ჩ ამა ხაქიქიოთი. მქნჯ ვქ  
 ვნობისხანუა ჩ ჟანანუაობისხანუა'  
 ქაქ ვადა თანუქინ ამა მანუა-  
 ვობისხანუა აქანუა აყანუა ჩღერ  
 იქობისხანუა' მქნჯ ვქ ქიქიქ ვიქ  
 მქობისხანუა ვქიქიქიოთი, ხ ვიქანუა ათიქ  
 მქიქიქ იქანუა:

ჩსკ ქათ ანუანუა იქ ამა-  
 ანუა' ჩ მძღ მქალ ზაქიუ ხქნ  
 ჩ ზაქიუ შანაკ ათათობისხანუა  
 ხაქიქიოთი ჩ ვქანუა სქერანუა ზაქ-

უფალი იოვანესი — 25 წელიწადს.  
 უფალი მოვსესი — ნახევარ წელი-  
 წადს.  
 უფალი დავითი — 28 წელიწადს.  
 უფალი იოვსეფი — 22 წელიწადს.  
 327 (= 878) წელი სომხური წელთ-  
 აღრიცხვით.

უფალი სამუელი — 12 წელიწადს.  
 უფალი იოვანე — 8 წელიწადს.  
 უფალი სიმეონი — 21 წელიწადს.  
 უფალი დავითი — 35 წელიწადს.  
 378 (= 929) წელი [სომხურით].

უფალი სპაკი — 25 წელიწადს.  
 უფალი ვაგიკი — 10 წელიწადს.  
 უფალი დავითი — 6 წელიწადს.  
 უფალი პეტროსი — 12 წელიწადს.  
 მან სიციცხლეშივე ხელი აიღო  
 ტახტზე, თავისი ტახტი გადასცა უფალ  
 მოვსესს, ფარისოსის ბერს. ხოლო მოვ-  
 სესის შემდეგ საპატრიარქო ტახტი  
 ეპყრა ღვთის კაცს — უფალ მარკოსს.

მის შემდეგ [იყო] უფალი იოვსეფი.  
 შემდეგ მეორე უფალი მარკოსი. ხო-  
 ლო მის უკან უფალი სტეფანოსი. შემ-  
 დგ უფალი იოვანესი, შემდეგ კი უფა-  
 ლი სტეფანოსი, კათალიკოსად მოწო-  
 დებულნი თავის ყრმობაში, რომელსაც  
 ეპყრა მღვდელმთავრობის პატივი წე-  
 ლიწადნახევარს. მისი სიკვდილის შემ-  
 დგ, 8 წელიწადს მღვდელმთავრის ვა-  
 რეშე დარჩა ალბანთა ქვეყანა. მასში  
 არ იყო არც ეპისკოპოსი. რამდენადაც  
 ასეთი ვითარება იყო მღვდელმთავრო-  
 ბაში. მოჰყავდათ სხვა ოლქებისათვის  
 ხელდასხმულნი. ხოლო მირონცხება იმ-  
 დენად გამჭრალი იყო, რომ ბავშვებს  
 მხოლოდ წყლით ნათლავდნენ, ხოლო  
 ზოგიერთებს უბრალო ზეთსა სცხებდ-  
 ნენ.

ხოლო როდესაც ვაგიდა რვა წელი.  
 სომხური წელთაღრიცხვის 588 (= 1139)  
 წელს ღვთივმეწყნარებული ეპისკოპოსი  
 სპაკი, სომეხთა კათალიკოსის წმიდა



ასին ჩ რხიუნ' არ ასი ღაქიიქიო-  
ქდარ, ზიუნდ ქირაათეხალ ხაქისი-  
ყოთონდ ხ ქარყაყსოდ ხ ზარდ  
ათრდდ ხ აქ ქარყაყსოდ ღან  
ღათაჯინს ქიქიქაჯიუნ ხ ღანანაქდ.  
ქიქომ ალორ ხ ღინთაჯიქიუნ სქიო  
ლსა აქ ხაქისიყოთ ხ ირნსეჩინ  
ღსღუნ იბოქსანს ქიქიქაჯიუნ, რა-  
ღომ ხ ათათ რნღსამომდ რაქიხ-  
ეჩინ რნდ ამნსაქს თხეჩს. ხ აქაყქს  
ქრასოქქინს ზიქსიოქიანს ღათარქ-  
ქინ მქინჯს. ვასოროს შეროქ შაჯინს,  
ღოთარდაყსაქდ ჩ მქასინ ჩ ქითთ  
შათობიქ.

შამანსანს არეყქ ირიო თქხ-  
ათანს ღე ამიუნ, ჩ ექიქიქი იქრ-  
ქონს ჩ ქითანაქ ღარაქქონს, ქიქომ  
ალორ თინ ღე შეროქს ღხიოქაქ,  
ღარქქიო ვასოქს რარქოქქონს შს-  
თობიქ ჩ ქსოქ აქქარჩჩ' ჩ რნო-  
ქსინს ზიქმიო, ხ ღარქხალ ანზნარქინ  
ღიქდამდ ასათიქ ღიქობანოქს ზა-  
სოყანსიქიქ აქქარჩჩის შღოთანეყ,  
ღთათ ვრქოქს ქქ, „მ ღარქქ ვათ ჩ  
ზხრდოქს სქიქიქ ჩ ზქიმანე, ხ აქინდ  
ზიქოთ ვიქანს ხ» ღთათ მქითოქს, «მ  
ზაქიქ ქსიქიქ ხ თოქ ვიქაქ ამა“:  
მრქიქ ღარქქამდ რაღომ ასქოთობ  
ქინჯე რნდ რაღომ თხეჩს ჩ ვასათი  
ჭათქითიოქ ხ ქარჯინიქ, თათ ზათათ-  
რქიქ ჩ ვაჯათ ხ ჩ ქსიქინს, ქიქომ  
ხ მარქარაღოქდ რანღაქ თო ზა-  
სარქიქ ქანქონეყ ღიქობანქიქ, ქი-  
რათიოქ ათინსიქიქ ვენსიქიქაქ ჩქრ.  
ღანეყქ ღიქოთ ღიქომ სქისაყ ზიქოთ  
ამქიქიქსაყ ღინთათ ჩ ბიოქ ჩქრ. ხ ჩ  
ქინსიქიქიქანს რაღომ ვიქსიქდ ხ  
ექიქდ თათაქსეყანს ზანქსიქდ ქანო-  
ქაქქდ ხ სქიქეყსიქდ, იქდ ქიქანს ჩ  
ქსოქ ვქსიქიქ რნსიქაყ ქსიქინსე, ქი-  
ქომ ხ ანქქიქდ ასათიქსეყანს ჩ ღიქ-  
ობანამანს ღინთობიოქ ხ აჯოთარქიქიქ.  
ხ ქინჯე აქს ჩ ნღქ ქოთასინს  
ზაიოქ:

ჩიქ ჩ ზიქინ ქათორანს ქიქომ  
ქეხლ ღარქქოქსინს, სქ ქათაქლორს ქიქოთ

სასწაულზე ციხესიმაგრეში, რომელ-  
საც ერქვა კათოლიკოსიქარი. იგი-  
ვე ზემოთ თქმული ეპისკოპოსები,  
ვარდაპეტები, წმიდა მამანი და სხვა  
ვარდაპეტები, უმეტესნი, ვიდრე პირ-  
ველად და მღვდლებიც ამ დღეს [მოხ-  
და] ხელდასხმა კიდევ ორი სხვა ეპის-  
კოპოსისა, აქუთოხეს მრავლად მირო-  
ნი, უხვად მიუზღვეს და გაანაწილეს  
ყველა ადგილებში. ამგვარი სულიერი  
მზიარებლებით გაატარეს მთელი დრო  
წმინდა ჯვრის დღეებამდე და ერთიანად  
უხაროდათ ღვთის დიდება.

არევის თვეში. თვის 18 დღეს, პა-  
რასკევე-შაბათის ღამეს, როდესაც წმი-  
და გიორგის დღესასწაული იყო, გაიღ-  
ვიდა ღვთის რისხვამ ქვეყნიერებაზე.  
იმძლავრა დედამიწაზე. შეაზანზარა  
უსაშველო რყევით [და] ძლიერი ნგრე-  
ვა გამოიწვია ალბანეთის ქვეყანაში.  
დაწერილისამებრ, რომ „ვინც ქვეყნი-  
ერებას საძირკველიდან შეარყევს. მისი  
სვეტებიც შეირყევს“, ანდა მეორე. —  
„ვინც დედამიწას შეხედავს, ისიც  
შეძრწუნდება“. ამ მიწისძვრამ მრავალი  
ნგრევა გამოიწვია თარისოსისა და ხა-  
ჩენის მრავალ ადგილებსა და მხა-  
რებში. საყოველთაოდ, როგორც ბარ-  
ში, ასევე მთებში. ამის გამო დედაქა-  
ლაქი განძაკი ერთიანად უფსკრულში  
ჩაიკარგა, მისი მცხოვრებლებიც შთა-  
ინთქნენ, რადგანაც მის ოთხივე მხარეს  
თავის სტომაქში მოუყარა თავი [მიწის-  
ძვრამ]. ხოლო მთიან მხარეებში მრავა-  
ლი ციხე-სიმაგრე და სოფელი დაამხო  
მონასტრებთან და ეკლესიებთან ერ-  
თად, რომლებიც თავზე ჩამოექცათ მის  
მცხოვრებლებს. დაქცეულმა შენობებ-  
მა და კოშკებმა უთვალავი დახოცა. ეს  
მოხდა სომხური წელთაღრიცხვის  
588 (= 1139) წელს.

ხოლო იმავე დღეებში, როდესაც მი-  
წისძვრა მოხდა, გამოვიდა ქართველთა

\* იობი IX, 6. \*\* ფსალმ. C III, 32.

ზანდერძ ყოიფ რაფიფ ხ სხნ ჰ  
 ყალათნ შათანაყ, ირ ანთათნსაჲ ლი-  
 ჯიჲრ ზინსორქ<sup>1</sup> ირჲრ ჴაღქჩ ქა-  
 ყალორჩ, აირა სხსაჲ ჰ მარქაჲ-  
 ყაჲნ ჴანბაჲ<sup>2</sup> კათაჲნიორჲოქსინჲ  
 ყორაჲქსინ ჰრჲოჲ ლანსი, ირ სხს-  
 აჲჲ ანთიორძ ხ ყაყანაჲქსინ მ-  
 რჲჲ<sup>3</sup> ჴარსან ჰ ქსრაჲ მსაყიორჲაჲ  
 მარჲქანს, ქარსიჲჲ ათნათარაჲ ჰ  
 აორ ხ ჰ მსრაჲქსინ, ირ ქტყჲთ ხ  
 ათსინ ჲჲყაყაჲნ ყაჲნ ირ ჴათაჲ-  
 ჲიჲნ ჲჲრ ჲაჲყაჲჲ ქაჲქსიჲ<sup>4</sup> ირჲჲ  
 ჲჲჲჲჲჲ სჲსაჲ ჴანსარბაჲქს, ჲჲ ჰ  
 მქათსინ ლოთსაჲ ჲჲნ ჰ ჴამა მარჲჲ  
 ისიჲო<sup>5</sup> ხ მარჲჲ ისიჲრაჲჲ მარჲქან,  
 ჴირომ ხ ანქაჲჲ ჲაჲქსინ ანქიჲ რაჲ-  
 მარქსინჲ ჲჲსაჲნიჲ, ათსაჲნ აჲ ჲა-  
 მსჲგან ათსიჲ იჲჲრმოქსინ ჰ მს-  
 რაჲ ჴირო, აჲჲ მირჲქსინ ჴანსიჲჲ  
 ჲანბა ისიჲო<sup>6</sup> ხ აჲბამქიჲ, ხ ჲსინ-  
 ჲიჲ ხ თათაყაჲნიჲჲ ათასიჲ ჴორჲა-  
 რსჲქსინ ჲან ჲბამანს: Ბსჲ ჲაჲჲ  
 ჲარბამანს<sup>7</sup> ჰ ათათიჲოქსინჲ ჴარო-  
 ბიჲნ მირჲსჲგან ათ ჴრქათათ ჲათა  
 ჲორჲჲჲ მარჲყაჲსაჲჲნი მსრ მარჲქი ხ  
 ჴრქიჲი:

Ბსჲ ჲათ ალარჲჲ Ბნჲ ანჲსიჲი,  
 ამჲრაჲ იჲნი ჰ Ბანსაჲჲ<sup>8</sup> ირ ანთათ-  
 საჲ ჲიჲჲ Ბჲარანჲორ, ირ Ბათ  
 აჲარსიჲაჲქსინ რარჲრათიჲნი აჲსიჲსრაჲსაჲ  
 ანთათანჲგა, აირა სხსაჲ ჲაჲქსა-  
 რჲჲნი Ბარსიჲჲ სხს ჰ ყალათი შათ-  
 ნაჲ, ხ ასიჲჲნი არარ ჲინსაჲქსან ხ  
 ჴათათათიჲქსან აჲამ აჲქსარჲჲ, ხ  
 ჲინსაჲჲ ყალსრაჲჲ აჲარსიჲჲ ჲაჲყა-  
 Ჲინ ჴანბაჲსაჲ, ხ ათსჲრ ჲათაჲყა-  
 Ჲქსინ ამსნაჲნი ათამანაჲჲ ჴირო, ხ  
 ათაჲ ჲჲმჲრ ჰ მსრაჲჲ ყალათინ ირ  
 Ბნჲ Ბქსინსაჲქსამჲ Ბჲაჲყალორჩინ  
 Ბრაჲ, ათ ჰ მსრჲქსინჲქსინჲჲ Ბათან  
 ყალათი ჰრჲოჲ ირ ალსრაჲსინ ჲჲ ჰ  
 Ბსაჲჲ ჴირო, ჲანჲჲ ჴათაჲჲჲჲ  
 Ბნჲ ჴირო Ბქსინსაჲნიჲქსამჲ ჲჲ  
 ჴანბაჲჲ ჴანსიჲრძ ამსნაჲნი ათამა-  
 ნიჲჲჲ Ბრჲიჲჲ: Ბაჲა სრქსაჲჲ Ბაჲ-  
 Ბარანს Ბრაჲჲ მქანსაჲჲმ ხ სრქიჲი<sup>9</sup>

მეფე მრავალი ჯარითურთ და გაემარ-  
 თა არანის ოლქისაკენ. მას ვრქვა დე-  
 მეტრე, შვილი დავით მეფისა. ის მივი-  
 და დედაქალაქ განძაკში, თავისი მზე-  
 დართმთავრის ივანეს წინამძღოლო-  
 ბით. ისინი იქცეოდნენ უმოწყალოდ და  
 შეუბრალებლად. თავს ესხმოდნენ გა-  
 დარჩენილებს, და ერთიანად მუსრავ-  
 დნენ და ატყვევებდნენ. მიუხედავად  
 იმისა. რომ ისინი ხედავდნენ ქალა-  
 ქი, რომელიც მოწინავე და რიგიანი  
 იყო, როგორ უცხად ვაცამტვევრდა;  
 იქ ერთად თავმოყრილი იყო, როგორც  
 ოქროს ბორცვები, ასევე ადამიანთა  
 გორებად [დაყენებულ] ძვლები, რად-  
 განაც ურიცხვი სიმრავლის გვამი  
 დაუკრძალავი იყო. მაინც მათ არ  
 იფიქრეს ყოფილიყვნენ შემწყალებნი  
 მის (ქალაქის) მიმართ. არამედ თხრიდ-  
 ნენ და მიჰქონდათ ოქროსა და ვერცხ-  
 ლის განძეული. მღელვარებით დამწყუ-  
 ხარებით მათ უფრო გააბოროტეს [ხალ-  
 ხი], ვიდრე მიწისძვრამ. მიწისძვრის  
 დღეებში ძლიერი ელდისაგან გარდა-  
 იცვალნენ ჩვენი განათლებული ვარდა-  
 პეტები სარგისი და გრიგორი.

ხოლო რამოდენიმე დღის გასვლის  
 შემდეგ, ვინმე ამირა ტაჭიკთავანი, რო-  
 მელსაც სახელად ეწოდებოდა ხარან-  
 გური, ხოლო სპარსული ენის მიხედ-  
 ვით ქვეყნისმპყრობელად იყო სახელ-  
 დებული, გამოვიდა სპარსეთის ქვეყნი-  
 დან და არანის მხარეში მოვიდა. მან და-  
 იწყო ამ ქვეყნის აშენება და განმტკი-  
 ცება. ააშენა ქალაქ განძაკის დაქვეუ-  
 ლი კედლები და დაამყარა მშვიდობა  
 მთელ მის საზღვრებში. შემდეგ ის გაე-  
 შურა იმ მხარისაკენ, რომელიც ქარ-  
 თველთა მეფის მფლობელობაში იყო.  
 რათა სამავიერო გადაეხადა თავისი  
 ოლქის გამო, რომელიც აოხრებული  
 იყო მისი ხელით, რადგანაც განძა,  
 ყველა თავისი საზღვრებით წინდაწინ-  
 ვე ითვლებოდა მის სამფლობელოდ.  
 ქართველთა ქვეყნისაკენ წავიდა ერთ-



ვარსორხეოცანსერ ვნოთა ვოქამარ,  
 ხ ათნიორ ჯამორ ვეჩიკაყ ნიოთ ხ ნოთა-  
 დსერ ვნოთა, ხ ვათნაჯე თქერენ ღნე  
 ქინასიოქმ ზხეჯამაქ. აყა ანყსაქ  
 ღნე ვსან სერასი' ნათანსერ ხ ათ-  
 მანს მთოყათასკანს, ხ ანე ქას-  
 დანსერ ვსანს ხ ზღმ ქოასკანს  
 ჯაიოყ:

ჩსკ ჯანაყ ვაყაქს ზანდო-  
 კაქ' ირ ჯარეჩაქ ჯე ბათაქ მხ ნო-  
 რა' ანთხ მთონათოქ, ათრა თაყ-  
 ათამქსაქ ხ თოქთანსენ' ჯანეჯნერ  
 ხ დინარქერ ნამარბასქოქსამ  
 არათაქოქ ხქსანოქსხან ათამ-  
 ნაყ ხეროყ. ხ აყა ხქსაქ ვოროქ რაქ-  
 მოქ ხ ზანდოქაქ' ხსნ ხ ქინასიოქმ  
 ჯაყანსერაქ, ხ ნათხაქ ხ რხერენ  
 ირ ჯიქი ჯაქოქქიოქი ვარ, ხ ირ  
 მხერბნ ჯ თო ნამქნ' ირ ანთანს  
 ჯარაყსათანე ვარ, ხ ხ რაქომ  
 ათორს აჯაჯარსაქ ვსერქიოქს ხ ჯანს  
 მხბოთ ათსაქ' ასერხაყ ვსერქიოქს  
 ვასქამარ ხ ჯერქიოქსამარ, ხ ხს-  
 ვეჩქე არქოქსანს ჯიქიანს ხეხს  
 ანთიქსანს, მქსე ვს ხაყაო ვნეხ  
 ხ ათერქლ ჯაქოქქიოქი ვარქს ხ  
 ზღმ. ქქას. ჯაიოყ.

ხს აყა თქაყქსა ქარქიოქ  
 აყათამარქსამარ ათორს ჩნე:  
 ჩსკ ვქსი თქნიოქქ ხსნ ვარბ-  
 ხაქ ხ ჴარაყე ვორაქლასი მხ  
 ანთხ ჯაქლ, ირ ანსერ ვქქსა-  
 ნოქქინს ვოროქ ხ ვთან ზან-  
 დოქაქ, ქორომ ხ აყათამქსაქ ჯე  
 მთონათოქ. ხ აჯაჯარსაქ ვქა-  
 ვაქს ამქი მქ' ათნიორ ვნა, ხ ჯა-  
 ქსაქ ვმთონათოქი' ქიოქსაყ ვაჯა  
 ნიორა, ხ ქსენს ნოთანსაყ ვამხს-  
 აქს, ხ ზღმ ქოასკანს.

ხ ამქნ ამქ მხბოთ ვქერ მას-  
 ქანსიოთ ხაქსაყაოთ ირქი ჴერქქქ

ხელ, ხოლო შემდეგ მეორედაც. შემ-  
 ფოთა ისინი და შეადრწოლა, აიღო მა-  
 თი გამაგრებული ცახე-სიმაგრეები, და-  
 აცბრო ისინი და დაბრუნდა იქიდან  
 მთიანი გელამით. შემდეგ ის გადავიდა  
 მდინარე ერასხზე, მიაღწია ატროპატა-  
 კანის საზღვარს და იქ გარდაიცვალა  
 589(=1140) წელს სომხურა წელთაღ-  
 რიცხვით.

ქალაქ განძაკის მმართველი, რომე-  
 ლიც დანიშნული იყო მის (ხარანგუ-  
 რის) მიერ, სახელად ხუჭტულტი, აჯანყ-  
 და სულთნის წინააღმდეგ. გათავზედა  
 და დაიწყო გაბედული მოქმედება  
 თავისი სამფლობელოს საზღვრების გა-  
 რეთ. შემდეგ ის გავიდა დიდი ჯარით  
 განძაკიდან და წავიდა ჰადაპერას მთი-  
 ანი მხარისაკენ. მიაღწია ციხესიმაგრეს,  
 რომელსაც კათოლიკოსიქარი ეწოდებო-  
 და და რომელიც ახლოს მდებარეობდა  
 მეორესთან, კარაპეტანცქარად სახელ-  
 დებულთან. მრავალი დღის განმავლობა-  
 ში ალყა შემოარტყა ორივეს და დიდს  
 მცდელობით აიღო. ორივე აათხრა ნგრე-  
 ვით და ცეცხლით. ხოლო წმიდა ეკლე-  
 სიებს ურწმუნონი თელავდნენ, მანამ-  
 დე ვიდრე კათოლიკოსიქარი ბოლომდე  
 არ იქნა განადგურებული და ათხრე-  
 ბული 591(=1142) წელს სომხური  
 წელთაღრიცხვით.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე დღეს  
 აგრძელებდა აჯანყებას. ხოლო შემდეგ  
 მოვიდა სპარსეთიდან ერთი მხე-  
 დართმთავარი, სახელად ჯავლი, რომ-  
 ლის განკარგულებაში იყო ჯარები  
 თვით განძაკის კარამდე, სადაც აჯანყე-  
 ბული იყო ხუჭტულტი. [მან] ალყა შე-  
 მოარტყა ქალაქს ერთ თვეს და აიღო  
 ის. შეიპყრო ხუჭტულტი, დათხარა მას  
 თვალები, ხოლო ყველა [დანარჩენი]  
 თვითონ დაიმორჩილა. [ეს მოხდა] სომ-  
 ხური წელთაღრიცხვის 592(=1143)  
 წელს.

ამავე წელს გარდაიცვალა ეპისკოპო-  
 სი უფალი სტეფანოსი — კვირიკე მე-

ქაგალირი' ო რეიქინ ირ კიჯი მსა-  
დადარ:

ისი ღაღიხაქ ამრარათანხაქ  
იანდნი ირ ექმსაყ ხ კიჯმანს მსა-  
გხნოი, ხ ჯაი ვამხნაყნ ამრეგა  
ნიოგა, უსკსაყ ვსკსეგეგნსა ხ აქ-  
რსაყ ვქანორხაყნ, კითორხაყ ვა-  
ვათონს ხ ვჩრსაყ ვეორსკანანს, ხ აქს-  
აქსა ისაყთ მაგხაყ ვამხნსსხან  
ათ ჯასარასკ ხ ასოკ ხ ხ ვეროქჩი-  
ან, ხ ასაყ ხნდნ ვარდხაქ ხექმარე  
ქაჯქარანს შარსიყ:

საყა ხ მქსომ ამქნ ვარ-  
დხაქ ვაქო ხ ვასათა მათნაყ, ხ  
ქოქმანსაქ ხექმარე ხ რეიქნ შა-  
თო, კირომ ამრავსაქ ჯე ქაგა-  
ორნ სკრას, ხ რავომ ვანხე რეიქ-  
კარ აჯარხაქ ვნა' ასაყ ათნიქ  
ვეჩრეგნ. ისი სკრას ანეხაქ ვნაყ  
ათ ქაგალირნ ოკაყ, ო სკრქ ქოთ-  
კანხნ:

ო ნამქნ ამქ ქიქსი ათ ზეი-  
თიი ქაგალირნ ჴარქმ არეჩი ხი-  
რჩქჩი ხ ქამრეიქნ ირ კიჯი შა-  
ნარხიქ, ხ ქაგალირსაყ ხი-  
რჩქჩი ნიოგ რეიქ ნიოგ:

ისი ღაღიქ ვნაყ ხ კიჯმ მსა-  
გხნოი, შანდხაყ ხ სეკსაყ, ხეჩქნ  
ანეყამ, ვანეჩი ქათანომ ნოთეჩნ  
იჯ მსაყჩნ რეიქ დხოამრ ნიოგ ვე-  
საქე აქნიქჩი ვიოი ჯათნ, აქ ას-  
კაი ხნ მსაყსაქდნ' ქაგათაყ ანთი  
ირე ჯჩნ ვიქსაქე ქანთათა მაქ-  
რსაყ, ათქნ ვარდხაქ ვეჩრეყამ-  
რიგანს ხეჩხანე, ხ ვარდხაქ ასა-  
თამროქსამრ ქარქჩნ რეიქ შან-  
კაგნ: ქათანს აქარ აქათანათანაყ  
არომანსაქ ღაღიხაქ' ვქმქ ათ ხ  
ქრქქჩინეოქჩინს ო ქერაქ ნიოგა. ისი  
ვამრიგანს იჯ კარაყ ათნოქ, რაყ  
ვევასონს ვამხნაყნ ხ ასაყთ ასე-  
ქე, აქრსაყ ხ ვათაქსეკეჩი ოქსა  
აროქსხანს ირ კიჯი ჴაგოქი ქანე,  
ხ ხნდნ ჯოხაქ ვნაყ ქაჯქარანს შა-  
რსაყ, ხ ასათამრსაქ ხ ასოქათანქნ'  
ასაყ ჯარაჯარ მანოთამრ ასათსქ

ვის შვილი, იმ ციხესიმაგრეში, რო-  
მელსაც ხალნქაქარი ეწოდებოდა.

ხოლო ჯავლი, გაამაყებელი თავისი  
თავით, გაემართა ხაჩენის ოლქისაკენ  
და აიღო ყველა მისი სიმაგრე, დანგ-  
რია ეკლესიები და დასწვა მონასტრე-  
ბი, დახოცა დიდებულები და დაატყვე-  
ვა მებრძოლნი. ნაირნაირი [საშუალე-  
ბეები] ერთიანად გაანადგურა ყველა-  
ფერი და საერთოდ [მოსპო] მახვილითა  
და ტყვეობით, ხოლო შემდეგ თვითონ  
გაბრუნდა და წავიდა სპარსეთის ქე-  
ყანაში.

შემდეგ, მეორე წელიწადს, დაბრუნ-  
და [და] მივიდა არანის ოლქში. სას-  
წრაფოდ გაემართა ციხესიმაგრე ტავე-  
შისაკენ, რომელშიც გაამაგრებული იყო  
მეფე აბასი. დიდი ქაბანწყევტით ხან-  
გრძლივი ალყა შემოარტყა მას, შემ-  
დეგ კი აიღო ციხე. ხოლო აბასი გადაკო-  
და ქართველთა მეფესთან 594 (=1146)  
წელს.

იმავე წელს მიიღო ქრისტემ მეფე  
დავითი, შვილი კვირიკესი, იმ ციხე-  
სიმაგრეში, რომელსაც მაწნაბერდი  
ეწოდებოდა. მის ნაცვლად გამეფდა  
მისი შვილი კვირიკე.

ხოლო ჯავლი ხელმეორედ წავიდა  
ხაჩენის, ტანძეას და ადახას მხარეებ-  
ზე, რადგანაც პირველად აღებული სი-  
მაგრეები არ დარჩენილან მის ხელში,  
არამედ მცირე ხანს ეპყრა. იქა-  
ურმა დიდებულებმა, რომლებიც  
ტყეებში იმალებოდნენ, დაიბრუნეს  
თავიანთი ციხე-სიმაგრეები და შემდეგ  
აჯანყებით გამოვიდნენ ტაჭიკთა წინა-  
აღმდეგ. ამ მიზეზის გამო განრისხებუ-  
ლი ჯავლი გაეშურა მათზე შურის-  
საძიებლად. მაგრამ ვერ შესძლო სიმა-  
გრეთა აღება, თუმცა კი ის მხარე მთლი-  
ანად ბოლომდე გაანადგურა. დასწვა  
აგრეთვე წმიდა მონასტერი, რომელსაც  
ეწოდებოდა დაღუი ვანქი, დაარსებუ-  
ლი მოციქულის მიერ. ხოლო თვითონ  
გაეშურა მართა ქვეყნისაკენ, აუჯანყდა  
სულთანს, შემდეგ ტანჯული სიკვდი-

მხრდ ზ ფაფაღნ ჰანგან ზ ნკს  
ქვ. ლავი:

ისე აქ იმე ამჩრავ' ანონ  
ფაჩრავიქნ მხბათონ ხ მხბათონამ  
იაფქ, სა თქრსავ ვორავნ ჰაქსავ  
ხ ვადაათონ ჰამანგამან ირ ენფ  
ქქსანთქმსამწნორა. ხ ესთ ზრამან-  
ნი თოქთანჩნ სქსავ ზ ვადაათ  
სთანავ' თქრს ამხნავჩი. რავე ვი  
თქსავსავ ღე ვქნთ ენფ ქვაფაღორჩნ  
ქრავ ხ თყათნორ თსრსქ ვამს-  
ნავნ ვადაათონ' ირ ენფ ქქსანთ-  
ქმამდ ნორა, ქათნ თქრ ანჩ ხ თყა-  
ანავსავ' თარაქსასავ ქსქსეღენ'  
თორე მარაფაფავა ქანთრსავნ,  
ლავრათ ხ შანანჩენ' მჩიან ქა-  
ფიქს თყავაქნსავ ჰაქსქჩნ ქსათ-  
თი ვქსქსქსქს ამხნავნ ჰადაათ-  
გსქს. ვი ხ ქავაქავაქს ქსქრ შა-  
თათთ თვიქჩე ნავა ხ რანთორ ზ  
ქსნავ ვფაჩრავიქნ, თიქს თორე  
თქრავსასავ რანდაქსავ, თყანამ-  
ამ თრი ზ ჰან ამჩრავქ მჩი  
შავრქქ კიჯსქსი, ირ ზ თანქ  
თოქთანჩნ' თყან ვნა ხ ღე ქთა-  
ქანთ ნკდ ხ ჰთომჩნ მკქ, ისქ  
ფარსიფ ნკდ, ხ ღე ჰაქრ მ-  
ნავ შჩიავქ ირქი ჰაქრამ-  
ნავ, ქთან სქსქსინ. ქვაფაღორ  
ქრავ რმხორქ არქი რამქი, ქთან  
რხორავ რაფრათონი. ისქ ფარსიფ  
თოქთანნ შათოქ ირქ შანამქი,  
ქთან სქსქსინ:

ისე ამჩრავქნ ფარავ ხ შა-  
დაათონი არამ ანონ რვაქავ  
კიჯსქ, ქსავ ვაყანთონ ფაჩრავ-  
იქჩინ, ხ ქთავსავ ქქ ჰრამანთ  
თოქთანჩნ ღე ვორაქთიქ სქსავ ვი-  
მქრ ქქრავ ნორა, კამხგხავ ენქს-  
ნოქ ვნა ქქქსანთქსნქ.

ლით დიაღუბა ქალაქ ზანგანის მახლო-  
ბლად სომეხთა წელთაღრიცხვის 595  
(=1146) წელს.

ხოლო სხვა ვინმე ამირა, სახელად  
ფახრადინი დიდებული სახლის შვილი  
და დიდგვაროვანთა შთამომავალი გა-  
ბატონდა ჯავლის ჯარებზე და ამასთა-  
ნავე იმ ოლქებზე, რომლებიც მის  
მფლობელობაში იყო. სულთნის ბრძა-  
ნების თანახმად მოვიდა ის არა-  
ნის ოლქში და დაიპყრო ერთიანად.  
ამასთანავე გაბატონებული იყო სი-  
ძულვილით ქართველთა მეფის მიმართ  
[და] იმუქრებოდა მთელი იმ მხარის  
გაღაწვით, რომელიც კი მის მფლობე-  
ლობაში იყო. ამ საშინელ მუქარათა  
გამო, შიშისაგან შეშფოთებული დე-  
დაქალაქის წმიდა მონასტრები ჰაღბა-  
ტი და სანაპინი, მხოლოდ ლოცვებით  
სასოებდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ  
ყველა მორწმუნის გადარჩენას. ღმერთ-  
მა სწრაფად ისმინა მათი ლაღი და  
განძაკზე გაბატონებიდან ცოტა ხნის  
შემდეგ წაართვა სიცოცხლე ფახრა-  
დინს. ის მოკლეული იქნა მახვილით ერთი  
ამირას ხელით. [რომელსაც] ხაზბეკი  
წოდებოდა და რომელიც იყო სულთ-  
ნის სავარეულოდან. [როდესაც] ის  
მოკლეს იყო 596(=1147) წელი [სომ-  
ხურით], 367 — რომაულით, ხოლო  
სპარსულით — 536. ბერძენთა კვისა-  
რი იყო მიხეილი, შვილი კალუქანისა,  
შვილიშვილი ალექსისა. ქართველთა  
მეფე იყო დემეტრე, შვილი დავითისა,  
შვილიშვილი გიორგი ბაგრატიუნისა,  
ხოლო სპარსეთის სულთანი [იყო] მა-  
სუდი, შვილი მაჰმედისა, შვილიშვილი  
ალექსანდრისა.

როდესაც ფარსისა და ხუესტანის  
ამირამ, სახელად ბზაფაიმ გაიგო ფახ-  
რადინის მოკვლის შესახებ და შეიტ-  
ყო, რომ ეს სულთნის ბრძანებით მოხ-  
და, შეკრიბა ჯარი და გაემურა მის წი-  
ნაღმდეგ, იმ განზრახვით, [რომ] წა-  
ერთმნა მისთვის ძალაუფლება.

ჩას მხადრსკინ ათხალ ვეორა  
 იარ ვნაყ ჯეონასკონოქჩინ სოქთანსჩინ  
 ხ სათხიქ ყათხრაყმ ხეხალ` ემჩ-  
 ძხანსა ვორჰნ სათხიქჩინ. ჯირომ  
 ყათხრაყმჩ საყანაო ჩვათჩან, ხ  
 ხეხ ვქიქთომნ ძმბ:

შსო აქთორქ ხეხ ამჩრავ იმნ  
 ანთონ ჩრქიჯ ზიჯხესალ, ათანყ  
 ნრამანჩ სოქთანსჩინ თჩრავხთხლ  
 ლამხესო ზანბასლავ, ვორ ვითაყხალ  
 ჟაყფაქჩინ ვქისაორავ ხ იჯ ღნქალან  
 ვნა ჩ ჟაყფან. ხ ნა ვჯარხალ-  
 ჯაყფა არამარნანთავ ქაროყ` ხ ქ  
 ქხრნაქიქმანსა, ხ ძივიქლავ ვაყ-  
 საამჟ ვქისაორან მორჰმანსჩინ,  
 ხ ზიჯოჟ ჟაყფამ თხერ ნასთყანსქრ  
 ქანსიქიქმანსჩინ, ხ ვქოსანს ჟაძა-  
 ნსალ ზიჯთ` იჯ სასქალ საყნთავ ნა-  
 სათყანსქრ, ხ აწნაქსა ლამხესალ ყა-  
 ჯარქლ ვქაყფან:

ჩას ჟაყფაჟაყხანს იქნასკონო-  
 ქჩინს ჩანქესალ ჩ ქთავაორქსა ორაჟ`  
 ირომ ანთონ ჟრ ზხმხარქ. ვჩ  
 ვითორ ზიჯთა ჯასაჯაფიჯნ ხეხ ქხალ  
 ჟრ სოქთანსჩინ, იროქ ანთონ ჟრ მთ-  
 ვაყფან, ხ ჯანთონ ქარბანჩ თთხალ  
 ჟრ ზიჯთა ზანბასქ, რათ აქამ ყა-  
 თბათი ვორა თთაჟხალ ქთავაორქს  
 ორაჟ, ხ ქახსათასქანს ხეხალ ჩრ-  
მეორე მებობელი ხალხების დატყვევება გრძელდებოდა რაშიდ ად-დინის დროსაც. ერთ-ერთ წერილში რაშიდ ად-დინი საგანგებოდ უთვლის თავის ვაჟს, რუმის ჰაქიმ ჯალალ ად-დინს, რომ „რაკი მაგ მიდამოებში უამრავი ურწმუნო და ურიცხვი ცდომილია, ამიტომ [მათ წინააღმდეგ] სადღოთ ომში მეცადინეობა და გულისყური გამოიჩინეო“ (و چون در آن حدود کفار بسیار و اجتهاد نماید

(რაშიდ ად-დინის „მიმოწერა“, გვ. 82). ირანში გაბატონებული მონღოლებისათვის სწორედ მებობელი არამუსლიმანი ხალხების წინააღმდეგ „სადღოთ ომი“ უნდა ყოფილიყო ტყვე-მონების ხელში ჩაგდება მთავარი წყარო, რომლებიც შემდეგ იყიდებოდნენ მონათა ზარბეზში. — რაშიდ ად-დინს თავისი მონების დიდი ნაწილი ფულთა შეუძენია სხვადასხვა მხარეში (რაშიდ ად-დინის „მიმოწერა“, გვ. 18, 54 და შემდეგ). ა. ალი-ზადე ვარაუდს გამოსთქვამს, რომ ეს ტყვე-მონები, რომლებსაც მიწაზე სხამდნენ, შემდეგში, ყმა-გლეხები ხდებოდნენ. (А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв. Баку, 1956, გვ. 180).

<sup>10</sup> რაშიდ ად-დინის „მიმოწერა“, გვ. 53.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> რაშიდ ად-დინის „მიმოწერის“ გამომცემელი გვთავაზობს ორნაირ წაკითხვას: „კარაიიან“ — კარაუჯის მცხოვრებნი (ტუნისში) და „მერვიიან“ — მერვის მცხოვრებნი, მერველები (იხ. რაშიდ ად-დინის „მიმოწერა“ გვ. 14, შენიშვნა 5). პროფ. ი. პეტრუშევსკის მიაჩნია რომ უნდა იკითხებოდეს „კურდიიან“ — ქურთები. თუმცა ასეთი წაკითხვის სისწორეში არც ისაა სასაუბროთ დარწმუნებული (იხ. И. Петрушевский, Феодалное хозяйство Рашид-ад-дина... გვ. 101.)

<sup>13</sup> რაშიდ ად-დინის „მიმოწერა“, გვ. 53.



ამ საქმეში გაწაფული და დახელოვნებული მებაღე-მევენახე ქართველი გლეხები საგანგებოდ უნდა დაესაზღვებინა „რობ“-ე რაშიდის“ მიდამოებში.

„მიმოწერაში“ სხვაგანაც არა ერთხელაა საუბარი ახალი სოფლების შექმნასა და ხალხის დასახლებაზე. მაგალითად, დიარბექრის მოსახლეობისადმი მიწერილ წერილში ლაპარაკია მდინარე მოსულიდან სარწყავი არხის გაყვანასა და მის ორივე მხარეზე სოფლების შექმნა-დასახლებაზე<sup>14</sup>. აქაური მოსახლეობა, ძირითადად, დიდი და მცირე არმენიიდან, აგრეთვე, რუმიდან უნდა გადმოეყვანათ. მათი მთავარი მოსაქმეობა მემინდვრეობა უნდა ყოფილიყო, რადგან მათთვის თესლის მიცემასა და სათანადო ინვენტარის მიცემა-დარიგებაზეა ლაპარაკი<sup>15</sup>. სხვა წერილში რაშიდ აღ-დინი უკვე ჩვენთვის ნაცნობ ზოჯა ჯალალ აღ-დინს ისევ ავალებს არხების გაყვანასა და ახალი სოფლების შექმნას. ახლად შექმნილ ათი სოფლის მოსახლეობა მთლიანად რუმიდან უნდა ყოფილიყო მოყვანილი<sup>16</sup>.

ამრიგად, რაშიდ აღ-დინი, როგორც მისი „მიმოწერიდან“ ჩანს, ქმნის ახალ სოფლებს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავს მოსახლეობა, აშენებს ახალ ბაღ-ვენახებს, ვაკყავს სარწყავი არხები, მაგრამ, რაც მთავარია, ყველაფერი ეს კეთდება ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ასეა გათვალისწინებული საქართველოს ინტენსიური სოფლის მეურნეობა და შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქართველები რაშიდ აღ-დინის მეურნეობაში სწორედ იქ გვხვდებიან, სადაც ბაღ-ვენახების გაშენებასა და მოვლა-პატრონობაზეა ლაპარაკი.

საინტერესოა, რომ რაშიდ აღ-დინს მიწები საქართველოშიც ჰქონია<sup>17</sup>. ეს მიწები მოხსენიებულია ანდერძში, რომელიც შეუღდგენია სიკვდილის მომლოდინე რაშიდ აღ-დინს მძიმე ავადმყოფობის დროს. ეს ანდერძი რაშიდ აღ-დინს ას ცალად გადაუწერიანებია და დაუგზავნია თავისი თანამედროვე წარჩინებული პირებისათვის, რათა დაინტერესებულ მემკვიდრეებს თვითნებური შესწორება-გადაკეთება არ შეეტანათ შიგ. რაშიდ აღ-დინის ანდერძი მაშინ აღუსრულებული დარჩა მისი გამოჯანმრთელების გამო.

„მიმოწერიდან“ მოტანილი ცნობა არ გვაძლევს იმის საშუალებას ზუსტად დავადგინოთ, რა მოცულობის მიწას ფლობდა საქართველოში რაშიდ აღ-დინი. ანდერძში მოხსენიებულია 300 ფედანი მიწა, რომელსაც იგი თავის ვაჟს ფირ-სულთანს უტოვებს მემკვიდრეობით. მაგრამ ეს მიწები არაა თავმოყრილი ერთ ადგილზე, არამედ გაფანტულია სხვადასხვა ოლქებსა და ქვეყნებში. აქაა ჩამოთვლილი საქართველო და ჩრდილო არმენიის სხვადასხვა ოლქი, სადაც ფირ-სულთანის სამემკვიდრეო მიწები მდებარეობენ. ყოველ შემთხვევაში, სავსებით აშკარაა, რომ საქართველოში რაშიდ აღ-დინის კუთვნილი მიწები 300 ფედანზე ბევრად ნაკლები იყო.

რაშიდ აღ-დინს თავისი მიწების ერთი ნაწილი მონღოლ ილხანთაგან მიუღია სოიურღალის სახით, ერთი ნაწილი უყიდნია საკუთარი ფულით<sup>18</sup> და ნაწილიც გლეხებისაგან მიტოვებული მიწები ყოფილა, რომლებიც რაშიდ აღ-დინს აღუდგენია და გაუნაშენიანებია<sup>19</sup>. რომელ კატეგორიას ეკუთვნოდა რაშიდ აღ-

<sup>14</sup> რაშიდ აღ-დინის „მიმოწერა“, გვ. 244.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 246.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 233.

<sup>19</sup> იქვე.

დინის მიწები საქართველოში, ეს „მიმოწერიდან“ არა ჩანს. მხოლოდ ვარაუდობა შეიძლება გამოვთქვათ, რომ ნასყიდი უნდა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ საქართველოში მონღოლ ილხანთა ბატონობა ერთობ შეზღუდული იყო თავისი ფორმითა და შინაარსით. ისინი აქ უპირობო მბრძანებლობას ვერ ახორციელებდნენ, მით უმეტეს დასავლეთ საქართველოში. და, აქედან გამომდინარე, არც აქაური მიწების გაცემა შეეძლოთ სოიურღალის სახით. მსგავსი ფაქტები არ გვხვდება მაშინდელ წყაროებში, რაც, რასაკვირველია, საეკლესიო ბუნებრივად არის. გარდა ამისა, მეტად საეჭვოა რაშიდ ად-დინს აქ მიტოვებული და გაპარტახებული მიწები აღედგინა და ხელახლად გაენაშენიანებინა. მაშასადამე, უფრო სავარაუდოებელია, რომ რაშიდ ად-დინს საქართველოში საკუთარი ფულით ნასყიდი მიწები ჰქონებოდა.

საინტერესოა საქართველოს რომელ კუთხეში იყო განლაგებული რაშიდ ად-დინის მიწები. „მიმოწერა“ არ იძლევა ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ რაშიდ ად-დინი მიწათმოქმედების პროდუქტს ითხოვს როგორც თბილისიდან (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოდან), ისე აფხაზეთიდან (ე. ი. დასავლეთ საქართველოდან), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი მიწები განლაგებული ყოფილა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

რაშიდ ად-დინი დიდ შემოსავალს იღებდა თავისი მიწებიდან. მას სხვადასხვა ოლქიდან სხვადასხვა სახის პროდუქტს უგზავნიდნენ მეურნეობის ადგილობრივი დარგების მიხედვით. ხშირ შემთხვევაში თვითონ აძლევდა სათანადო შეკვეთას, თუ საიდან რა სახისა და რა რაოდენობის პროდუქტი გაეგზავნათ მისთვის. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელი ხდება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ მიწების მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც რაშიდ ად-დინი ფლობდა საქართველოში. ერთი რამ უეჭველია, რომ საქმე გვაქვს კულტურული მეურნეობის საწარმოებლად ვარგის დაუშვებულ მიწებთან. ეს იქიდან ჩანს, რომ რაშიდ ად-დინი ზაფრანის გაგზავნას რომ მოითხოვს რუმისა და მისი დასამხარი ქვეყნებიდან, იქვეა ნახსენები თბილისი და აფხაზეთიც, საიდანაც ხუთასი მანი ზაფრანი უნდა გაეგზავნათ მისთვის<sup>20</sup>. აქედან, სამასი მანი თბილისიდან და ორასი — აფხაზეთიდან.

ამ ცნობიდან ისიც შეიძლება დავასკვნათ, რომ რაშიდ ად-დინს აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტი მიწა უნდა ჰქონოდა, ვიდრე დასავლეთ საქართველოში.

საყურადღებოა, რომ რაშიდ ად-დინი ზაფრანის მოსავალს მოითხოვს სხვა ოლქებიდანაც. ასე, მაგალითად, განჯიდან 300 მანის ოდენობით<sup>21</sup>, ბაიბურთიდან 200 მანის ოდენობით<sup>22</sup> და ა. შ. მისთვის გასაგზავნი ზაფრანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაშიდ ად-დინს განჯაში მეტი მიწა ჰქონია ვიდრე ბაიბურთში. ხოლო რაკი ბაიბურთიდან და აფხაზეთიდან ზაფრანის თანაბარ ოდენობას მოითხოვს, მაშასადამე ბაიბურთის ოლქსა და დასავლეთ საქართველოში მიწებიც დაახლოვებით თანაბარი ჰქონია. ბაიბურთში, რაშიდ ად-დინს, მიმოწერის მიხედვით, 50 ფედანი მიწა ჰქონდა<sup>23</sup>. ამდენივე უნდა ჰქონოდა დასავლეთ და

<sup>20</sup> რაშიდ ად-დინის „მიმოწერა“, გვ. 207.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 207.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 226.

უფრო მეტი აღმოსავლეთ საქართველოში. თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ ასეთი ვარაუდი ძალზე მიახლოებითია, რადგან მარტო ზაფრანის მოსავალი, ცხადია, არ იკმარებს საქართველოში რაშიდ ად-დინის მიწების ზუსტი გასაზღვრისათვის.

რაშიდ ად-დინის „მიმოწერაში“, გარდა ჩვენ მიერ უკვე მოტანილ აქა-იკ გაბნეულ კანტიკუნტი ცნობებისა, ისეთი წერილიც გვხვდება, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხება. ასეთია, სახელდობრ, ფირ-სულთანისათვის გამოგზავნილი წერილი, რომლის ქართული თარგმანი აქვე მოგვყავს მთლიანად სპარსულ ტექსტთან ერთად:

مکتوب کہ بر فرزند خود پیر سلطان نوشته  
 است در آن وقت کہ حاکم گرجستان  
 بود در باب توجه بادشاه سعید بطرف شام  
 و سفارش رعیت آن طرف با مشار الیه کرده است  
 فرزند دلبنند بجان پیوند پیر  
 سلطان طالع عمره بدانند کہ نهضت  
 رکاب همایون و سدهٔ ایلخانی و حضرت  
 سلطانی بصوب دیار شام و مصر معطوف است  
 و جماعت امرای مغول منگوبوقا و هوکاجی  
 و قتلغ شاه و جیحایک و کیتبغا و ارهشی  
 و قمرمشی و طغان و تقی نویان و بقره نویان  
 با صد و بیست هزار مرد کارزار همه با  
 تیغهای آبدار و نیزهای خون خوار متوجه  
 گرجستان گشته تا یاسامشی جماعت عصاة  
 و زمرهٔ بغاة کہ در قلال جبال و لیم تلال  
 سینسون و ابخازو طرابزون متحصن گشته  
 اند فرمایند و همه را در ربقة بندگی  
 و اخلاص در آرند و بملاطیه از آب  
 فرات عبور کرده احشام شام را کہ در ولایت  
 لارنده چراگاه ساخته اند همه را طعمهٔ سیوف  
 و لقمهٔ حتوف سازند و جمع مخاذیل کہ از  
 جادهٔ وداد و منهج اتحاد بیرون رفته اند  
 دست تغاب و تسلط برایشان دراز کنند و  
 زرع آمال ایشان کہ در مزرعهٔ اقبال  
 بحد کمال رسیده است مجموع را بداس

წერილი გაგზავნილი თავისი შვილის ფირ სულთანისათვის, იმ დროს საქართველოს ჰაქიმი რომ იყო, სევედენიერი ფადიშაჰის [ყაზან ყაენის] სირიისაკენ გალაშქრებისა და ზემოთ: ხსენებული [ფირ სულთანისათვის] იქაურ რაიათებზე ზრუნვის დაკისრების თაობაზე

(ჩემმა) ძვირფასმა განუყრელმა შვილმა ფირ-სულთანი, ღმერთმა აღდგერძელს იგი, უწყოდეს, რომ სევედენიერი სულთან (ყაზან ყაენის) გალაშქრების სადავეები სირიისა და ეგვიპტისაკენ არის მიმართული. ხოლო მონღოლ ამირთა ჯამათი: მენგუ-ბულა, ჰუქაჯი, ყოთლოღმა, ჯიჯაქი, ქითბულა, ერმეში, ყურუმში, თოდანი, თაყი-ნოინი და ბაყრა-ნოინი საქართველოსაკენ გამოემართა ელვარე ხმლებითა და სისხლმოწყურებული შუბებით. შეიარაღებული ას ოცი ათასი მეომრის თანხლებით, სამსუნის, აფხაზეთისა და ტრაპიზონის მიუვალ მივებში გამაგრებულ ურჩი ხალხისა და ბილწი ბრბოს წესრიგში მოსაყვანად და მათთვის მონობისა და მორჩილების უღლის დასადგმელად. მერე მალათიაში ევფრატს გადალახაინ და სირიის ნახირს ერთთავად მახვილის კერძადა და ხმლების ლუქად აქცევენ ლარანდის ვილაიეთის საქოვრებზე. მეგობრობის გზასა და ერთობის შარას გადაცდენილ სულმდაბალ ბრბოს დაპყრობისა და მძლავრობის ხელს დარევენ და მათი იღბ-

ادبار و منجل خسار بدروند و آتش ظله  
 و فساد در انحاء و ارجاء بلاد ایشان بر  
 افروزند و تمامت اسقاع و ارباع آن  
 طایفه که نمونه از اجنات تجری من تحنها  
 الانهار تواند بود بها ویه هوان و آتش  
 احزان بسوزانند و خطاب با عتاب فقطع  
 دابر القوم الذین ظلموا و الحمد لله رب  
 العالمین بگوش هوششان رسانند و بغریو  
 کوس گوش کیوان که بر گوشه ایوان  
 آسمان ساکن است کر گردانند و بزفیر  
 نفیر و نفخ فی الصور دلیران رجال و  
 فحول ابطال احوال روز قیامت بدان جماعت  
 نمایند و چندان خون بر کره هامون بریزند  
 که خاک پاک با همه غزارت از حکم  
 طهارت بیرن شود و آب فرات با وجود  
 صفا از دماء اعداء مکدر گردد و به بندگی  
 حضرت در بلده حلب ملحق گردند می  
 باید که آن فرزند نگذارند که بر عجزه  
 و مساکین و رعایای تفلیس و ولایات  
 او ظلمی صریح و جورى فسیح رود و  
 اگر چنانچه امرای مغول از جاده عدالت  
 بسبب جذب منفعت خود یک سر موی  
 پای بیرون نهند اعلام ماکنند تا ما بوجه احسن  
 و طریقه اجمل بدفع ایشان مشغول گردیم  
 و چون امرای مذکور از ولایت آن فرزند  
 عبور فرمایند خود در اسراع اوقات و  
 اعجل ساعات با عساکر و احشام گرجستان  
 از راه بلده ماردين متوجه قلعه رها گشته  
 با سلطان ماردين و حسن کیف و ملوک  
 دیار بکر و امر ستای و امیر طخطاخ و  
 لشکر بغداد و خوزستان و فارس و لرستان  
 ملحق گردد و توقف نمایند تا رسیدن ما

ლის ყანაში მოსულსა და მოწეულ  
 იმედის მთელ მოსავალს უბედურე-  
 ბის ხელითა და მოსპობის ცელით  
 გაანადგურებენ. მათი ქვეყნის ქა-  
 ლაქ-სოფლებს ბოროტებისა და წარ-  
 ღვნის ცეცხლს მისცემენ, იმ ტომის  
 მთელ ადგილებს და ბრბოებს ქვეს-  
 კნელის დინებას გაატანენ, რომ ისი-  
 ნი ჯოჯოხეთის ცეცხლითა და მწუ-  
 ხარების კოცონით გადაბუგონ, ხო-  
 ლო მათი გონების ყურს ჩაასმინონ  
 ყურანის სიტყვები: „განადგურდეს  
 ურწმუნო ხალხი სახელითა ღვთისა,  
 ორივე ქვეყნის გამგებლისა!“ ქოსის  
 დგრიალით ცის ტატნობზე გადმო-  
 კიდებული სატურნის ყური დააყ-  
 რუთონ და გულადმა ვაჟკაცებმა და  
 შემმუსვრელმა წინამძღოლებმა იმ  
 ხალხს წარღვნის დღე მოუვლინონ  
 ბუკის ტკრციალითა და საყვირის  
 ღრიალით და იმდენი სისხლი უნდა  
 დაათხიონ, რომ უკიდევანო უდაბნო  
 ერთიანად შეიღებოს უზარმაზარ სი-  
 ვრცეზე. ხასხასა მიწას რომ შეღება-  
 ვენ და ევფრატის ანკარა წყალს  
 მტრის სისხლით აამღვრევენ, ალე-  
 პოში მისი უდიდებულესობის მონას  
 (ყაზან ყაენს) შეუერთდებოდნ.

იმ (ჩემმა) შვილმა არ უნდა დაუშ-  
 ვას, რომ თბილისისა და მისი ვი-  
 ლაიეთის მკვიდრებს, მცხოვრებლებ-  
 სა და რაიებს აშკარა ბოროტება და  
 განუკითხავი ძალადობა მიადგეთ.  
 მაგრამ, მიუხედავად ამისა, მონღო-  
 ლი ამირები თუ სამართლიანობის  
 გზას თუნდაც ერთი ბეწვით გადაუ-  
 ხვევენ პირადი სარგებლობის მიზ-  
 ნით, მყისვე ჩვენ შეგვატყობინოს,  
 რათა აღვეკეთოთ მათი საქციელი,  
 როგორც ქველმოქმედებასა და დიდ-  
 სულოვნებას შეეფერება.

ხოლო, როდესაც ხსენებული ამი-  
 რები იმ ჩემი შვილის ვილაიეთს გა-  
 დაივლიან, თვითონ, მყისვე და და-  
 უყოვნებლივ, საქართველოს ჯარითა  
 და საქონლით რაჰას ციხისაკენ გაე-

و حکومت گرجستان را بنایب خود خواجه  
معین الدین سعرتی تقویض کند مشر وظ  
برانک پیوسته باظهار معدت و اشاعت  
نصفت مشعوف و مشغول باشد و رعیت را  
بزراعت و عمارت مشغول دارذودر کنف  
راحت وظل استراحت ایشانرا بیوروند تا  
موجب استدمات دولت و استزادات حشمت  
ما گردد و سبب استحكام قوایم سریر سلطنت  
و دعایم قصور مملکت باشد و اَسْلَامُ عَلَی  
مَنِ اتَّبَعَ الْهُدَى

მართოს მარდინის გზით და მარდინის  
სულთანს, ჰასან ქეიტს, ამირ თახ-  
თახს და ბაღდადის, ხუზისთანისა და  
ფარსის ლაშქარს შეუერთდეს და  
ჩვენს მოსვლას დაელოდოს. საქარ-  
თველოს მმართველობა კი თავის  
ნაიბს ხოჯა მოინ ად-დინ საყირთის  
ჩააბაროს იმ პირობით, რომ ნიადაგ  
მართლმსაჯულების გამოვლენასა და  
სამართლიანობის დადასტოვების იყოს,  
ხოლო გლეხები ხვნა-თესვასა და მშე-  
ნებლობას აგრძელებდნენ და შვე-  
ბის კალთასა და მოსვენების ჩრდილ  
ქვეშ იყოლიონ, რათა სახელმწიფოს  
დღეგრძელობისა და ჩვენი ბრწყინ-  
ვალების მატების საფუძველი გახ-  
დეს, რაც სამეფო ტახტის გარშემო  
ხალხთა შემოკრებისა და ქვეყნის  
ციხე-სიმაგრეთა ბურჯების განმტკი-  
ვების საწინდარია. და მშვიდობა  
ყველა მართლმორწმუნეს!

წერილს თარიღი არ ახლავს, ამიტომ, მისი დაწერის დროს დადგენა შიგ  
აღწერილი ამბებისა და სხვა წყაროებში დაცული ცნობების მოშველიებით  
უნდა ვცადოთ.

ჩვენთვის რომ ცნობილი იყოს წერილში მოხსენიებული ფირ-სულთანის,  
როგორც საქართველოს ჰაქიმის, მოღვაწეობის რაიმე დეტალი მაინც, მაშინ  
წერილის დათარიღებაც შედარებით ადვილი იქნებოდა. წერილი გამოგზავნი-  
ლია რაშიდ ად-დინის ვეზირად ყოფნისას და ეგვიპტესა და სირიაში ყაზან  
ყაენის ერთ-ერთი ლაშქრობის წინ. ჩვენთვის კი ცნობილია, რომ ყაზან ყაენმა  
სამჯერ ილაშქრა სირიაში 1299—1303 წლებს შორის. დაიპყრო ალემო, დამას-  
კო და სხვა ქალაქები, მაგრამ საბოლოოდ ეს ქვეყნები მაინც ვერ დაიპყრო.

რაკი აღნიშნულ წერილში რაშიდ ად-დინი თავის შვილს საქართველოს  
ჯარით მონღოლთა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას ავალებს, ბუნებრი-  
ვია, წერილი მონღოლთა ერთ-ერთი აღნიშნული ლაშქრობის წინ უნდა ყოფი-  
ლიყო გამოგზავნილი 1299 და 1303 წლებს შორის.

მონღოლთა ლაშქრობებში საქართველოს ჯარის მონაწილეობა, რაც საქ-  
ართველოსა და მონღოლებს შორის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული,  
არა ერთხელ არის დამოწმებული ქართულ წყაროებშიც. საქართველოს საკ-  
მაოდ დიდი ლაშქრის გამოყვანა ჰქონდა შეკვეთილი<sup>24</sup> და ეს მოვალეობა, მონ-  
ღოლურ ხარკთან ერთად, მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას, რაც ხშირად  
აჯანყების მიზეზიც კი ხდებოდა ხოლმე<sup>25</sup>. ასეთი მოვალეობის მოსახდელად  
ახლდა ყაზან ყაენს ვახტანგ III სირიაში ლაშქრობის დროს, რაც ქართველ

<sup>24</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით  
ს. ყაუხჩიშვილის მიერ. II, თბ., 1950, გვ. 235, 315 და შემდეგ.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 235.

უამთაბლმწერელსაც აქვს მოხსენიებული, მაგრამ იგი არ მიუთითებს, მონაწილეობდა თუ არა საქართველოს ჯარი ყაზან ყაენის პირველსავე ლაშქრობაში. ივ. ჯავახიშვილს ამ ფაქტის დასადასტურებლად მოყვანილი აქვს აბულ-ფედას ცნობა, სადაც ქართველებთან ერთად სომხებიც არიან მოხსენიებული.

აღნიშნული მოვლენის შესახებ საინტერესო ცნობა მოეპოვება იმავე რაშიდ ად-დინს „ჯამი ათ-თავარიხში“ („ისტორიათა კრებული“). იგი დაწვრილებით აღწერს სირიაში ყაზან ყაენის ლაშქრობებს და ასახელებს ლაშქრობაში მონაწილე სარდლებსა და ხალხებს. ამ მხრივ ჩვენთვის ყველაზე საინტერესოდ გამოიყურება სირიაში პირველი ლაშქრობა, რომელიც 1299 წლის შემოდგომაზე დაიწყო და მომდევნო წელსაც გრძელდებოდა. სირიის ლაშქართან გადამწყვეტ შეტაკებაზე რომ მოგვითხრობს, რაშიდ ად-დინი დაწვრილებით აღწერს მონღოლთა ლაშქრის საბრძოლო წყობას და ჩამოთვლის ულუსთა მეთაურებს, რომელთა შორის დასახელებული არიან ის სარდლებიც, რომლებიც ჩამოთვლილია ფირ-სულთანისათვის გამოგზავნილ წერილში, სირიაში რომ უნდა წასულიყვნენ საქართველოს გავლით. მონღოლთა შორის ვხედავთ ყუთლუღმაჰს, ჯიჯაქსა და ყურუმიშის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აღნიშნულ ბრძოლაში<sup>26</sup>.

რაშიდ ად-დინის თხზულებაში დამოწმებულია ამ ლაშქრობაში ქართველების მონაწილეობაც. როდესაც მოგვითხრობს ერთ-ერთი ციხის გარემოცვის ამბავს, ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ყაზან ყაენმა აკრძალა მეომრების განუკითხავი თარეში და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯაო. მოლაშქრეებს წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალული ჰქონდათ ქალაქში შესვლა და სიარული.

ამავე დროს, ყაზან ყაენი ციხის იერიშისათვის ემზადებოდა, რისთვისაც საჭირო იყო მძიმე ლოდების სატყორცნელი მანჯანიყები. ყაზან ყაენის ბრძანებით, გარემომო ბაღებში მანჯანიყების გასაწყობად გამოსადეგი ხეების მოსაჭრელად, გაგზავნილ იქნენ მოლაშქრეები, რომლებსაც აგრეთვე აკრძალულ ჰქონდათ მოსახლეობის შევიწროება და ძარცვა-რბევა. ეს განკარგულება, რაშიდ ად-დინის ცნობით, დაურღვევიათ ქართველებსა და სომხებს, მათ დაურბევიათ და ტყვედ წაუყვანიათ ადგილობრივი მოსახლეობა. ეს რომ შეიტყო, ყაზან ყაენი სასტიკად განრისხდა და თავის სარდლებს უბრძანა, რომ სასწრაფოდ წასულიყვნენ, მოსახლეობა დაემშვიდებინათ და დამნაშავეები კი საკადრისად დაესაჯათ. ამასობაში მეომრებს ძარცვა-რბევა დაემთავრებინათ და ნატყვევენ-ნაძარცვით მიმალულიყვნენ. ისტორიკოსი ამბობს, რომ ქართველებისა და სომხების ბინებს ჩამოუარეს, ტყვეებს ართმევდნენ და ათავისუფლებდნენ<sup>27</sup>.

ამრიგად, სახეზე გვაქვს ყაზან ყაენის ლაშქრობაში სირიის წინააღმდეგ რაშიდ ად-დინის წერილში ჩამოთვლილი სარდლებისა და ქართველი ჯარის

<sup>26</sup> იხ. Фазлуллах Рашид-ад-дин, Джам-ат-товарих, т. III, составитель научно-критического текста на персидском языке А. А. Али-заде, Баку, 1957, სპარსული ტექსტი, გვ. 187, რუსული თარგმანი, გვ. 335.

<sup>27</sup> იქვე, სპარსული ტექსტი, გვ. 189, რუსული თარგმანი, გვ. 338. ქართველი ჯარის მონაწილეობა აღნიშნულ ლაშქრობაში დამოწმებულია, აგრეთვე, სომეხი ავტორების თხზულებებში, იხ. Армянские источники о монголах, Извлечения из рукописей XIII—XIV вв., перевод с древнеармянского, предисловие и примечания А. Г. Голетяна, М., 1962, გვ. 32—33, სებასტეცის „მატიანე“.

მონაწილეობის ფაქტი. ხოლო რაკი ეს ლაშქრობა 1299 წლის მიწურულს დაიწყო, ბუნებრივია, ლაშქრობის დაწყებამდე გამოგზავნილი წერილი საქართველოში უფრო ადრე უნდა მოსულიყო, ვთქვათ იმავე წლის გაზაფხულზე ან მის ახლო ხანებში.

თუ ჩვენს არგუმენტებსა და მსჯელობას სარწმუნოდ მივიჩნევთ და რაშიღ ად-დინის ცნობას სირიაში ყაზან ყაენის ლაშქრობის შესახებ, აგრეთვე, ჟამთააღმწერლის ცნობას იმავე ლაშქრობაში ვახტანგ III-ის მონაწილეობის შესახებ, სირიაში ყაზან ყაენის პირველ ლაშქრობად ჩავთვლით, მაშინ, შესაძლებელი გახდება მონღოლებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილე ქართველ-სომეხთა მხედრობის განსაზღვრა. საქმე ისაა, რომ რაშიღ ად-დინის „მიმოწერის“ ცნობით, ყაზან ყაენს თან 120 ათასი მეომარი მიჰყავს სირია-ეგვიპტეში სალაშქროდ. ჟამთააღმწერლის ცნობით, სირიაში მოლაშქრე ყაზან ყაენის ჯარების რიცხვი 130 ათასია („ათსამეტი ბევრი“<sup>28</sup>). მამასადამე, ყაზან ყაენს, გარდა მონღოლებისა, 10 ათასი სხვა მეომარიც ხლებია თან.

რაც შეეხება რაშიღ ად-დინის წერილში დამოწმებულ ცნობებს საქართველოს შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ მათი მნიშვნელობა საკმაოდ დიდია XIII—XIV საუკუნეთა მიჯნის საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების გასათვალისწინებლად.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მონღოლებს საქართველოში მეფობა არ გაუუქმებიათ, მაგრამ ადგილობრივი მეფის გვერდით მათ აქ ჰყავდათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან უშუალოდ დაკავშირებული მოხელეებიც. ისინი გადასახადების აკრეფასთან ერთად მეთვალყურეობას ახორციელებდნენ ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ასეთი მოხელეები საქართველოში ისე გულმოდგინედ მეთვალყურეობდნენ გადასახადების აკრეფის საქმეებს, რომ მეფის სამზარეულოსათვის ნაყიდ ცხვარსაც კი არ უშვებდნენ დაუბეგრავად<sup>29</sup>. მაგრამ ასეთ მოხელეებს საქართველოში ჰაქიმები არ ეწოდებოდათ, როგორც თავის ვაჟს უწოდებს რაშიღ ად-დინი. ფაქტია, რომ ფირ-სულთანი გარკვეულ მოვალეობას აარულებს საქართველოში, მაგრამ სახელდობრ რა თანამდებობა უნდა ჰქონოდა, ეს წერილის შინაარსიდან მკაფიოდ არ ჩანს. წერილში მოხსენიებული ჰაქიმი კი საქართველოსათვის საეჭვოა რომ გამართლებული იყოს. ასეთი მოხელეები ილხანთა სამეფო კარს იქ ჰყავდა, სადაც ადგილობრივი მეფეები არ არსებობდნენ და ეს ოლქები უშუალოდ იყვნენ შესული მათ სახელმწიფოში. ხომ არ იყო ფირ-სულთანი საქართველოში რაშიღ ად-დინის კუთვნილი მიწების გამგებელი? — ამ კითხვაზე, ბუნებრივია, პასუხს შემდგომი კვლევა-ძიება გაგვცემს.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, II გვ. 315.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 238.

ბენიამენ სილაბაძე

მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის  
ისტორიისათვის

(ქართველების ბრძოლა პალესტინის წმიდა ადგილების  
განთავისუფლებისათვის XIII—XIV საუკუნეებში)

საქართველო-ეგვიპტის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში ბევრია ისეთი საინტერესო საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ გულდასმით შესწავლას მოითხოვს. საკითხთა ასეთ რიგს განეკუთვნება ამ ორ ქვეყანას შორის XIII და XIV საუკუნეებში არსებული დამოკიდებულება, რომელიც ძირითადად პალესტინაში მაჰმადიანების მიერ მიტაცებულ ქრისტიანთა წმიდა სალოცავი ადგილების გასათავისუფლებლად ქართველების ბრძოლის საერთო ნიშნით ხასიათდება.

როგორც არაბი მემატინანე ბაჰა აღ-დინ იზნ შადადი<sup>1</sup> იტყობინება, ჯერ კიდევ 1192/3 წელს საქართველოს მეფეთ-მეფეს, უძლეველ თამარს თავისი ელჩები წარუვლენია ეგვიპტის მჰყრობელ სალაჰ აღ-დინ ალ-აიუბთან<sup>2</sup> და 200 ათასი დინარი შეუძღვია, რათა დაებრუნებინა ის ჯვარი, რომელიც მას 1187 წელს<sup>3</sup> იესოს ქალაქ იერუსალიმიდან წაუღია<sup>4</sup>.

შეასრულა თუ არა სალაჰ აღ-დინმა საქართველოს მეფის თხოვნა, ეს ჩვენს ხელთ არსებულ წყაროთა ცნობებიდან პირდაპირ არ ჩანს. ისე კი ირკვევა, ეს ელჩობა სასურველი შედეგით ვერ უნდა დამთავრებულყო. ამას გვაფიქრებინებს როგორც თ. უსპენსკის ცნობა, რომლის თანახმად აღნიშნული ჯვარი მუსლიმანებს მხოლოდ 1221 წ. უნდა დაებრუნებინათ<sup>5</sup>, ასევე ის ანგარიშგასაწევი გარემოებაც, რომ ქართველები ამ ელჩობის შემდეგაც უკმაყო-

<sup>1</sup> بهاء الدين ابو المحسن يوسف ابن شداد — ცნობილი ისტორიკოსი, დაიბადა 1145 წელს ქ. მოსულში. დიღხანს მსახურობდა სალაჰ აღ-დინის კარზე მოსამართლედ, გარდაიცვალა 1234 წელს. მის კალამს ეკუთვნის „სალაჰ აღ-დინის ბიოგრაფია“ — كتاب سيرة صلاح الدين (კაირო, 1317).

<sup>2</sup> სალაჰ აღ-დინი (სალადინი) ეგვიპტეს განაგებდა 1171—1193 წლებში.

<sup>3</sup> 1187 წლის ივლისში სალაჰ აღ-დინმა ჰიტინთან სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები, და დაიპყრო იერუსალიმი, ხელთ იგდო უამრავი ტყვე (მათ შორის იერუსალიმის მეფე გვილო დე ლუზინიანი) და დიდძალი სიმდიდრე. იზნ ალ-ასირის ცნობით, მას იერუსალიმიდან წაუყვანია დაახლოებით 16 ათასი ტყვე და მონებად დაურთიებია თავისი მეომრებისათვის (ابن الاثير، تاريخ)

.الكامل، ج— ١٥، ص— ٣٦٣—٣٦٤).

<sup>4</sup> А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой земле на Синае, СПб., 1888, 33. 49.

<sup>5</sup> Ф. И. Успенский, История крестовых походов, СПб., 1900, 83. 148.



ფილონი იყვნენ ეგვიპტის მბრძანებლის პოლიტიკით და სალაშქროდ ემზადებოდნენ, რის გარკვეულ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ ის აქტიური საომარი პოლიტიკა, რომელსაც საქართველო ახორციელებდა მაჰმადიანურ საამირო-სასულთნოების მიმართ სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ XIII ს-ის დასაწყისში. ბასიანში რუმის სულთნის რუქნ ად-დინის დამარცხების, ტრაპიზონის საკეისროს შექმნისა და არზრუმ-ყარსის დაკავების შემდეგ ქართველ ლაშქარს შეეძლო შეტევა განევითარებინა სამხრეთისაკენ და გაეთავისუფლებინა ეგვიპტის სულთნის საგამგებლოში მოქცეული ქრისტიანთა სალოცავი ადგილები. მაგრამ ამ რთული საქმის მოგვარება მოითხოვდა საქართველოს მთელი სამხედრო პოტენციალის დაბანდბას. რაც მხოლოდ მაშინ მოხერხდებოდა, თუ ქვეყნის უშიშროება სხვა მხრიდან გარანტირებული იქნებოდა. ამიტომაც ქართველ პოლიტიკურ მესვეურებს ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ლაშქრობისა და წმიდა ადგილების დაბრუნების საკითხი მანამდე არ დაუყენებიათ, სანამ საკუთარი ქვეყნის მეზობელ მაჰმადიან სამთავროებს (განჯა, არდებელი-ხლათი და სხვ.) არ გაუსწორდნენ. ამას კი ბევრი დრო დასჭირდა და მხოლოდ 1219 წელს, როცა საქართველოში შიგნითაც, ყმადნაფიცებთანაც და მეზობლებთანაც სრული მყუდროება იქნა დამყარებული<sup>6</sup>, შეიქმნა რეალური შესაძლებლობა ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებისა და წმინდა ადგილების განთავისუფლებისათვის.

ამ დროს საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელი იყო. ეგვიპტის სასულთნო ერთ პოლიტიკურ ერთეულს აღარ წარმოადგენდა. ის სალაჰ ად-დინის ძმისშვილებს ჰქონდათ დანაწილებული: ქაშილი მართავდა საკუთრივ ეგვიპტეს, მუაჰზამ ისა — დამასკოს, აშრაფ მუსა — ალ-ჯაზირს და სალაჰ ად-დინის მემკვიდრენი — ალექს<sup>7</sup>.

ეგვიპტის ასეთი მდგომარეობით ისარგებლეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა და მოაწყეს მორიგი „ჯვაროსნული ლაშქრობა“. ეს (რიგით მეხუთე) ლაშქრობა (1217—1219) მიზნად ისახავდა ეგვიპტის დაპყრობას და იერუსალიმის განთავისუფლებას, რაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოს მეფესაც.

საქართველოს ლაშქარზე დიდ იმედს ამყარებდნენ ჯვაროსნები. ეს აშკარად ჩანს რომის პაპის, ჰონორიუსის მიერ ლაშა გიორგის სახელზე გამოგზავნილი ცნობილი ეპისტოლედან, რომლითაც ის „საქართველოს მეფეს სთხოვდა თავისი ძლევაშისილი ჯარითურთ მონაწილეობა მიეღო მაჰმადიანთა წინააღმდეგ პალესტინის გასათავისუფლებლად კვლავ განზრახულს ჯვაროსანთა ომში“<sup>8</sup>.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ლაშა გიორგის რაინდული სულისკვეთებისათვის ეს წინადადება იმდენად მომხიბლავი გამოდგარა, რომ იგი მაშინვე სალაშქროდ მომზადებულა<sup>9</sup>. მაგრამ საქართველოში 1220 წელს ჯათარ-მონღოლთა გამოჩენამ ვითარება არსებითად შეცვალა და ეგვიპტელთა წინააღმდეგ გამიზნული ლაშქრობა მთელი ორმოცი წლით გადაიდო. მაშინ კი აღარც ლაშა გიორგი იყო ცოცხალი და აღარც დამოუკიდებელი საქართველოს სამეფო არსებობდა. საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშ იყო, ილხანთა ვასა-

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1941, გვ. 3.

<sup>7</sup> Л. А. Семенова, Салах ад-дин и мамлюки в Египте, М., 1966, გვ. 22.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 3.

ლად ითვლებოდა და ქართველი მეფენიც ამიერიდან, თუ ყოველთვის არა, ხშირად შემთხვევაში მიანიც, მათი ნება-სურვილის აღმასრულებელს წარმოადგენდნენ; მათთან ერთად გამოდიოდნენ ბრძოლებში როგორც სხვა მტრების, ისე ეგვიპტის წინააღმდეგაც.

ყამთააღმწერელის ცნობით, ერთ-ერთ ასეთ ლაშქრობას ადგილი ჰქონია 1258—1259 წელს: „მას ყამსა ინება ყაენმან ულო (ჰულაგუმ — **ზ. ს.**) ამხედრება ეგვიპტეს ზედა და მოუწოდა მეფესა დავითს ყოვლითა სპითა მისითა და წარვიდა ბრძოლად სულტნისა. მიიწია შუა მდინარედ და იწყო ოხრებად ყოველსა შუამდინარესა (ე. ი. მესოპოტამიისა. — **ზ. ს.**) და შამსა (სირია) და ვითარ ესმა სულტანსა ეგვიპტისასა აღმხედრდა წინაგანწყობად თათართა და მოიწია მდინარესა ზედა ეფერატსა... იქმნა ომი ძლიერი, სადაიგი — დავით მეფე და სპანი მისნი წინამბრძოლობდეს ძლიერად. და მოსწყდეს ორგნითვე და იგლტოდეს მეგვიპტელნი. (ხოლო შემდეგ ამისა) მეფე დავით და ქართველნი იაჯნეს ყაენისაგან წარმოსლესა, რამეთუ მრავლით ყამითგან იყვნენ ლაშქრობათა შინა... ყაენმან მისცა თავისუფლება და წარმოემართნეს... ურიცხვითა... აღუფითა გამდიდრებულნი და მოვიდეს მუნით ტვილისად“<sup>10</sup>.

ამის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებულება ეგვიპტის მიმართ რამდენადმე შეიცვალა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1259 წლის აჯანყებამ და მის მერე შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ.

როგორც ვიცით, თათარ-მონღოლთა ბატონობის უღელი, რომელიც ხალხს ედგა კისერზე, დამპყრობთა აღვირახსნილი მოქმედებით (ხშირი ომებით, ძარცვა-რბევით, უზომო გადასახადებით, გადასახადების ამკრეფ მოხელეთა უდიერი ქცევით) დროთა განმავლობაში იმდენად დამძიმდა, რომ ბოლოს აუტანელი გახდა. ამან მოთმინებიდან გამოსული მოსახლეობის საყოველთაო აჯანყება გამოიწვია. აჯანყების მეთაურობა თავს იდო მეფე დავით ნარინმა რუსუდანისძემ. 1259 წელს მან უკუაქცია აჯანყებულთა დასამორჩილებლად წამოსულთა არღუნ ნოინის ლაშქარი, მაგრამ იმის გამო, რომ აჯანყება სტიქიური ხასიათისა იყო და მასში მონაწილეობას არ იღებდნენ ლაშა გიორგის ძე დავით ულუ და მისი მომხრე ქართველები, ნარინმა მონღოლთა ლაშქრის დამარცხება ვერ შესძლო. ამიტომ შემდეგ უარი თქვა ტყუილუბრალო სისხლის ღვარზე და, რაკი აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა შიშით აღარ ედგომებოდა, ლისხ იქით გადავიდა. იქ მან ჯერ მდგომარეობა განიმტკიცა, მერმე ჰულაგუსათვის ხარკის გადახდაზეც უარი თქვა და ამით დასავლეთ საქართველო ილხანებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გამოაცხადა; ამასთან, მონღოლთაგან მოსალოდნელი თავდასხმის დროს, რომ მტრის პირისპირ მარტო არ ყოფილიყო, მოკავშირის ძებნაც იწყო. ასეთად კი მას მაშინ ოქროს ულუსიც გამოადგებოდა და ეგვიპტის სასულთნოც, რადგან ორივე ილხანთა წინააღმდეგ მტრულად იყვნენ განწყობილი. ამიტომ დავით ნარინიც სწორედ ამ სამეფოებთან დაახლოების გზას დაადგა და ეგვიპტის სულთანს თავისი დესპანები აახლა.

არაბი ისტორიკოსის, აბუ-ლ-აბბას აჰმად თაკი ად-დინ ალ-მაკრიზის (1364—1442) ცნობით, ქართველი მეფის ელჩები დიდძალი საჩუქრებით სულთან ბაიბარსის კარზე პირველად 1265 წლის ივნის-ივლისში (663 წ. რამადანის თვეში ჰიჯრით) გამოცხადებულან<sup>11</sup>. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს,

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 235—236.

<sup>11</sup> *Histoires des sultans Mamlouks, de L'Egypte, ecrite en arabe par Taki—addin—Ahmed Makrizi* (არაბულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა და ფილოლოგიურ-ისტორიულ-გეოგრაფიული შენიშვნები დაურთო M. Qatremier-მა), Paris, MDNCCCXL (1840), t. I, გვ. 18.

„სულთანს ეს გარემოება, უეჭველია, გაახარებდა, რადგან მისთვისაც სასურველი იყო, რომ ჰულაგუ ყანის მოწინააღმდეგე მისი მოკავშირე ყოფილიყო“. ირანის ილხანი ხომ „მისი სამფლობელოს დაპყრობა-დაპატრონებასაც ლამობდა“<sup>12</sup>. ეს მოსაზრება რომ სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს, ამის ერთგვარი დადასტურებაა ალ-მაკრიზის ერთი ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ 1268 წლის მაის-ივნისში (666 წ. რამადანის თვეს ჰიჯრით) ქართველი ელჩები კვლავ სწვევიან კაიროს და ბაიბარსისათვის მეფის წერილი მიუერთმევიათ<sup>13</sup>.

იმ დროს, როცა ფაქტიურად ორ სამეფოდ გაყოფილი საქართველოს დასავლეთი ნაწილი დავით რუსუდანის ძის ინიციატივით ეგვიპტესთან დაახლოების პოლიტიკას ადგა, აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ლაშა გიორგის ძე დავით ულუს ეჭირა და ილხანის ვასალურ სამფლობელოს წარმოადგენდა, ისევ წინანდებურად იქცეოდა — ყაენის „ძალდატანებით“ ეგვიპტის სულთნების წინააღმდეგ მოქმედებას განაგრძობდა.

1260 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ჯარი ჰულაგუს ლაშქართან ერთად ეგვიპტის არმიას უტევდა და ბირველ ხანებში გარკვეული წარმატებაც ჰქონდა, მაგრამ 3 სექტემბერს, ნაბლუსის ახლოს, „აინ ჯალუდთან“ (ცივი წყარო) გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში მონღოლებიც და ქართველებიც სასტიკად დამარცხდნენ<sup>14</sup> და უკუიქცნენ<sup>15</sup>.

ეს სამხედრო მოქმედება ა. ცაგარელს 1258 — 1259 წლების ლაშქრობის უშუალო გაგრძელებად მიაჩნია და ვარაუდობს, რომ თათარ-მონღოლთა ლაშქრობის მხარდამხარ მოქმედ ქართველთა ჯარს როგორც წინათ (1258 წელს), ისე ახლაც (1260 წ.) ლაშა გიორგის ძე დავით ულუ წინამძღოლობდა<sup>16</sup>, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. ნამდვილად, არც 1258—1259 და 1260 წლების ბრძოლები მომხდარა ერთი ლაშქრობის დროს და არც დავითი შეიძლება ყოფილიყო მონღოლთა მიერ ეგვიპტის წინააღმდეგ მოწყობილი 1260 წლის ლაშქრობის მონაწილე. ამ დასკვნამდე მივყავართ ჟამთააღმწერელის ცნობებს და ამ ცნობათა სინამდვილის დამადასტურებელ სხვა მასალებს.

ქართველი მემატიანის მიხედვით, მესობოტამიის ლაშქრობიდან „ურიცხვითა... ალაფითა“ თბილისს დაბრუნებულ მეფე დავით ულუს მეორე ცოლი „ნათესავით ოსის“ ასული ალთუნი შეუერთავს. მცირე ხანში მასთან შესძენია ვაჟი გიორგი და ასული თამარი. მერმე „ფრიალ ქმნელ-კეთილი“ ალთუნი განუშორებია. ამის შემდეგ გარდაიცვალა ულუსიდან მოყვანილი მეუღლე, დედოფალი ჯიგდა-ხათუნი, და დავით მეფე მიღის „ულო ყაენის წინაშე მულანს,

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

<sup>13</sup> Makrizi, დასახ. ნაშრომი, გვ. 342. შდრ. ა. ცაგარელისა და ივ. ჯავახიშვილის ცნობებს (А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89).

<sup>14</sup> Фазлуллах Рашид ад-дин, Джами-ат-таварих, Баку, 1957, გვ. 52; А. Мюллер, История ислама, СПб., 1896, т. III, гв. 263; Б. Куглер, История крестовых походов, СПб., 1895, гв. 404; А. А. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 24; Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII веках, М. 1959, гв. 187.

<sup>15</sup> ამიტომ არ უნდა იყოს მართალი ჟამთააღმწერელი. როცა ის ამ ბრძოლის შესახებ ამბობს: „ამას შინა მოვიდა ყაენი ულო განმარჯვეუბლი ბრძოლისაგან სულტანისა მეგვიპტელისა, რამეთუ სძლო მათ და აოტნა“-ო (ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოცემა, ტ. II, გვ. 239).

<sup>16</sup> А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

რამეთუ იგი აქუნდა სადგურად საზამთროდ, და მიერ წარმოჰყვა სადგურსა საზაფხულოსა (თავრიზს. — ბ. ს.) და მუნით წარმოავლინა მეფე ქართლად, რათა მზა იყოს მეფე ლაშქრად ეგვიპტესა, რომელ არს მისრეთი“<sup>17</sup>.

ჰულაგუ ყაენის მიერ ქართლში გამოგზავნილი ულუ დავითი ავაგ ათაბაგის ქვრივ გუანცაზე დაქორწინდა, ლაშქრის შეგროვებას შეუდგა და, როცა ამას მორჩა, „შემდგომად ამისა ინება ყაენმან ამხედრება სულტანსა ზედა მისრეთისასა და ...მოუწოდა მეფესა დავითს და სპასა მისსა წარსვლად ეგვიპტედ“<sup>18</sup>.

მეფემ ისმინა ეს მოწოდება, მაგრამ მის მთლიანად შესრულებაზე უარი თქვა. მან მხოლოდ ჯარი გაუგზავნა ყაენს, თვითონ პირადად კი არ ისურვა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება, არამედ „წარვიდა განდგომად და მოუწოდა სარგოს ჯაყელს ციხისჯუარელსა, რომელსა აქუნდა პატივი სამცხისა სპასალარობისა და ეზრახა, რათა განუდგენენ ყაენს“<sup>19</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ არც ის ჩანს, რომ 1258 წელს მოწყობილი ლაშქრობა 1260 წლამდე გაგრძელებულა და არც ის, რომ 1260 წლის ლაშქრობაში მონაწილე ქართველთა ჯარს დავით VII სარდლობდა. პირიქით ირკვევა, ჯერ ერთი, ის, რომ 1260 წლის ლაშქრობა იყო 1258 წლის ლაშქრობისაგან სრულიად დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაცია<sup>20</sup>, რომელიც წინა ლაშქრობის დამთავრებიდან სულ მცირე ერთნახევარი-ორი წლის შემდეგ დაწყებულია (გვიან გაზაფხულზე თუ ზაფხულში) და, მეორე, რომ ეს ლაშქრობა ჩატარებულა დავითის მონაწილეობის გარეშე.

აღმოსავლეთ საქართველოს ჯარის მონაწილეობამ მონღოლებთან ერთად ეგვიპტის სულთანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მდგომარეობა გაუუარესა დასავლეთ საქართველოს. დავით ნარინის გულწრფელობა ეგვიპტის გამგებელმა ბაიბარს ბუნდუქდარმა (1260—1277) თვალთმაქცობად ჩათვალა და საქართველოს ორივე ნაწილისადმი მტრულად განეწყო. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ის, რომ იბნ ქასირის ცნობით, მის ღროს (სხვა ცნობით კი კალაუნის ვაჟის, სულთან ნასირ მუჰამადის ზეობისას — 1277—1279 წწ.)<sup>21</sup>, იერუსალიმის ახლოს მღებარე ჯვარის მონასტერი ჩამოერთვათ ქართველებს<sup>22</sup> და, როგორც აღ-აინი ამბობს, გადაკეთდა მეჩეთად<sup>23</sup>. ქართველებს აეკრძალათ ქრისტიანთა წმიდა ადგილებში ჩვეულებრივი წესით სიარული და ცხენ-სახედარზე ისე უნდა მსხდარიყვნენ „ვითარცა დიაცნი“, ე. ი. ცალ მხარეს ფეხებ-ჩამომეგებულნი.

ეს იყო ერთობ დამამცირებელი, დამცინავი და სამარცხვინო სასჯელი, რასაც, ცხადია, საქართველოში მშვიდად ვერ შეხვდებოდნენ. ის ქართველებს

<sup>17</sup> უამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 236—237.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 237—238.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 239.

<sup>20</sup> ეს ჩანს ა. პოლერის ნაშრომიდანც (იხ. История ислама, СПб., 1896, т. III გვ. 253, 260—261).

<sup>21</sup> А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

<sup>22</sup> ეს მონასტერი ქართველებს ჩამოერთვათ ბაიბარს ბუნდუქდარის ღროს (იხ. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 35—42).

<sup>23</sup> Weil Gustav, Geschichte der Chalifen, B. IV, geschichte des Abbasiden chali-fats in Egipten, Stuttgart, 1860, B. I, გვ. 268—269; А. Цагарели, დასახ. ნაშრომი 96; ა. მენტეშაშვილი, საქართველოს და ეგვიპტის ისტორიის ურთიერთობიდან, ყურნ. „დროშა“, თბ., 1958, № 9, გვ. 18.

ახალი ბრძოლებისაკენ უხმობდა და მართლაც, როგორც ცნობილია, ისინი ამის შემდეგ კიდევ უფრო ფართო მასშტაბითა და მეტი აქტივობით მონაწილეობდნენ ილხანთა ლაშქრობებში ეგვიპტის მიმართ<sup>24</sup>. ასე მაგალითად, 1277 წელს აბაღას მიერ მოწყობილი ლაშქრობისას სულთან ბაიბარს ბუნდუკდარის არმიის წინააღმდეგ მონღოლებთან ერთად თავდადებით იბრძოდა 3000 ქართველი. 1280 წელს, როცა მანგუ-დემურმა „ასურეთის“ დალაშქვრა ისურვა, მის ჯარში, რომელიც 50000 მეომრისაგან შედგებოდა, 30000 იყო ქართველი, სომეხი და ბერძენი. ხოლო 1281 წელს კი დარბუზაყ-ამასიის (პიმსის) ბრძოლებაში 25000 მონღოლის გვერდით იდგა და სულთან მანსურ საიფ ად-დინ კალაუნის (1279—1290) მამლუქთა არმიას ერყინებოდა 5000 ქართველი მუფე დემეტრე II-ის (1273—1289) წინამძღოლობით<sup>25</sup>.

როცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ლაშქრობებზე და მათში ქართველთა ჯარის მონაწილეობაზე მსჯელობენ, ჩვეულებრივ მიუთითებენ, რომ ქართველების ბრძოლა ეგვიპტის სულთნების წინააღმდეგ ხდებოდა „მონღოლთა მძლავრობით“<sup>26</sup>. ეს ძირითადად მართალია. მონღოლთა ძალადობით ქართველებმა ბევრი სისხლი ღვარეს, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ეგვიპტის გამგებლებთან მათი ბრძოლა საკუთარი ინტერესებიდანაც გამომდინარეობდა. საქმე ისაა, რომ ქართველები ცდილობდნენ მამლუქი სულთნების მიერ მიტაცებული პალესტინის წმინდა ადგილების, კერძოდ კი ჯვარის მონასტერის დაბრუნებას და იქ თავიანთი კანონიერი უფლებების აღდგენას, მაგრამ ამისთვის საკუთარი ძალა არ ჰყოფნიდათ: ამიტომაც ისინი გამოდიოდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ მებრძოლ ირანელ მონღოლებთან ერთად სალაშქროდ და ამით, თუ ერთის მხრივ ილხანის ბრძანებას ასრულებდნენ, მეორეს მხრივ თავის საქმესაც იკეთებდნენ. სულთნის დამარცხებისა და სირია-პალესტინის განთავისუფლების შემთხვევაში ქრისტიანთა სალოცავი ადგილები მათ უნდა დარჩენოდათ. ამაზე შეიძლება წინასწარი პირობაც კი ჰქონდა მიცემული ყაენს მათთვის. ყოველ შემთხვევაში ეს რომ გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო, ჩანს 1299 წლის ამბებიდან, კერძოდ ყაზან ყაენის (1295—1304) მიერ ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობიდან, რომელშიც სხვებთან ერთად ქართველი ჯარიც ღებულობდა მონაწილეობას ვახტანგ III-ის (1301—1307)<sup>27</sup>

<sup>24</sup> ეგვიპტელთა წინააღმდეგ ყველაზე თავგამეტებით იბრძოდნენ მუფე დემეტრე II და მისი ვაჟი ვახტანგ III-ო, აღნიშნავს თაკი აღინ აჰმად ალ-მაკრიზი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 118 და ტ. II, ნაწ. I, გვ. 56. აგრეთვე ა. ცაგარელის დასახ. ნაშრომი, გვ. 54).

<sup>25</sup> უამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 270—271, 279—280; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

<sup>27</sup> ვახტანგ III-ის მეფობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ა. ცაგარელი მისი მეფობის თარიღად სდებს 1301—1307 წლებს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 53). ქართველ მეფეთა გენეალოგიურ სიაში, რომელიც ერთვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკ. დამდეგამდე. თბ. 1943 წ.) მითითებულია, რომ იგი მეფობდა 1302—1308 წლებში, ხოლო თ. ლომოურისა (იხ. მისი „დავით VII-ისა და ვახტანგ III-ის ფილები“, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XV—, გვ. 63—80) და ე. მეტრეველის (იხ. მისი „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, თბ. 1962, გვ. 42) მიხედვით კი ვახტანგს უმეფნია 1298—1308 წლებში. მაგრამ, ჩვენი აზრით, ვახტანგ III-ის გამეფება 1298 წელს კი არა, ცოტა უფრო გვიან (1299 წ.) უნდა მომხდარიყო, რადგან ცნობილია, რომ მისი გამეფებით შეწყდა გიორგი V-ის მეფობის პირველი პერიოდი. ეს უკანასკნელი კი 1299 წელსაც თბილისის მეფედ იხსენიება.

წინამძღოლობით. როგორც ცნობილია, ეს ლაშქრობა, რომელიც ნოემბერში დაიწყო, სულთან ნასირ მუჰამადის (1293—1294, 1299—1309, 1310—1341) ჯარის დამარცხებით დამთავრდა. მონღოლებმა დაიკავეს ქალაქები: ჰიმსი, იერუსალიმი. დამასკო<sup>28</sup> და გადასცეს ისინი ქართველებს<sup>29</sup>.

მართალია, აბუ-ლ-ფიდას ცნობით, ქართველებს ეს ადგილები მალე (1300 წ.) დაუკარგავთ<sup>30</sup>, მაგრამ თვით ფაქტი ქართველთათვის ამ ადგილების ჩაბარებისა თავისთავად მეტყველებს როგორც იმაზე, რომ ქართველებსა და მონღოლებს შორის სამისო წინასწარი შეთანხმება უნდა ყოფილიყო. ასევე იმაზეც, რომ ქართველები თავიდანვე დაინტერესებული იყვნენ თავიანთი წმიდა სალოცავი ადგილების ბედით, ამ ადგილებზე საკუთარი უფლებების აღდგენით და ამიტომაც აქტიურად მონაწილეობდნენ მონღოლთა ლაშქრობებში, რათა მათი დახმარებით მიეღწიათ დასახული მიზნისათვის.

მამასადამე, ქართველებს ეგვიპტის სულთნების მიმართ, სხვათაშორის, საკუთარი პრეტენზიებიც ჰქონდათ და თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ქართულ ისტორიოგრაფიაში დასმული კითხვა — „რა ჰქონდა საქართველოს ეგვიპტის სულთნებთან საბრძოლველი“<sup>31</sup> — მოიხსნება.

საქართველო ეგვიპტესაგან ითხოვდა წმიდა ადგილების დაბრუნებას და ჯვარის მონასტრის მიტაცების შემდეგ ქართველების მიმართ დაწესებული უფლებრივი სასჯელის გაუქმებას, რასაც ბოლოს კიდევაც მიაღწია, მაგრამ არა სამხედრო თავდასხმებით — ომებით, არამედ მშვიდობიანი, დიპლომატიური მოლაპარაკების გზით. ამ გზას კი იგი დაადგა გვიან, XIV ს-ის დასაწყისში, როცა 1301—1303 წლებში სულთნის არმიამ სამჯერ ზედიზედ დაამარცხა ყაზან ყაენისა და ვახტანგ III-ის შეერთებული ლაშქარი და საქართველო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ილხანებს არ შესწევდათ ძალა ეგვიპტის ტერიტორიის, კერძოდ კი სირია-პალესტინის დაპყრობისა. ამ დროიდან საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიაში იწყება ახალი ხანა, ხანა მშვიდობიანი და კეთილი დამოკიდებულებისა, რომლის ინიციატორად გვევლინება საქართველოს მეფე. მან გაგზავნა ქართველი ელჩები კაიროს და სულთანს ჯვარის მონასტრის დაბრუნება სთხოვა.

ა. ცაგარლის მიხედვით, ეს ელჩობა 1305 წელს უნდა ყოფილიყო<sup>32</sup>, ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის მიხედვით კი გაცილებით უფრო გვიან (1320 წელს). გიორგი V ბრწყინვალის დროს<sup>32</sup>. ივ. ჯავახიშვილი პირდაპირ ამბობს, რომ „გიორგი ბრწყინვალემ... ეგვიპტის სულტანს თავისი დესპანები გა-

<sup>28</sup> ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 315—316; Hammer Purgstall, Geschichte der Ilkhanen, 1842, B. II, გვ. 86—96, 106—129.

<sup>29</sup> А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 53—54; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

<sup>30</sup> من كتاب المختصر في أخبار البشر... تأليف الملك المؤيد عماد الدين إسماعيل أبي الفداء الطبعه الاولى بالمطبعة الحسينية المصرية، الجزء الرابع، ص ٤٢—٤٣

<sup>31</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

<sup>32</sup> А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

<sup>32</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174—175; ნ. ბერძენიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ (საქართველოს ისტორია დამხმ. სახელმძღვ. წ. I, თბ., 1958, გვ. 251). ამ მოსაზრებას იცავენ აგრეთვე ა. მენთეშაშვილი (იხ. მისი დასახ. ნაშრ. გვ. 18) და ნ. კანდელაკი (იხ. მისი—ქართული საელჩო მჭერმეტყველება, თბ., 1966, გვ. 131—133).

უგზავნა და წართმეული ჯვარის მონასტრის ქართველებისადმი დაბრუნებას სთხოვა... მას „აგრეთვე“ უნდოდა, რომ პალესტინაში ქრისტიანთათვის მაჰმადიანთაგან დაწესებული... ყოველნაირი შევიწროებაც მოსპობილიყო და მათი მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ამიტომ... თავის დესპანებს დაავალა ჯერ კონსტანტინეპოლში შეეარნათ და მისი წადილი და ცდა ეცნობებინათ. ეტყობა, მას უნდოდა, რომ ქრისტიანთა ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების მისს ასეთ ცდაში ბიზანტიის კეისარსაც მიეღო მონაწილეობა, რისთვისაც კიდევაც მიუღწევია. „ამ ამბის გაგებისთანავე, საქართველოს დესპანებთან ერთად კეისარს თავისი დესპანებიც გაუყოლებია თან“<sup>33</sup>.

რაკი აქ ნათქვამია, რომ სულთანს დესპანები გიორგი ბრწყინვალემ გაუგზავნა და წართმეული ჯვარის მონასტრის დაბრუნება სთხოვაო, ცხადია, ეს ელჩობა 1314 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამიტომ ა. მენტეშაშვილიც, რომელიც აგრეთვე ეხება ამ ელჩობას, წერს: „გიორგი ბრწყინვალეს ჯვარის მონასტრის თაობაზე განსაკუთრებული მიმოწერა ჰქონია ეგვიპტის მაშინდელ სულთანთან. ქართველთა მეფე სთხოვდა ეგვიპტის სულთანს, დაებრუნებინა ქართველთათვის წართმეული ჯვარის მონასტერი (ხაზი ჩვენია — ბ. ს.), რომელიც მუსულმანებს მეჩეთად გადაექციათ“<sup>34</sup>.

როდესაც ხვ. ჯავახიშვილი, აგრეთვე ა. მენტეშაშვილი და ნ. კანდელაკი მუსლიმანთა მიერ ჯერ კიდევ 1273 წელს მეჩეთად გადაკეთებული ჯვარის მონასტრის დაბრუნება-აღდგენას გიორგი ბრწყინვალის მეფობის (1314—1346 წწ.) დროს მომხდარ ამბად მიიჩნევენ, ისინი არაბი მწერლის ალ-უმარისა (1301—1348) და ქართული წყაროს (კერძოდ, მწიგნობარ ავგაროზ ბანდაისძის ხელით XIV ს-ის მეორე ნახევარში შედგენილ „ძეგლი ერისთავთას“) ცნობებს ეყრდნობიან. მაგრამ არც ალ-უმარისა და არც ქართველ მემკვიდრეთა ცნობებით ეს არ დასტურდება. პირიქით, მათ ცნობებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ზემოხსენებული ელჩობა წინ უსწრებდა გიორგი ბრწყინვალის მიმოწერას ეგვიპტის მამლუქ გამგებელ სულთან მალიქ ნასირ მუჰამადთან. ამ დასკვნამდე მიეყვართ სხვა მაჰმადიან მწერალთა ცნობებსაც. მაგალითად, ასირიელი მემკვიდრე ბადრ აღ-დინ აღ-აინის (1361—1451) ცნობით, რომელსაც ა. მენტეშაშვილიც იცნობს<sup>35</sup>, 1305/6 (705) წელს ეგვიპტის მბრძანებლის კარზე მივლენილი ქართველი მეფის ელჩები კონსტანტინოპოლს მისულან. კეისარ ალ-აშქარის (ანდრონიკე II) თავისი ელჩებიც მოუშადადებია და ისინი ეგვიპტისაკენ ერთად გაუსტუმრებია. ელჩები ჯერ ზღვით ალექსანდრიაში მისულან, იქედან კი ხმელეთით კაიროსაკენ წასულან და სულთანს სწვევიან. მათ თან ჰქონიათ წერილი, რომელიც შეიცავდა თხოვნას იმის შესახებ, რომ ამ სულთანს ქართველებისათვის დაებრუნებინა იერუსალიმის „მუსალაბი“, ე. ი. ჯვარის მონასტერი, რომელიც დიდხნის წინათ წაართვეს მათ მაჰმადიანებმა და მეჩეთად გადაკეთეს<sup>36</sup>. ასეთივე ცნობას ვხვდებით ალ-მაკრიზისთანაც. მის მიხედვითაც, ქართველი მეფისა და კონსტანტინოპოლის იმპერატორის ელჩები კაიროს სწვევიან

<sup>33</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174—176.

<sup>34</sup> ა. მენტეშაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 18.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> В. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах, „Записки Восточного отделения русского археологического общества“, СПб., 1886, т. I, вып. III, гв. 212—213.

705 წელს (პიჯრით) მათ სულთნისათვის გადაუციათ საჩუქრები და წერილი, რომელშიც მეფე ითხოვდა ჯვარის მონასტრის კარების გაღებას, რომ ქართველებს იქ ლოცვა შესძლებოდათ<sup>37</sup>.

ალ-აინისა და მაკრიზის ამ ცნობათა სისწორეს ადასტურებს XVI ს-ის პირველი მეოთხედის მოღვაწე, ცნობილი არაბი პალესტინოლოგი, მუჯირ აღ-დინ აბდ არ-რაჰმან იბნ აჰმად ალ-ულაიმ ალ-უმარი (გარდაიცვალა 1522 წ.), რომელიც ეხება რა ქრისტიანებისადმი ჯვარის მონასტრის დაბრუნების საკითხს, ამბობს: 705 წელს, მუჰარამის პირველს (1305 წ. 24 ივლისს), სულთან ნასირ მუჰამადის მოადგილესთან გამოცხადდნენ საქართველოსა და კონსტანტინოპოლის ხელმწიფეთა ელჩები თხოვნით: სულთანს ქრისტიანებისათვის დაებრუნებინა წმიდა ჯვარის მონასტერი (ალ-მუსალაბი), რომელიც მეჩეთად იყო ქცეული<sup>38</sup>.

როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, მუსლიმანების მიერ დიდი ხნის წინათ წარყვნილ-შერისხული ჯვარის მონასტრის განთავისუფლების მიზნით: ეგვიპტის სულთნის კარზე მივლენილ ქართველთა ელჩობას ადგილი ჰქონია 1305 წელს<sup>39</sup>. ამ დროს კი საქართველოს 4 მეფე ჰყავდა: კონსტანტინე — დასავლეთ საქართველოში (1293—1327), დავით VIII (1293—1311), რომელიც, მართალია, აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ კი ითვლებოდა, მაგრამ ფაქტიურად მისი ხელისუფლება მხოლოდ მთიულეთზე ვრცელდებოდა, ვაორგი V — „თბილისის მეფე“, და ვახტანგ III (1298—1308). ამათგან ყველაზე აქტიური მებრძოლი ქრისტიანთა წმიდა სალოცავების გასათავისუფლებლად ვახტანგი იყო, ამიტომ უეჭველად ელჩებიცა და წერილიც სულთნის კარზე მას უნდა გაეგზავნა. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო მისი მეფობის წლები და წმიდა ადგილებისათვის თავდადებული ბრძოლა, არამედ ისიც, რომ სულთან ნასირ მუჰამადის კარის მდივანი, ალ-უმარი თავის „თარღუში“<sup>40</sup> ზემოაღნიშნული ელჩებისა და წერილის გამგზავნ ქართველ მეფედ ასახელებს „ბარტილ-მა“-ს (سلطان) <sup>41</sup>, რომელიც დ. ყიფშიძისა და ა. ცაგარელის მიხედვით, უნდა იყოს ვახტანგის დამახინჯებული ფორმა<sup>42</sup>. მაგრამ იმავე „ბარტილმასთან“ დაკავშირებით არსებული სხვა მოსაზრებანი და პირველწყაროთა ცნობები სადავოს ხდიან ამ მოსაზრების სისწორეს და მამასადამე იმასაც, რომ ელჩების გამ-

<sup>37</sup> Makrizi, დასახ. ნაშრომი, ტ. II, ნაწ. I გვ. 255.

<sup>38</sup> Histoire de Jerusalem et d'Hebron... trad. sur le texte arabe par st. Souvaine, Paris, 1874, გვ. 173 (დამოწმებულია ტიზენგაუზენის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 212); А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

<sup>39</sup> ამიტომ ა. მენტეშაშვილის (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 19) და ნ. კანდელაკის (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 132) მოსაზრება, რომ ეს ელჩობა 1320 წელს მოეწყო, ვფიქრობთ, არაა სწორი. წინააღმდეგობაშია ე. მეტრეველიც, მართალია, იგი აღნიშნავს, ჯვარის მონასტერი ქართველებმა 1305 წელს დაიბრუნესო, მაგრამ შემდეგ იმასაც ამბობს, რომ ეს მოხდა მუსლიმანთა მიერ მისი დაპყრობის 35 (უნდა იყოს 32—ბ. ს.) წლის თავზე, ხოლო იგი მათ დაიპყრეს 1273 წელსო (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 35).

<sup>40</sup> التعريف في المصطلح الشريف — „მიღებული მაღალი (ე. ი. კანცლარული).—ბ. ს. სტილის გაცნობა“.

<sup>41</sup> В. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах... არაბ. ტექსტი, გვ. 209, რუს. თარგმანი, გვ. 211—213.

<sup>42</sup> Д. Кипшидзе, Житие Прохора, мученичества Луки и... Николая Двали, „Известия Кавказского историко-археологического института в Тбилиси“, 1927, т. II, гв. 47; А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.



გზავნი ეგვიპტეში მეფე ვახტანგი იყოს. მაგალითად, ვ. ტიზენჰაუზენის დაკვირვებით, რომელსაც ივ. ჯავახიშვილიც ეთანხმება, ალ-უმარის „ბარტილმა“ ვახტანგის კი არა „ბრწყინვალის“ დამახინჯებული ფორმაა და ამდენად საუბარია გიორგი V-ზე<sup>43</sup>. ხოლო დ. ლანგი კი ვარაუდობს, რომ ეს ბარტილმი უნდა იყოს იგივე დუჟა ბურთულ სივნიელი, ვაჟი ელიქუმ ორბელიანისა, რომელიც სომხეთ-საქართველოს მხედართმთავრის ტიტულს ატარებდა<sup>44</sup>.

ამრიგად, არსებობს სამი სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ საქართველოს რომელმა მეფემ მიავლინა თავისი ელჩები ეგვიპტის სულთნის კარზე 1305 წელს და ვინ შეიძლება მივიჩნიოთ ალ-უმარის მიერ მოხსენიებულ მეფე ბარტილმად.

ამ მოსაზრებიდან დ. ლანგის ვარაუდი იმდენად უსაფუძვლოა, რომ მასზე მსჯელობა არ ღირს, ვინაიდან ბურტულ-სივნიელი საქართველოს მეფედ არასდროს ყოფილა<sup>45</sup>. არაბი მწერალი კი ბარტილმას საქართველოს ძლიერ მეფედ ასახელებს.

არც დ. ყიფშიძისა და ა. ცაგარის მოსაზრებაა სარწმუნო. როგორადაც არ უნდა დამახინჯებინა ალ-უმარის ვახტანგის სახელი, ბარტილმის სახით მას მაინც ვერ დაწერლა. ასეთივე მოსაზრებით უარსაყოფია ვ. ტიზენჰაუზენის მოსაზრებაც. „ბარტილმა“ „ბრწყინვალის“ არასწორი ფორმა არ შეიძლება იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ ჯერ ერთი ვახტანგ III-ის გამეფების (1299) შემდეგ გიორგი ბრწყინვალე თბილისის მეფეც კი აღარ იყო და, მეორე, მეფედ კიდევაც რომ ყოფილიყო, „ბრწყინვალედ“ მას მაინც ჯერ არავინ მოიხსენიებდა, რადგან ეს პატივი და ზესახელი მან შედარებით გვიან (40-იან წლებში) მიიღო<sup>46</sup>.

მაშ ვინდაა, ალ-უმარის მიერ მოხსენიებული საქართველოს ის ძლიერი მეფე ბარტილმა, რომელსაც ჯვარის მონასტრის დაბრუნების მიზნით 1305 წელს ელჩები გაუგზავნია ეგვიპტის სულთანთან? კონსტანტინე თუ დავითი? სანამ ამ კითხვაზე პირდაპირ ვუპასუხებდეთ საჭიროდ მიგვაჩნია იმის გათვალისწინება, თუ რა პირობებში უხდებოდათ მათ ცხოვრება და მოღვაწეობა.

როგორც უკვე ცნობილია, დავით VIII იმ დროს მეტად მძიმე მდგომარეო-

<sup>43</sup> В. Тизенгаузен, Заметка... გვ. 211, შენიშვნა მე-7; ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

<sup>44</sup> M. D. Lang, Georgia in the Reign of Georgi the Brilliant (Bulletin of the school of Oriental and African studies Universiti of London, 1955, vol. XVIII, part I, გვ. 77).

<sup>45</sup> ამასთან, როგორც რ. კიკნაძე შენიშნავს (იხ. მისი „თბილისი XIV ს-ში“, ხელნაწერი, გვ. 49—50), დ. ლანგი წინააღმდეგობაში ვარდება. მას შემდეგ, რაც თქვა ბურთული ბარტილმამაო (გვ. 77), იგი წერს „ალ-უმარის სიტყვით, ბურთული ჩოხანის დიდი მეგობარი ყოფილაო“ და იმავე მემკვიდრის ცნობაზე დაყრდნობით იმასაც ამბობს, რომ ყველა წყარო ერთხმად აღნიშნავს გიორგი V-სა და ამირა ჩოხანს შორის არსებულ გულითად დამოკიდებულებასო (გვ. 75).

<sup>46</sup> თუ მიუხედავად ამისა „ბარტილმა“-ს მაინც „ბრწყინვალის“ დამახინჯებულ ფორმად მივიჩნევთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ალ-უმარის თხზულების ეს ადგილი იწერებოდა XIV ს-ის 40-იან წლებში, როცა ავტორს, ალბათ, ხეირიანად აღარ ახსოვდა 1305 წელს მომხდარი ამბავი და ამიტომ იგი შეედომით მიაწერა გიორგი V-ს. ამ დასკვნამდე მივყავართ თვით ალ-უმარის იმ ცნობასაც, სადაც აღნიშნულია: „ბარტილმა მე მახსოვს... როგორც ქრისტიან მეფეთაგან ერთ-ერთი ყველაზე სახელმოხეველი და შეუღრეველი კაცი ნათელღებულთა შორისო“-ი (В. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах „Записки Восточного Отдела. Импер. Русск. археолог. общ.“ 1886, т. I, вып. III, გვ. 209—არაბ. ტექსტი, გვ. 212—რუს. თარგ-მანი). ესაა ამ ავტორის საერთო წარმოდგენა გიორგი ბრწყინვალის პიროვნებაზე და არა მაინც-დამაინც 1305 წლისათვის გამოსადეგი ეპითეტი. ცხადია, 1305 წელს გიორგი V-ს სახელმოხეველი მეფის სახელი არ ეწებოდა.

ბაში იმყოფებოდა. ყაზან ყაენთან უთანხმოების გამო იგი თავს მთიულეთში აფარებდა და იქიდან იგერიებდა მის დასასჯელად გამოგზავნილ თათარ-მონღოლთა იერიშებს, რომელშიც სხვებთან ერთად მისი ძმა, ყაენისაგან 1299 წელს მეფედ ქმნილი დემეტრე III მონაწილეობდა. ამიტომ საეჭვოა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დავითს ჯვარის მონასტრის დასახსნელად მოეცალა. ამდენად, შესაძლებელია, 1305 წლის ელჩობის მომწყობი ეგვიპტეში დავითთან შედარებით უკეთეს პირობებში მყოფი დასავლეთ საქართველოს ანუ „აფხაზეთის“ მეფე კონსტანტინე დავით ნარინის ძე იყოს. ამ ვარაუდს თითქოს მხარს უჭერს ჯვარის მონასტრის მატთანებში შეტანილი № 239/235 ალაპიც, სადაც აღნიშნულია: „თუესა მათსა კა[21] ამასვე დღესა ალაპი და პანაშუდი აფხაზეთა მეფეთ-მეფისა კონსტანტინესი, ჯუარისა მონასტრისა ახლად<sup>47</sup> შემკაზმავისა, გარდაიგდებოდეს დაუკლებლად დამის ზევითა და ხუცისა წირვითა“<sup>48</sup>. მაგრამ ამ ვარაუდს აბათილებს იქვე, იმავე მატთანეში შეტანილი № 295/288 ალაპი, რომელშიც ვკითხულობთ: „ამასვე დღესა [15 აგვ.] წირვაჲ და ალაპი საუკუნოჲ დავით მეფეთა-მეფეთისაჲ და მეორედ აღმაშენებლისაჲ წმიდისა მონასტრისაჲ, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუშნული მონასტერი და ეკლესიაჲ მიზგითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კულად აგო ნათესავსა ქართველთასა, რომლისა საუკუნომცა არს საქსენებელი“...<sup>49</sup> როგორც ჩანს, დავით VIII-საც დიდი ამაგი დაუდგია ჯვარის მონასტრისათვის. ის არაბთა ტყვეობიდან მეორედ (ე. ი. 1305 წ.) გათავისუფლების შემდეგ ხელახლა აღუშენებია ანუ მეჩეთად ქცეული ეკლესიად გადაუკეთებია და კვლავ ქართველთა სამსახურში ჩაუყენებია. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ე. მეტრეველმა და დაასკვნა, რომ აღნიშნული ალაპის მიხედვით, 1305 წლის ელჩობის მომწყობი კაიროში და ჯვარის მონასტრის დამხსნელი მეფე დავით VIII-ა<sup>50</sup>.

ძარტლავ, არაა გამორიცხული, რომ ჯვარის მონასტრის დახსნა და, მაშასადამე, ამ მიზნით ეგვიპტის სულთნის კარზე ქართველი ელჩების მივლენა მეფე დავით VIII-ის სახელთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ამის დასამტკიცებლად სრულიადაც არ კმარა აღნიშნული ალაპის ცნობა, რადგან, ჯერ ერთი, ის უთარბილია<sup>51</sup> და, მეორე, არსად მასში საუბარი არ არის მონასტრის დახსნაზე. რაც შეეხება იმას, რომ მას მეჩეთი ეკლესიად გადაუკეთებია, ეს შესაძლებელია 1305 წლის შემდეგაც მომხდარიყო. ამდენად ე. მეტრეველის მიერ გამოთქმული მოსაზრება მთლად დასაბუთებული და, მაშასადამე, მისაღები ვერ იქნებოდა<sup>52</sup>, რომ მას მხარს არ უჭერდეს არაბული წყარო, კერძოდ თავი აღ-დინ

<sup>47</sup> ე. ი. მაჰმადიანთა ტყვეობიდან მონასტრის დახსნის შემდეგ.

<sup>48</sup> ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101; პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, თბ., 1963, ტ. I, გვ. 835.

<sup>49</sup> პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 838; ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი გვ. 106.

<sup>50</sup> ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 45. მეტრეველს ნაშრომის ეს ადგილ, სწორედ ვერ აქვს გაგებული ნ. კანდელაკს და საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მეტრეველი ამ ელჩობის თარიღად 1320 წელს ასახელებდეს (იხ. ნ. კანდელაკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133).

<sup>51</sup> ე. მეტრეველის მოსაზრებით ის შედგენილი უნდა იყოს „XIII—ს-ის მიწურულსა და XIV ს-ის დამდეგს“ (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 43).

<sup>52</sup> მით უმეტეს, რომ ასეთი შინაარსის ალაპი განწესებულია კიდევ როგორც კონსტანტინეს (იხ. ზემოთ), ასევე გიორგი ბრწყინვალისათვის: „ჯვარის მონასტრის მეორედ აღმაშენებლისა მეფისა გიორგისთვის გავაჩინეთ... სალოცველად ალაპი (იხ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 805).

აბდ არ-რაჰმან ალ-კადავი ალ-მუჰიბის „თასკიფი“<sup>53</sup>, სადაც ავტორი პირდაპირ ამბობს: ქართველთა მეფეს, რომელიც „მაშინ (ე. ი. 1305 წელს, სულთანთან ქართველი ელჩების გამოცხადების დროს — ბ. ს.) აბილისს“<sup>54</sup> განაგებდა დავითი ერქვაო“<sup>55</sup>. ეს დავითი უსათუოდ დავით VIII-ა (სხვა დავითი იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ არ ჰყოლია), ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ, (ჯხადია, ეგვიპტეში ელჩების წარმგზავნიც ის იქნებოდა. ამას გვაფიქრებინებს სხვა საყურადღებო გარემოებაც: კერძოდ ის, რომ ყაზან ყაენისაგან ძლიერ შეწუხებულ-შევიწროებული და ამის გამო მთიულეთში შეხიზნული დავითი, როგორც ცნობილია, მოკავშირეებს ეძებდა და ცდილობდა როგორმე დაკავშირებოდა ილხანისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებს, ჩრდილოეთით ოქროს ულუსს<sup>56</sup>, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ეგვიპტეს, რომლის გამგებელი გარკვეული მოსაზრებით (რასაც ქვემოთ შევცხებთ) თვითონაც არ იყო წინააღმდეგი საქართველოსთან დაახლოებისა.

ამ რთულ ვითარებაში, როცა საქართველოსა და ეგვიპტეს შორის მტრული დამოკიდებულება არსებობდა, ქართველი ელჩებისათვის ისეთი მისიის შესრულება, როგორც იყო მოლაპარაკების გამართვა სულთანთან ჯვარის მონასტრის დახსნისა და უფრო მეტად კი ამ ორი ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხებზე, ძალიან ძნელ საქმეს წარმოადგენდა. ეს მეფემ წინასწარ იცოდა და თავისი დიპლომატიაც ამის მიხედვით აავტო. ელჩობის მიზანი რომ მიღწეული ყოფილიყო, მან საქმეში ბიზანტიის კეისარი ჩარია. ამასთანავე, ის სულთანს პირობას აძლევდა, რომ თუ კი ეს უკანასკნელი ჯვარის მონასტრის დაბრუნებაზე უარს არ იტყოდა, „ქართველები მისი ერთგულნი იქნებოდნენ და როცა საჭირო იქნებოდა, ყოველთვის დაეხმარებოდნენ“<sup>57</sup>. ამ პირობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მოლაპარაკების დროს.

ქართველი მეფის თხოვნის შესრულება იოლი საქმე არ იყო ეგვიპტის სულთანისათვის, რადგან ჯვარის მონასტრის ისევ დაბრუნება მეჩეთის კვლავ ქრისტიანთა სალოცავ ეკლესიად გადაქცევას ნიშნავდა. ეს კი, მაჰმადიანთა რწმენით, მძიმე ცოდვად და დანაშაულად ითვლებოდა. მაგრამ ეტყობა ქართველი მეფის მიერ მიცემულ პირობას მალიქ ნასირ მუჰამადზე ისეთი დიდი გავლენა მოუხდენია, რომ მას მუსლიმანური კანონ-წესებისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ქართველებისათვის ჯვარის მონასტერიც დაუბრუნებია და ცხენ-სახედარზე ჩვეულებრივად ჯდომის უფლებაც მიუცია, მიუხედავად იმისა, რომ, — როგორც ალ-კალკაშანდი ამბობს, — სულთნის ამ გადაწყვეტილებას „კალამის“<sup>58</sup> ხალხისა და რელიგიურ სფეროში მოღვაწე მაღალი თანამდებობის მუსლიმანთა უკმაყოფილება გამოუწვევია<sup>59</sup>.

<sup>53</sup> التعريف بالمصطلح الشريف — „ვარჯიში მაღალი სტილის გასაცნობად“, წარმოადგენს ალ-‘უმარის თხზულების დამატებას.

<sup>54</sup> ალ-მუჰიბი „აბილისის მეფეს“ აღმოსავლეთ საქართველოს მეფის გავებით ხმარობს.

<sup>55</sup> В. Тизенгаузен, Заметка... არაბ. ტექსტი, გვ. 210, თარგმანი, გვ. 214.

<sup>56</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

<sup>57</sup> Makrizi, დასახ. ნაშრომი, გვ. 255; А. Чагарели, დასახ. ნაშრ., გვ. 96; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175; ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

<sup>58</sup> კალამი ჯერ კიდევ სახალიფოს შექმნის დროიდანვე ითვლებოდა ოფიციალურ ემბლემად. სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის საერთო სამსახურის მოხელეთათვის (იხ. Салих Закиров, Дипломатические отношения золотой Орды с Египтом. М., 1966, გვ. 140).

<sup>59</sup> Записки Восточного Отделения Императорского Русского археологического общества. СПб., 1885, т. I, вып. III, გვ. 209—213.

ჯვარის მონასტრის დაბრუნება და ეგვიპტესთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება ქართული დიპლომატიის სერიოზული მონაპოვარი იყო. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი საქართველოსათვის, რადგან ამიერიდან აღნიშნული მონასტერი თავისუფლდებოდა „ტყვეობიდან“. ქართველებს უფლება ეძლეოდათ იქ თავისუფალი მიმოსვლისა, რელიგიური რიტუალის შესრულებისა და კულტურულ-მეცნიერული საქმიანობისა, რომლის ერთ-ერთ კერად ეს მონასტერი მისი დაარსების დღიდან<sup>60</sup> ითვლებოდა; გარდა ამისა, რამდენადმე უმჯობესდებოდა მონღოლთა ბატონობის გამო დამცირებული საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და იზრდებოდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, რასაც არ შეიძლებოდა დადებითი როლი არ შეესრულებინა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

მაგრამ 1305 წლის ამ შეთანხმებას მარტო საქართველოსათვის როდი ჰქონდა მნიშვნელობა. მას ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტისთვისაც, რადგან, ჯერ ერთი, მასსა და საქართველოს შორის ამდენხანს არსებული მტრული დამოკიდებულება იცვლებოდა კეთილგანწყობილი ურთიერთობით, რაც გამორიცხავდა ეგვიპტის წინააღმდეგ მუდამ მომქმედ ილხანთა ლაშქარში ქართველთა ჯარის მონაწილეობას; მეორე, ამ შეთანხმების შედეგად ეგვიპტე საქართველოს სახით იძენდა მეტად საჭირო მოკავშირეს, რომელიც თვით ქართველი მეფის პირობის თანახმად, შეეძლო გამოეყენებინა თავისი ძლიერი და შეუტირებელი მოწინააღმდეგის — ილხანთა მიმართ; და მესამე, საქართველოა გამოსვლა ეგვიპტის მოკავშირედ სცვლიდა ძალთა თანაფარდობას აღმოსავლეთში ირანის საზიანოდ და ეგვიპტის სასარგებლოდ. ეს სარგებლობა კი იმდენად დიდმნიშვნელოვანი იყო ეგვიპტისათვის, რომ ის „მიუტევებელი ცოდვა“, რომელიც მეჩეთის ხელახლა ეკლესიად გადაკეთების ნებართვის გამო მუსლიმანური სარწმუნოების მიმართ უნდა ჩაედინათ ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურებს, ანგარიშგასაწევი აღარ იყო<sup>61</sup>. სწორედ ამიტომ სულთანმა მალიქ ნასირ მუჰამადმა დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ დააკმაყოფილა საქართველოს მეფის თხოვნა და მისი „დესპანები სათანადო საპასუხო წერილით შინისაკენ გამოისტუმრა“<sup>62</sup>. ამრიგად, საქართველო-ეგვიპტის 1305 წლის შეთანხმება განაპირობა ცხოვრებისეულმა აუცილებლობამ და სასარგებლო იყო ორივე სახელმწიფოსათვის.

ამ შეთანხმებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობაში დაიწყო ახალი ხანა, ხანა ერთმანეთის პატივისცემის პრინციპზე დამყარებული კეთილი დამოკიდებულებისა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე იარსება. ქართველი დიპლომატები ეგვიპტის გამგებლის ხშირი სტუმრები გახდნენ და ყველა რთული საჭირობოტო საკითხი, რომელსაც მათ შორის ცხოვრება დააყენებდა ხოლმე, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე წყდებოდა. ამის ერთ-ერთ დადასტურებას უნდა წარმოადგენდეს, მაგალითად, ალ-მაკ-

<sup>60</sup> ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ჯვარის მონასტრის აგება XII საუკუნეში დაუმთავრებიათ (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 174), ხოლო ა. ცაგარისა (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 42—47) და პ. ინგოროყვას (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 782, 799) მიხედვით კი ის აშენებული ჩანს XI ს-ის პირველ ნახევარშიც.

<sup>61</sup> როგორც იბნ ქასირი ამბობს, ბოლოს ამაში უღემებიც დარწმუნებულან და სულთანს დასთანხმებთან (Weil Gustav, დასახ. ნაშრომი, გვ. 268—269; А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 96).

<sup>62</sup> Makrizi, დასახ. ნაშრომი, ტ. II, ნაწ. I, გვ. 255.

რიზის ცნობა, აადაც აღნიშნულია, რომ „716 [1316--17] წელს ეგვიპტეში სა-  
ჩუქრებით ჩანოვიდნენ... ქართველი მეფის ელჩები... [რომლებიც სამშობლო-  
ში] გაისტუმრეს სათანადო პასუხითა და საჩუქრებით... [მაგრამ] იმავე წელს  
[ისინი] კვლავ ეწვივნენ სულთანს“<sup>63</sup>. მართალია, არაბი მემკვიდრის ეს ცნობა  
ერთობ ძუნწია და მის მიხედვით გაუტყვეველი რჩება ისეთი საკითხები, რო-  
გორცაა ელჩების ვინაობა, მათი იქ ჩასვლის ზუსტი მიზანი, მსჯელობის საგანი  
და საჩუქრების ხასიათი, ე. ი. რა დანიშნულების იყო იგი, მაგრამ მიუხედავად  
ყოველივე ამისა, ერთი რამ მაინც ცხადია: რაკი ერთი წლის განმავლობაში ქარ-  
თველი მეფის ელჩები ორჯერ ეწვივნენ სულთანს საჩუქრებით და ასეთივე  
საჩუქრებითა და სათანადო პასუხით გაისტუმრეს ისინი სამშობლოში, ეს იმას  
ნიშნავს, რომ საქმე ეხებოდა აქტუალურ საკითხთა განხილვას ერთმანეთისადმი  
პატივისცემის ვითარებაში. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს  
შალვა ქსნის ერისთავის ძის, პიპა ქვენიფნეველისა და მისი თანმხლები იოვანე  
ბანდასძის ელჩობა, რომლის შესახებ ვრცელი ცნობა შემოგვინახა ქართულმა  
წყარომ, სადაც ნათქვამია, რომ მეფე გიორგიმ „წარგზავნა ძე შალვა ერისთა-  
ვისა, რომელსა ერქუა პიპა, გზასა კმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნის-  
რელისა და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპამ წინაშე  
ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტე-  
ნი ერუსალმისანი. მივიდა პიპამ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთვა, ჟამი  
აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღურად. და  
მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმის-  
კევისასა, რომელ მოძღუართ-მოძღურობამ ნუვის კელ-ეწიფების თვინიერ  
ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის [მოძღუართ-მოძღუარი]... ხოლო  
პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატ-  
ნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა კმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და  
მოილო იერლაკი შეწყალებისა და აღსრულება ყოველისა სათხოვლისა მისი-  
სამ. ფრად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მიეცნეს კლიტენი ქართ-  
ველთა“<sup>64</sup>.

ქართული წყაროს ამ მნიშვნელოვან ცნობას არა ერთი მკვლევარის ყუ-  
რადღება მიუძღურა. ივ. ჯავახიშვილმა ეს იმ კლიობად მიიჩნია, რომლის დრო-  
საც ჯვარის მონასტრის დახსნა მოხერხდა და თავისი ამ ვარაუდის დასაბუთება  
არაბი მწერლის, ალ-‘უმარის უთარილო ცნობით სცადა<sup>65</sup>. ეს ვარაუდი შემდეგ-  
ში განიმეორეს ნ. ბერძენიშვილმა<sup>66</sup>, ა. მენტეშაშვილმა<sup>67</sup> და ნ. კანდელაკმა<sup>68</sup>.  
მათი აზრითაც ამ ელჩობის დროს უნდა მომხდარიყო ჯვარის მონასტრის გა-  
თავისუფლება, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალები, თვით „ძეკ-  
ლი ერისთავთა“-ს აღნიშნული ცნობაც კი გვარწმუნებს, რომ პიპა ქვენიფნევე-  
ლის ელჩობას ეგვიპტეში არაფერი საერთო არ უნდა ჰქონოდა ჯვარის მონასტ-  
რის დახსნასთან. ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგიდან: 1. ქართული წყაროს ცნობით,

<sup>63</sup> В. Тизенгаузен, Сборник материалов... т. I, гл. 425 (არაბ. ტექსტი), 437 რუს. თარგმანი).

<sup>64</sup> „ძეკლი ერისთავთა“, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი, საძიებლები და შენიშე-  
ნები დაურთო შ. მესხიამ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30,  
თბ. 1954, გვ. 350; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 444—445.

<sup>65</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 174—176.

<sup>66</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

<sup>67</sup> ა. მენტეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18—19.

<sup>68</sup> ნ. კანდელაკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

პიპა ეგვიპტეში მიემგზავრება მეფე გიორგი V-ის დავალებით. ჯვარის მონასტერი კი ქართველებმა დაიბრუნეს დავით VIII-ის მეფობისას; 2. გიორგი V (ბრწყინვალე) ტახტზე ავიდა (მეორედ) 1314 წელს, მამასადამე, პიპას ელჩობა ეგვიპტეში არ შეიძლებოდა მომხდარიყო ამაზე ადრე. რაც შეეხება ჯვარის მონასტრის დახსნას, ეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, მოხდა 1305 წელს; 3. ჯვარის მონასტრის დაბრუნება რომ წინ უსწრებდა პიპას ელჩობას ეგვიპტეში და ამიტომ მისი გათავისუფლება ამ ელჩობის მიზანს არ შეადგენდა; ეს იქიდანაც ჩანს, რომ პიპას დავალებული აქვს სულთანს გამოსთხოვოს არა ჯვარის მონასტერი, არამედ „კლიტენი იერუსალიმისანი“. ჯვარის მონასტერზე კი საერთოდ არაფერია მასში ნათქვამი.

რაკი დგინდება, რომ პიპა ქვენიფნეველის ელჩობას საერთო არაფერი ჰქონია ჯვარის მონასტრის დახსნასთან, რომელიც 1305 წელს მოხერხდა, და ის სრულიად დამოუკიდებელ ელჩობას წარმოადგენდა, იბადება კითხვა — როდის უნდა ყოფილიყო იგი? როგორც ქართველი მემკვიდრის სიტყვებიდან ჩანს, პიპა ქვენიფნეველი და მისი თანმხლები იოვანე ბანდასძე ეგვიპტეში მიემგზავრებიან მეფე გიორგი ბრწყინვალის საგანგებო დავალებით. გიორგი ბრწყინვალეს კი ცნობილია, რომ სულ ორჯერ გაუგზავნია თავისი ელჩები სულთნის კარზე: პირველად — 1316<sup>69</sup> და მეორედ — 1320 წელს<sup>70</sup>. მამასადამე, პიპას ელჩობა ან 1316 წელს უნდა ყოფილიყო ან 1320 წელს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, „ქართველთა ეს ელჩობა ეგვიპტეში ჩასულა 1320 წლის 28 მაისს“<sup>71</sup>. ამ მოსაზრების ავტორი ა. მენთეშაშვილი ეყრდნობა არაბი მწერლის, ალ-აინის ცნობას, მაგრამ ამ უკანასკნელის ვრცელ მატრიანეში, რომელსაც „მარგალიტების თაიგული“ (عقد الجمال) ეწოდება, ასეთი ცნობა არ გვევლინება. ერთადერთი, რასაც ალ-აინი და ან-ნუეაირი აღნიშნავენ არის ის, რომ „1320 წლის 9 მაისს“ ეგვიპტეში ჩასულან და სულთანს სწვევიან ქართველი მეფის ელჩები, საჩუქრებითა და მოწერილობის წიგნებით<sup>72</sup>. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იყვნენ ეს ელჩები, ამ ცნობიდან არ ჩანს.

ა. მენთეშაშვილის გარდა პიპა ქვენიფნეველის ელჩობის საკითხი განხილული აქვს პ. ინგოროყვასაც. -სიც აღნიშნავს, რომ ეს ელჩობა „უნდა მიეკუთვნოს 1320 წელს“<sup>73</sup> და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ჯვარის მონასტრის მატრიანეში შეტანილი აღაპები<sup>74</sup>. მაგრამ მის მიერ დამოწმებულ აღაპებს თა-

<sup>69</sup> В. Тизенгаузен, Сборник материалов... т. I, гв. 425, 437 (ალ-მაკრიზის ცნობა); D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 91; ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45; პ. ინგოროყვა, გიორგი ბრწყინვალის დროს ეგვიპტეში მივლენილ ქართველთა პირველი ელჩობის თარიღად სდებს 1318 წელს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 768—769).

<sup>70</sup> В. Тизенгаузен, დასახ. ნაშრომი, გვ. 148, 170 (ან-ნუეაირის ცნობა), გვ. 490, 520 (ალ-აინის ცნობა); D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 91; ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45; ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19; ნ. კანდელაკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

<sup>71</sup> ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

<sup>72</sup> في يوم الخميس الثامن والعشرين من حضر السلطان الرسل و هم رسل أزبك و رسل ملك الكرج و رسل الأشكرى فمألووا بين يديه فأعطى كل منهم رسالته و قدم بقائه (იხ. В. Тизенгаузен, Сборник материалов... т. I, гв. 490, 520—ალ-აინის ცნობა და შდრ. იქვე, 147—148, 169—170 გვერდებზე ან-ნუეაირის ცნობას).

<sup>73</sup> პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 697, 698, 763—765, 769.

<sup>74</sup> ესენია შალვა ქსნის ერისთავის და მისი შვილის პიპას აღაპები (იხ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 698, 768).

რიდი არა აქვთ და ამდენად ისინი ელჩობის დასათარიღებლად ვერ გამოდგებიან. ასე რომ, ა. მენთემშავეილისა და პ. ინგოროყვას მოსაზრება დამატებითი დასაბუთების გარეშე მხოლოდ ვარაუდად უნდა მივიჩნიოთ; მით უმეტეს რომ არსებობს ზოგიერთი (მართალია არაპირდაპირი) საყურადღებო ცნობა, რომლის მიხედვით ეს ელჩობა შეიძლება მომხდარიყო არა 1320 წელს, არამედ, შესაძლებელია, უფრო ადრეც. ამას გვიკარნახებს, მაგალითად, ქართული წყაროს — „ძეგლი ერისთავთა“ ავტორისა და არაბი მწერლის სარიმ ად-დინ იბრაჰიმ იბნ დუჰმაკის (გარდაიცვალა 1388 წელს, 80 წლისა) ცნობებზე დაკვირვება. ქართველი მემატიანის თქმით, საქართველოში ამბავი მოსულა, რომ „კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო“. ამას „დიდად შეეწუხნა მეფე გიორგი და მას მაშინვე წარუგზავნია „ძე შალვა ერისთავისა... პიპა... წინაშე ნისრელისა“<sup>75</sup>. მამასადამე პიპას ეგვიპტეში გამგზავრების მიზეზი მაჰმადიანებას მიერ „კლიტენი იერუსალიმისანის“ წაღება-მიტაცება ყოფილა, ხოლო მიზანი კი სულთანთან მოლაპარაკების გამართვა ამ „კლიტენი იერუსალიმისანის“ მისაღებად ანუ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავის დახსნა-დაბრუნება<sup>76</sup>.

ქართველი მეისტორიეს გადმოცემის სისწორე იმის შესახებ, რომ იერუსალიმი მაჰმადიანთა ხელში ყოფილა, მთლიანად დასტურდება „იბნ დუჰმაკის ისტორიის“ (تاريخ ابن دقماق) ერთი ცნობით, სადაც ნათქვამია: „715 წელს (1315 წ. 7 იანვრიდან 1316 წ. 25 მარტამდე<sup>77</sup>) ალ-აშქარის (ანდრონიკე II) დესპანმა (რომელიც კაიროში იყო სულთანთან) ნებართვა ითხოვა იერუსალიმის მოსანახულებლად. მიიღო იგი, გაემგზავრა სალოცავად და შემდეგ დაბრუნდა“<sup>78</sup>. რაკი 1315/6 წელს ბიზანტიის იმპერატორის ელჩი სულთანს იერუსალიმში სალოცავად წასვლის ნებართვას სთხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ქრისტიანთა ეს წმიდა ადგილი მართლა მუსლიმანებს ეპყრათ.

საინტერესოა იბნ დუჰმაკის მეორე ცნობაც, რომელშიც აგრეთვე აღნიშნულია რომ „718 წელს (1318 წ. 5 მარტიდან 1319 წ. 21 თებერვლამდე) ალ-აშქარის დესპანმა მონიხულა იერუსალიმი და დაბრუნდა“ კაიროში<sup>79</sup>. როგორც ვხედავთ, ეს ცნობაც, ისე როგორც პირველი, ისევ ბიზანტიელი ელჩის იერუსალიმში მგზავრობას ეხება, მაგრამ ჩანს, რომ ის სულ სხვა დროსა და ვითარებაში მომხდარა. ამაზე მეტყველებს თარიღიც (1318 წელი) და ის გარემოებაც, რომ მასში აღარაა საუბარი სულთნისაგან ნებართვის მიღების საჭიროებაზე. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ დროს, ე. ი. 1318 წ. იერუსალიმში უკვე გათავისუფლებულია, ქრისტიანების ხელშია და იქ წასასვლელად სულთნის ნებართვა აღარ არის საჭირო. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ პიპა ქვენიფნეველის ეგვიპტეში წასვლაც, რომლის მიზანი იყო სწორედ „კლიტენი იერუსა-

<sup>75</sup> ძეგლი ერისთავთა, დასახ. გამოც., გვ. 350.

<sup>76</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

<sup>77</sup> იხ. Иосиф Орбели, Синхронические таблицы хиджры и европейского летоисчисления, М.-Л., 1961.

<sup>78</sup> فيها (يعنى فى سنة ٧١٥) ... سأل رسول الاشكرى دستور الزيارة للقدس الشريف

فاجيب و توجه ايرا و عدا (იხ. В. Тизенгаузен, Сборник материалов... т. I, 33-317).

<sup>79</sup> فيها (يعنى فى سنة ٧١٨) ... وتوجه رسول الاشكرى الى القدس الشريف عاد (იხ. В. Тизенгаузен, დასახ. ნაშრომი გვ. 318-319).

ლომისანის“ მიღება ანუ „იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავის“ დახსნა, უნდა მომხდარიყო 1318 წლამდე, კერძოდ — 1316 წელს, რადგან მაჰმადიან მწერალთა ცნობებით, ქართველი მეფის ელჩები ამ დროს ჩანან ეგვიპტის გამგებლის კარზე.

პიპას მისია წარმატებით დაგვირგვინდა. ეგვიპტის სულთანმა სიხარულით მიიღო იგი, შეიწყნარა მეფის თხოვნა, მისცა „კლიტენი იერუსალიმისანი“<sup>80</sup> აგრეთვე „აღასრულა ყოველი სათხოვნელი მისისაჲ“ და პატივისცემით გამოისტუმრა შინისაყენ. რის გამოც „ფრიად განიხარა გიორგი მეფემან“<sup>81</sup>.

გიორგი მეფის სიხარული გასაკვირი არ იყო. თუ ჯვარის მონასტრის დაბრუნებით საქართველომ 1305 წელს თავისი საერთაშორისო გავლენა აღიდგინა, ახლა ეს გავლენა კიდევ უფრო გაიზრდებოდა, ვინაიდან სულთნის წინაშე იესოს სავანის განთავისუფლების საკითხის დაყენებას და გადაწყვეტას მათთვის ყველა ქრისტიანი ქვეყნის სწორუფლებიანობისათვის მზრუნველი სახელმწიფოს სახელი უნდა დაემკვიდრებინა. ასე რომ, ამ დიპლომატიურ გამარჯვებასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, რომელიც გიორგი ბრწყინვალის წინდახედული საშინაო და საგარეო პოლიტიკის წყალობით მალე იქცა ილხანებისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

XIV საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს საქართველოს ავტორიტეტი უკვე იძენდა დიდი იყო, რომ მას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო ქრისტიანული დასავლეთის პოლიტიკურ-იდენტური მესვეურნი, არამედ მაჰმადიანურა აღმოსავლეთის ისეთი დიდი სახელმწიფოს გამგებლებიც კი როგორც იყვნენ ეგვიპტის სულთნები. ამ უკანასკნელთ ჯერ კიდევ XIV საუკუნის I ნახევარში, კერძოდ გიორგი ბრწყინვალის დროს, ჰქონდათ შემუშავებული საქართველოს პეფეებისადმი დიპლომატიური მიმართვის სპეციალური ფორმა, რომელიც აღუშარის<sup>82</sup> მიხედვით ასეთი შინაარსისაა:

„დაჲ, აღაჰმა უზენაესმა ხანგრძლივ ჰყოს ბრწყინვალემა უდიდებულესის მეფისა, სახელოვანისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშარისა, ლომისა, შემტევისა, ტახტ-გვირგვინოსნისა, თავის საწმუნოებაში ფრიად განსწავლულია, ქვეშევრდომთა მიმართ სამართლიანისა, იდრიკის<sup>83</sup> მეფეთა შორის

<sup>80</sup> ე. ი. იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავის კლიტე-გასაღები, რაც ჩანს დასავლეთ ევროპის მაშინდელი ლათინური წყაროებიდან, კერძოდ პალესტინის ერთ-ერთი ძველი აღწერილობიდან, სადაც აღნიშნულია: „ამ საფლავის კლიტე-გასაღები ქართველებს აქვთ და ისინი (მას) ისე იცავენ, რომ იქითგან დიდალი ოქროს საფასურადაც—კი ერთ მარცვალსაც არავის დაანებებნო“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176).

<sup>81</sup> „ძველი ერისთავთა“, დასახ. გამოცემა 350.

<sup>82</sup> შიპაბ ად-დინ იბნ ფადლალაჰ ალ-უმარი დაიბადა 1301 წელს. მუშაობდა ეგვიპტის სულთნის კარზე მწერლად. 738 (1337/8) წელს სულთანთან უთანხმოების გამო თავი გაანება კანცელარიას. იგი გარდაიცვალა 1348 წელს.

<sup>83</sup> ვ. ტიზენგაუზენი ფიქრობს, რომ არაბულ ტექსტში შეცდომაა დაშვებული და ამიტომ *الإغريقية*-ის ნაცვლად კითხულობს *الاذقية* (В. Тизенгаузен, Заметка Элькалькашанди о грузинах, „Записки Восточного Отдел. Имп. Русск. археологич. Общества“, СПб., 1886, т. I, вып. III, გვ. 212—213). მაგრამ, როგორც ვ. როზენი შენიშნავს, ტიზენგაუზენისეული წაკითხვა არ არის სწორი. ქართველი მეფის მოხსენიება „ილირიკის“ ანუ ბერძენ მეფეთა შორის რჩეულის სახით, უბრალოდ მუსლიმანი სულთნების თავაზიანობით უნდა აიხსნას (იხ. ტიზენგაუზენის დასახ. ნაშრომი, გვ. 214, შენიშვნა I). გენეალოგიურ სინამდვილეს სულთნის კანცელარიაში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ილირია, რომელიც საერთოდ საპერძნეთს ნიშნავს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ შემთხვევაში ხმარებულია „მართლმადიდებელთა“ გაკებით (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173).



რჩეულისა, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და სრუტეთა განძის მფლობელისა, რაინდთა ქვეყნის დამცველისა, წინაპართა ტახტ-გვირგვინის ღირსეული მემკვიდრისა, რუმისა და ირანის ქვეყანათა მფარველისა, იონიელთა მემკვიდრისა, ასურელ მეფეთა დედაარსისა, ტახტ-გვირგვინოსანთა შორის ყველაზე გამოჩინებულისა, ქრისტიანობის მადიდებლისა, იესოს სარწმუნოების თაყვანისმცემლისა, მესიის გამორთა მცხებლისა, თავისი ბრძანებით იერუსალიმის განმადიდებლისა, ნათელდებულთა საყრდენისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმანთა მოყვარულისა, დაახლოებულ მეგობართა შორის უშესანიშნავესისა და მეფეთა და სულთნათა ერთგული მეგობრისა“<sup>84</sup>.

ქართველი მეფეებისადმი დიპლომატიური მიმართვის ეს მაღალი სტილი მშვენივრად მოწმობს ო.უ. რაოდენ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ხვედრითი წონა საერთაშორისო ასპარეზზე და როგორი მკვიდრო ურთიერთობა არსებობდა მასსა და ეგვიპტეს შორის XIV ს-ის 50-იან წლებამდე. მერმედ ვითარება რამდენადმე შეიცვალა. ილხანთა ერთიანი სახელმწიფოს დასუსტების, დაშლისა და გაქრობის შემდეგ ეგვიპტეს აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი ომის საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ამიტომ საქართველოს ეგვიპტელი სულთნებისათვის უკვე აღარ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა როგორც ადრე, ილხანთა სახელმწიფოს ძლიერების დროს, და ეს გარემოება თავისებურად აისახა ქართველი მეფეებისადმი მათი მიმართვის სტილში, რის შესახებაც ალ-კალკაშანდი აღნიშნავს: „თასკიფში ნათქვამია, რომ ...იბნ ფადლალაჰის (ალ-‘უმარი) დროს, იგი (ქართველების მეფე) სარგებლობდა მისდამი თათრების განწყობილებითა და ჩობანთან ახლო ურთიერთობის წყალობით... ამიტომ (მასთან) მიმოწერაში ხმარებული იყო უფრო მაღალი და საპატიო ეპითეტები. ხოლო, როცა ირანში თათრების სამეფო მოიხსპო და მათი ძალები გაქრა, ქართველ მეფესთან (ეგვიპტის სულთნის) მიმოწერის (სტილი) ადრე არსებულთან შედარებით დამდაბლდა“<sup>85</sup>. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეფეებისადმი მიმართვის სტილს სიდიადე მოაკლდა, ამას არ მოჰყოლია საქართველოსა და ეგვიპტეს შორის ადრე არსებულ მდგომარეობის ვაჟარესება. ურთიერთობა მათ შორის კვლავ გრძელდებოდა.

ادام الله تعالى بهجة الحضرة العلية حضرة الملك الجليل الهمام الباسل الضرعام  
السميدع الكرام الفضنفر المتوخ العالم في مآته العادل في رعيته بقية الملوك  
الاغريقية سلطان الكرج ذخر ملك البحار و الخليلج حامى حسمى الفرسان وارث ابايه فى

الأسرة و التيجان سياج بلاد الروم و ايران سليل اليونان خلاصة ملوك السريان بقية  
ابنا التسخوت والتيجان معز النصرانية مويد العيسوية مسيح الابطال المسيحية معظم

البيت المقدس بعقد النية عماد بنى المعمودية ظهير الباب بابا رومية مواد المسلمين  
خالصة الاصدقاء المقربين صديق الملوك والسلاطين (شهاب الدين احمد بن عبد  
نا-წყვეტი მოგვაქვს ვ. ტიზენგაუზენის დასახ. ნაშრომის—„Заметка Элькалькашанди о грузинах“  
(იხ. „Записки Восточн. Отд. имп. русск. археол. общества, т. I, вып. III, 33. 209) და  
გ. წერეთლის „არაბული ქრესტომათის“ (თბ. 1949, გვ. 78—79) მიხედვით.

<sup>85</sup> В. Тизенгаузен. Заметка Элькалькашанди о грузинах (отдельный оттиск из „Записок Восточн. отдел. имп. русск. археолог. общ.“, 1886, т. I, вып. III, 33. 215).

მამისა ბარძნიშვილი

სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV—XV საუკუნის  
სვანეთის სოციალური ისტორიისათვის

სვანური დოკუმენტები<sup>1</sup> ჩვენამდე მოღწეულია ძირითადად მინაწერთა სახით. ეს მინაწერები გაცემებული აქვს სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა დროის ხელნაწერებს, რომელთა უმრავლესობა დაცულია სვანეთში (მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სოფ. ლახუშდში, ლახამულაში და სხვ.) ხოლო ზოგი ჩამოტანილია თბილისში და ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ამ მინაწერთა დიდი უმრავლესობა გაუმოღებელი და გამოცემული აქვს პ. ინგოროყვას<sup>2</sup>. ამ გამოცემაში შესულია სვანეთის სხვადასხვა ხელნაწერიდან ამოკრებილი 126 მინაწერი.

საერთოდ სვანური დოკუმენტები ძირითადად მოთავსებულია შემდეგ ხელნაწერებზე: 1. იერუსალიმის კანონარზე — 10 მინაწერი; 2. ლაბსყალდის ოთხთავზე — 2 მინაწერი; 3. ლახამულაში დაცულ ოთხთავზე — 4 მინაწერი, 4. მესტიის მუზეუმში დაცულ ნუსხახუცურით გადაწერილ ოთხთავზე № 52. (შემოსულია 1955 წ.) — 2 მინაწერი და 5. ე. წ. მესტიის ოთხთავზე — 96 მინაწერი<sup>3</sup>.

ამ მინაწერთა შესახებ საერთოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთს არ უხის თარიღი, ყოველი მათგანი სვანური სინამდვილის გამომხატველია, ხასიათდება ქართულ დიპლომატიკაში მიღებული ზოგადი წესების მეტნაკლები დაცვითა და ხელის თავისებურებებით. საბუთის დამწერის ვინაობა აღნიშნულია მინაწერთა დიდ უმრავლესობაში. ხელრთვა და ჯვრების დასმა (როგორც ხელრთვის სახეობა) საკმაოდ ხშირია. ერთი შეხედვით, ხელის მიხედვით, ეს საბუთები XIV—XV საუკუნის ქართულ საბუთებს გვანან<sup>4</sup>. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ამ საბუთების ზოგი პალეოგრაფიული ნიშანი. მაგალითად მხედრული წ, ჩ, ჯ-ს დაწერილობა XIV—XV სს-ში მიღებული წესის თანახმადაა შესრულებული. ან საუკუნეთა საზღვრებში ათავსებს სვანურ დოკუმენტებს ყველა მკვლევარი.

<sup>1</sup> სვანური დოკუმენტი ყველა ქართულ ენაზეა.

<sup>2</sup> სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი II. თბ., 1941.

<sup>3</sup> რამდენიმე სვანური დოკუმენტი დაწერილია ხის დირფიტაზე. ეს დირფიტები დაცულია მესტიის მუზეუმში.

<sup>4</sup> მაგალითად, ვაჩი-ძორის კრებულის საბუთი ზაზა ფანასკერტელისადმი. ფოტო ამ საბუთისა (XV საუკუნე, I ნახ.) დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის ნაშრომში—არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938, ტაბულა I, II, III, IV.

ვინც კი ახლოს გასცნობია სვანეთში დაცულ ხელნაწერთა მინაწერებს (დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა).

რაკი უმრავლესობა სვანური დოკუმენტებისა მოთავსებულია ე. წ. მესტიის ოთხთავზე, ამიტომ ჩვენც ძირითადად მათ მიმოხილვას ვისახავთ მიზნად.

ე. წ. მესტიის ოთხთავი წარმოადგენს 650-გვერდიან ხელნაწერს, დაწერილს ეტრატზე X—XI საუკუნის ასომთავრულით<sup>5</sup>. ხელნაწერს თან ახლავს რამდენიმე მინიატურა და ყოველი თავის დასაწყისის თავშემკულობა. ძირითადი ტექსტი ხელნაწერში მოთავსებულია ორ სვეტად, მსხვილი ასომთავრულით. ტექსტს გარშემო დატოვებული აქვს ფართო არეები, რომლებიც სვანური დოკუმენტების საწერად არის გამოყენებული. მაგრამ იშვიათია, რომ ერთი გვერდის არე საკმარისი იყოს საბუთის ტექსტის დასაწერად. ამიტომ თითოეული საბუთი ორ-სამ და უფრო ხშირად მეტი გვერდის არეებზეა მოთავსებული. ამასთან ხშირია, როცა საბუთის ტექსტი იწყება ერთ გვერდზე, ხოლო მისი გაგრძელება მოდის წინა გვერდზე, ნაცვლად იმისა, რომ მომდევნო გვერდზე გრძელდებოდა. ზოგჯერ, როცა საბუთის ტექსტი გრძელდება, ის ეჯახება ადრე ჩაწერილ საბუთის ტექსტს, და ამიტომ მის მომდევნო ფურცლებზეა გადასული. ეს გარემოება ხშირად აძნელებს ტექსტების ამოკითხვას, რაც ისედაც რთულია ხელის თავისებურების, ნაწერის სიმჭრქალისა თუ ცუდი შენახულობის გამო. ზოგჯერ ხელნაწერს გვერდები შემოცვეთილი აქვს, რის გამოც საბუთთა ტექსტი საბოლოოდ დაკარგულია (ასეთ შემთხვევაში ტექსტის აღდგენა მხოლოდ მიახლოებით თუ შეიძლება).

მესტიის ოთხთავის მინაწერთა შესახებ ერთი უნდა ითქვას, რომ მათი დიდი ნაწილი XIV—XV საუკუნეებს მიეკუთვნება. არის უფრო გვიანდელიც — XVII—XVIII-ის მინაწერებიც, ამათი გამოცნობა შედარებით ადვილია, გვიანდელი მინაწერები ნუსხურით კია გაკეთებული. მაგრამ ხელის თავისებურებები მათი დათარიღების საშუალებას არ იძლევა. სამაგიეროდ ენობრივი ნიშნები უფრო აშკარად ხდის მათ გვიანდლობას. რაც უფრო გვიანდელია მინაწერი, მით უფრო ნაკლებადაა დაცული ძველი ქართული ენის ნორმები, დაქარაგმება ხდება ყოველგვარი წესის დაუცველად. ამასთან, გვიანდელ ტექსტებს ახასიათებთ ხმოვნების შემოკლება, ენის ნორმების თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელი. მაგალითად, სიტყვა „რომელნი“ — რაც ნორმის და მიხედვით უნდა შემოკლებულიყო როგორც „რლნი“ — დოკუმენტში შემოკლებულია „რნი“-ით (ე. ი. ლ-სიტყვის ძირითადი კომპონენტი — სრულიად გამოტოვებულია)<sup>6</sup>. ამავე მინაწერში გვხვდება უჩვეულო გამოთქმებიც: „თუ უბედორი კცა გამოჩნდეს, ან მტერთა უჩხუბის, ან ქორდობა ჰავი რამე ქანას, იმის ნათესა ამოაგდოს, ...კაცი დააკოცესა, წა გი და თემე ამას გაუწყრესა ყველა“<sup>7</sup>.

<sup>5</sup> ეს ხელნაწერი ე. თაყაიშვილს არ უნახავს. იგი აღწერა ჯერ დ. ბაქრაძემ (Сванетия, Записки КОРГО, кн. VI, 1861, გვ. 98—99) და შემდეგ ა. ხახანაშვილმა (Грузинские рукописные евангелия, „Материалы по археологии Кавказа, вып. X.) ა. ხახანაშვილს მაცვანილი აქვს ამ სახარებაზე გაკეთებული ზოგი მინაწერიც, მაგრამ ეს მინაწერები მეტწილად შეცდომებითაა ამოკითხული.

<sup>6</sup> მესტიის ოთხთავი, გვ. 147—151.

<sup>7</sup> ი. ჯ. ე. ეს მინაწერი უდრის პ. ინგოროყვას გადმოცემის № 121 საბუთს. ქვემოთ ყველგან მითითებული იქნება საბუთების ნომრები პ. ინგოროყვას გამოცემის მიხედვით.

შემოდასახელებული ნიშნებით ადვილად გამოიყოფა ძირითადი (XIV—XV სს.) მინაწერებიდან შედარებით მოგვიანო ხანის მინაწერები.

გვიანდელი მინაწერები ზოგჯერ რაიმე ფაქტის თუ მოვლენის აღმწერილი ტექსტი კი არაა, არამედ შემთხვევითი ხასიათის, ხელნაწერის მკითხველის უბრალო მოხსენიებას თუ შეიცავს. მაგალითად, გვ. 405-ზე ნუსხახუცურით წერია „სლის ზურაბს შნდს ღნ ან ონი ღო (ქარაგმების გახსნით—სულსა ზურაბისას შეუნდოს ღვიერთმან. ამინ. უფალო ღმერთო). ამავე პირს ეკუთვნის მეორე მინაწერიც გვ. 355-ზე: „სულისა ზურაბისა შონდის ღნ ან. უო ღო შიწყლო სლი მისი“ — ამ მინაწერშიც ქარაგმები ზის იქ, სადაც სულაც არაფერია დაქარაგმებული, ხოლო სიტყვები მოცემულია არასრული ფორმით. ეს ნიშნები გარკვეულად მიუთითებენ მინაწერის გვიანდელობაზე და XVII—XVIII სს-ს განეკუთვნებიან.

ამგვარი ნიშნებისაგან სულ თავისუფალია ის მინაწერები, რომელთაც ძირითადად XIV—XV სს-ის ვაკუთვნებთ.

მესტიის ოთხთავზე გაკეთებულია 73 ასეთი მინაწერი. ზოგი მათგანი ნუსხახუცურითაა გაკეთებული, ზოგი მხედრულით. ნუსხახუცურით გაკეთებული მინაწერები უფრო ადვილი წასაკითხია — როგორც წესი, ისინი დაწერილია მსხვილი კალმით, ამიტომ ტექსტი დროთა ვითარებაში ნაკლებადაა გამკრთალებული, ვიდრე მხედრული ხელით ნაწერი, რომელიც ხასიათდება წვრილი კალმით, თხელი და თავისთავად მკრთალი ხაზებით. ასეთი ტექსტი, თვით ნაწერის ამოკითხვის სიძნელის გარდა, მეტადაა გამკრთალებული და ამიტომ უფრო ძნელი წასაკითხია, ვიდრე ნუსხახუცურით შესრულებული ტექსტები.

მესტიის ოთხთავზე გაკეთებულია 96 სხვადასხვა დროის მინაწერი. ამათგან პ. ინგოროყვას გამოცემაში შესულია 73, დანარჩენი 23 წარმოადგენს გვიანი ხანის სულის მოსახსენებელსა და სხვადასხვა ხასიათის საბუთს.

ეს 73 მინაწერი 21 სხვადასხვა მწერლის მიერაა დაწერილი და ყველა მათგანი სეტის (მესტიის) ხეგშია შესრულებული (ამ 73-დან 15-ის დაწერილი უცნობია). დანარჩენი 58 მინაწერი შემდეგი 21 მწერლის ხელითაა დაწერილი:

1. ანტონი (№ 2, 77, 79, 80)<sup>8</sup>.
2. ქერუბინ უხოჯელანი (37, 87, 108).
3. დემეტრე უხოჯელანი (6, 20, 35, 50, 97, 98, 99, 101).
4. გიორგი (7, 23, 78).
5. მახარობელი უხოჯელანი (8, 19, 47) — ნუსხახუცური.
6. ფურთუხ (96).
7. ნინია (95, 100).
8. ივანე (83).
9. იოვანე (9) — ნუსხახუცური.
10. ქერუბინ კილამოშელი (21, 33, 39, 51, 86, 106, 107).
11. გიორგი იველდიანი — (34, 42, 44, 53, 88, 89, 90, 91, 93, 94, 105).
12. გიორგი — (32, 84).
13. ქერუბინ უხოჯელანი (37) — ნუსხახუცური.
14. იველდიანი (41).
15. ტიმოთე პაპა (43) — ნუსხახუცური.

<sup>8</sup> აქ და ყველგან საბუთების რიგით ნომრებს ვუჩვენებთ პ. ინგოროყვას გამოცემის მიღევით.

16. დემეტრე (46, 85).
17. ოქროპილ — (81).
18. დემეტრე (82).
19. გიორგი — (102) — ნუსხახუცური.
20. გორსი დაგიანი (103).
21. გიორგი შქშერიანი (104, 109).

ამ მწერალთაგან შესრულებული მინაწერები პალეოგრაფიული ნიშნებით მხოლოდ დაახლოებით თარიღდება და ისიც საკმაოდ დიდი პერიოდის შუალედით: — XIV-XV სს.

საერთოდ დოკუმენტთა ტექსტებში რაიმე ნიშანდობლივი ისტორიული ფაქტი, რომელიც კი ტექსტის უტყუარი დათარიღებისათვის გამოდგებოდა, არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ მათში დაცულია ერთგვარი მინიშნება იმისა, რომ დოკუმენტთა ერთი ნაწილი სწორედ XV ს-ისა უნდა იყოს.

მესტიის ოთხთავის მინაწერთა ერთ წყებაში იხსენიებიან ჯაფარიძეები, კერძოდ, ამ საგვარეულოს რამდენიმე სხვადასხვა წარმომადგენელი: ჯაფარიძე (ან მჯაფარიანი) მამისა, პირნათელ, ივანე; ჯაფარიძე კახაბერ და მისი ძენი ასლან და ტაიბულა (№ 79); ჯაფარიძე პირნათელი და მისი შვილები დოდოლ, ივანე, ასლან (№ 106). ამასთან გარკვევით ჩანს, რომ ეს საგვარეულო, დანარჩენ მცხოვრებლებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაშია (ამაზე უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი).

ჯაფარიძეთა საგვარეულო აზნაურად ითვლებოდა XIX საუკუნის სენათში. მაგრამ სენაი აზნაური სოციალურად განსხვავდება ბარის აზნაურისაგან უპირველესად იმით, რომ იგი თავადის ყმა არ არის და ხშირად არც თავისი ყმები ჰყავს. XVIII საუკუნეში აზნაურებსა, ე. ი. ვარგებსა და დანარჩენ მასას შორის განსხვავება ნაკლებ თვალში საცემი იყო. სოციალური განვითარების თავისებურებამ მთიან სენათში განსაზღვრა ის, რომ თემზე აღზევებული ცალკეული საგვარეულო საბოლოოდ არ გამოყოფია თემს, არ გაბატონებულა მასზე და ცალკე სოციალურ ფენად არ ჩამოყალიბებულა.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სიძლიერის კულმინაციის პერიოდში (XII—XIII სს.) ბარი სოციალურად იმორჩილებს მთასაც და იქ თავისი ფეოდალური ნორმების დამყარებას ცდილობს. მაგრამ თემის სიძლიერე, რაც ქვეყნის ბუნებრივი თუ ეკონომიური პირობებით იყო შეპირობებული, იმის საშუალებას არ იძლევა, რომ ერთი საგვარეულო სამუდამოდ მეორის „პატრონად“ იქცეს და მეორე პირველის „გლეხი“ გახდეს. XV საუკუნიდან, როცა საქართველოს მთლიანობა შეირყა და ჩრდილო-კავკასიელი მთიელების საქართველოში შემოსაჭრელად უფრო ხელსაყრელი დრო დადგა, სენათის მთაში თემზე გაბატონების მოსურნე საგვარეულოთა გაძლიერებაც შეფერხდა. იქ ისევ თემის ძლიერება აღსდგა.

ჯაფარიძეთა აღზევების ხელსაყრელ ხანად XIV—XV სს. უნდა ვივარაუდოთ. XV ს-ის შემდეგ მათი სიძლიერის ხელშემწყობი პირობები უკვე ქრება.

ხალხში დარჩენილი გადმოცემების თანახმად მთაში (ეს იქნება დასავლეთ საქართველოს თუ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში) თემზე აღზევებული საგვარეულო ან უცხო მხრიდანაა მოსული და ან ბარის ხელისუფლების მიერაა ძალადმცემული. ასე, მაგალითად, მთიული ღუღუშაური არაგვის ერისთავის

ძალით მოქმედებს, დადგენილია ჩერქეზეთიდანაა მოსული; არაგვის ერის-  
თავი ოსეთიდანაა, ქსნის ერისთავიც აგრეთვე წარმოშობით ოსია და ა. შ.

ასეთივე თქმულებაა შემორჩენილი ჯაფარიძეების შესახებაც.

გადმოცემით, სეტის ქვეის ერთ-ერთი სოფლის — ლანჩვალის მცხოვრებ-  
მა ჩართოლანმა გზაზე, ენგურის (თუ რომელიღაც სხვა მდინარის) პირას იბოვა  
ბიჭი (ჯაფარიძე) და შინ მოიყვანა. უთვისტომო ბიჭი ყველამ შეიცოდა და სო-  
ფელმა მისი შენახვა თავს იდგა. ყოველ მეთემეს მისთვის მოჰქონდა სასმელ-  
საჭმელი. ბიჭი წამოიზარდა და თანდათან მეთემეთაგან მოტანა სასმელ-საჭმელი-  
სა დააკანონა. ყოველი მეთემე ვალდებული გახდა ამ ბიჭისათვის ყოველწლიუ-  
რად საკლავი ან სხვა რამ მოეტანა. ასე წარმოიშვა ჯაფარიძის ძლიერება თეძუ-  
(ესაა ჩვეულებრივი ახსნა გადმოცემებისა და მიხედვით საგვარეულოს აღზევების  
მოტივებისა). გაძლიერებული ჯაფარიძე უპირისპირდება თემს. თემმა შეიძუ-  
ლა ჯაფარიძის შემომყვანი ჩართოლანიც. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჯაფა-  
რიძის გაძლიერებისათვის (ამ დროს საერთო პირობები იქმნება თემის შემდგომი  
დაშლისა და იქ ზოგი პირის სოციალური აღზევებისათვის). ჯაფარიძეთა გაძლიე-  
რების გარეგნული გამოხატულება იქნებოდა საგვარეულო ეკლესიაც. აღზევე-  
ბულ გვარს უეჭველად უნდა ჰქონოდა იდეოლოგიური იარაღიც სიძლიერისა —  
ასეთი იქნებოდა ეკლესია.

და მართლაც, ლანჩვალში (ამჟამად მესტიის ჩრდილო-დასავლეთი უბანი)  
არის ეკლესია, რომელიც დეტისმშობლის სახელობისაა და, გადმოცემით, მისი  
აღმშენებელი პაპი ჩართულარი ყოფილა<sup>9</sup>. ეს ეკლესია ხელოვნებათმცოდნეების  
აზრით, XIII—XIV საუკუნისაა და XV ს-ში საფუძვლიანად გადაკეთებული და  
მოხატული. ამჟამად კედლის მხატვრობა ამ ეკლესიაზე მხოლოდ აქა-იქაა შერ-  
ჩენილი.

ეკლესიის შესავლის (დასავლეთი კედლის) ორივე მხარე და მთელი სამხ-  
რეთი კედელი სჭერია ეკლესიის მაშენებელთა ოჯახის წევრების ფრესკებს.  
ოჯახი ჯაფარიძედ არის წოდებული ფრესკების წარწერებში. ეს გარემოება  
ცხადს ხდის, რომ ჯაფარიძენი, ეკლესიის განმანაწლებელნი, მისი პატრონებიც  
არიან. ამასთან, თუ კი გადმოცემით ეკლესია ჩართულარის (ან ჩართოლანის)  
აშენებული ყოფილა თავდაპირველად, ცხადი ხდება, რომ ჯაფარიძეთა აღზე-  
ვება ამ შემთხვევაშიც ჩართოლანთა გვართან არის დაკავშირებული. ჩართო-  
ლანებმა მოიყვანეს ჯაფარიძენი, შეუქმნეს პირობები გაძლიერებისა და იძუ-  
ლებულნი გახდნენ ეკლესიაც დაეთმოთ მათთვის.

ეკლესიაში მოთავსებულია ექვსი ისტორიული პირის ფრესკა. ოთხი სამხ-  
რეთის კედელზე და ორიც დასავლეთისაზე. ამ ეკლესიაში გამოხატულ პირთა  
ჩაცმულობა და თავშემკულობა ამკარად დიდკაცურია. ერთის შეხედვითვე ეტ-  
ყობა, რომ ამ პირთა ჩაცმულობა განსხვავდება იმ ჩაცმულობისაგან, რომელიც  
გვხვდება XII—XIII სს. სვანეთის კედლის მხატვრობაში (ლაღამი, მხერ-ლენ-  
ჯერი) და ამკარად უფრო გვიანდელი ხანისაა. ეკლესიის დასავლეთ კედელზე,  
კარის მარცხნივ (ჩრდილოეთით) გამოსახულია ახალგაზრდა, უწვერულვაშო  
კაცი. მას აცვია ზოლიანი მთლიანი კაბა, მძივებშემოყოლებული საყელოთი;  
საყელოს შიგნით უჩანს სხვა ფერის კაბა. თავზე მოწითალო ფერის მაღალი

<sup>9</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1937, გვ. 299.

ქუდი ხურავს. გამოხატულების თავის მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულია ასომთავრული წარწერა.

მჯაფა რას ძისაჲ  
ასლანს შს ღა

(მჯაფარას ძის ასლანს შეუხდოს ღმერთმა).

ამავე კარის მარჯვენა (სამხრეთ) მხარეს მოთავსებულია ცისფერკაბიანი მამაკაცის ფიგურა. კაცს შავი წვერ-ულვაში აწვს (შუახნისა) და თავზე ისეთივე ქუდი ხურავს, როგორც ასლანს. ამ ფრესკის წარწერა ჩამოცვენილია.

სამხრეთ კედელზე გამოსახულია ოთხი ფიგურა, ორი ქალის და ორიც მამაკაცისა.

საკურთხევლისკენ უფრო ახლოს მდგომ ორ ქალს მოსახამები ასხიათ.

პირველ ქალს აცვია წვრილყვავილებიანი კაბა, და მის მარჯვნივ მოთავსებულია ასეთი წარწერა:

... ჯაფარს ძისა  
ასლსა ჳიმად  
შს ღნ

მეორე ქალი ამდაგვარადვეა ჩაცმული, ოღონდ მისი კაბა მსხვილყვავილებიანია. მის გვერდით ასომთავრული წარწერაა:

პირნათლას ასოლს  
... ს შს ღნ

აქ დაკარგულია პირნათელის ასულის სახელი.

მესამე და მეოთხე მამაკაცის გამოსახულებანი ერთნაირადაა ჩაცმული. ვიწრო სარტყელი აქვთ შემოჭერილი ოდნავ წელს ქვევით. მესამის კაბა ზოლიანია. მეოთხისა უჯრაუჯრა. არც ერთი ამათგანის სახე არაა შემორჩენილი და არც წარწერაა შენახული<sup>10</sup>.

ცხადია, რომ აქ გამოხატულია პირნათელ ჯაფარიძის ოჯახი. თვით პირნათელი უნდა იყოს კარის მარჯვნივ მოთავსებული შავწვერულვაშიანი მამაკაცი. აქვეა მისი ვაჟი ასლან და მისი ორი ქალი. დანარჩენი ორი გამოსახულება უნდა იყვნენ პირნათელის ვაჟები — ცნობილი საბუთებიდან — დუდილი დოდილ და ივანე.

რაკი ეს ეკლესია და მისი კედლის მხატვრობა XV ს-ით თარიღდება, ამიტომ აქ მოხსენებული პირნიც — პირნათელ და ასლან — ამავე XV საუკუნის მცხოვრებნი უნდა იყვნენ. თუ ეს ასეა, საბუთებში მოხსენებულ პირნათელსაც XV საუკუნეში უნდა ეცხოვრა. ამ ხანებისათვის იგი უკვე შუახნისაა, ჰყავს რამდენიმე შვილი, მათგან ასლანი ჯერ უწვერულვაშო, 17—18 წლისა. საბუთებით ცხადი ხდება, რომ ასლანი პირნათელის უმცროსი შვილია, იგი მესამედ იხსენიება დუდილისა და ივანეს შემდეგ (№ 6, 106). ხოლო ერთ-ერთ საბუთში (№ 21) ასლანი სულაც არ იხსენიება, მხოლოდ პირნათელის შვილები დოდილ და ივანეა მოხსენებული; აქედან დასკვნა — № 21 საბუთი დაწერილია ეკლესიის მოხატვის 17—20 წლით ადრე, როცა ასლანი ჯერ დაბადებული არ იყო (ეკლესიის ფრესკაზე ასლანი 17—18 წლისა).

ასე რომ, საბუთები № 6, 106 დაწერილია უფრო გვიან, ვიდრე საბუთი № 21.

თვით პირნათელის მოღვაწეობის ხანაც XV საუკუნის შუა წლებით თარიღდება. აქედან მინაწერები, რომლებშიაც იხსენიება პირნათელი, XV საუ-

<sup>10</sup> ე. თაყაიშვილს მოხსენებული აქვს მხოლოდ ასლან ჯაფარიძის ფრესკა.

კუნის შუა წლებსაა. ესაა საბუთები № 40, 44, 107, 48, 84, 85, 82, 101, 106, 88.

რაკი ეს საბუთები XV ს-ის შუა ხანით თარიღდება, ამიტომ, ცხადია, ყველა იქ მოხსენიებული პირიც ამავე ხანის მოღვაწეა. და ამავე ხანისავე გამოდის ყველა ის საბუთი, რომელშიაც ეს პირნი მოხსენიებიან უკვე ჯაფარიძისაგან დამოუკიდებლად.

ასეთია უპირველესად ყოვლისა აზნავ გოშქოთელიანი, რომელიც იხსენიება № 48, 84, 85 საბუთებში. ჯაფარიძეთა თანადროულია ვახდანგიანისა და სეტიელების ოჯახიც (№ 2, 77, 78, 85, 86, 88, 90, 91, 92, 95). ამგვარად, გამოდის, რომ მესტიის ოთხთავის მინაწერებში მოხსენიებულ პირთა მოღვაწეობას ხანა XV საუკუნეა.

\* \* \*

ახლა, როდესაც დათარიღებული გვაქვს მესტიის ოთხთავის მინაწერები და ამის საშუალებით შეგვიძლია დანარჩენ მინაწერთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენა, შევეცდებით აღვადგინოთ ის სურათი, რომელსაც ეს მინაწერები იძლევიან XV ს-ის სვანეთის სოციალური ყოფის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა ტერიტორიულ საზღვრებს მოიცავს სვანურ დოკუმენტებში ასახული ვითარება.

დოკუმენტთა ერთი ნაწილი მთლიანად სვანეთს შეეხება, ზოგიც მის ცალკეულ ნაწილებს.

დოკუმენტთა ტერმინოლოგიაში გარკვევით ჩანს გამოთქმა „სრულიად სვანეთის ზევი“, რაც იმავე დოკუმენტთა განსაზღვრებით უდრის უშქულისა და ლალვერს<sup>11</sup> შორის მოთავსებულ ტერიტორიას. ანუ, თანამედროვე ნომენკლატურით, ეს არის იგივე ზემო სვანეთი. დოკუმენტები უშქულისა და ლალვერს შორის მოთავსებულ ტერიტორიას უწოდებენ აგრეთვე „ერთობილ ქევს“. „და ვ დ ე ვ ი თ და წ ე რ ი ლ ი ე ს ე ს რ უ ლ ი ა დ ს ვ ა ნ ე თ ი ს ა ჭ ე ვ ი ს ა ვ უ შ ქ უ ლ ს ა და ლ ა ლ ვ ე რ ს ა შ უ ა სამ ა გ რ ო ბ ე ლ ი, ჩ ვ ე ნ ე რ თ ო ბ ი ლ მ ა ნ ქ ე ვ მ ა ნ“. ამ განსაზღვრებაში გარკვევით ხაზგასმულია, რომ „სრულიად სვანეთის ქევი“ უშქულისა და ლალვერს შორის მდებარეობს და რომ იგი ამავე დროს უდრის ერთობილ ქევს<sup>12</sup>. ამგვარადვეა განმარტებული „ერთობილი ქევი“ სხვა მომდევნო საბუთებშიაც<sup>13</sup>. საბუთები გარკვევით გვიჩვენებენ, რომ ამ ერთობილი ქევის უზენაესი მებატრონე სეტის მთავარმოწამეა. ასე რომ, ამ შემთხვევაში მთელი სვანეთი (იგულისხმება აწინდელი ზემო სვანეთი) სეტის მთავარმოწამის საგამგეოა, მისი „შესავალია“. ეს მომენტი გარკვევით ჩანს ერთობილი ქევის სახელით დადებულ ერთი საბუთიდან: „...დაუწერეთ და დაუდევით ჩუენ ქეუმან ერთობილმან ლარვერს და უშქულს შუამან. ...შ ე ვ ი ყ ა რ ე ნ ი თ ქ ე ვ ი ჭ ე ო ბ ი თ და გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ ე კ ლ ე ს ი ა ს ა ქ მ ე ა ს რ ე: უ შ ქ უ ლ ს ა და ლ ა რ ვ ე ლ ს შ უ ა მ ყ ო ფ მ ა ნ ვ ი ნ ც ე კ ლ ე ს ი ა გ ა ტ ე ხ ო ს, რომ ე ლ ის ა ც ქ ჭ უ ე ყ ნ ის ა ი ყ ო ს ი გ ი კ ა ც ი, რ ა ე კ-

<sup>11</sup> ლალვერი უდრის თანამედროვე ჭუბერის ხეობას.

<sup>12</sup> სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ. 1941. გვ. 5. № 1. შდრ. რ. ხ ა რ ა ძ ე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VI, თბ., 1953, გვ. 166—167.

<sup>13</sup> იქვე, № 2, 3, 4, 5. მესტიის ოთხთავი, გვ. 602, 177, 8—12, 268—269.



ლესისა ჰმართებდეს, აგრე არ გაიღონ, იგი ქუეყანაი სე ტისა მთავარ-  
მოწამისაგან და მისისა შესაულისაგან გამოსურული იყოს“<sup>14</sup>.

ამ ამონაწერში შემდეგი მომენტებია საყურადღებო: ერთობილი ჭევის  
(ლალვერსა და უშქულს შუა მდებარე) სახელით საბუთის დადებისას აუცილე-  
ბელი ყოფილა შეყრა ჭევისა ჭეობით („შევიყვარენით ჭევი ჭეობით“). ე. ი.  
ერთობილი ჭევი — ადმინისტრაციული (თუ ტერიტორიალური) ერთეული თა-  
ვის მხრივ იყოფა ჭეობებად. ერთად შეყრილი ჭეობები ერთობილ ჭევს უდრის.  
ამავე დროს, ეს ჭეობები ტექსტის გამოთქმით, „ქვეყანადაც“ იწოდებიან.  
„ვინც ეკლესია გატეხოს, რომელისაც ქუეყნისა იყოს იგი კაცი“ — ანუ რომე-  
ლი ქვეყნის — ჭეობის წევრიც იქნება ის კაცი, თუ ეს კაცი ეკლესიის გატეხისა-  
თვის დადებულ გადასახადს (ჯარიმას) არ გადაიხდის, მაშინ მისი დანაშაული-  
სათვის მისი ქვეყანა — ჭეობა იქნება პასუხისმგებელი — „იგი ქუეყანაი სეტისა  
მთავარმოწამისაგან და მისისა შესაულისაგან გამოსურული იყოს“. გამოდის,  
რომ ერთობილ ჭევში შემავალი ქვეყანანი სეტის მთავარმოწამის შესავალია,  
საგამგეოა, სეტის მფარველობის ქვეშა და სეტის მთავარმოწამე მთელი ჭევის  
უზენაესი პატრონია. სეტის მთავარმოწამის უზენაესობა უფრო გარკვევით  
ჩანს მელომის არჩევასთან დაკავშირებით დადებულ საბუთში.

ეს საბუთიც ერთობილი ჭევის სახელითაა დადებული. ერთობილი ჭევი  
მელომედ აყენებს ვახთანგიანსა ბენდანს და თავის ეს აქტი შემდეგნაირად აქვს  
გამოხატული: „ოდეს შენითა ნებითა მთავარმოწამე სეტისა და ერთობილი ჭევი  
გიშვილე... ეგრე მელომედ დაგაყენეთ“<sup>15</sup>. აქედან — მელომედ დაყენებულმა  
უნდა იშვილოს ერთობილი ჭევი და მთავარ მოწამე სეტისა. სეტის მთავარმოწა-  
მე და ერთობილი ჭევი ეს ორი ცნება ერთმანეთს ფარავს. ბენდან ვახთანგიან-  
ნის მიერ საპასუხოდ დადებულ საბუთშიც ეს გარემოება აგრეთვე ასევეა ხაზ-  
გასმული: „მთავარმოწამე სეტისა და ერთობილი ჭევი გიშვილე“<sup>16</sup>.

ერთობილი ჭევი, სეტის მთავარმოწამის შესავალი ტერიტორია, როგორც  
ითქვა, ცალკე ჭეობებად იყოფოდა. მაგრამ ეს ცალკე ჭეობები თავის მხრივ  
ქმნიდნენ უფრო მსხვილ გეოგრაფიულ ერთეულებს, ესაა ქვემო ხევი და ზემო ხევი. ერ-  
თობილი ხევის სახელით გაცემულ საბუთებში გარკვევით ჩანს ამ მთლიანი ხევის  
ზემო და ქვემო ხევებად დაყოფა: „თუ ზემო ჭეუმან გაგიტეხოთ ჭეობა.  
იმიერი ამერთა, და ზემო ჭევისა ნანძლევი ქუემო ჭეუსა დაგრხო-  
ბოდე“<sup>17</sup>. ან და „თუ ქუემო ჭეუს გამოჩნდეს — ცაიშელმან დაიუროს  
რჯული, ზემომან ცაგერელმან — ზემოთ დაიჭიროს“<sup>18</sup>.

ამგვარად, გარკვევით ჩანს, რომ ერთობილი ჭევი თავის მხრივ ორ ძირითად  
ნაწილად — ზემო და ქვემო ხევებად იყოფა. მაგრამ სად იყო საზღვარი ამ ორ  
ხევეს შორის? ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა „სამაგრობელი“, რომელიც გა-  
ცემულია „ერთობილი სვანეთის ხევის“ სახელით და ეს ხევი განმარტებულია  
როგორც „ატკვერსა და ბელას შუა“ მდებარე ტერიტორია. ამასთან ეს სა-  
ბუთი, გარდა გეოგრაფიული მიჯნებისა, იძლევა თვით ამ ხევში შემავალ „ქვე-  
ყანათა“-ხეობათა ჩამოთვლასაც: „მაცხოურისა ლატალისა“<sup>19</sup>. მაცხოურისა

14 იქვე, № 3, მესტიის ოთხთავი, გვ. 8—12.

15 იქვე, № 2.

16 იქვე, № 5.

17 იქვე, № 5, მესტიის ოთხთავი, გვ. 268—269.

18 ეს საბუთი ერთობილი ჭევის-ლალვერსა და უშქულს შუა მდებარე ჭევის—სახელითაა  
გაცემული. № 3, მესტიის ოთხთავი, გვ. 8—12.

19 აქ, როგორც გამოაცემელი ფიქრობს, ამის შემდეგ უნდა მოხსენებულიყო ლენჯერის,  
სეტის და მულახის ხევის სალოცავები (№ 29).

მეაღვისა, ...მაცხოურისა წურემისა, ...მთავარმოწამისა გრდაშისა... მაცხოურისა ელისა... მთავარმოწამისა იფარისა..., მაცხოურისა ჰადიშისა... წმიდისა კვირიკე კალისა... დღედისა ღმრთისა უშგულისა თავსდებობითა დაუწერეთ საგმობი ესე ერთობილმან სვანეთისა ჭეუმან ატკვერსა და ბელას შვამა ყოველმან“. ამ საბუთით, „ატკვერსა და ბელას“ შუა მდებარე ერთობილ ჭევეში შედის თანამედროვე ლატალის, მუყალის, წურმის, ელის, იფარის, ჰადიშის, კალის და უშგულის თემები. აქედან ირკვევა, რომ ერთობილი ჭევის ერთი ნაწილი — ზემო ხევი — ბელასა და ატკვერს შორის ყოფილა მოთავსებული (ატკვერი უშგულის საზღვარია). რაკი ეს ვიცით, თავისთავად ირკვევა ჭევემ ხევის საზღვრებიც. თუ მთელი ხევის და ზემო ხევის აღმოსავლეთი საზღვარი უშგული-ატკვერია, მთელი ხევის დასავლეთი საზღვარი ლალვერი, ხოლო ზემო ხევის დასავლეთი საზღვარი ბელასა, მაშინ ბელასა და ლალვერს შორის მდებარე ტერა-ტორია იქნება ჭევემ ხევი. ასე რომ, ბელაქბალი ჩვენთვის საინტერესო ხანაში ყოფილა ზემო და ჭევემ ხევების საზღვარი. ბალის ქედი გამოდის ბუნებრივ და ადმინისტრაციულ საზღვრად როგორც XIV—XV სს-ის, ისე შემდეგი დროის (სადადეშქელიანო და თავისუფალი სვანეთის არსებობის ხანის) სვანეთისათვის.

მოტანილი საბუთებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ჭევემ ხევი (შემდეგ დროის სადადეშქელიანო სვანეთი) ცაიშის საეპისკოპოსო („ცაიშელმან დაიუროს რაჯული“), ხოლო ზემო ხევი — ცაგერის საეპისკოპოსო („ცაგერელმან-ზემოთ დაიჭიროს“). შემდეგი ხანებისათვის კი ცაიშის ეპისკოპოსის საშესავლო ჭევეყანა მთელ ზემო სვანეთს მოიცავდა (ე. ი. XIV—XV საუკუნეთა ზემო და ჭევემ ხევებს), ცაგერელს კი მხოლოდ აწინდელი ჭევემ სვანეთი ექვემდებარებოდა. ასე რომ, ჩვენს წინა საეპისკოპოსოთა საზღვრების შეცვლის მეტად საინტერესო მაგალითი: ცაიშის საეპისკოპოსო ფართოვდება ცაგერის საეპისკოპოსოს საზღვრების ხარჯზე.

„ლალველსა და უშქულის შუა“ მდებარე ჭევი, როგორც ითქვა, „ერთობილ ჭეველ“ იწოდება. მაგრამ ეს სიტყვა ერთობილი, როგორცა ჩანს, მხოლოდ მთლიანად აწინდელი ზემო სვანეთის აღმნიშვნელი არა ყოფილა. „ერთობილ“ იხმარებოდა აგრეთვე მთელი ხევის ერთი ნაწილის — ზემო ხევის აღმნიშვნელადაც — „ერთობილი სვანეთისა ჭევი ატკვერსა და ბელას შვა“ (№ 29). გამოდის, რომ „ერთობილს“ ჰქონია როგორც ფართო, ასევე ვიწრო მნიშვნელობაც. არის მაგალითები, სადაც სიტყვა „ერთობილი“ კიდევ უფრო ვიწრო მნიშვნელობით იხმარება. მაგ., „ერთობილი ლაპილისა სოფელი“ (№ 24) „ერთობილი წურმის ჭევი“ (66); „ერთობლივი ლაილას ჭევი“ (№ 55), „ჭევი ერთობილი მესეტისა“ (49) და სხვ. ამ შემთხვევაში „ერთობილი“ ცალკეული თემის ეპითეტია. ერთობილი თემი (ხეობა), ერთობილი ზემო ხევი, ერთობილი ხევი სრულად სვანეთისა. ერთობილი გამოდის ხარისხის მაჩვენებლად და არა ტერიტორიული სისავსისა. ერთობილი სწორედ ასეთი მნიშვნელობით იხმარება XII—XIII სს-ის დროშის ტარის წარწერაშიც: „ქ. უბენდიერენ ღმერთმან ერთობილსა ჭევესა ბედნიერისა სუანეთისასა...“<sup>20</sup> დროშის ტარის მეორე მხარეს გამოხატულია სამი წმინდანის შემდეგი წარწერებით: „წა გიორგი სეტისა, წა იონა წინასწარმეტყველი ლატალისა, მთავარანგელოზი უღრისა“<sup>21</sup>. სეტი, ლა-

<sup>20</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 273—275.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 275.

ტალი და ულრი<sup>22</sup> სამი ერთი მეორის მეზობლად მდებარე თემია და დროთა  
ეს წარწერაც შექველად მეტყველებს ამ სამი თემის ერთი დროის ქვეშ გა-  
ერთიანებას. სეტის, ლატალისა და ულრის გაერთიანება კი წარწერაში სახელ-  
დებულისა როგორც „ერთობილი ჯევი ბედნიერისა სუანეთისა“.

დოკუმენტთა ერთ არსებობს შემდეგი გაერთიანებანი: ერთობილი ხევი  
სრულიად სვანეთისა, რომელიც იყოფა ორ ნაწილად:

ზემო ხევი და ქვემო ხევი.

ორივე ეს ხევი თავის მხრივ იყოფა ცალკეულ ხევებად. ის, რაც თანამედ-  
როვე ნომენკლატურით თემს აღნიშნავს, საბუთთა ერთ ხევედ იწოდება. სე-  
ტის ხევი (22), წუიზმის ჯევი (66), ლაილას ჯევი (55), ლატალის ჯევი (55) და  
ასე შემდეგ.

კრებითი სახელის — „ჯევის“ გვერდით გვაქვს აგრეთვე „სოფლის“ ხმა-  
რების შემთხვევებიც: სეტისა სოფელი (21), ერთობილი ლაპილისა სოფელი  
(24), პადიშის სოფელი (63). სოფელი და ჯევი ერთი მეორის შემცველ ცნებე-  
ბად ჩანან. გარდა ამისა, ტექსტებში ტერიტორიული ერთობა ელ-იანი დაბო-  
ლოებითაც აღინიშნება. მაგალითად, ექუდელნი (75), ლახამლელნი. (73), ლაი-  
ლელნი (56), ლალამელნი და სეტიელნი (36) და ა. შ.

თუ ამ ტერიტორიული დანაწევრების აღნიშვნელ ტერმინებში (ჯევი, სო-  
ფელი) მკვეთრად გამოჩენილი არ არის ვიწრო და ფართო ცნებები. სამაგიეროდ  
თითოეულ ამ სახელში გარკვევით ჩანს, რომ მისი ზღვარი ულრის სალოცავის  
კომპეტენციის არეთა ზღვარსაც.

ეს გარემოება განსაკუთრებით ნათლად ჩანს იმაში, რომ ამა თუ იმ ჯევის  
მცხოვრებლები პარალელურად იწოდებიან შესაბამისი ხატის საყდრის შეი-  
ლებად. მაგალითად, ერთობილი სეტის ხევი ერთობისა და გაუყრელობის და-  
წერილსა სდებს: „ჩვენ ერთობილმან ს ე ტ ი ს ა მ თ ა ვ ა რ - მ ო წ მ ი ს ა ს ა ყ -  
დ რ ი ს შ ე ი ლ თ ა“ (№ 35); ანდა „მულახ-მულახლისა ჯეუმან ესე დაწერი-  
ლი მ უ ლ ა ხ ი ს ა ს ა ყ დ რ ი ს ა შ ე ი ლ თ ა მოგაცხენეთ“ (65); „მოგაცხე-  
ნეთ დაწერილი ესე ვინც მაცხოვრისა მ უ ლ ა ხ ი ს ა ს ა ყ რ დ ი ს შ ე ი ლ ნ ი  
მულახს ვსახლობთ“ (64).

ხევისა და ხატის იურისდიქციის საზღვართა იდენტურობა კარგად ჩანს  
№ 33 საბუთით. ამ საბუთის დამდები სეტის ხევი ერთობილი ასეთ პირობას  
სდებს: თუ რომელიმე მათგანს სხვა ხევის კაცთან („გარეგან კაცთან“) უთანხ-  
მოება მოუვა, პასუხისმგებელი იქნება ხევის წევრია (აქ იგულისხმება დანა-  
შაულის სანუქფოდ გადასახდელი ჯარიმა). მაგრამ თუ ეს კაცი მარტო ვერ  
შესძლებს ჯარიმის გადახდას — „საჯელო ერთს იადენ არ გადავახდევინოთ,  
ქვეყანამან გარდავაჯდევინოთ“. ე. ი. დამნაშავე პირის შეუძლებლობისას მთე-  
ლი ხევი კისრულობს მისი დანაშაულის ანაზღაურებას. ამ პირობას ხევი ასე-  
თი დასკვნით ამთავრებს: „რომელმანც კაცმან და თემმან ესე დაწერილი გაგვი-  
ტეხოს, ... ს ე ტ ი ს ა მ თ ა ვ ა რ - მ ო წ ა მ ი ს ა გ ა ნ და მ ი ს ი ს ა ზ დ ვ რ ი -  
ს ა გ ა ნ გ ა მ ო ს რ უ ლ ი ყ ო ს ი გ ი კ ა ც ი და მისი თემი მისითა ნდობით სიტყ-  
ვის უთქმელად“ (№ 33). ამ გაფრთხილებაში კარგად ჩანს, რომ ჯევის გადაწყ-  
ვეტილების ურჩი პირი მისი თემიანად „სეტისა მთავარმოწამისაგან და მისისა  
ზღვრისაგან გამოსრულ“ იქნება, ანუ იგი მოიკვეთება სეტის მთავარმოწამი-

<sup>22</sup> ულრი, ულტორი — მეზობლად მდებარე თემების — მულახის, წუიზმის, ივარისა, უშგული-  
სა და კალას გაერთიანება. (რ. ხ ა რ ა ძ ე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, გვ. 175).

სადმი რწმუნებული ხევისაგან. აქ განსაკუთრებით საინტერესოა გამოთქმა „მისისა (ე. ი. სეტის მთავარმოწამის) ზღვრისაგან“, რაიც მიუთითებს გარკვეულ საზღვრებში სეტის მთავარმოწამის რწმუნების არსებობას. სხვა შემთხვევაში „ზღვარი“ შეცვლილია „შესაულით“ („...იგი ქუეყანაი სეტისა მთავარმოწამისაგან და მისისა შესაულისაგან გამოსურული იყოს“ (№ 3). ცხადია, რომ ხევი სეტის მთავარმოწამის სახელით სამართალს აწარმოებს ამ ხატის შესავალ ქვეყანაში, რომელიც სწორედ ამავე ხატის ზღვარის იდენტურია.

ზემოჩამოთვლილი ტერიტორიულ-კრებიითი სახელების — ჭევი (მთლიანად სვანეთის აღმნიშვნელი), ზემო და ქვემო ხევი (მთელი ქვეის ორი ნაწილი) ჭევი (როგორც ცალკეული ხეობის ირგვლივ მდებარე სოფლების ანუ თემის აღმნიშვნელი) და ჭევი — სოფლის იდენტური — შესწავლა ერთ-ერთი წინაპირობაა ამ სახელთა ცნების ქვეშ გაერთიანებული მოსახლეობის უფლებრივ-ვალდებულებითი ურთიერთდამოკიდებულების გასარკვევად.

სრულიად სვანეთის ერთობილი ჭევი ლალვერსა და უშქულს შორის აერთიანებს მთელი აწინდელი ზემოსვანეთის მოსახლეობას. ამ გაერთიანების უფლებრივი სულისჩამდგმელია სეტის მთავარმოწამე, ხოლო ამ უფლების იურიდიული განხორციელება ხდება გარკვეულ სახეგო მოხელეთა საშუალებით, რომელნიც უპირველეს ყოვლისა საერთო სახეგო შეკრების („შევიყარენით“) ნებასურვილის გამტარებელნი არიან<sup>23</sup>.

საერთო სახეგო ხელისუფლად ჩანს მელომე (-მედროშე)<sup>24</sup>. მელომის განწესების წიგნით ხევის მოსახლეობისა და ხევისუფლების უფლება-მოვალეობის მრავალი მხარე ირკვევა. საბუთი დადებულია „ერთობილი ლალვერსა და უშქულს შუა ხევის“ სახელით. ეს ხევი საბუთს უდებს ბენდან ვახდანგიანს და მის ცოლს მარიამს. „მას ყამსა, ოდეს შენითა ნებითა მთავარმოწამე სეტისა და ერთობილი ჭევი გვიშვილე. აწ ვითა ეგრე შვილებულსა გუმართებს, ეგრე საპატიოდ ჩვენცა შენი პატივი გავათაოთ. თავად ვითა შენისა გუარისა ...სა სახლსა ჰქონებია, ეგრე მელომედ დაგაყენოთ“ (№ 2)<sup>25</sup>. აქედან ჭევი მელომედ აყენებს ვახთაგიან ბენდანს. ამ აქტის პირობაა ბენდანის მიერ სეტისა და ჭევის შვილება. ბენდანმა იშვილა სეტის მთავარმოწამე და ერთობილი ხევი. ერთობილი ხევი ამიერიდან ბენდანის შვილობილია. და როგორც შვილობილს შეჰფერის. „მამას“ სათანადო პატივიც უნდა სცეს. გამოთქმა „თავად ვითა შენისა ვითა გუარისა ...სა სახლსა ჰქონებია, ეგრე მელომედ დაგაყენოთ“ — იმას მიუთითებს, რომ ვახთაგიანის გვარის სახლს მანამდეც ჰქონებია მელომის ხელი<sup>26</sup>. ამ საბუთში ხაზგასმულია ისიც, რომ ბენ-

<sup>23</sup> სახეგო მოხელეთა, როგორც საბუთებში ნახსენებ, ასევე მათ ეთნოგრაფიულ პარალელების, საკითხს ვრცლად იხილავს რ. ხ ა რ ა ძ ე წეროლში: სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში.

<sup>24</sup> ი ქ ვ ე გვ. 172.

<sup>25</sup> მესტიის ოთხთავი, გვ. 602. ვახთაგიან გვხვდება პარალელური ფორმითაც—ვახთაგიანი.

<sup>26</sup> მაგრამ აუცილებელი არ ყოფილა მელომის ყოველთვის ერთი გვარიდან არჩევა. იმავე XV ს-ში, როდესაც ბენდან ვახთაგიანი მელომეობდა, მის შემდეგ მელომეებად ჩანან სხვა საგვარეულოს წევრებიც.

საბუთებში მელომედ იხსენიებიან აზაგ გოშგოთელიანი (№ 34) და პირნათელ ჯაფარიძე (№ 106). ჩვენს მიერ დადგენილი საბუთთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით ორივე ეს პირი—აზაგ გოშგოთელიანი და პირნათელ ჯაფარიძე—XV საუკ. შუა წლების ერთმანეთის თანამედროვე პირნი არიან. რომ ესენი ერთდროულად ცხოვრობდნენ, ამას მიუთითებს ის, რომ ისინი

დანის მიერ სეტის შვილობა სწორედ ბენდანის ნებით ხდება. „ოდეს შენი თანებითა გვიშველე“. ბენდანის მიერ საპასუხო დადებულ საბუთშიაც აღნიშნულია, რომ ახლად დაყენებული მელომეს დანიშვნის თუ არჩევის აქტს სწორედ ბენდანის ნებით მოხდა: „ოდეს ჩემისა ნებითა მთავარმოწამე სეტისა და ერთობილი ჭევი გიშვილე“ (№ 2)<sup>27</sup>. აქ ბენდანის „ნება“ მხოლოდ იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ მელომედ არჩევა ხევისა და კაცის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზეა მომხდარი და ხევის ძალდატანებას ბენდანის მიმართ ადგილი არა აქვს. ამასთან ისიც გარკვევით ჩანს, რომ მელომის დაყენება მთლიანად ხევის კომპეტენციასია — „ეგრე მელომედ დაგაყენოთ“. — დაგაყენოთ ფორმა სწორედ ხევის უფლებამოსილებას და ნებას გამოხატავს.

საბუთში ხაზგასმულია, რომ ხევს მელომისა პატივი მართებს: „აწ ვითა ეგრე შვილებულსა გვმართებს, ეგრე საპატიოთ ჩვენცა შენი პატივი გავათაოთ“.

შემდეგ საბუთში ჩამოთვლილია ხევის ვალდებულება მელომის მიმართ: „ვიდრე შენ, ბენდანი, ცოცხალ იყო, მანამდინ არც მ[...] მისა ბეგარი, არცა რაი სხუი საციხური არა გთხოვოთ, არ დიდი, არ პატარაი. ვისაც წაეკიდოთ, ... შენი საქმე არვის ვათნოთ... ვისც წაეკიდო, რაც იმას საქმე მოჰყვეს, იმისი პირი და პასუხის გამცემი და გარდამკდელი ჩვენ ერთობილი ჭევი ვართ“. გამოთქმა „ვიდრე შენ, ბენდანი, ცოცხალი იყო“, მიუთითებს, რომ ბენდანის მელომეობა მის სიკვდილამდე გრძელდება. მელომე თავისუფლდება იმ ვალდებულებებისაგან, რაც მას, როგორც ხევის წევრს, მანამდე ჰქონდა. ესაა ბეგარა და საციხური, დიდი და პატარა. ამ ბუნდოვან გამოთქმაში უნდა იგულისხმებოდეს ხევის წევრის მატერიალური და შრომითი ვალდებულებანი ხევის მიმართ. „არც ბეგარი... არც რაი სხუი საციხური არა გთხოვოთ, არ დიდი, არ პატარაი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბეგარა ამ შემთხვევაში ნიშნავს სეტის სასარგებლოდ ნატურით გაღებულ ვალდებულებას, ხოლო „საციხური“ შრომით ვალდებულებას (საციხური — ციხის ასაგებად მუშაობა). მელომის პრივილეგიაა ამგვარი ვალდებულებებისაგან თავისუფლება; მეორე მხრივ, ეს გამოთქმა თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ ასეთი ვალდებულება ჰქონია ხევის ყველა წევრს.

ხევი ვალდებულებას იღებს დაიცვას მელომე ყველა შემთხვევაში — ვისმეს წაეკიდება, თუ ვინმე შემოაკვდება — პასუხის გამცემი მთელი ჭევიცა.

ხევის თითოეულ წევრს სეტის მთავარმოწამისა მართებს მუშაობა და ბეგარა (ნატურით გადასახადი), რაც გარკვევით ჩანს ბენდან ვახთავიანის „საპასუხო“ „დაწერილიდან“. თუ ერთი მხრივ, ერთობილი ხევი სდებს საბუთს ბენდანის მელომედ დაყენების შესახებ, მეორე მხრივ, ბენდანი სათანადო საბუთით აფორმებს თავის ვალდებულებებს ერთიანი ხევის, მის მიერ შვილებული ხევის, მიმართ. უპირველესი პირობა ყოფილა მელომის პირადი ქონების ხატის უწყებაში გადაცემა. „ოდეს... ჭევი გიშვილე, დაგათუალე ჩემი სახლი, მამულ-

ერთ საბუთს ამტკიცებენ: „თავდებად... ჯაფარიძე პირნათელ, გოშგოთელიანი ახაგ მელომე“ (№ 84). პირნათელ ჯაფარიძე გვევლინება კიდევ ერთი მელომის — ცოცმანის თანამედროვედ: „თავდებად... ჯაფარიძენი ჩარგას და პირნათელ, ... და მელომე ცოცმან“ (10). პირნათელ ჯაფარიძის საბუთს ამტკიცებს ცოცმან მელომე (№ 6). და ბოლოს, ერთი საბუთის მიხედვით თვითონ პირნათელი გამოდის მელომედ: „კაცთაგან: კაჭაქიძე მამია, პირნათელ ჯაფარიძე მელომე“ (106.) აქედან გამოდის, რომ ბენდან ვახთავიანის გარდა XV ს-ში მელომედ ყოველან ახაგ გოშგოთელიანი და ცოცმანი (რომელი ამათავანი იყო უფრო ადრე, ეს არ ჩანს), ხოლო ამათ შემდეგ პირნათელ ჯაფარიძე.

<sup>27</sup> მესტიის ოთხთავი, 177.

ეკლესიანი, ...ტყე და ველი, მთა და ბარი...ყოვლისა კაცისა უცილობლად ჩემი თან დამითვლია“ (2). ქონების კევისადმი დათვლა ყოფილა მელომის ერთგულების ერთგვარი გარანტია.

ბენდან ვახთაგიანს ვაჟიშვილი არა ჰყოლია. „ოდეს ვახთანგიანსა ყმაი შვილი არაი დარჩა, შენ სეტყელი [ივანე] გიშვილა“ (№ 78). ეს სეტყელი ივანე ორ საბუთში იხსენიება როგორც ვახთაგიანის შვილობილი (№№ 77, 79). თვით ბენდან ვახთაგიანის მიერ დადებულ საბუთში კი ნათქვამია: „თქუენითა დამოწმებითა (-ხევის. — მ. ბ.), ჩემითა ნებითა და ნდობითა ერთი სეტყელისა შვილ. ჩემსა მომიყვანია. ვირე მე ვიყო, მემსახურებოდეს; მერე თქუენითა კითხულობითა თქუენ ჳევსაცა მისთან დაგეთუალა და მე ბენდანსა მისთან დამითუღია მთავარ მოწამისა მებეგრედ და თქვენ ჳევისა მოსამსახურედ“ (№ 2). აქ ხაზგასმულია, რომ ბენდანმა სეტყელის შვილი იშვილა „ჩემსა მიმიყვანია“-ო ხევის „ნებითა და დამოწმებითა“, ე. ი. ხევის თანხმობით. სანამ ბენდანი ცოცხალი იქნება, ეს სეტყელი მასთან იქნება და მას ემსახურება. შემდეგ კი ისევე „მთავარმოწამისა მებეგრედ და თქვენ ხევისა მოსამსახურედ“ დაბრუნდება. აქედან ცხადი ხდება, რომ პრივილეგია, რომელიც ბენდანსა აქვს როგორც მელომეს და რომელიც მის სახეგო ბეგარა-სამსახურისაგან თავისუფლებაში მდგომარეობდა, ვრცელდებოდა აგრეთვე მისი ოჯახის წევრებზეც. მელომეობის დაკარგვა (ბენდანის სიკვდილი) მელომის ოჯახს აბრუნებს ძველ მდგომარეობაში და ხევის დანარჩენ წევრებთან ათანასწორებს. აქედანაც ნათელია, რომ ხევის ყოველ ცალკეულ წევრს ვალად ედო, იმავე საბუთის სიტყვით რომ ვთქვათ, „მთავარ მოწამის მებეგრე“-ობა და „ჳევისა მოსამსახურე“-ობა.

გარდა მელომისა, საერთო სახეგო ხელისუფლად ჩანს მეჭურჭლე. „მოგაჳსენეთ დაწერილი ესე მე კუჳაისძემან მიქაელ და ჩემან ძმის წულთა და ჩემან შვილმან ცოტნე და გიგიაზან, შვილთა და მომავალთა ჩემთათა, თქვენ ჳევსა ბალსა ზემოცა და ატკვერს ჳევმოთცა, მას ჟამსა, ოდეს სეტისა მოვედი. პირველსა ჟამსა ნამეტნავი წყალობა მომივიდაუ თქვენგან და მოგაჳსენეთ და შეეწირეთ უფნაშის მონასტერი სეტისა მთავარ მოწამესა, ...მკვიდრად და სამამულოდ... აწ რაგვარც თქვენთან შეწყალებულსა მართებდეს, თქუნსა მეჭურჭლესა მართებდეს, აგრე გულმართლად თქუენთუის კარგნი ვიყოთ: არა გავნოთ, არა გიღალატოთ, არა დაგაკლოთ... ხვაშიადი არა გავგიჟღავნოთ, ... გიშველოთ, ...გიურვოთ. და თუ ესე დაწერილი საქმითა არა გავითავეთ, ...თქვენნი ჳელი და მეჭურჭლეობა, — რაიცა მთავარმოწამისათვის შემიწირავს, თქვენ — ჳევსა დაგრომოდეს“<sup>28</sup>.

განვიხილოთ ეს საბუთი. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კუჳაისძე, სეტისა მთავარმოწამის მეჭურჭლე, თავის სახელოს საზღვრებს ბალსა და ატკვერს შორის სდებს. ესაა ის ტერიტორია, რომელიც ზემო ხევის სახელითაა ცნობილი. მელომეს სახელო ზემო და ჳევმო ხევება მოიცავს, მეჭურჭლისა კი მხოლოდ ზემოს. რას ნიშნავს ეს? რასაკვირველია, არა იმას, რომ სრულიად სვანეთის ხევის ორი მეჭურჭლე ჳყავს, ზემო და ჳევმო ხევებისათვის ცალცალკე. ეს გარმეოება მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოლიტიკურ აქტთან. საქმე ეხება ზემო და ჳევმო ხევების ბუნებრივი დანაწევრების გვერდით პოლიტიკური დანაწევრების გაჩენასაც. ჩანს, ეს საბუთი იმ დროისაა, როცა პოლიტიკური ზღვარი ბალს ზემო

<sup>28</sup> პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., № 30. მესტის ოთხთავი, გვ. 358—363.

და ბალს ქვემო ხევებს შორის უკვე მკვეთრად დაიდო. აქ არის საფუძველი იმ დანაწევრებისა, რამაც შემდეგ ხანებში მოგვცა თავისუფალი და საღადმშქელიანო სვანეთი. მეჭურჭლე კუჭაიძე ხელისუფლობს მხოლოდ „თავისუფალ სვანეთში“. ამდენად ეს საბუთი გაცილებით უფრო გვიანი ხანისაა, ვიდრე ბენდან ვახთაგიანის მთელი ხევის მელომედ დაყენების საბუთი.

1503 წლის ჯათარძეთა სიგელიდან გარკვევით ჩანს, რომ XV ს. ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში დადმშქელიანების დამკვიდრება ბალს ქვემო სვანეთში უკვე მომხდარი ფაქტია. ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ ეცერს დადმშქელიანი სახლობს და ეცერს ზემოთა სვანეთი დადმშქელიანის იურისდიქციაში არ შედის. ეს საბუთი დადებულია „ეცერს აქათი ყველა სვანის“ სახელით. ამავე დროს დადმშქელიანი (რომელიც ეცერს ზის) რუჩაგიანთან<sup>29</sup> ერთად დადიანის ხელქვეითია. მას არ შეუძლია უშუალოდ მეფესთან დაკავშირება, მეფესა და დადმშქელიანს შორის დადიანი დგას: „მივედით (-ეცერს აქათი სვანები.—მ. შ.) ეცერს, რუჩაგიანსა და დადმშქელიანსა შევეხვეწენით და დადიანთან გავგზავნეთ. შევეხვეწენით დადიანს მამიასა და ცხრა ჯორი გაუგზავნეთ. ამისი აჯავსთხოეთ, რომ მეფეთა-მეფეს პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეთხოვნა“<sup>30</sup>.

საინტერესოა კიდევ შემდეგი გარემოება: კუჭაიძის მეჭურჭლედ დაყენებას წინ უსწრებდა კუჭაიძის მიერ სეტისათვის მამულის შეწირვა. (ესაა უფნაშის მონასტერი თავისი შესავლით, მითით, ბარით, გლეხით). მამულის შეწირვა არის ერთგვარი გარანტია არჩეული ხელისუფლის ერთგულებისა (ანალოგიური მოვლენა გვაქვს მელომედ არჩევისასაც). მაგრამ ეს შეწირულება დარჩება სეტის მთავარმოწამეს იმ შემთხვევაშიაც, როცა კუჭაიძე მეჭურჭლედ აღარ იქნება? ეტყობა სეტი ამ შემოწირული მამულის პატრონად რჩება იქამდე, სანამ კუჭაიძე მეჭურჭლე იქნება. ეს ქონება სამუდამოდ ეკლესიას დარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კუჭაიძე მისთვის მინდობილ საქმეს ერთგულად არ შეასრულებს და ხევთან დადებულ პირობას გადავა. „და თუ ეს დაწერილი საქმითა არა გაგიტავეთ, თქვენი ჯელი და მეჭურჭლეობა — რაიცა მთავარმოწამისათვის შემომიწირავს, თქუენ ჯეცსა დაგრჩომოდეს“. აქ კიდევ ერთხელ ჩანს, რომ შემოწირვა — ერთგულების საწინდარი — მამულის გადაცემის დროებითი აქტია. კუჭაიძე რომ სამუდამოდ იღებდეს ხელს თავის ამ მამულზე, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა ასეთი განცხადება — „თქვენ ჯეცსა დაგრჩომოდესო“. ეს ისედაც ცხადი იქნებოდა. ჯეცს დარჩება ეს ქონება მხოლოდ კუჭაიძის უპირობის შემთხვევაში. ის მომენტიც, რომ კუჭაიძე საბუთს სდებს თავისი ძმისწულებისა და შვილების სახელით, იმას ნიშნავს, რომ მამულის შეწირვის აქტი დროებითია და იქამდე იმოქმედებს, სანამ მეჭურჭლის ხელი კუჭაიძეს ექნება.

თვით კუჭაიძე სეტიელი არ არის: „მას ჟამსა, ოდეს სეტისა მოვედი“, ნათქვამია საბუთში<sup>31</sup>.

<sup>29</sup> სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 32.

<sup>30</sup> რუჩაგიანი და დადმშქელიანი, როგორც ეცერის მოსახლენი, ჩანან სვანეთის სულთა მატიანეშიაც. აქ იხსენიება რუჩაგიანი ათი მოსახლე და ერთი დადმშქელი. (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ. 131—133, 137, 139, 140).

<sup>31</sup> № 30, მესტიის ობხთავი, გვ. 358—363. შესაძლოა მეჭურჭლის ჯელის მსგავსი ჯელი იგულისხმებოდეს „სვანეთის სულთა მატიანეში“ მოხსენებულ მოლარეთუხუცესის ქვეშ. „მოლარეთუხუცესისა ინეს რატიანისა“ (გვ. 124, № 46).

ქონებრივი საწინდარი მეჭურჭლისაგან მით: უფრო საჭიროა, რომ ამ ხელი-სუფალს საგანძურთან აქვს საქმე.

მეჭურჭლე თავის მოვალეობას ჭევის მიმართ შემდეგით გამოხატავს: „თქვენთვის კარგნი ვიყუნეთ, არა გავნოთ, არა გიღალატოთ, არა დაგაკლოთ. ხვაშიადი არა გაგიმჟღავნოთ, სადა შეეღა გინდოდეს, გიმველოთ, სადა საურავი გიჭობდეს — გიურგოთ“. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ერთგულების ჩვეულებრივი ფორმულა, რომელიც ასევე უღერს თემის ცალკეულ პირთა შორის დადებულ ერთგულების პირობაშიც. მაგალითად, „გიბოძეთ ესე სამოკეთოო ჩვენ იოსელიანთა — თქვენ სეტყელსა: თქვენთვის კარგი ვიყოთ, რაც თქვენსა საქმესა უჭობდეს, იგი მოვიჭირვოთ, არაი დაგაკლოთ, თქვენი თავი საუსამართლოდ არაი ვის მივანებოთ“ (№ 7). მაგრამ საბუთები არ იძლევიან იმის მასალას, თუ რა იგულისხმებოდა მეჭურჭლის კონკრეტულ მოვალეობად.

სენატური წინაწერები იძლევიან იმ დროის სენატის სოციალური უთანასწორობის მდიდარ მასალას. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ცნობები სისხლის ფასის შესახებ. სისხლი ყველა სენატისა ერთნაირად არ ფასობს. საერთო მასიდან სეტის ხევში (ვიწრო გაგებით) გამოირჩევა ჯაფარიძისა და იოსელიანის სისხლი. „...ეკლესიისადა ...ვინცა რაცა შესცოდოს, ...ერთისა ჯაფარიძისა და ანუ იოსელიანისა სისხლი მისითა სანაწმირთა ედვას მათა და სისხლად ვერჩოდეთ“ (№ 49). ამ კონტექსტიდან გარკვევით ჩანს, რომ დამნაშავეს მაქსიმალური სასჯელი ედება, დანაშაული იმდენად დიდია, რომ დამნაშავე ღირსია მაქსიმალური საზღაური გადაიხადოს. ასეთ საზღაურად კი ჯაფარიძის ან იოსელიანის სისხლის დაურებება ჩათვლილი, ე. ი. ჯაფარიძე და იოსელიანი ის გვარები ყოფილა, რომელთა სისხლი ყველაზე მეტად ფასობდა. ამასთან, იმეც გარკვევით ჩანს, რომ ჯაფარიძე და იოსელიანი ერთმანეთის სწორი სისხლისა და თანაბარი ღირსებისა ყოფილან, თანაც დანარჩენთაგან აღზევებული.

ამ ორი გვარის გამორჩეულობის დამამტკიცებელი სხვა საბუთებიც გვაქვს. მაგრამ ამაზე შემდეგ შევჩერდებით. ახლა ყურადღებას მივაქცევთ იმ მასალას, რომელიც ცხადყოფს სხვა სახის უთანასწორობასაც.

ლორთქიფანიძეები და ჯალღემელები პირობას სდებენ, არავისი ხატი აღარ ჩამოასვენონ ჯალღემში (მანამდე მათ აქ წერემელთა ხატი ჩამოუსვენებიათ), და თუ ამ პირობას გატეხავენ, „ოთხისა კარგისა კალელისა სისხლი მიზეზ-გაუღებლად დავიუროთ“ (№ 69).

აქ ხაზგასმულია, რომ ყოფილა „კარგი კალელი“ განსხვავებით დანარჩენ კალელთაგან. „კარგის“ პარალელურად დანარჩენთაგან განსხვავებულის აღმნიშვნელად იხმარება აგრეთვე „საპატიო“. „ვინცა შესცოდოს, ერთისა საპატიოსა სენატისა სისხლი გარდაიხადოს“ (№ 74) (საბუთი გაცემულია ლახაშელელთაგან). საპატიო სენი თავისთავად ნიშნავს უპატიო სენის არსებობასაც, ანუ სოციალური დიფერენციაცია აქ უკვე მკაფიოდ ჩანს.

მაგრამ, რაშიაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ერთობილი ჭევიდან ცალკეულ პირთა აღზევება და სხვათა დამცრობილ მდგომარეობაში ყოფნა, ეს არის ის მრავალრიცხოვანი საბუთები, რომლებიც ე. წ. „თავის დათვლას“ ეხებიან.

„თავის დათვლის“ საბუთებში თავს იჩენს თავისებური მდგომარეობა. შედარებით სუსტი წევრი ხევისა შედის უფრო ძლიერის მფარველობაში. უფ-



რო ქლიერის როლში გამოდის რომელიმე ეკლესია ანუ წმინდანი, ანდა ცალკეული პირი. მივმართოთ საბუთებს:

ივანე და ხუერგო გელოვანთა საბუთში ნათქვამია: „ესე ...დაწერილი და-გოწრე და მოგახსენე მე ივანე და ხუერგო გელოვანმა თქვენ წმიდასა მთავარ-ანგელოზსა და მისთა [...] ბელთა ლაილისა ჳევთა, მას ჟამსა, ოდეს ჩემისა პატრონისა მიქელაისძისა ნებითა მოხერისა მთავარანგელოზსა და გათვალეთ ჩუენი თავი, შვილნი და რასაც ჩუენი ჰქვიან, მკუიდრად, ვიდრე ჩუენი თემი იყოს. ამისა წერასა ზედა ორი ადგილი მამული მოგეციოთ. ვითაც თქუენსა ერთგულებასა ვხედვიდეო, მოცემასა და წყალობასა ბოლოი არ შეუქმნათ“<sup>32</sup>.

ამ საბუთში მრავალი მომენტია საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, გელოვანს ჰყოლია პატრონი მიქელაისძე. პატრონის უფლებაში ყოფილა გელოვანის ეკლესიის მფარველობაში შესვლის ნებადართვა. „ჩემისა პატრონისა ნებითა“, ე. ი. პატრონის ნების გარეშე გელოვანი ვერ „დაათვლიდა თავს“ მოხერის ეკლესიას. მაგრამ ამ საბუთიდან აღარა ჩანს, მიქელაისძე ამ აქტით საბოლოოდ კარგავდა თუ არა გელოვანის პატრონობას. ამ საკითხის გასარკვევად გამოგვადგება მეორე საბუთი, დადებული აგრეთვე მოხერის ეკლესიისადმი თავდათვლილი პირის მიერ: „მოგანდევი ჩემი თავი და შვილნი. ვითაც გამსახურებდეთ, ჰაგრეც გუწყალობდეთ. ამისთვის არც მიქელაისძისა სამსახურს მოუცთებით“<sup>33</sup>. აქედან ირკვევა, რომ უცნობი პირი ეკლესიას ათვლის თავს და მის სამსახურს იღებს ვალად („ვითაც გამსახურებდეთ“); ეკლესია კი ამ სამსახურის სანუქიფოდ წყალობას კისრულობს („ჰაგრეც გუწყალობდეთ“). ეს პირი ამავე დროს არ ამბობს უარს არც თავის ძველ ვალდებულებებზე. „არც მიქელაისძისა სამსახურს მოუცთებით“. გამოდის, რომ ამ პირს უჩნდება ორმაგი ვალდებულება — ერთი ძველი პატრონის მიმართ, მეორე ახალი პატრონის — ეკლესიის მიმართ. ეკლესიისადმი თავის დათვლა მას არ ათავისუფლებს ძველი პატრონის სამსახურისაგან.

აღრე მოტანილ საბუთშიაც გელოვანი მიქელაისძის ყმაა. მიქელაისძე გელოვანის პატრონია. მაგრამ მიქელაისძე ვეღარ ახერხებს თავისი ყმის დაცვას და ეს ყმაც მოხერის ეკლესიას აფარებს თავს. ამ შემთხვევაში შესაძლოა ჩვენს წინ იყოს ეკლესიისა და პატრონის (მიქელაისძის) ურთიერთ შეცილების ფაქტი. ეკლესია ცდილობს საერო პატრონების ყმები თავისკენ გადმოიბიროს.

მაგრამ ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ყველა სხვა იმ საბუთში, სადაც თავის დათვლაზეა ლაპარაკი, ეკლესია გამოდის კოლექტიურ მფლობელად.

თავის დათვლის ან თავის მინდობის მიზეზად საბუთები აცხადებენ „ჰავისა ჟამისა შემოსვლას“ (№№ 13, 14).

თავის დათვლის კონკრეტუზაციას იძლევა აბლანის მიერ გაცემული საბუთი. ამ საბუთით აბლანი თავის ოჯახიანად იონაშის ეკლესიას ათვლის თავს: „მოგახსენე დაწერილი ესე მტკიცე... თქუენთა ჩემთა პატრონთა იონასა და იონაშელთა, მას ჟამსა, ოდეს მომინდა თქუენი ერთობაი. დაგათვალეთ ჩუენი თავი. რასაც ჩუენი ჰქვია, ყოველი მკვიდრად სამამულოთა ერთად გლუხად დაგუითვლია. ჩვენი თავი გულმართლად თქუენთვის დაგუი-

<sup>32</sup> № 12; მესტიის მუზეუმი, იერუსალიმის კანონარი, გვ. 241—242; ეს საბუთი უფრო ადრეულია, ვიდრე მესტიის ოთხთავის მინაწერები.

<sup>33</sup> № 13; იერუსალიმის კანონარი, 244 v.

თულია. თქვენი უკითხავი არა ვქუნათ, გულმართლად თქვენი ერთგული ვი-  
ყოთ. ...მებეგრედა განაღამც ბეგარასა ზედა არა ოდეს გაგანმადლოლო(?)...“  
(№ 16).

ამ საბუთით იონა (იგულისხმება წმ. იონას ეკლესია) და იონაშელნი აბ-  
ლანის პატრონად არიან გამოცხადებულნი. აბლანს მოუნდა თავის პატრონთან  
„ერთობაი“ და „დაათვალა თავი“. ამასთან თავის დათვლა, ოჯახის გარდა, აბ-  
ლანის მთელ ქონებას ეხება. „რასაც ჩვენი ჰქვია, ყოველი... ერთად გლახად  
დაგუთივლია“. ქონებისა და საკუთარ ოჯახის ეკლესიის საპატრონოდ დათვლა  
გლახობის იდენტური გამოდის ამ მაგალითით. საბუთში მოკლედ ფორმული-  
რებულია თავდათვლილის მოვალეობაც: „თქვენი უკითხავი არა ვქნათ, გულ-  
მართლად თქვენი ერთგული ვიყოთ“. საბუთის ბოლოს მიწერილი გაუზრკვევე-  
ლი (ბუნდოვანი) ფრაზა — „მებეგრედა განაღამც ბეგარასა ზედან არა ოდეს  
გაგანმადლოლო“ — ჩვენის აზრით, უნდა ნიშნავდეს შემდეგს: მებეგრე ბეგარის  
მიცემამზე არასოდეს არ დავაბრკოლოო. აქედან დასკვნა: თავის დათვლა მარ-  
ტოდენ თავდათვლილის ერთგულებაში არა მდგომარეობს, ეს აქტი გულისხმობს  
აგრეთვე თავდათვლილის ვალდებულებას — ბეგარა უხადოს თავის ახალ პატ-  
რონს. მთელი ეს ვალდებულება, როგორც ითქვა, საბუთით „გლახად“ ყოფნას  
უღრის.

აქ ჩვენს წინაა თავისუფალი კაცის მიერ თავისუფლების დაკარგვის პირ-  
ველი საფეხური. პატრონი (ამ შემთხვევაში ეკლესია) იცავს თავის „გლახს“  
გლახი კი ბეგარას უხდის მას. თავდათვლილი აბლანი პატრონის ერთგულებასა  
და სამსახურს კისრულობს. ამ პირობის საფუძველი კი თავის დათვლაა, ე. ი.  
ის გარემოება, რომ აბლანი პირადად ეკლესიის საკუთრება ხდება. ბეგარის გა-  
დახდის ვალდებულებას კი საფუძველი იმაში აქვს, რომ აბლანი თავის მამულ-  
საც ეკლესიას ათვლის, მამული ეკლესიისა ხდება.

პატრონის ვალდებულება უფრო მკაფიოდ ჩამოთვლილია იმ საბუთში, რო-  
მელიც კერძო პირისადმი თავდათვლას ეხება და გაცემულია იოსელიანთაგან  
დემეტრე სეტიელისადმი. ამ საბუთში ნათქვამია: „...ოდეს მოგინდა ჩვენთა  
ჭელთა ყოფაი და ჩვენ წყალობა გიმედეთ. აწ დღისითგან წაღმა თქვენთვის კარ-  
გი ვიყოთ, რაიც თქვენსა საქმესა უჯობდეს, იგი მოვიპიროთ, არაი დაგაკლოთ,  
ვითა ჩვენსა გლახსა ეგრე დაგადგეთ, თქვენი თაჲი საუსამართლოდ და სამაჯ-  
ნოდ არაი ვის მივანებოთ, არაი დაგაკლოთ აროდეს არა ჟამსა... რასაც შემო-  
გვეკითხოთ, რომელი უკეთეს გვეგონოს, იგი გამოვირჩიოთ“ (№ 7)<sup>34</sup>. ეს სა-  
ბუთი უკვე იმითაცაა საინტერესო, რომ აქ პატრონად ეკლესია კი არა, ცალკე  
პირი გვევლინება.

თავის დათვლის პარალელურად საბუთებში იხსენიება კიდევ ტერმინი —  
„მოგანდე ჩემი თავი“ (№ 13, 14, 15).

ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ორი თავისუფალი პირის შესაქმნება,  
რომელთაგან ერთი თავისუფლების დაკარგვის პირველ სტადიაზეა.

თავის დათვლა თავისთავად სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელია.  
მაგრამ იმავე დოკუმენტებში ჩვენ ვხვდებით ხევში გარკვეული უთანასწორო-  
ბის მაჩვენებელ სხვა მკაფიო მაგალითებსაც. სეტის ხევის ოთხი თემი სასაერთო-  
პირო დაწერილსა სდებს. ერთობის პირობის დამდებნი ამ საბუთში ასე არიან

<sup>34</sup> მესტიის ოთხთავი, გვ. 296—297. ამ საბუთით აღწერილ ვითარებას რ. ხარაძე და  
აღ. რობაქიძე „თავისუფალი მეთემეს გაგლეხების ფაქტს“ უწოდებენ. „სხენეთის სოფელი  
ძველად“ გვ. 109.

სახელდებულნი: „დაუდევით ...ეს სსსაერთობირო ჩვენ ოთხმან თემმან, თავად კუუსარმან ჯაფარიძემან და მისთა, იოსელიანმან და მისმან კაცმან, მთავარმოწმისა საყდრისა შვილმან ერთობ ყველამან“ (№ 32). ამ კონტექსტით ცხადი ხდება ოთხი თემის მოსახლეობის შემდეგი დანაწევრება: ჯაფარიძე და მისი კაცი, იოსელიანი და მისნი კაცი და მთავარმოწმისა საყდრის შვილნი ერთობ ყველანი. ამ უკანასკნელში იგულისხმება სეტის ხევის მთელი მოსახლეობა — ყველანი ერთობ სეტის მთავარმოწმის საყდრის შვილებად ითვლებიან. ამთავან გამოყოფილი და ე. ი. დაწინაურებულ ვითარებაში არიან ჯაფარიძე და იოსელიანი, რომელთა დაწინაურებულობის ნიშანი „მისთა კაცი“ უნდა იყოს. ამ გამოთქმაში იგულისხმებიან ის პირნი, რომელიც სამოკეთილოდ თუ საერთოგულოდ თავდათვლილნი, ან თავმინდობილნი არიან ჯაფარიძესა და იოსელიანებზე. საინტერესოა, რომ მოსახლეობის ეს უკანასკნელი კატეგორია, თავდათვლილთა კატეგორია — მისთა კაცთას სახელით, მონაწილეობს მთელი ხევის სახელით დადებულ პირობაში, ისევე როგორც სხვა კატეგორიის მოსახლეობა. ეს გარემოება ხაზს უსვამს თავდათვლილთა სრულუფლებიანობას საერთო სახელო საქმეებში. ეს პირნიც ისევე მონაწილეობენ საერთო საქმეებში, როგორც ყველა საყდრისშვილი, რაც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ სოციალური უთანაბრობა ხევეში უფლებრივ ხასიათს არ ატარებს; ეს უთანაბრობა ეკონომიური შეუძლებლობისაგან მომდინარედ ჩანს მხოლოდ.

ხევეს მოსახლეობის მოვალეობაა ლამქარში მონაწილეობის მიღება.

→ ხევის წევრები ჩაბმული არიან აგრეთვე ლასკარსა № 61, 58, 59 და ანჯუმანში (№ 61). ლასკარი, როგორც ეს რ. ხარაძემ გაარკვია, ტერიტორიულ მეზობლური გაერთიანება იყო და ლასკარში შემავალ პირთა (მუსკართა) ურთიერთ დახმარებასა და მოლაღატის ლასკარიდან მოკვეთას ისახავდა მიზნად<sup>35</sup>. ანჯუმანი (საბუთებში ეს ტერმინი მხოლოდ ერთხელ იხმარება: „...ვინცა ...პატიყი ...არ გარდაიჭადოს, ნუცა ეკლესიასა, ნუცა ლასკარსა, ნუცა ანჯუმანსა ნუ სადა გამოუშვებთ...“ № 61). ანჯუმანი სპარსული სიტყვაა (انجمن) და ნიშნავს კრებას, საზოგადოებას. ქართულში იგი იხმარება ანჯუმანი-სა და სააქმონ-ს ფორმით და აშკარას, საქვეყნოსა ნიშნავს<sup>36</sup>. სენაურ დოკუმენტებში კი იგი საჯარო შეყრილობის მნიშვნელობისა უნდა იყოს.

თითოეულ ხევს აქვს ორმაგი გადასახადი. ეს გადასახადი საერთოა. გაღმა გარდასაქდელი და შიგ ამოსადები (№№ 63, 34). გაღმა გარდასაქდელში იგულისხმება ის გადასახადი, რომელიც ხევს აწევს მეზობელი ხევის მიმართ. შიგ ამოსადები კი ნიშნავს საერთო სახელო გადასახადს, შეწერილს საკუთარი ეკლესიის სასარგებლოდ. საინტერესოა, რომ გაღმა გადასახადელს ყველა წევრი ხევისა ერთნაირად იხდის („გაღმა გარდასაქდელსა ზედა ყველაი სწორედ ვიყო“ — 62). ხოლო შიგ ამოსადები შეუძლებელ კაცს მესამედი ევატიება და

<sup>35</sup> რ. ხარაძე, ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებანი სენაურში. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“. XII—XIII; თბ. 1963, გვ. 396. თანამედროვე სენაურის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ლასკარი ახლა მხოლოდ სოფლის შიგნით არსებული სადღეობო გაერთიანებაა.

<sup>36</sup> საბასა და ჩუბინაშვილის განმარტებით. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი“-ს მიხედვით ანჯმანი ლაპარაკის, საუბრის მნიშვნელობისაა: „...ქართა ზედა შეკრებასა ანუ მონასტერსა შინა ანჯმანსა... არავინ იკადრებდა“.—ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი II. (XI—XV სს.) თბ., 1967. გვ. 83.

მის მაგიერ გადასახადის ამ ნაწილს ხევი იხდის: „შიგა ამოსაღებისა მესამედი, ვის ჰავი სჭირდეს, მისი იყოს, ორი ნაწილი — ქვეყნისა იყოს“ (იქვე). გაღმა გარდასაცდელის პარალელურად იხმარება „მიღმა ერთმან ერთსა დადადგეთ“, ხოლო „შიგ ამოსაღებს“ სცვლის გამოთქმა „მოღმა რაიც მოგვივიდეს, მესამედი ჩვენ ერთობილსა გამოგვიყოს“ (№ 34). აქაც ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ საშინაო გადასახადის ერთი მესამედი შეიძლება ქვეყანამ გაიღოს.

რა იგულისხმება. გამოთქმაში — „მოღმა რაიც მოგვივიდეს“? იგულისხმება რაღაც საგანგებო და არაჩვეულებრივი გადასახადი. ჩვეულებრივ კი ხევის ყველა წევრს თავისი ეკლესიის მეშვეობით და მოსამსახურეობა ადევს ვალად. ეს გარკვევით ჩანს მელომედ დაყენების საბუთიდან. მელომე ვახთაგინი იშვილებს სეტყელის შვილს. სანამ მელომე იქნება, ის სეტყელი მას ემსახურება. მერე კი „თქუნ გეუსაცა მისთან დაგეთულა და მე, ბენდანსა, მისთან დანითუღია, მთავარ მოწამისა მე ბეგრედ და თქუნ ჳევისა მოსამსახურედ“ (№ 21).

ეკლესიის მეშვეობით და ხევის მოსამსახურეობა ყოფილა მთავარი პირობა ხევის ყველა წევრისათვის. აქ უკვე აღარაა საჭირო სპეციალური საბუთი თავის დათვლისათვის. ხევის ყოველი წევრი ისედაც ხევის თავდათვლილია. — „თქუნ გეუსაცა მისთან დაგეთულა“ — ხევი არის პატრონი ხევას წევრისა, ხოლო ხევის წევრი მისი მოსამსახურე და ხატის მეშვეობით. მეშვეობა ნიშნავს გარკვეული გადასახადის გადახდას ხატის სასარგებლოდ. ამ გადასახადის საფუძველი ისევ მიწისმფლობელობის ფორმებშია საძებნი. მიწა ხატისაა, მიწაზე მჯდომი საყდრის შვილია, იგი ხატის მიწაზე ზის და ამიტომ მოვალეცაა ხატს — მიწის პატრონს — ბეგარა უხადოს.

ბეგარა სვანურ დოკუმენტებში რამდენჯერმე მოიხსენიება.

ბეგარა XIV—XV სს. ქართულ სინამდვილეში აღნიშნავს ბატონის სასარგებლოდ ყმა-გლეხისაგან გაღებულ გადასახადს, ამასთან იგი შეიძლება აღნიშნავდეს როგორც შრომით, ისე ნატურალურ გადასახადს. ბეგარა უეჭველად ბატონისა და ყმა-გლეხის ურთიერთობის კომპონენტი. ამავე ხანის სვანეთში კი ბეგარა აღნიშნავს მძღავრი პირისაგან მეორეზე დაღებულ ჯარიმას ან სოციალურად დაქვემდებარებულისაგან გაღებულ გამოსაღებს.

ჩვენამდე მოღწეულ ამავე ხანის სვანურ დოკუმენტთაგან ბეგარა იხსენიება 4 საბუთში:

1. „ოდეს ბულღაირს<sup>37</sup> ბიძა ებრძოდა, მაშინ ჩვენ უსაბიეთ. ერთი ვერძი ბეგარა ძალად დაგუაბატიყა. ვინ შეშალოს, კროლი იყოს“ (№ 19, მესტიის ოთხთავი, გვ. 25).

ამ საბუთით ირკვევა, რომ ბულღაირს ებრძოდა ბიძა. ბიძამ იმძღავრა, გაიმარჯვა და ბულღაირის მოასაბიეებს (-დამხმარეებს) ძალით ერთი ვერძი ბეგარა დაადო. ამ შემთხვევაში ბეგარა ჯარიმის მსგავსი მნიშვნელობისაა.

2. „დაგიწერეთ წიგნი ესე მტკიცე და უქცეველი. მოგახსენეთ ჩუნ მულახელთა თქუნ სეტყელთა. ოდეს ჩარქასთა ამოგუწყვიდა. მერვე თქუნ გვიასაბიეთ. მერვე სამი ჳარი ბეგარა ძალით დაგაბატიყეთ, გურისა მთა ლვცლამისა ქელს აქეთ. ერთმანერთსა შევფიცეთ მტერისა მტერობაჲ, მოყურისა მოყრობაჲ“ (№ 37, მესტიის ოთხთავი, გვ. 418—419).

ტექსტიდან ჩანს, რომ ჩარქასებს მულახელები ამოუწყვეტიათ. შემდეგ ძლეულ მულახელებს ჩარქასთა წინააღმდეგ სეტყელები დაესმარნენ, „უსა-

<sup>37</sup> გამოცემელს ეს სახელი ამოკითხული აქვს როგორც „ბულღარს“.

ბიეს“ და ამის სამაგიეროდ სეტიელებმა მულახელებს ძალად სამი ხარი ბეგარა დაადეს.

ამ შემთხვევაშიც ბეგარა — ძალად დადებული ერთდროული გადასახადი — გამოხატავს დახმარების სანაცვლოდ იღებულ ფასამჯელოს.

3. „... დაგიწერეთ ესე წიგნი ჩვენ მჯაფარიანმან ქელდიშს მუტვილიანსა და მის შვილსა ამა პირსა ზედა, რომე ერთა ცხუვარი ბეგარა, ერთი მგზაურობაა საჯამაგიროს იყოს, ერთი ხამი, ერთი ნაღობა — უკუნისამდე“ (№ 10; მესტიის ოთხთავი, გვ. 40—41).

აქ ჩვენს წინაა ერთი პირისაგან მეორეზე გადასახადის დადების მაგალითი. თუმცა გადასახადის დადების მოტივი აქ ნაჩვენები არ არის. მაგრამ ცხადი უნდა იყოს, რომ საბუთი მხოლოდ აფორმებს აღრე არსებულ ვითარებას. საბუთში მოცემულია ვალდებულების დანაწევრება ნატურალურ და შრომით გამოსახულებად.

ერთი ცხვარი ბეგარა	— გადასახადი ნატურით,
ერთი ხამი	— გადასახადი ნატურით.
მგზაურობა	— გადასახადი შრომითი,
სამი ნაღობა	— გადასახადი შრომითი.

ქელდიშ მუტვილიანი და მისი ოჯახი მოვალე ყოფილა ჯაფარიძეს წელიწადში უხადოს ერთი ცხვარი, ერთი ხამი (ტილო), სამჯერ ნაღში მიიღოს მონაწილეობა და ერთხელ მგზაურობაში წაჰყვეს თან. აქ ჩვენს წინ იქნებოდა სრული სურათი ორ ადამიანს შორის ბატონყმური დამოკიდებულების არსებობისა, რომ ამ დამოკიდებულების საფუძველი მუტვილიანის მიწაზე ჯაფარიძის საკუთრება ყოფილიყო. აქ კი ჩვენს წინაა მხოლოდ ჯაფარიძეზე მუტვილიანის პირადი დამოკიდებულების ფაქტი: მუტვილიანი სოციალურად ჯაფარიძეს ექვემდებარება და ამიტომაც უხდის მას გადასახადს. გადასახადის სხვადასხვა სახეობებს შორის კი მხოლოდ პირუტყვით გაღებულს ეწოდება ბეგარა.

4. წინა საბუთში მოყვანილი ვითარების მსგავსი სურათია მოთხრობილი გიორგი აბლანის სახელით იონაშის ეკლესიისადმი გაცემულ საბუთში: „მომინდა თქვენი ერთობაი. დაგითვალეთ ჩუენი თავი. რასაც ჩუენი ქვია, ყოველ მკვიდრად სამამულოთა ერთად გლეხად დაგუითვლია“ (№ 16).

ამ საბუთით, ერთი პირი ეკლესიის პატრონობაში შედის, გლეხად ათელის თავს — საბუთში თუმცა მოხსენიებული არაა თავდათვლილის მოვალეობანი პატრონის წინაშე, მაგრამ ამავე საბუთის მინაწერი გვამცნობს, რომ თავდათვლილის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა ბეგრის გადახდა იყო: „...მ ე ბ ე გ რ ე-და განაღამცა ბეგარასა ზედა არა ოდეს გაგანმადლოლო“. ეს გაურკვეველი სიტყვა „გაგანმადლოლო“ ჩვენ გვესმის როგორც „გაგიჭიროვო, გაგიძნელო, გალაპარაკო“. მთელი ფრაზა კი ასე უნდა გავიგოთ: — მებეგრეს ბეგრია წაღებისას დიხაც არასოდეს არ გავუჭირო. აქაც ბეგრის გადახდა სოციალური დაქვემდებარების მაჩვენებელია.

შემომოყვანილ მაგალითებში ბეგარა ზოგჯერ თემზე, ან თემის ცალკეულ წევრზე დადებულ ერთდროულ ჯარიმას აღნიშნავს, ზოგჯერ კი სოციალურ დაქვემდებარების მატერიალური გამოხატულებაა.

რომ გადასახადი სოციალური დაქვემდებარების ერთ-ერთი კომპონენტია, ეს სხვა საბუთებიდანაც ჩანს. თუმცა ამ საბუთებში გადასახადი კონკრეტული

სახელწოდების გარეშეა მოხსენიებული. შესაძლოა ამ უსახელო გადასახადებ-საც სწორედ ბევარა ერქვათ.

მაგალითად, 1) ჯაფარიძეთაგან ხერეგიანთა სახელზე გაცემულ საბუთში ნათქვამია: „თუ ხერეგიანი ასი მოსახლე იყოს, ამ ორი საკლავის მეტი არა ჰმართებდეს. რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიგელი უდს, ამა პირზედა იყოს“... (№ 8; მესტიის ოთხთავი, გვ. 56). ტექსტიდან ირკვევა, რომ ასი მოსახლე ხერეგიანი მოვალეა ჯაფარიძეებს ორი საკლავი მისცეს. ისევე, როგორც ეს განწესებულია იოსელიანისა და მისი ყმების სიგელში. გამოდის, რომ ჯაფარიძე ამ საბუთით იოსელიანის მსგავს მდგომარეობაშია, ხოლო ხერეგიანნი (რომელთაც ჯაფარიძის სასარგებლოდ ორი საკლავის გადახდა აკისრიათ) — იოსელიანის ყმებისა. ანუ ხერეგიანნიც ჯაფარიძის „ყმებად“ შეიძლება ჩაითვალოს. ეს „ყმოზა“ კი მხოლოდ წლიური საერთო გადასახადის გამოღებაში იხატება, ამავე საბუთის გაგრძელება (№ 9; მესტიის ოთხთავი, გვ. 516—519) ააშკარავებს, რომ ჯაფარიძეს ხერეგიანთა გარდა სხვა ყმებიც ჰყოლია: „ჯაფარიძე ყ მ ი ა ნ ა დ დ ა ი ც ო ს — მაშინცა არა ვესარჩლო“.

საბუთთა ტერმინოლოგიით „ყმის“ მოვალეობაა, გარდა გადასახადის გადახდისა, ხლება, მგზავრობაში წაყოლა. თუმცა ამ ვალდებულებიდან პატრონი ზოგჯერ ათავისუფლებს ყმას („თქუენით კარკაცობითა თუ სამგზაუროს წამოგუყვებით, თუ არა არა გკადროთ, სადაცა გუახლდეთ, თქუენ არა ვისი ვარჩიოთ“. — იქვე).

ყმის პატრონი და ბევრის მიმღები, საბუთებით, (ეკლესიასთან ერთად) ისევ იოსელიანი და ჯაფარიძენი გამოდიან, ანუ ის საგვარეულონი, რომელთა თემზე აღზევების მაჩვენებელი სხვა ფაქტებიც ჩვენ უკვე მოვიყვანეთ.

ყოველივე ეს კი აშკარად ხდის XV საუკუნის სევანურ სინამდვილეში სოციალურად დაქვემდებარებული ფენისა და შესაბამისად სოციალურად სხვებზე გაბატონებული პირების არსებობას.

სოციალური დაქვემდებარების წარმოშობის ერთ-ერთ წყაროდ სევანური დოკუმენტები უჩვენებენ „დამაჯნებას“. ეს საინტერესო ტერმინი დოკუმენტებში გვხვდება „მაჯანი“-დან წარმოებული ზმნის რამდენიმე ფორმით (მაჯანი — ძაბუნი. საბას ლექსიკონი, ილ. აბულაძის გამოც. I. 1966. გვ. 457)<sup>38</sup>.

მაჯანი-საგან ნაწარმოები ფორმები იხსენიება შემდეგ კონტექსტში: 1. „საპაოდ და სამაჯნოდ არ გავსცეთ კაცი იგი“ (№ 23). 2. „თუ ვინ მოგვიმაჯნოს, ...ერთისა ჯაფარიძისა სისხლად ვერჩოდეთ“ (№ 31). 3. „თუ ვინ თითონ კაცი მოიმაჯნოს, ...პირი იგი კაცი იყოს“ (№ 49). 4. „თქვენი თავი სამაჯნოდ არავის მივანებოთ... ვინცა მთავარმოწამისა კაცი მოიმაჯნოს, ...ქვევისა საპატიყო იყოს კაცი იგი“ (№ 50). 5. „ოდეს ვინცა სამაჯნოდ შეგვედაოს, პირი მატხოვარი წუირმისა... იყოს“ (№ 60). 7. „უკეთურმან კაცმან დაგუჟმაჯანა“ (№ 18).

ყველა აქ მოტანილ მაგალითში მაჯანიდან ნაწარმოები ზმნის ფორმები აღნიშნავენ ერთი აღამიანისაგან მეორის დაჩაგვრას, დაძაბუნებას. სამაჯნოდ არ გავსცეთ — დასაჩაგრაგად არ მივცეთ; თუ ვინ მოგვიმაჯნებს — თუ

<sup>38</sup> მაჯანიდან ნაწარმოები სიტყვა „დამაჯნება“ იხსენიება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ხელნაწერშიც: „და დღთა დამაჯნება უშმაგომან ვით გაავო“. ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის გამოც., 1680, 1).

ვინმე დაგვაძაბუნებს; ვინც... კაცი მ ო რ ი მ ა ჯ ნ ო ს — თუ ვინმე კაცს დაძაბუნებს და ა. შ.

მაგრამ რა უნდა იგულისხმებოდეს ამ დაჩაგვრა-დაძაბუნებაში? მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ დამაჯნება შეიძლება ერთი კაცისაგან მეორისა, ერთი ქვეყნისაგან ერთი კაცისა (№ 23), ერთი კაცისაგან მთელი ხევისა (№ 18); დამაჯნებულს მთელი ხევი იცავს (№ 50), მაგრამ ხევის წევრი თუ ოვითონ დამაჯნებს სხვა ხევის კაცს, მაშინ ეს დამაჯნებელი თვითონაა პასუხისმგებელი, ხევი მას არ ეხმარება (№ 49).

დამაჯნებაში იგულისხმება ძალმომრეობა, ერთი პირისაგან მეორეზე თავისი ნება-სურვილის კარნახის წადილი. დამაჯნების კონკრეტული სახე ნახევნება სახეგო გამგებლობისადმი ხევის მთელი მოსახლეობის საჩივარში<sup>39</sup>: „ქეო ბედნიერო სუანეთისაო! პირველ შენი და ჩუენი საქმე აგრე იყო: ოდეს ზაფხულს შეყრა იყო, ცეცხლისა თფება გუმართებდა. მერმე უკეთურმან კაცმან და გუჟმაჯანა, პური გაჭამეთ. მერმე უკეთურმან კაცმან, რაიცა გუებადა, ყუელაჲ თქუენთჳს გინდოდა. მერმე ვერ გაგიძლებდით მას ყუეელასა, ჩუენ მას ზედა შევიშალენით. სხუასა ქუეყანასა პირი უქენით. მერმე განლულდა, ჳევ ჩენილნი კაცნი შეიყარა. მერმე დაგვაძაგრა ღმრთისა თავსდებობითა“ (№ 18; მესტიის ოთხთავი, გვ. 362).

ამ საბუთში პირის ნიშნები არეულადაა ნახმარი, რაც აძნელებს შინაარსის გაგებას. ხევის მოსახლეობის თავდაპირველი მოვალეობა ყოფილა ცეცხლის დანთება ზაფხულის შეყრილობისას („ცეცხლის თფება გუმართებდა“). მაგრამ ჳევის მმართველობა ამას არ დასჯერებია და ხალხს ახლა მმართველობის შენახვა — პურის ჳმევეაც დააქისრა. საბუთი ძალმომრეობის ამ აქტს დამაჯნებას უწოდებს და ერთ კაცს („უკეთურ კაცს“) აბრალებს: „უკეთურმან კაცმან დაგუჟმაჯანა“ — დაგჩაგრა, დაგვაძაბუნა და ჩვენც „პური გაჭამეთ“. სახეგო მმართველობა არც ამაზე ჩერდება — იმავე „უკეთური კაცის“ ძალმომრეობით ხევის მოსახლეობას ახლა გადასახადის გადახდა ეკისრება: „რაიცა გუებადა, ყუელაი თქუენთუის გინდოდა“. ამას კი ხევის მოსახლეობა ვეღარ იტანს და სხვა ქვეყნისაკენ უნდათ პირი იქციონ. მაშინ კი „ხევი“ შედრკა, „განლულდა“ და „ჳევ ჩენილნი“ კაცნი შეჳყარა და მათი შემწეობით ჳევის მოსახლეობა ძველს პირობებზე დაამაგრა.

ამ შემთხვევაში დამაჯნებულია ხევის ყოველი წევრი, დამაჯნებელად კი სახეგო საბჭო, გამგებლობა გამოდის.

დამაჯნება ისეთი აქტია, რომელიც, ჩვეულებრივი ძალმომრეობის გარდა, სოციალური დაქვემდებარების მომენტსაც შეიცავს. დამაჯნებული დამაჯნებელს მატერიალურ სამსახურს უწევს, ეს კი უკვე დამაჯნებულის თავისუფლების შელახვაა და ამიტომაც თემი დამაჯნებულს იცავს, ცდილობს დამაჯნების მდგომარეობიდან გამოიყვანოს.

მაგრამ თემის გამოსარჩლება ყოველთვის ეფექტური არ შეიძლებოდა ყოფილიყო მით უფრო რომ თვით სახეგო საბჭოც ცდილობს მთელი ხევის დამაჯნებას. ამის შედეგი უნდა იყოს სვანეთის მოსახლეობაში დამაჯნებულთა, სოციალურად დაქვემდებარებულთა ფენის წარმოშობა.

დამაჯნებულნი „თავდათვლილებთან“ ერთად შეადგენენ მოსახლეობის უქვედაეს ნაწილს. თავდათვლილთა არსებობა თავისთავად გულისხმობს მო-

<sup>39</sup> ამ საბუთს პ. ინგოროყვა ასათურებს შემდეგნაირად: „მოხსენება ჳევის მეზგრვის სრულიად სვანეთის ჳევის მმართველი“ (№ 18).

სახლეობის ისეთი ნაწილის არსებობასაც, რომელსაც თავს „მიათვლიან“. ესაა საზოგადოების დაწინაურებული ფენა, თემზე აღზევებული ნაწილი მოსახლეობისა. ამ ფენის არსებობა XIV—XV საუკუნეებზე გაცილებით ადრე (სვანური დოკუმენტების შექმნამდე) არის საგულისხმებელი.

სვანური ეკლესიების, რომლებიც ძირითადად XI—XIII სს-შია აგებული, მაშენებლად ხან მთელი ხევი გვევლინება<sup>40</sup>, ხან კი ცალკეული პირი. არის შემთხვევები, როდესაც ეკლესიის კედლებზე გამოხატულია თვით მაშენებელთა პორტრეტებიც. ასეთია, მაგალითად, ლენჯერის თემში მხერის ეკლესიის ჩრდილო კედელზე მოთავსებული მამაკაცისა და ქალის გამოსახულებანი, რომელთა შორის ასეთი წარწერაა გაკეთებული: „აღვაშენე მე მქლ ივლდემან — ეკლესია [ეს]“<sup>41</sup>. ამ მაშენებლის გვარი უფრო კარგად იკითხება ამავე ეკლესიის სამხრეთ კედელზე გამოხატულ ახალგაზრდა ქალისა და მამაკაცს შორის ჩასმულ წარწერაში (ეს წყვილი მაშენებლის ვაჟი და რძალია): „მიქელ ძე ივლდან“, „ნათელ მეუღლე“<sup>42</sup>.

მაშენებელი გამოხატულია აგრეთვე სოფ. ლადამის ეკლესიაში, ჩრდილო კედელზე, ასეთი წარწერით: „შალვა ქირქიშლიანს ამის ეკლესიის მაშენებელსა შს ღნ. ძმასა მისა ნიკოს დამხატავსა ამის ეკლესიისა შს ღნ“<sup>43</sup>.

ორივე ამ შემთხვევაში (ქირქიშლიანის ფრესკას XIII საუკუნით ათარიღებენ, ივლდანებისას — XIV ს-ით). ჩვენს წინაა დაწინაურებული ფენის წარმომადგენელი, დიდკაცური ტანისამოსით მოსილი, მატერიალური სახსრების მქონე პირი, რომელიც თავის ხარკით ახერხებს ეკლესიის აგება-მოხატვას. ეს გარემოება აშკარად ხდის ამ პირთა გამოყოფას თემის ერთფეროვანი მოსახლეობისაგან.

ადგილობრივი დაწინაურებული ფენის წარმომადგენელი გამოხატულია ადიშის მაცეხაროშის ეკლესიის სამხრეთ კედელზე წარწერით: „ქრისტე შეიწყალე მიქელ ჩეგანი. ამინ“<sup>44</sup> (XI—XII სს.).

ყველა ეს პირი (ჩეგანი, ქირქიშლიანი, ივლდანი) დაწინაურებული ფენის წარმომადგენელია და თანაც აშკარად ადგილობრივი წარმოშობისა. მათს დაწინაურებულობაზე მეტყველებს, როგორც მათი ტანსაცმელი, აგრეთვე ისიც, რომ ისინი ერთპიროვნული მაშენებლები არიან. მათ ადგილობრივ წარმომადგენლობაზე მეტყველებს თვით მათი გვარები და, ამას გარდა, ისიც, რომ ამ გვარის მატარებლები იხსენიებიან სვანურ დოკუმენტებში. ივლდანები იხსენიებიან როგორც მოწმე (№ 93, 95, 101) და როგორც საბუთის დამწერი (№ 83, 93, 115); ქირქიშლიანი თათარი კი მოიხსენება როგორც გოშქოთელიანის მოა-

<sup>40</sup> ხევე მაშენებელი ჩანს ლაპილის ეკლესიისა (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 362), ცხომარისა (იქვე, გვ. 393), სუფისა (იქვე, გვ. 425), ჩოლურისა (იქვე, გვ. 96).

<sup>41</sup> ეს წარწერა ე. თაყაიშვილს სრულიად არ აქვს წაკითხული (იხ. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“, გვ. 335). სრული ტექსტი ამ წარწერისა იხ. ჩვენს დღიურში. ამ სოფლის მოსახლეობაში დღესაც არის დაცული გადმოცემა, რომ ეკლესია ილდანებმა ააშენეს.

<sup>42</sup> ეს წარწერა ე. თაყაიშვილს, როგორც თვითონ წერს, კარგად ვერ გაურჩევია იგი მის ამგვარ წაკითხვას იძლევა: „მიქას ძე ერისთავი ზვიადი ან“ (იქვე, გვ. 335).

<sup>43</sup> ე. თაყაიშვილს მოცემული აქვს ამ ფრესკის აღწერილობა, წარწერა კი მას ვერ შეუმჩნევია (იქვე, გვ. 284).

<sup>44</sup> ეს ფრესკა ე. თაყაიშვილს არ უნახავს. იგი ნახა ბესარიონ ნიქარაძემ (სვანეთის ხელთნაწერი სახარებანი, „მოამბე“, 1904. IX).



საბიე (ქმ 81). მაგრამ ეს გვარები არა გვხვდება სვანურ დოკუმენტებზე აღმწერილ მდგომარეობაში.<sup>45</sup>

ეს დაწინაურებული ფენი, მოსახლეობისა სვანური დოკუმენტებით სახელდებულია ვარგებად<sup>46</sup>. ვარგები იხსენიებიან როგორც მთელი აწინდელი ზემო სვანეთის სახელით, ასევე საკუთრივ სეტის ხევის სახელით გაცემულ საბუთებში.

მაგალითად „დავდევით დაწერილი ესე სრულიად სვანეთისა კევისა ვუშქულსა და ლალეერს შვა სამაგრობელი ჩვენ ერთობილმან ქევემან ვარგმან და გლეხმან, უფროსმან და უმცროსმან, უზედაესმან და უქვედაესმან, ყველამან“<sup>47</sup>. ან კიდევ: „ჩუნ ქეუმან ერთობილმან მესეტისამან, ერთობილთა, დიდთა და მცირეთა, ვარგთა და გლეხთა-ყოველთა“<sup>48</sup>. ორივე ამ საბუთში ვარგი უპირისპირდება გლეხს და საზოგადოების დაწინაურებულ ნაწილს გამოხატავს როგორც მთელ ზემო სვანეთში ასევე სეტის ხევიში (ანუ ბალს — ზემო, შემდეგი დროის „თავისუფალ სვანეთში“). ვარგებად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებული დაწინაურებული ფენის წარმომადგენლები. საზოგადოების ამგვარი დიფერენციაციის პროცესი კი მაჩვენებელია კლასობრივი ურთიერთობის ჩასახვისა სოფლის თემის არსებობის პირობებში<sup>49</sup>. მაგრამ ამ პროცესმა შემდგომი განვითარება ვერ ვპოვა.

სვანურ დოკუმენტებში ასახულია ის ხანა, როდესაც სასოფლო თემის რღვევის პროცესი იწყება. იქ გარკვევით ჩანს კერძო პირთაგან სასოფლო მიწის მითვისების ცდა. მაგრამ ამავე საბუთებში ასევე კარგად ჩანს, რომ თევი ჯერ კიდევ ძლიერია და ძლიერია იმდენად, რომ იგი ახერხებს თავისი მიწების დაბრუნებას.

<sup>45</sup> გამოცემული აქვს პ. ინგოროყვას, რომელიც მას XIII ს-ის II ნახევრით ათარიღებს. (სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 115—160).

ამ „მატიანეში“ ჩამოთვლილია ყველა ის პირი, ვინც სვანეთის საეკლესიო კრებას „მოეგება და სული შეჰვედრა“. ეს ჩამოთვლა განლაგებულია თემების მიხედვით და იწყება დასავლეთით მდებარე უკიდურესი თემიდან, მოიცავს ზემო სვანეთის ყველა თემს და მთავრდება ზემო სვანეთის ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე თემის—უშქულ უსკვირით. ამ ჩამოთვლაში შეინიშნება ერთი რამ: სოფლები, რომლებიც ბალს ქვემოთ მდებარეობენ, ე. ი. ის თემები, რომლებიც შემდეგი დროის სადაღმწელო სვანეთში შედიოდნენ, წარმოდგენილია ძალიან ვრცლად, სოფლის ყველა მცხოვრების დასახლებით. ასე: ლალეერში—25 ოჯახი, ლახამულაში—25 ოჯახი, ღეშტერში—26, ეცერს 364 ოჯახი, ცხომარში 129, ებუდს—96 ოჯახი, დოლს—81, ბეჩოს—56. მაგრამ ბალს ზემო ტერიტორიაზე კი თითოეულ თემიდან რამდენიმე ოჯახი თუა დასახლებული: ლატალში—7 ოჯახი, ლენჯერში—6, სეტას—4, ხოლო შემდგომი უფრო აღმოსავლეთით მდებარე თემებზე უბრალოდ ნათქვამია: „ვინცა მულახს ამ კრებასა მოგება, ყთა შუს ღწ“. ასევე წურემის, ზეგანას, კალას და უშქულის შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ბალს-ზემო სვანეთში ამ დროს მოსახლეობა ნაკლები იყო, ვიდრე ბალს ქვემო სვანეთში. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ბალს ზემო ტერიტორიაზე ეს კრება ნაკლებ პოპულარული ყოფილა და მას ნაკლები ხალხი მიეგება. ამ გარემოებამ განსაზღვრა ბალს ზემო სოფლებში მცხოვრებ გვართა ნაკლებად დასახლება, რაც საშუალებას გვაძლავს ეკლესიის მაშენებელთა ზემო მოყვანილ გვარებს (რომლებიც აშკარად ბალს ზემოურები არიან) პარალელი მოვუძებნოთ ამ წერილობით ძეგლში.

<sup>46</sup> ვარგის შესახებ ეთნოგრაფიული მასალა და საყურადღებო დაკვირვებები მოცემულია რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის წიგნში—სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 107—108.

<sup>47</sup> № 1; მესტიის ოთხთავი, გვ. 542—547.

<sup>48</sup> № 49; მესტიის ოთხთავი, გვ. 124—128.

<sup>49</sup> რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად. თბ., 1964, გვ. 106.

მიემართოთ საბუთებს.

სეტის სამი თემის სახელით დადებულ საბუთში ნათქვამია: „მას ჟამსა, ოდეს... მიწასა აღფად მოგვეკიდეს მას ზედა შევიყარენით ერთობილი, რაიცა სასოფლო მიწაა წყალსა იქით და წყალსა აქეთ, ყველასა ქვე დავადებინეთ, ვინცა ფასითა არ დაიხსნის“<sup>50</sup>. ამ საბუთში ხაზგასმულია (თუმცა მთლად ნათლად არა, რადგან, ეს ადგილი საბუთისა არ იკითხება), რომ მიწა ვიღაცათ „აღაფად მოგვეკიდეს“, ე. ი. აღაფად (საზღაურად, თუ საჯარიმოდ) წაუღიათ. მაგრამ ეტყობა ეს მიწა (თუ ამ მიწის ერთი ნაწილი) სასოფლო ყოფილა: „რაიცა სასოფლო მიწაა წყალსა იქით და წყალსა აქეთ“. და რაკი ეს მიწა სასოფლო იყო, ამიტომ იგი „ყველასა ქვე დავადებინეთ, ვინცა ფასითა არ დაიხსნის“. გამოდის, რომ ამ სასოფლო მიწის მიმოვისებელი ცალკეული პირი კი არ ყოფილა, არამედ რამდენიმე — ყველასა ქვე დავადებინეთო. სასოფლო მიწის წამდებნი ეტყობა მთლად უდრტივინველად არ აბრუნებენ ამ მიწებს. ისინი მათ ისაკუთრებენ საფასურის გადახდით („ვინცა ფასითა არ დაიხსნის“). გამოდის, რომ სასოფლო მიწა კერძო პირებს ჩაუგდიათ ხელში და ახლა, როცა თემი მათგან ამ მიწების დაბრუნებას მოითხოვს, ისინი საფასურიც თემისაგან შეისყიდნიან ადრე დასაკუთრებულ მიწებს. „ფასითა დახსნა“ სათემო მიწისა ერთგვარი კომპრომისია თემის მხრივ. ეტყობა თემს იმდენად მორევთან ეს ცალკეული პირები, რომ მას დარჩენია მიწის საფასური მაინც დაინარჩუნოს მათგან. თუმცა ამავე საბუთში გამოხატულია ერთგვარი მუქარაც. თემის ურჩი წევრების მიმართ. — „ყველასა ქვე დავადებინე[ბ]თ, ვინცა ფასითა არ დაიხსნის“. ე. ი. იმ შემთხვევაში თუ თემის წევრები სათემო მიწის საფასურს არ გადაუხდიან თემს, მაშინ „ყველასა ქვე დაადებინებენ“, ე. ი. ძალით ააღებინებენ ხელს.

თემის წევრთა ამგვარი ძალმომრეობისა და ერთობილი თემის გადაწყვეტილებათა შედეგად „მას მიზეხსა ზედა ჩვენ სამი თემი და ჯაფარიძე დაუმდურდიო“, ნათქვამია საბუთში. ამ ფრაზიდან აშკარა ხდება, რომ ზემოაღნიშნულ სათემო მიწების გამო ატეხილ ცილობაში ერთ მხარეს სამი თემია და მეორე მხარეს ჯაფარიძე. გამოდის რომ ის „ყველანი“, რომელთაც სასოფლო მიწა მიუთვისებიათ, ჯაფარიძენი ყოფილან და თემი მათგან ამ მიწების დაბრუნებას ცდილობს. ჯაფარიძენი ყოფილან ის კერძო პირნი, რომელთაც დაუჭერიათ, „რაიცა სასოფლო მიწაა წყალსა იქით და წყალსა აქეთ“. როგორ შეხვდნენ ჯაფარიძენი თემის ამ გადაწყვეტილებას? „მას მიზეხსა ზედა ჩვენ სამი თემი და ჯაფარიძე დაუმდურდიო. რაიცა ამა საქმესა მოჰყვეს, ესე სამი თემი ერთი პირი ვართ... თუ ამას ზედა ვისაც წაეკიდოს, პირი და პასუხვისა ერთობილი ვიყოთ“. ჯაფარიძე დაემდურა თემს. იგი თემის გადაწყვეტილებას — რომ მის მიერ მითვისებული სასოფლო მიწები ან ფასით უნდა გამოიხსნას და ან თემი მას ძალით დააგდებინებს ამ მიწებს, — სამართლიანად არ თვლის („დაუმდურდიო“ — თემი და ჯაფარიძე), ეტყობა ჯაფარიძე ნებით არ აპირებს თავისი პოზიციების დათმობას — და სწორედ ამის გამოა, რომ თემი თავის მხრივ ემუქრება ჯაფარიძეს („რაიც ამა საქმესა მოჰყვეს, ესე სამი თემი ერთი პირი ვართ“). თუ ჯაფარიძე არ შეასრულებს თემის პირობას, თემის ყველა წევრი ერთიანდება ჯაფარიძის წინააღმდეგ. თემი აფრთხილებს ჯაფარიძეს, რომ ამ საქმეს შეიძლება სისხლის ღვრაც მოჰყვეს: „რაიც ამა საქმესა მოჰყვეს..., თუ ამას ზედა ვისაც წაეკიდოს“.

<sup>50</sup> სვანეთის საისტორიო ძეგლები. № 20.

ჯაფარიძეთა გვარი იმდენად გაძლიერებულა, რომ იგი თემს უპირისპირდება. თემი ჯაფარიძეს ძალიან აქტიურად ებრძვის, ცდილობს მის საერთო სათემო მდგომარეობაში ჩაყენებას, მაგრამ ესაა თემის უკანასკნელი შებრძოლება. სოციალური უთანაბრობისა და თემისაგან ჯაფარიძის აღზევების საფუძვლები უკვე შემზადებულია.

სვანურ საბუთებში ჩანს კიდევ ერთი მაგალითი სასოფლო მიწის მითვისების ცდისა. აქაც სასოფლო მიწების მითვისების მცდელი ჯაფარიძეა და აქაც თემი აქტიურად ცდილობს თავისი პოზიციების შენარჩუნებას.

„მოგახსენე დაწერილი ესე... მე ჯაფარიძემან პირნათელ, ჩემთ შვილთა... თქვენ სეტისა სოფელსა, მა ყამსა, ოდეს ბალყაეჩერასა და ვიცილით. მერმე მოუყარეთ მართალნი ფიცებულნი მოურავნი და ბალყაეჩერისა ჭალი თქვენ დაგრჩა ყე და ნაჭირვალისა მუქაფა მე გამიჩინეს და მომეცით.“<sup>51</sup>. ამ საბუთით ირკვევა, რომ ჯაფარიძე და სეტის სოფელი ბალყაეჩერის ჭალაზე ცილობენ. ეს ჭალა სეტის სოფლისა ყოფილა, მაგრამ ჯაფარიძეს ის დაუსაკუთრებია და უხმარია კიდევ. თემი „მართალ ფიცებულ მოურავთა“ საშუალებით მიწის უკან დაბრუნებას შეეცადა. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაა დავის გადაწყვეტის მშვიდობიანი, სამართლით წარმოებული გზა. ფიცებულ მოურავთა გადაწყვეტილებით ბალყაეჩერის ჭალა სეტის სოფელს დაუბრუნდა. აქ თემი გამარჯვებული გამოდის. მან თემის ურჩ წევრს ხელი ააღებინა უკანონოდ მითვისებულ სათემო მიწაზე. ჯაფარიძე თავის მხრივ შეეცადა აენაზლაურებინა ის ხარჯი, რაც მან ამ ჭალას მოახმარა. „ნაჭირვალისა მუქაფა მე გამიჩინეს და მომეცით“. ეს მუქაფა (სამაგიერო) იმავე მოურავთა გადაწყვეტილებით იყო განსაზღვრული. თემმა ეს დანახარჯი აუნაზლაურა ჯაფარიძეს: „მომეცით ფასა სრული და დაეჯერდი. ამ დღესა იქით არა ოდეს არ შეგეცილო“.

თემში უთანასწორობის გაჩენაზე მეტყველებენ აგრეთვე საბუთებში დაცული მიწის სყიდვის ფაქტები.

მიწის სყიდვა, მიწის ყიდვა-გაყიდვის საგნად ქცევა, დამახასიათებელია იმ საზოგადოებისათვის, სადაც უთანასწორობა მის წევრთა შორის მატერიალურ შესაძლებლობათა განსხვავებაში გამოიხატება.

სვანური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მიწის გასხვისების ფაქტები. იყიდება „ყანაი“ (79, 80, 88, 90), „სათიბვე“ (№ 91).

ვინ არიან მიწის გამყიდველები და მყიდველები?

ჩვენამდე მოღწეულ სვანურ დოკუმენტებში მიწის მყიდველებად ჩანან სეტეელები.

სეტეელი და მისი შვილნი ივანე და მიქელ (79);

სეტეელი და მისი შვილნი ივანე და მიქელი (80);

სეტეელი ივანე და მისი შვილი დემეტრე (88);

სეტეელი ივანე და მისი შვილნი (89);

სეტეელი ივანე და მისი შვილი დემეტრე (90)<sup>52</sup>.

მყიდველებად გამოდიან ჯერ სეტეელი და მისი შვილი ივანე, შემდეგ უკვე სეტეელის შვილი ივანე და მისი შვილები. ვინ არიან ეს სეტეელები?

ბენდან ვახდანგიანმა. მთელი ზემო სვანეთის მელომემ, იშვილა ერთი სე-

<sup>51</sup> № 21 მესტიის ოთხთავი, გვ. 476—480.

<sup>52</sup> ამ საბუთში პ. ინგოროყვას გამოცემაში მრავალწერტილით არის აღნიშნული ერთი გაურკვეველი სიტყვა, რაც ჩვენს მიერ ამოკითხულია „შვილსა დემეტრეს“.

ტიელი. „ერთი სეტიელისა შვილი ჩემსა მომიყვანია“ (№ 2); „ვახდაგიანსა ყმაი შვილი არა დარჩა, მერმე შენ სეტიელი გიშვილა“ (№ 78), ნათქვამია საბუთებში. ეს სეტიელი, ვახდაგიანის შვილობილი, მისი ქონების მემკვიდრე გახდა. თუმცა მას ამ საქმეში მოცილენიც ჰყავდა. ვახდაგიანის სახლის შვილი ეცილებიან სეტიელს თავიანთ დედულს. სეტიელის ჩამომავლობას უხდება მოცილეთა პრეტენზიების დაკმაყოფილება<sup>53</sup> (№ 78, 92).

ვახდაგიანის მემკვიდრეობით სეტიელებმა მყარი საფუძველი შექმნეს თავის საგვარეულოსათვის. ამის შემდეგ იწყება მათი გაძლიერება — ისინი მეზობლებისაგან ყიდულობენ მიწებს და აფართოებენ თავის სამფლობელოს. მიწებს ისინი ყიდულობენ ჯაფარიძეთაგან (№№ 79, 88), ქარდანის (70), კანბერანის (89), ქურდიანის (№ 90) და ქოჩორიანისაგან (№ 91).

ყველა ამ ნასყიდობის დამამტკიცებელი საბუთი აშკარად ხდის, რომ სეტიელები თავისი მამულების გაფართოებას სცილდის გზით ყოველთვის გამყიდველის ნებაყოფლობით კი არ აწარმოებენ, არამედ ზოგჯერ მიმართავენ იძულებასაც. მაგ., ქურდიანებისაგან გაცემულ საბუთში ნათქვამია: „ოდეს ჩვენგან (ქურდიანებისაგან — მ. ბ.) ყანაი გქონდა ჯანგარაშს. მერმე ავიღე თქვენგან (სეტიელისაგან) ფასი სრული, რომელსაც შეუჯერდი“ (№ 90). აქ ჩანს, რომ სეტიელებს სყიდვამდე სჭერიათ ქურდიანის ყანა — „ოდეს ყანაი გქონდაო“ — და მხოლოდ შემდეგ გადაუხდიათ საფასური.

დადასტურებულია აგრეთვე ფაქტი, რომ სეტიელები აიძულებენ მეზობლებს ჩაშაღონ სხვასთან გარიგებული ნასყიდობა: „ესე დაწერილი მოგახსენე შენ სეტიელსა ივანეს... მე კამბერანმან გავაშელ... მას ჟამსა, ოდეს ჩემგან დევდარიანსა მიქაელს მკვიდრად ჰქონდა. მან მიჰყიდა ...მარევიანსა დაევაჭრა. მერმე იმას მე მოუშალე და შენ მიგანებე. ავიღე შენგან რაიცა მართებდა“ (№ 89). ამ საბუთით ირკვევა, რომ კამბერანს მიქელ დევდარიანისათვის მიუცია მიწა. ამ უკანასკნელს მისი მარევიანისათვის მიყიდვა მოუნდომებია. სეტიელის ჩარევის შედეგად კამბერანმა ჩაშალა ეს მორიგება და ეს მიწა სეტიელს მიჰყიდა („შენ მიგანებე“)<sup>54</sup>.

ამ აქტით ირკვევა, რომ კამბერანისაგან დევდარიანს მიწა თუმცა „მკვიდრად ჰქონდა“, მაგრამ კამბერანის მიწის თავდაპირველი მფლობელის კომპეტენციაში რჩებოდა უფლება შემდეგშიაც მისი შეხედულებისამებრ მომხდარიყო ამ მიწის გასხვისება. ეს უფლება კი სეტიელმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

სეტიელის შეტისმეტ აქტივობაზე მეტყველებს შემდეგი საბუთიც: „მოგახსენეთ დაწერილი ესე ვაჭრობისა და მკვიდრად ნასყიდობისა თქვენ სეტიელსა ივანეს... ჩვენ ჯაფარიძეთა... მას ჟამსა, ოდეს შენსა სასახლეს ზემოთ მუშვიდიანსა ყანაი ჰქონდა ჩვენგან..., მათგან ჩვენ დავიკსენით, და მოწმებითა თქვენ მოგყიდეთ, ავიღეთ თქვენთან ფასი სრული“ (№ 88).

მუშვიდიანს ჰქონდა ყანა სეტიელის სასახლის ზემოთ (ეს ყანა თავისი

<sup>53</sup> სამამულო პრეტენზიები აქვს სეტიელთან აგრეთვე ბენდან ვახდაგიანის, მისი მამობლის, ძმას ვაჟილა ვახდაგიანს. იგი მას მზითავს ერჩის (№ 86, 85), შემდეგ სხვადასხვა ადგილებში მიწებს (№ 85 102). ბოლოს სეტიელებს აბრალევენ ბენდანის სიკვდილსაც. ამ ბრალდების უკუგდებას სეტიელი მხოლოდ დიდი ფიციით ახერხებს (№ 103).

<sup>54</sup> ეს ნასყიდობის წიგნი მოთვრდება შემდეგნაირად: „გობედნიეროს ღმერთმან ჩემგან ...უცილებლად და უფალად, ვითა ასრე ნასყიდისა ნასყიდსა ჰპართებს“ (№ 89). ნასყიდის ნასყიდობა — ეს ორმაგი აქტი უფრო მეტ სიმაგრეს ანიჭებდა ამ მიწას.

მდებარეობით სეტიელის თვალს იტაცებდა). მუშკიდიანს ყანა ჯაფარიძეთაგან უყიდა. ჯაფარიძეებმა მუშკიდიანებისაგან ისევ გამოიხსნეს ყანა („მათგან ჩვენ დავიკსენით“) და ახლა სეტიელს მიჰყიდეს. სრულიად გაუგებარია თუ რა ამოძრავებთ ჯაფარიძეებს — მათ ერთხელ გაყიდული ყანა უკანვე გამოისყიდეს და მერე სეტიელებს მიჰყიდეს. რატომ გააკეთეს მათ ეს, რა სარგებელი ნახეს ამ ორმაგ აქტში? რასაკვირველია, არაფერი. ისინი მოქმედებდნენ მხოლოდ სეტიელის სახიეროდ. სეტიელები იყვნენ ამ ყანის შეძენით დაინტერესებული (ეს ყანა მათი სასახლის ზევით არის). მაგრამ მუშკუდიანს, ამ ყანის აწინდელ მფლობელს, ეტყობა არ შეეძლო უშუალოდ გაეყიდა ეს ყანა და სეტიელებს არ შეეძლოთ პირდაპირ მათგან შეძენა ამ ყანისა. ამიტომ ისინიც კონტაქტს ამყარებენ ყანის თავდაპირველ მემპატრონესთან — ჯაფარიძესთან.

აქაც, ისევე როგორც ზემომოხსენებულ კამბერანისაგან გაცემულ საბუთში, საქმე გვაქვს მიწის ისეთ გასხვისებასთან, როცა ამ მიწის ახალი პატრონი მოკლებულია უფლებას გაყიდოს ეს მიწა მიწის თავდაპირველი პატრონის ნების გარეშე<sup>55</sup>.

მხოლოდ თავდაპირველ პატრონს მიწისას შეეძლო ამ მიწის „მკვიდრად და სამამულოდ“ გაყიდვა; მასვე შეეძლო ამ მიწის სხვისთვის გადაცემა (გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ) მათგან უკანვე გამოიხსნის უფლებით „მკვიდრად და სამამულოდ“ გაყიდული მიწა „ყოლა კაცისაგან უცილებელია“. მას მისი ახალი პატრონი „გინდა გაჰყიდე, გასცვალე, რაი გინდა უყავი, ვითა ნასყიდსა ჰმართებს“ (№ 80).

სვანური დოკუმენტებით აღწერილია ისეთი ვითარება, როდესაც თემური ურთიერთობის გვერდით ისახება ფეოდალური ურთიერთობაც: ჩნდება თემზე აღზევებული პირები, რომელთაც, თემის დანარჩენ წევრთაგან განსხვავებით, თავდათვლილთა და „ყმათა“ საკმაო რიცხვი ექვემდებარება. თემი თავის ამგვარ წევრებს წინააღმდეგობას უწყევს მხოლოდ სათემო მიწების მითვისების საქმეში. სოციალური თანასწორობის დაცვაში თემი განზეა. დაწინაურებული ფენის საბოლოო აღზევებასა და ფეოდალთა კლასად ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა საგარეო ფაქტორმა: საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ XV ს-დან იწყება ჩრდილო კავკასიის ტომების შემოტევა საქართველოს მთაზე (ეს მომენტი „ჩარქასთა“ სახით ჩვენს საბუთებშიც ჩანს), რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო თემის ხელახალ გაძლიერებას მთაში.

<sup>55</sup> ქართულ სინამდვილეში ყრუდ ჩანს ამდაგვარივე მოვლენა. სერაპიონ ზარზმელის ც-ში ნათქვამია, რომ გიორგი ჩორჩანელმა თავისი ქონება დისწულებს დაუტოვა „თავისუფლებით“ — რაც იმას ნიშნავს, რომ ქონების ახალი მემპატრონე ამ ქონების სრული მსაკუთრია; (აღრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, კ. კეკელიძის გამოც., გვ. 173, 15—16). ეს კი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ შესაძლებელი ყოფილა ქონების გადაცემა არაფეისუფლებითაც.

ნოდარ უნაბაღია

ოსმალურ ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები  
ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ძველებში  
ლაშქრობის შესახებ

ოსმალურ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XVII საუკუნის მეორე ნახევრის მეისტორიეს აჰმედ იბნ ლუთფულაჰს (გარდაიცვალა მექაში 1702 წელს), რომელიც მუნეჯიმ-ბაშის („მოთავარი ასტრონომი“) სახელით არის ცნობილი. იგი წარმოშობით სალონიკელი თურქი იყო. მისი დაბადების თარიღი ზუსტად არ არის ცნობილი. 1667/8 წელს ის გახდა სულთნის კარის ასტრონომი. 1687 წელს გაიგზავნა ეგვიპტეში, იქიდან წავიდა მექაში და გახდა სასულიერო პირი — შეიხი. იყო აგრეთვე მედინაში. მუნეჯიმ-ბაშის ეკუთვნის არაბულ ენაზე შედგენილი თხზულება „ჯამი ად-დუვალ“ („დინასტიათა კრებული“). ეს თხზულება ძირითადად წარმოადგენს კომპილაციას, წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებაში დაცული ცნობების კრებულს. მიუხედავად წყაროს ასეთი ხასიათისა, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების მნიშვნელობას ზრდის ის, რომ მას გამოყენებული აქვს 70-ზე მეტი დასახელების პირველწყარო, რომელთაგან ზოგიერთი დღეისათვის დაკარგულად ითვლება. ამ შრომის მაღალი მეცნიერული ღირებულება იყო ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იგი 1720—1730 წლებში ითარგმნა თურქულად, სათაურით „საჰაიდ ალ-ახბარ“ („ცნობათა ფურცლები“). ეს თარგმანი პირველად სტამბოლში დაიბეჭდა სამ ტომად 1868 წელს<sup>1</sup>.

მუნეჯიმ-ბაშის სამტომიანი თხზულება წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებს. მასში ავტორს გადმოცემული აქვს მრავალი დინასტიის, პოლიტიკური წარმონაქმნისა და ცალკეული საამიროს ისტორია. ავტორი თბრობას იწყებს უძველესი დროიდან. XI—XVII საუკუნეების საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის თვალსაზრისით ავტორს საინტერესო ამბები აქვს გადმოცემული II—III ტომებში.

მუნეჯიმ-ბაშის თხზულების არაბული ტექსტის შესწავლისა და თარგმან-კომენტარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ცნობილმა ორიენ-

<sup>1</sup> ۱۲۸۵، صحائف الاخبار، جلد ۳—۱، استانبول، 1940 წელს, მაგრამ, სამწუხაროდ, სსრ კავშირის წიგნსაცავებში ამ გამოცემას ვერ მივაკვლიეთ. იხ. Müneccim-Başı, Câmi' ud-duvel. Türk terc. H. F. Turgal, neşr. M. Atsız. İstanbul, 1940. ასევე ჩვენთვის მოუწოდოელი აღმოჩნდა მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ნაწყვეტების თურქული თარგმანი, რომელიც ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ეხება. იხ. H. F. Turgal, Anadolu Selçukileri Müneccim-Başıya göre, İstanbul, 1936.

ტალისტნა ვ. მინორსკიმ<sup>2</sup>. მუნეჯიმ-ბაშის თხზულებიდან ნაწყვეტები შედ-  
დიანთა დინასტიის შესახებ ითარგმნა სომხურ<sup>3</sup> და რუსულ ენებზე<sup>4</sup>. მუნეჯიმ-  
ბაშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თხზულების, როგორც წყაროს მნი-  
შვნელობაზე საკმაოდ საინტერესო ლიტერატურა არსებობს<sup>5</sup>. უნდა აღინიშნოს,  
რომ მუნეჯიმ-ბაშის ცნობებს XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიის შე-  
სახებ პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყურადღება მიაქცია და შეუჭერა  
იგი ქართულ და სხვა აღმოსავლურ წყაროებს რევაზ კიკნაძემ<sup>6</sup>.

მუნეჯიმ-ბაშის საქართველოს შესახებ საყურადღებო მასალა მოეპოვება.  
თხზულებაში უხვად არის გაბნეული ცნობები XI—XVII სს. საქართველოს ის-  
ტორიისათვის. მუნეჯიმ-ბაში საინტერესო მასალებს გვაწვდის სელჩუკებისა და  
ქართველების ურთიერთობაზე, აგრეთვე მცირე აზიის ცალკეული პოლიტი-  
კური ერთეულების საქართველოსთან დამოკიდებულებაზე. განსაკუთრებით  
ვრცლად აქვს გადმოცემული ოსმალეთთან საქართველოს ურთიერთობის ცალ-  
კეული მომენტები; საყურადღებო მასალებს გვაწვდის გიორგი სააკაძის მოღვა-  
წეობის შესახებ, ეხება ოსმალეთში მის უკანასკნელ დღეებს, ქართველ პოლი-  
ტიკურ მოღვაწეთა საქმიანობას და სხვ. ამ შემთხვევაშიაც ავტორი წინამორ-  
ბედ და თავის თანამედროვე ოფიციალურ ოსმალთა ისტორიკოსების — აჰმედ  
ჰასან ბეგ-ზადეს (გარდაიც. 1637 წ.), მეჰმედ სოლაქ-ზადეს (გარდაიც. 1657 წ.),  
იბრაჰიმ ფეჩევის (1574—1651), ყარა ჩელები-ზადეს (გარდაიც. 1658 წ.), ჰუ-  
სეინ ჰეზარფენის (გარდაიც. 1691 წ.) და სხვათა ნაშრომებს ეყრდნობა. ხში-  
რად ამა თუ იმ ცნობას, რაც სხვებთან ვრცლადაა მოთხრობილი, იგი მოკლედ  
გადმოგვცემს. მაგალითად, ქვემოთ მოტანილი მასალები ლალა მუსტაფა ფაშას  
ლაშქრობის შესახებ ამიერკავკასიის ქვეყნებში შედარებით უფრო ვრცლად  
აქვს გადმოცემული იბრაჰიმ ფეჩევის. მუნეჯიმ-ბაშის, ეტყობა, უსარგებლოა  
იბრაჰიმ ფეჩევის ისტორიის ამ ადგილითაც და უფრო მოკლედ გადმოუცია ის.  
რაც იბრაჰიმ ფეჩევის აქვს აღწერილი. მაგრამ აქვე მუნეჯიმ-ბაშის საკმაოდ  
ორიგინალური, ახალი ცნობებიც აქვს მოტანილი. მუნეჯიმ-ბაშის ამ ცნობე-

<sup>2</sup> V. Minorsky, *Studies in Caucasian History*. „Cambridge Oriental Series“. Lon-  
don, 1953, № 6; V. Minorsky, *A History of Sharvan and Darband*, Cambridge, 1958. ამ  
შრომის რუსული თარგმანი იხ. В. Ф. Минорский, *История Ширвана и Дербенда X—  
XI веков*. М. 1963.

<sup>3</sup> А. А. Тер-Гевондян, *Сведения анонимного источника XI—XII вв. О шед-  
дадидах Ливна и Гандзак в историческом сочинении Мунеджим-Баши*. „Вестник Мате-  
надарана“. 6. Ереван. 1962.

<sup>4</sup> А. Дж. Мамедов, Ахмед ибн Лютфуллах (Мунаджим-Баши) „Джами ад-ду-  
вал“... „Труды института истории АН Азерб. ССР“. XII. Баку, 1957. გვ. 205—251.  
მუნეჯიმ-ბაშის თხზულების ამ ნაწილის შესახებ იხ. აგრეთვე, В. Ф. Минорский, „Русь в  
Закавказье“. „Acta Orientalia“, 1953, t. III, fasc. 3. მუნეჯიმ-ბაშის თხზულებიდან ნაწყვეტები  
ყარახანინათა შესახებ კვრ კიდევ XIX ს-ში ითარგმნა რუსულად. იხ. В. В. Григорьев, *Ка-  
раханиды в Мавераннахре по тарихи Мунеджим-Баши*, СПб., 1874.

<sup>5</sup> N. Atsiz, *Münecim-Başı Şeyh Ahmed Efendi, Hayat ve Eserleri*, Istanbul,  
1939. F. Babinger, *Die Geschichtschreiber der Osmanen und ihre Werke*. Leipzig, 1927.  
Kramers, *Enzyklopedie des Islam*, Bd. III. Leiden—Leipzig, 1937, გვ. 779—770. В. В.  
Бартольд, *О некоторых восточных рукописях в библиотеках Константинополя и Ка-  
ира*. „Записки Восточного отделения императорского русского археологического обще-  
ства, т. XVIII, вып. IV. СПб. 1908. გვ. 124—137. В. В. Бартольд, *Иран*, I, 1927.  
И. Ю. Крачковский, *Избранные Сочинения*, т. IV, М.-Л. 1957. გვ. 633.

<sup>6</sup> რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან. ივ. ჯავახიშვილის სახ. ის-  
ტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, თბ. 1960. გვ. 110—119.

ბისაფის დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყურადღება არავის მიუქცევია, თუმცა ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში და კერძოდ, საქართველოში ლაშქრობის საკითხი საგანგებო კვლევის საგანიც გახდა<sup>7</sup>. მუნეჯიმ-ბაშის თხზულების III ტომიდან ამოღებული, ქვემოთ მოტანილი ცნობები, ვფიქრობთ, გარკვეულ სინათლეს შეიტანს ამიერკავკასიის ხალხებთან და, კერძოდ, საქართველოსთან ოსმალეთის ურთიერთობის ცალკეულ საკითხების შესწავლაში.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის 70-იანი წლებისათვის ოსმალეთი მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიის დაპყრობას ისახავდა მიზნად. საამისოდ მან 1578 წელს მოაწყო დიდი ლაშქრობა ლალა მუსტაფას სარდლობით. მეტად მძიმე აღმოჩნდა ამიერკავკასიის ხალხებისათვის ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა. ოსმალები ახდენდნენ დაპყრობილი ქვეყნების აღწერას, ოსმალური გადასახადების, ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულების — ვილაეტებისა და სანჯაყების და ოსმალური მართვა-გამგეობის შემოღებას. ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობის გამო ოსმალეთის ხელისუფლება იძულებული ხდებოდა ფრთხილად ემოქმედა, უკან დაეხია. იგი ადგილობრივ გამგებლებს დამოკიდებულების უფრო მსუბუქ ფორმებს სთავაზობდა, ადგილობრივ წარჩინებულთა ერთ ნაწილს გარკვეულ პრივილეგიებსა და შეღავათებს ანიჭებდა, რათა მათი მიმხრობით უფრო ადვილად მოეხდინა ქვეყნის ინკორპორაცია. „ოსმალეთის მთავრობამ ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში დაპყრობათა შედეგად 5 საბეგლარ-ბეგო (ვილაეთი) დააარსა: ქართლის, კახეთის, შირვანის, აფხაზეთისა და ჩილდირის... ფაქტიურად ოსმალთა ბატონობა ამიერკავკასიაში ციხე-სიმაგრეებით შემოიფარგლებოდა“<sup>8</sup>. ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობით ოსმალეთი ერთიანი დაპყრობით დაემუქრა ამიერკავკასიის ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს. მუნეჯიმ-ბაში ცდილობს დაწერილებით აღწეროს ლალა მუსტაფა ფაშას მიერ მოწყობილი უზარმაზარი ექსპედიცია. იგი აღწერს ლაშქრის მოძრაობის მარშრუტებს, ბრძოლებს ამიერკავკასიაში, ადგილობრივი მოსახლეობის მედგარ წინააღმდეგობას, ოსმალთა მხედართმთავართა ურთიერთობას ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულების გამგებლებთან და სხვ.

ქვემოთ მოტანილი მასალა ერთგვარ სამსახურს გაუწევს ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ. ვფიქრობთ, მუნეჯიმ-ბაშის თხზულება ქართულ, თურქულ და სხვა ენებზე შედგენილ სხვა წყაროებთან ერთად მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის ცალკეული მომენტების გარკვევის დროს.

ესარგებლობთ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებთ პროფ. სერგი ჯიქიას, რომელმაც ქვემოთ მოტანილი წყაროს ქართული თარგმანი წაიკითხა და სასარგებლო შენიშვნები მოგვცა.

ლალა მუსტაფა ფაშას სარდლობა ირანელმებთან ლაშქრობაში

წინათ, რაკი ირანის შაჰმა ისმაილმა<sup>2</sup> ზავის საწინააღმდეგო საქმიანობა დაიწყო, ამიტომ [ოსმალებმა] მის წინააღმდეგ გალაშქრება განიზრახეს. რადგან

7 მ. სვანიძე, ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V, თბ., 1965.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 399—400.



ამავე დროს, არზრუმიდანაც მოვიდა ცნობა, რომ მათ [ციზილბაშთა] ქვეყანაში არეულობა მოხდა, ამან უფრო განამტკიცა მათი განზრახვა. გადაწყვიტეს ბაღდადის მხრიდან ვეზირი სინან ფაშა<sup>3</sup> გაეგზავნათ, ხოლო არზრუმის მხრიდან კი ლალა მუსტაფა ფაშა. სტამბოლიდან ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული, რომ ამ ორ სარდალს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და წინააღმდეგობამ იჩინა თავი. ამიტომ ეს გამგზავრება გააუქმეს.

985 წელს<sup>4</sup> ირანზე სალაშქროდ სარდალად მარტო ლალა მუსტაფა ფაშა დაინიშნა და მას დაევალა ამ ლაშქრობის ხელმძღვანელობა. სალაშქროდ ვანა-წესეს ხუთი ათასი იანიჩარი<sup>5</sup>, რამდენიმე ათასი ბოლუქის<sup>6</sup> ჯარი და თავიანთი ეიალეთების ჯარით დიარბექირის ვალი<sup>7</sup> დერვიშ ფაშა<sup>8</sup>, არზრუმის ვალი ბაპ-რამ ფაშა, მარაშის ბეგლარბეგი მევითაბ-ზადე აჰმედ ფაშა<sup>9</sup>, ალეპოს ბეგლარ-ბეგი ბოსნიელი მეჰმედ ფაშა და ყარამანიის<sup>10</sup> ბეგლარ-ბეგი ვოზლიჯე მეჰმედ ფაშა.

989<sup>11</sup> წლის მოჰარამის თვეში სარდალი სკუტარში<sup>12</sup> გადავიდა და როდესაც არზრუმს მიაღწია, თავისი ბეგების გონივრული რჩევით ჯერ საქართველოს დასაპყრობად გაემგზავრა. როდესაც მათ არტანს<sup>13</sup> მიაღწიეს, ციზილბაშები-სადმი დაქვემდებარებულ მაჰმუდ-ხანის ეიალეთიდან ველის ციხე<sup>14</sup> და ახალი ციხე<sup>15</sup> აიღეს. შემდეგ, ვინიდან მოვიდა ცნობა, რომ ჩუქურ-საადის გამგებელი თოქმაქ-ხანი<sup>16</sup>, ყარა-ხანი, განჯის გამგებელი იმამ-ყული-ხანი და სხვებ, სულ ირანელთა ცხრა ხანი 30.000 თუ 20.000 ჯარით ჩილდირის ველზე<sup>17</sup> დაბანაკდნენ და ვნებას აყენებენ მეპატრონეებს, ამიტომ დიარბექირის ბეგლარ-ბეგი დერვიშ ფაშა თავისი ეიალეთის ლაშქრით მათ წინააღმდეგ გაიგზავნა. იმ ადგილს მიაღწიეს და ბრძოლა დაიწყეს. ამავე დროს გაიგზავნა ოზდემირ ოღლი ოსმან ფაშა<sup>18</sup>, რომელიც დიარბექირის ეიალეთიდან იქნა გადაყენებული. იგი სწორედ იმ დროს მივიდა იქ, როდესაც ეს ბრძოლა გაჩაღდა და, როგორც მშვიერი მგელი ეძგერება ხოლმე ცხვრის ფარას, ისე ეკვეთა ციზილბაშებს. მეორე მხრიდან სარდალმა არზრუმის ბეგლარბეგი ბაპრამ ფაშა<sup>19</sup> თავისი ეიალეთის ჯარით გაგზავნა და მათ შემდეგ კი მარაშის ყოფილი ბეგლარბეგი აჰმედ ფაშა<sup>20</sup>. ყველამ მიაღწია [ბრძოლის ადგილს] და ომი დიდიდან გვიან დამემდეგაგრძელდა. ხუთი ათასი ციზილბაში დახოცეს და ამდენივე დატყვევეს. ბოლოს, ისლამის ლაშქრის დაწინაურებულმა ნაწილებმა უკან დაიხიეს. ჩილდირის ველზე სარდალის ბრძანებით ციზილბაშთა თავებისაგან შუქურის მსგავსი კოშკი ააგეს.

საქართველოს მეფე ქალმა, დედისიმედად წოდებულმა, თავისი შვილი მანუჩარი<sup>21</sup> ექვსათასიანი ქართველთა ჯარით და რამდენიმე აზნაურით გაგზავნა და უბრძანა — რომელი მხარეც გამარჯვებული გამოვა, იმ მხარეს დამორჩილდითო. როდესაც მანუჩარმა დაინახა, რომ ისლამის ჯარია გამარჯვებული, მივიდა და [მათ] მორჩილება მოახსენა. სარდალმა მას პატივი სცა, საპატიო ხალათი ჩააცვა, ციზილბაშთაგან აღებული დოლი და დროშები უბოძა. შემდეგ არგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეები.

ზემოხსენებული მანუჩარი საქართველოს მეფეების დიდებულთა ჩამომავალი იყო. მამამისი ქაიხოსრო<sup>22</sup> რომ გარდაიცვალა, ის და მისი ძმა ყვარყვარე<sup>23</sup> პატარები დარჩნენ. მათმა დედამ დედისიმედმა ქვეყნის საქმეების მოწესრიგება დაიწყო. იგი ალთუნ ყალას<sup>24</sup> ფადიშაჰის სახელწოდებით იყო ცნობილი. მანუჩარი თავია ძმა ყვარყვარესთან ერთად სარდალის უდიდებულესობის

წინაშე მივიდა. როდესაც დიდებული ისლამის მიღებით იქნენ გაპატიოსნებული, დიდი გულკეთილობითა და უდიდესი პატივისცემით მიიღეს. მანუჩარს მუსტაფა ეწოდა და მის ძმას ყვარყვარეს კი ისლამის სახელებიდან ერთ-ერთი სახელი დაერქვა. მუსტაფას აწყურის სანჯაყი<sup>25</sup> და მის ძმას ოლთის სანჯაყი ებოძა. მათ დედას სამი დიდი ციხე ხასად<sup>26</sup> დაენიშნა. სხვა ტერიტორიები დაპყრობილ იქნა.

შემდეგ იმ ადგილიდან დაიძრნენ და საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისში მივიდნენ. მათი თბილისში ჩასვლა ჯუმად ალ-ახირის მეოცე დღეს<sup>27</sup> მოხდა. რადგანაც ხსენებული ქალაქი მოსახლეობისაგან ცარიელი ნახა, ბრძოლისა და ომის გარეშე დაიპყრო. წინათ მისი მეფე დაუდ-ხანი<sup>28</sup>, ძე ლუარსაბისა<sup>29</sup>, თაჰმასპს<sup>30</sup> ემორჩილებოდა და მათი ისლამი ჰქონდა მიღებული. შაჰმა მას გვირგვინი დაადგა. ამჟერად, ისლამის ჯარის<sup>31</sup> მოსვლის ამბავი რომ გაიგო, რეაია<sup>32</sup> მთებში გახიზნა, თვითონ კი შაჰის მხარეს შეაფარა თავი. ქალაქი ცარიელი დატოვა. სოლაკ ფერჰად ფაშა-ზადე მეჰმედ-ბეგი, რომელიც კასტამონის ბეგი იყო, თბილისის ეიალეთის ვალის თანამდებობაზე დანიშნა და დაცვისთვის საჭირო ძალები მთლიანად მისცა, ამასთანავე მას რამდენიმე პატარა და დიდი ზარბაზანიც დაუტოვა. აქედან აიყარნენ და მდინარე მტკვარი გადალახეს. იქიდან მდინარე კაბურის<sup>33</sup> ნაპირზე რამდენიმე დღე დაისვენეს.

საქართველოს მეფეთაგან უდიდებულესმა და უპატივცემულესმა ალექსანდრე ლევან-ხანის ძემ<sup>34</sup>, რომელიც ზაგემის გამგებელი<sup>35</sup> იყო, როცა შაჰ თაჰმასპის დაზე იქორწინა, შაჰისგან სამეფო გვირგვინი მიიღო, მაგრამ [მას] არ დამორჩილებია. როდესაც სარდალმა მას ცნობა გაუგზავნა და მორჩილებისაკენ მოუწოდა, წინააღმდეგობა არ გაუწევია და ჯუმად ალ-ახირის 27-ე<sup>36</sup> დღეს ლაშქრის ბანაკში მოვიდა. მთელი რჩეულები მათ შესახვედრად გამოვიდნენ და მოწიწებით მიიყვანეს სარდლის კარავში. როგორც წესი და რიგია. პატივით მიიღეს და მისი ვილაიეთი ბეგლარბეგობის თანამდებობით მას უბოძეს. ალექსანდრემაც წლიურად გარკვეული რაოდენობის ხარკის გადახდა იკისრა და თავის ჯართან ერთად წავიდა. როდესაც შირვანის საზღვარზე მდინარე კანიქს<sup>37</sup> მიაღწიეს, იანიჩართა ყაჩაღების ერთი ბოლუქი სარდლის კარავს თავს დაესხა და დაყინებით მოსთხოვა უკან დაბრუნება. სარდალმა ესენი მშვიდობიანად მოიცილა. ამის შემდეგ შაჰ მაჰმუდის ვეზირმა იემირ-ხანმა 20.000 ყიზილბაშით კოიუნ გეჩთის გადასასვლელზე შემოხსენებული მდინარე ხილით გადალახა. როდესაც [ოსმალებმა] გაიგეს, რომ [ყიზილბაშებმა] ლაშქრის განადგურებაა ფიქრობდნენ, სარდალი ამხედრდა და მათ თავს დაესხა. იემირ-ხანმა და რამდენიმე ირანელმა თავს უშველეს. დანარჩენები ზოგი დახოცეს, ზოგი დაატყვევეს და ზოგიც დაიხრჩო.

უფრო ადრე კი სარდალმა ალექსანდრე-ხანი სამი ათასი ქართველით და მირზა ალი-ბეგთან, ლალუშ აჰმედ-ბეგთან და რამდენიმე სიფაჰისთან<sup>38</sup> ერთად შექის ციხის<sup>39</sup> დასაპყრობად გაგზავნა. წავიდნენ და მოკლე ხანში ციხის მიდამოებში მდებარე მთელი ტერიტორია დაიპყრეს. ამ დროს მას სასიამოვნო ამბები მოუვიდა. სარდალმა ეს მხარეები მისი სამსახურის სანაცვლოდ ალექსანდრე-ხანის შვილს ერეკლე-მირზას უბოძა. ამის შემდეგ სარდალმა ბრძანება გასცა, რათა ლაშქრის ნახევარს მდინარე გადაელახა, მაგრამ რადგანაც წყალი ადიდებული იყო, დიდი სიძნელებები შეექმნათ. დაღამებისას სარდალმაც გადალახა მდინარე. თოფები, საჭურველი და ლაშქრის ნაწილი კი გამოღმა მხარეს

დარჩა. დარჩენილმა ნაწილებმა წინააღმდეგობა გასწიეს, სიჯიუტე გამოიჩინეს და მარაშის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა სარდლად დანიშნეს. შემდეგ იანიჩართა ნაწილი უკან დაბრუნდა, დარჩენილებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და მდინარე გადალახეს. სარდალთან შესაერთებლად სხვებიც იძულებით გადავიდნენ. სარდალმა ამ მორჩილების სანაცვლოდ იანიჩართა რაზმები დააწინაურა. ხუთ კაცს ქვეითთა უფროსებს ჩაუშობა<sup>40</sup> და ას კაცს სიფაპიბა, სამოც კაცს კიდევ კორუჯუბა<sup>41</sup> უბოძა. ამ ლაშქრობაში მონაწილე იანიჩართაგან ვისაც სრულწლოვანებას მიღწეული შვილი ჰყავდა, იმათ თითო ახჩა და აჯემთა ოღლანობა<sup>42</sup> მისცა, ხოლო იმათ კი. ვისაც სრულწლოვანებამდე არ მიუღწევიათ, თითო-თითო ფოდლა<sup>43</sup> უღუფა უბოძა.

შემდეგ გავიდნენ და რაჯაბის თვის მეცხრე დღეს<sup>44</sup> არეშს<sup>45</sup> მივიდნენ. ლაშქარში სურსათის ნაკლებობა იყო. არეშში სანოვაგე საკმარისად დახვდათ. 18 დღე იქ გაჩერდნენ და ერთი თვის საჭირო სურსათი მოიმარაგეს. ლაშქრის რაოდენობა მსახურებითა და საქონლით 100.000-ს აღწევდა. ქალაქ არეშთან ახლოს მდებარე ბაღის ხეები მოსჭრეს, ერთ კვირაში მას გარშემო ზღუდე შემოართყეს და ოთხი ციხე ააშენეს. სამი კარი გაუკეთეს. გარშემო ხანდაკი გათხარეს, რამდენიმე ზარბაზანი დადგეს და მის მცველად სარუჰანის ბეგი კაითას-ბეგი გააწესეს, ზემოხსენებული არეშის ბეგლარბეგად დანიშნეს.

დემირ-ყაფუს<sup>46</sup> მცხოვრებნი სუნიტები<sup>47</sup> იყვნენ. ამ დროს ყიზილბაშთა მხრიდან მათ დანიშნული ჰყავდათ ვინმე ჩირალ-ბეგი; იგი დაიჭირეს და მისი 300 ხელქვეითი დახოცეს. მათი მოკვეთილი თავებით ჩირალ-ბეგი სარდალთან მოიყვანეს. მოსულ რჩეულებს საპატიო ხალათები ჩააცვეს. ციხეს მცველი დაუნიშნეს. ჩირალ-ბეგი მოკლეს.

მას შემდეგ რაც შირვანის ქვეყანა მთლიანად დაიპყრეს, სარდალმა იმ ვილაიეთში წესრიგის დასამყარებლად ვალის თანამდებობაზე ოზდემირ ოღლი ოსმან ფაშა დანიშნა. მას ვეზირობა უბოძეს, რადგანაც მამაცი და კეთილშობილი იყო, ეიალეთის სანჯაყების თითო-თითო ღირსეული პირებისათვის ჩაბარების საქმე მიანდეს. 66 ცალი თოფი და ზარბაზანი, 180 ყუთი საჭურველიც მას გადასცეს. ათასი იანიჩარი და მთელი მარცხენა ულუფეკიები<sup>48</sup> ექვსი თვის სამყოფი სანოვაგით მას დაუტოვეს. არზრუმის მარჯვენა და მარცხენა ბოლუქება და არტაანის ლაშქარი შეკრებილ იქნა. ხელახლა იქნა ჩაწერილი სამი ათასი შირვანის ყული. ლაშქრის დევეთერდარი<sup>49</sup> დანიშნა. შირვანის შემოსავალი იმ დროს თითქმის მარტო სახელმწიფო ხაზინას დაახლოებით 200 იუქი ახჩემდე ჰქონდა.

ამის შემდეგ, 986 წლის შაბანის თვის მეექვსე დღეს<sup>50</sup> სარდალი არეშიდან გამოვიდა და მდინარე კანკზე გადებულ ხიდზე გავიდა. რვა დღის შემდეგ სულთანჯიკის გასაჩერებელ ადგილზე დაბანაკდნენ. ამ დროს ალექსანდრეს შვილს ერეკლე-მირზას, რომელიც მეგზურობას უწევდა, სარდალმა თავის ვილაიეთში დაბრუნების ნება მისცა.

ამ ადგილას დაღესტნის გამგებელი შამხალი ბანაკში მოვიდა და მთელი წარჩინებულები მას დიდი პატივით შეხვდნენ. ისინი სარდლის კარავში მიიყვანეს. სარდალმა მათ მომეტებული პატივი სცა და ტანისამოსი ჩააცვა.

თბილისის ყოფილი მფლობელი სიმონ ლუარსაბის ძე<sup>51</sup>, რომელიც თავმასბის დროიდან იყო ტყვედ ალამუთის ციხეში<sup>52</sup>, მოჰამედ ხოდბანდემ<sup>53</sup> გაათავისუფლა და თბილისი თავისი მიდამოებით საგამგებლოდ თავის მხრივ მას უბოძა. როდესაც სარდალი მისი (თბილისის) დაპყრობის საქმით იყო დაკავებული,

ბული, მაშინ იქნა გაგზავნილი. მოვიდა და უამრავი ქართველი აზნაური შეკრიბა. როდესაც ისლამის (ე. ი. ოსმალეთის) ჯარი ბრუნდებოდა, გზაზე ზოგიერთი ხეობა გაამაგრეს. რამდენს ამცირებდნენ და აბუჩად იგდებდნენ, ცხოველებსა და ადამიანებს ღუბავდნენ, ძარცვავდნენ. ისლამის მალიარებლებს ბევრი ზიანი მიაყენეს. სარდალი მოვიდა და, მას შემდეგ რაც თბილისში ხუთი დღე დაჰყო, გაემგზავრა და გორის ციხეში დაბანაკდა. მისი დაცვა ქუროთ ჰუსეინბეგს დაევალა. შიგნით: 60 იანიჩარი და ჯარის რამდენიმე ნაწილი ჩააყენეს. ამ ადგილზე დიდი თოვლი მოვიდა. სიცივისგან ბევრი საქონელი და კაცი დაიღუპა. აქედან აიყარნენ და პატიოსანი რამაზანის თვის ოცდამეერთე<sup>54</sup> დღეს დიდი გაჭირვებით არზრუმის საზამთრო სადგომში მოვიდნენ. გარდა იმ ადგილებისა, სადაც ისინი იყვნენ დაბანაკებული. 130 სხვა გასაჩერებელი ადგილიც დათვალეს. ფაშებსა და ბეგებს გამოსაზამთრებელი ბინები მიუჩინეს და თათოვლ მათგანს საზამთრო სადგომებში წასვლის ნებართვა ებოძათ. რუმელის ბეგლარბეგი მაჰმუდ ფაშა ფასინაბადის დამცველად დაინიშნა.

ამ მხარეში შირვანის ბეგლარბეგმა, ოზდემირ ოღლი ოსმან ფაშამ, სარდლის წასვლის შემდეგ, მასთან მყოფი ათი ათასი ლაშქრიდან რამდენიმე კაცი აარჩია და არემის ბეგლარბეგ კაითას ფაშას შეუერთა. არემის ახლოს მდინარე მტკვარზე გადებული ხილით გადავიდა, ყარაბაღის უამრავი სოფელი და დასახლებული ადგილი გაანადგურა, იავარპყო და ურიცხვი ნადავლით უკან დაბრუნდა. ოსმან ფაშა შირვანის სატახტო ქალაქის შემახის ციხის<sup>55</sup> დასაცავად წავიდა

ყოზილბაშთა მიერ წინათ დანიშნულმა შემახის გამგებელმა არემ-ხანმა ყარაბაღში რამდენიმე ყაჩაღი შეკრიბა. მან იცოდა, რომ მასზე თავდასხმა უნდოდათ. ამ დროს იმამ ყული-ხანმა, იემირ-ხანმა და რამდენიმე სხვა ხანმა 15.000 ყოზილბაშით არემის ციხეზე თავდასხმა განიზრახეს. არემის დამცველმა კაითას-ბეგმა მათ, მცირე რაზმით, წინააღმდეგობა გაუწია. იგი გაცოფებული და გაბრაზებული მოქმედებდა და თვითონაც ამ ბრძოლაში დაიღუპა. მისი ჯარიდან სიცოცხლე შეინარჩუნეს იმათ, ვისაც განგებისაგან დიდი ხნის სიცოცხლე ეწერათ. ყოზილბაშები მოვიდნენ და არემის ციხეში უამრავი საქურველი ხელთ იგდეს. ამის შემდეგ არემის ხანი 25.000 ყოზილბაშით დიდებული სალიანის ციხის პირდაპირ მდინარეზე გადავიდა და ოსმან ფაშას თავს დაესხა. გულადი ფაშა მათ შეხვდა. ორი დღე დილიდან საღამომდე იბრძოდნენ, მესამე დღესაც სამხრამდე. მაგრამ ყოზილბაშები ბევრნი იყვნენ და დამხმარეებიც თანდათან მოუდიოდნენ. ამიტომ ისლამის (ე. ი. ოსმალეთის) ჯარი დაუძლურდა და დამარცხებისაკენ მიექცა პირი. უფრო ადრე სარდალმა ყირიმის ხანს მეჰმედ გირეის შეატყობინა, რომ [ის] ისლამის ლაშქართან ერთად ყოფილიყო. თუმცა ზემოხსენებული (მეჰმედ გირეი) წინააღმდეგი არ ყოფილა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. თავისი ძმები ადილ გირეი და საადათ გირეი, თავისი შვილი მობარეჟ გირეი 40.000 ათორით ქარის სისწრაფით გამოგზავნა. ზემოხსენებულ დღეს, როდესაც ისლამის ჯარმა დამარცხებისაკენ იბრუნა პირი, თათართა ლაშქარმა ბრძოლის ველზე იერიში მიიტანა. როდესაც ისინი თავს დაესხნენ, ყოზილბაშები დამარცხდნენ. პირველ დღეებში დახოცილთა გარდა 10.000 ყოზილბაში ხმლით იქნა აკუწული. მათი სარდალი არემ-ხანი დაატყვევეს. მათი მხედართმთავრებისგან უმეტესობა დაიჭირეს და დახოცეს. მათი ქონება და ნივთები მთლიანად ხელთ ჩაიგდეს. არემ-ხანი ოსმან ფაშას ბრძანებით ხელშეპირკილი მოკლეს.

ამის შემდეგ მათ შეიტყვეს, რომ ხმალს გადარჩენილი ყიზილბაშების, არეშ-ხანისა და ყიზილბაშთა სხვა მხედართმთავრების კარგები ცოლებითა და ქონებით ერთ ადგილზე იყვნენ შეკრებილი. იქ ოსმან ფაშას ბრძანებით ადილ გირეი-ხანი გაგზავნეს. იგი მდინარეზე გადავიდა და ზემოხსენებულ ადგილას მივიდა. 3.620 ყიზილბაში ხმლით აკუწეს. ორი ათასი აქლემის საპალნე ქონება, არეშ-ხანის ხაზინა, მათი ცოლები და მხევლები, მისი ერთი პატარა შვილისა და სხვა მხედართმთავრების მთელი ბარგი ნადავლად ხელთ იგდეს. ამის შემდეგ ადილ გირეი და ლაზი გირეი 15.000 თათრით ოსმან ფაშასთან დარჩნენ. დანარჩენები კი, ხანის რწმუნებული ჰაჯი მუსტაფა-ბეგი და მობარეკი გირეი ყველანი ერთად თავიანთ ვილაიეთში დაბრუნდნენ.

როდესაც ამ დამარცხების შესახებ შაჰს ცნობა მიუვიდა, მან ვეზირი მირზა სულეიმანი, თავისი შვილი ჰამზა-მირზა და სახელმწიფო საქმეებში ჩარეული ცოლი, რომელიც ჰამზას დედა იყო, დატყვევებულთა შურის საძიებლად, შემახისტვის ალყის შემოსარტყმელად გაგზავნა. მათ თან აახლა 40.000-იანი ჯარი. მივიდნენ, შემახიაში ოსმან ფაშა გარემოიციეს, აშკარა შეტევაზე გადადიოდნენ. ზოგჯერ უკანა კედლებიდან ბრძოლებს აწარმოებდნენ. ასეთი ბრძოლით ოცი ათასამდე ირანელი ხმლით აკუწეს.

ამ ხანებში ადილ გირეი თათართა ლაშქრით იმ მიდამოებში დადიოდა. ოსმან ფაშამ მას ყიზილბაშთა ჯარის მოსვლის ამბავი მისწერა. ყიზილბაშებმა მაცნე დაიჭირეს და როცა მდგომარეობა შეიტყვეს, გარემოცვა მიატოვეს და თათართა ლაშქრის წინააღმდეგ გაემართნენ. მათ მაჰმუდ აბადის სახელწოდების ყასაბას ველზე შეხვდნენ. სამი დღის ბრძოლის შემდეგ თათართა ლაშქარი დამარცხდა. ადილ გირეი და მისი ძმა ლაზი გირეი რამდენიმე ხელქვეითით ტყვედ ჩავარდნენ. როდესაც ეს შემადრწუნებელი ამბავი მუჰიშ ოსმან ფაშამ გააგო. მაშინვე, ერთ ღამეს შემახის ციხის მთელი საჭურველი წაიღო და იქიდან უფრო მტკიცე დემირ-ყაფუს ციხეში გადავიდა. რადგანაც დაღესტნის ვილაიეთთან ახლოს იყო, სანოვაგის მომარაგება ადვილი იყო. მთელი ეს ამბავი სარდლის არზრუმში ყოფნის დროს მოხდა.

მაშინდელი ამბებიდან ერთ-ერთი ისიცაა, რომ ნახჩევნის გამგებელი და ქურთისტანის ისტორიის ავტორი შერეფ-ხან ბითლის<sup>56</sup> მათ დამორჩილდა. ზემოხსენებულის მამა, შაჰს ელ-დინ აბა ჩამომავლობით ბითლისის გამგებელი იყო. როდესაც ისინი ოსმალეთის სახელმწიფოს უნდა დამორჩილებოდნენ, რაღაც მიზეზით სულთან სულეიმანის<sup>57</sup> უდიდებულესობის ხელქვეითობიდან გამოვიდნენ და შაჰის მორჩილებაში შევიდნენ. შაჰმა მას გვირგვინი დაადგა და ზოგიერთი თანამდებობაც უბოძა. ბოლოს ნახჩევნის გამგებელი გახდა. ამ დროს, როდესაც სარდალმა იმ მხარეს ამბავი გაგზავნა და მას მორჩილებისაკენ მოუწოდა, იგი თავისი ოჯახითა და ქონებით მოვიდა და დამორჩილდა. მას საპატიო ხალათი ჩააცვეს და მოვარაყებულნი ხმალი უბოძეს. თავისი სამემკვიდრეო ეიალეთი და მდიდარი ბითლისის ეიალეთი მას მისცეს.

წინათ სარდალმა გამარჯვების ნიშნად ბაღდადის ბეგლარბეგ ჰუსეინ ფაშას, შეპრიზორის ბეგლარბეგს შაჰს ელ-დინ ფაშა ზადე მაჰმუდ ფაშას ბრძანებები გაუგზავნა. რომლის მიხედვითაც თავიანთი ეიალეთების ლაშქრით უნდა წასულიყვნენ და დინავერის ნაჭიეები დაელაშქრათ. ზემოხსენებული განკარგულების თანახმად ისინი იმ მხარეს წავიდნენ, [ხალხი] დახოცეს და [საქონელი] იავარპყვეს. ყაზვინამდე ერთი დღის გადასასვლელზე ჯემჯემის რაიონამდე მივიდნენ. იქ ურიცხვი ნადავლი იგდეს ხელთ და ლაშქრობიდან დაბრუნდნენ.

987 წლის ჯუმადა აღ-ავალის თვის დასაწყისში<sup>58</sup> გამარჯვებული ლაშქარი სარდლის ლაშქარს შეუერთდა.

კვლავ ანატოლიის ბეგლარბეგი ხადიმ ჯათარ ფაშა, დამასკოს ბეგლარბეგი დიდ ვეზირი მეჰმედ ფაშა, თავილ ოღლი ჰასან ფაშა, ბასრადან გადაყენებული რიზვან ფაშა, ლაჰსადან გადაყენებული ისქანდერ ფაშა-ზადე აჰმედ ფაშა, ყველანი მოვიდნენ და სარდლის ლაშქარს შეუერთდნენ. შემდეგ დიდებული სარდალი ზემოხსენებული თვის მეთხუთმეტე დღეს<sup>59</sup> არზრუმის საზამთრო სადგომებიდან გამოვიდა, ჰასან კალე, ჩობან ქოფრუ, ხორასან ბაბა, სოღანლის იალაღი, ჯუმადა აღ-ავალის თვის ბოლო რიცხვებში<sup>50</sup> გაიარა და ყარსის ველზე დაბანაკდა. ბრძანების თანახმად ყარსის ციხის შეკეთებას შეუდგნენ.

წინათ, როდესაც არზრუმიდან გამოვიდა მარაშის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა, 12.000 ლაშქრით თბილისისკენ სანოვაგისა და საჭურვლის გასაგზავნად დანიშნეს და წარავლინეს. ზემოხსენებული ფაშა ჩავიდა და 40 დღე იქ დარჩა, დაისვენა და გარშემო მიდამოებზე თავდასხმა დაიწყო. ურიცხვი ნაღავლი ხელთ იგდო. თბილისში მყოფი ლაშქარი დიდხანს გარშემორტყმული იყო, დასუსტდა. საჭირო და აუცილებელი იყო მის ნაცვლად ძლიერი ლაშქრის ჩაყენება, ამიტომ მუსტაფა ფაშამ მასთან მყოფი ამირებიდან ყასემ-ბეგი, ჰამიდელის, სემენდერის, არაბგირის, ჩორუმის ბეგები, სულ — 50 კაცი, იქ დატოვა. თვითონ რომ ბრუნდებოდა, ყასემ-ბეგი 50-მდე კაცით იქ დარჩა. დანარჩენი დატოვებული კაცები ყველანი გაიქცნენ. მუსტაფა ფაშა სარდლის უდიდებულესობას ეახლა და, როდესაც ვითარება აუწყა, [სარდალმა] ლაჰსადან გადაყენებული აჰმედ ფაშა რჩეული ლაშქრით თბილისში სანოვაგის გასაგზავნად დანიშნა. როდესაც ზემოხსენებული ფაშა გზაზე მიდიოდა, ერთ-ერთ უღელტეხილზე ქართველი ყაჩაღები გადაუდგნენ და სასტიკად შეებრძოლნენ. აჰმედ ფაშას ხელქვეითთა უმეტესობა დახოცეს, თვითონაც დაჭრეს, მაგრამ (ოსმალები) არ დამარცხებულან, თბილისში ჩავიდნენ და გადარჩენილი სანოვაგე ჩაიტანეს. მეორეს მხრივ, რადგან სარდალმა აჰმედ ფაშას მოსვლის შესახებ ცნობა ვერ მიიღო, საგონებელში ჩავარდა და განიზრახა კიდევ გარკვეული რაოდენობის სურსათი გაეგზავნა. ორი ათასი იუქი სანოვაგე მოამზადა და დიარბექირის ვალისა და ქუთუმბის ბეგებს წინადადება მისცა მისი წაღების შესახებ. მათ რაღაც მომიზიწვეს და პატიება ითხოვეს. შემდეგ ამ სამსახურის შესრულება დამასკოს ბეგლარ-ბეგმა მეჰმედ ფაშამ და თავილ ოღლი ჰასან ფაშამ იკისრეს. სარდალს ეს გაუხარდა, და მათ აცნობეს სარდლის მიერ მათი დალოცვა. თბილისი ჰაჯი ბეგ-ზადე აჰმედ ფაშას უბოძა და რადგანაც დიარბექირის ვალი ბაჰრამ ფაშა გაჯიუტდა, იგი გადააყენა და მის ადგილზე მისი ძმა რიზვან ფაშა დანიშნა. ესენი ორივე ყარა შაჰინ მუსტაფა ფაშას შვილებია. ერთი სიტყვით, იმ ჯარს, რომელიც ავანგარდად უნდა წასულიყო, სარდლად თბილისის ვალი აჰმედ ფაშა დაუნიშნა. არიერგარდად რიზვან ფაშა გააგზავნა თავისი ეიაღეთის ლაშქრით, ხოლო [საერთო] სარდლად — ჰასან ფაშა. მათ გზაში ორი ათასი იუქი სანოვაგე იგდეს ხელთ. ქართველი ყაჩაღები ნაწილ-ნაწილ ხმლით აკუწეს და თბილისში შედარებით ადვილად შევიდნენ. ჰასან ფაშა ციხის საქმეების მოსაწესრიგებლად სამი დღე დარჩა. შემდეგ დაბრუნდა. ჯერ კიდევ მაშინ დაბრუნდა, როდესაც მთავარსარდალი ფიქრობდა ნეტავი თბილისში თუ იქნებიან შესულიო. 16 დღეში მოვიდა. სარდალი ჰასან ფაშას მტკიცე კედლებთან, კარვის კართან შეხვდა. ერთიმეორეს გადაეხვივნენ.

ამ ამბავმა ხელი შეუწყო ჰასან ფაშას ახალგაზრდობის დროს კეთილი ღობისძიებებით სახელი მოკავებინა.

აჰმედ ფაშა ერთ ხანს თბილისის დამცველად დარჩა. როდესაც კეთილ-შობილმა სარდალმა გაიგო, რომ თოქმაქ-ხანი არ ისვენებდა, ისლამის ლაშქრის სანოვაგით მომმარაგებლებს ზიანს აყენებდა, ანატოლიის ბეგლარბეგი ჰადიმ ჯაფარ ფაშა 30.000-იანი ლაშქრის მეთაურად [დანიშნა] და ყარამანიის ბეგლარ-ბეგ მეჰმედ ფაშას, რუმელიის ბეგლარბეგ მაჰმუდ ფაშას და დიარბექირის ყოფილ ბეგლარბეგს ბაჰრამ ფაშას მოუწოდა და თოქმაქ-ხანის საშიშროების აღსაკვეთად ერევნისკენ გაგზავნა. მესამე დღეს ერევანში მივიდნენ. თოქმაქ-ხანი გაიქცა. შემდეგ ისლამის ლაშქარმა ის ნაჰიეები მთლიანად იავარჰყო. ამის შემდეგ ქალაქი ერევანიც მთლიანად გაავერანეს. ვისაც ხმლით ბრძოლა შეეძლო, ყველა დახოცეს და ახალგაზრდები დაატყვევეს. დიდი ნადავლით თავიანთ ლაშქარში დაბრუნდნენ. გაცემული წმინდა ფეთეის<sup>61</sup> თანახმად ტყვეები გაყიდეს. მათ ხელში დარჩენილთა გარდა, ოცი ათასი ტყვე მამინვე გაიყიდა. იმ დროს ერევნის გარშემო მცხოვრებთა უნეტესობა სომხები იყვნენ. ყარსის ციხის, მირმირანის<sup>62</sup> სასახლის, ოთხი დიდებული მეჩეთის, ლაშქრის საზამთრო სადგომებისა და მედრესეს მშენებლობას შეუდგნენ. ყველაფერი ამის აშენება 90 დღეში დასრულდა. ციხის ყველა საჭურველი სათანადოდ მოიმარაგეს. შემდეგ პატიოსანი რამაზანის თვის შუა რიცხვებში<sup>63</sup> სარდალი ყარსიდან გამოემგზავრა და მეშვიდე დღეს ფასინაბადში დაბანაკდა. იქ ლაშქრის მოთხოვნით არზრუმისკენ ერთად გაემართნენ. ვიდრე ჩავიდოდნენ, რამდენიმე დღით ადრე, ლაშქარში დიდ ვეზირ მეჰმედ ფაშა თავილის გარდაცვალების ამბავი მოვიდა. ერთ დღეს, როდესაც ზემოხსენებული პირი სასახლეში ბჭობდა, ერთი გიჟი კაცი შემოიჭრა. ჩაუშებმა ვერ გააგდეს. ბოლოს ის ეცა დიდ ვეზირს და ხანჯალი ჩასცა. მეორე დღეს ვეზირმა ტბილი სული განუტევა. ეს გახელბუთლი კაცი მოკლეს. დიდ ვეზირად როსტომ ფაშას სიძე აჰმედ ფაშა გახდა. რადგანაც მეორე სავეზიროდან დიდებული სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა იყო დანიშნული, დიდებულებმა და წარჩინებულებმა მიულოცეს.

წინათ ხელმწიფისგან ყირიმის ხანს მეჰმედ გირეის შირვანის ქვეყნისკენ გალაშქრების მაღალი ბრძანება ჰქონდა მიცემული. ჯუმადა აღ-ახირის თვეში<sup>64</sup> ზემოხსენებული პირი დიდი ლაშქრით ბაღჩისარაიდან გამოვიდა. ადრე აზაკის<sup>65</sup> სანჯაყ-ბეგი 10.000 თათრით ოსმან ფაშასთან გაგზავნა სანოვაგის მოსამარაგებლად. რადგანაც ზემოხსენებული ფაშა ბრძოლისა და ომის წარმოების საქმის მცოდნე გონიერი პირი იყო, ამიტომ ოსმან ფაშამ იგი შირვანის გამგებლად დანიშნა და შეთავსებით მთელი შირვანის ზღვის კაფუდანობა<sup>66</sup> მას მიანიჭა. შემდეგ შაჰანის თვის მეთუთხმეტე<sup>67</sup> დღეს თათარ-ხანმაც ბაღჩისარაიდან სამოცდამეთუთხმეტე გასაჩერებელ ადგილს მიიღწია და ოსმან ფაშას შეუერთდა. ჯერ შემახის ციხის ყიზილბაშთაგან დასაბრუნებლად დიდი რაოდენობის ლაშქარი დანიშნეს და გაგზავნეს. ჩავიდნენ და მისი დამცველი მაზან-დარანის გამგებელი მოჰამედ-ხანი ზელქვეითებით დახოცეს და ციხე აიღეს. შემდეგ თათართა ერთი რაზმი ბაქოშიც გაგზავნეს. შიგ მყოფი ყიზილბაშები ყველანი ხმლით აკუწეს. ამის შემდეგ გულადი ფაშა მათთან ერთად შემახიაში სახელოვნად მივიდა. იქიდან მდინარე მტკვარი გადალახეს. იმ რაიონში მდებარე ყიზილბაშთა ქვეყნისკენ ცალკეულ რაზმებად ჯარი გაგზავნეს, თაქზილ-ალაჯამდე მივიდნენ, სრულიად გაანადგურეს, დასწვეს და ურიცხვი ყიზილბაში დახოცეს. უთვალავი ნადავლით დაბრუნდნენ. შემდეგ ოსმან ფაშამ ხანის ხელ-

ქვეითთაგან ვინმე ლაჩინ-ალა კეთილი ამბის მაცნედ არზრუმში სარდალთან გაგზავნა. როდესაც იქ მივიდა, მას თან ერთი ჩაუშვი გააყოლეს და ოსმალეთის სახელმწიფოში გაგზავნეს. (ტ. III, გვ. 538—547).

### შენიშვნები

<sup>1</sup> ლ ა ლ ა მ უ ს ტ ა ფ ა ფ ა შ ა — მისი ბიოგრაფიისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ წყაროები საქმოდ ვრცელ ცნობებს გვაწვდიან. ოსმალთა ისტორიკოსები ფართოდ ეხებიან ლალა მუსტაფა ფაშას საქმიანობას. აღსანიშნავია იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები მის შესახებ. იბრაჰიმ ფეჩევის გადმოცემით იგი წარმოშობით ბოსნიელი სოკოლოვების გვარიდან იყო. მან პირადი დამსახურებით, სულთნის სასახლეში ჯერ ამირახორობის, შემდეგ ჩაშნიგირის თანამდებობა მიიღო. შემდეგ სანჯაყ-ბეგი გახდა. იგი დაინიშნა უფლისწულ სელიმის აღმზრდელად — ლალად. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სასახლეში, სხვადასხვა დროს იყო ვანის, არზრუმის, ალემოს, დამასკოს ბეგლარ-ბეგი. ვეზირის წოდება ჰქონდა მიღებული. ირან-ოსმალეთის ომის დროს მან ვითარცა სარდალმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ყიზილბაშების განადგურების საქმეში. მის შესახებ. იხ. წყაროები და ლიტერატურა *یازچقۇ سارىش* I, გვ. 442. II, გვ. 20. I. V. Hammer, *Geschichte des Osmanischen Reiches*, II, გვ. 472—503 L. Fekete, *Die siyaqat—schrift in der türkischen Finanzverwaltung*, I, ბუდაპეშტი. 1955. გვ. 394. Dr. Şerefeddin Turan, *Lala Mustafa paşa hakkında notlar ve vesikalar. Türk Tarih Kurumu, „Belleten“*, ტ. XXII № 85—88. ანკარა, 1958. გვ. 551—593. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბ. 1964. გვ. 98—100. მ. სვანიძე, ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 116, თბ., 1965, გვ. 383—400.

<sup>2</sup> შ ა ჰ ი ს მ ა ი ლ ი — ირანის შაჰი, სეფიანთა დინასტიის ფუქმედბელი, ისმაილ I (1502—1524).

<sup>3</sup> ს ი ნ ა ნ ფ ა შ ა — ლალა მუსტაფა ფაშას თანამედროვე და მისი მოჭიშვე. სხვადასხვა დროს არზრუმის, ალემოსა და ეგვიპტის ვალის თანამდებობას ასრულებდა. ერთ ხანს დიდვეზირადაც იყო. ამ თანამდებობიდან იგი რამდენიმეჯერ იქნა გადაყენებული და ისევ აღდგენილი. (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 126—127).

<sup>4</sup> 985 წელი—1577—1578 წელი.

<sup>5</sup> ი ა ნ ი ჩ ა რ ი — *يانيچرى* (თურქულად „ახალი ჯარი“) ოსმალეთის იმპერიის რეგულარული ჯარის სახეობა. იანიჩართა კორპუსი ორგანიზებულ იქნა ორხანის მიერ 1330 წელს და გაუქმდა სულთან მაჰმედ II-ის დროს 1826 წელს. იანიჩრებმა დიდი როლი ითამაშეს ოსმალეთის სამხედრო ძლიერების განმტკიცებისა და ახალი ტერიტორიების დაპყრობის საქმეში. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იანიჩრებმა XVII—XVIII საუკუნეებში ოსმალეთის ძლიერების დაცემა-დაქვეითების საქმეშიც.

<sup>6</sup> ბოლუქი — *بلوکی* — ასეულს ნიშნავს.

<sup>7</sup> ვალი — *والي* — პროვინციის (ვილაიეთის) გამგებელი, მმართველი.

<sup>8</sup> დერვიშ ფაშა — ოსმალური წყაროების მიხედვით, 1568—1569 წ. იყო დამასკოს, ხოლო 1570—1571 წ. ალემოს ბეგლარბეგის თანამდებობაზე. 1575—1576 წ. იგი დიარბექირის ვალია. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, დერვიშ ფაშა დედამისის ღვიძლი ძმა იყო. [*یازچقۇ سارىش* II, გვ. 41, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 112—113];

<sup>9</sup> მე ვ ი თ ა ბ ზ ა დ ე ა ჰ მ ე დ ფ ა შ ა — ოსმალური წყაროების მიხედვით, საკანცელარიო საქმეებში თავი გამოიჩინა და მალე იანიჩართა მდივანი გახდა. 1558 წელს მთავარი დეფდარდარის თანამდებობა მიიღო. იგი სხვადასხვა დროს იყო მარაშის, ალემოსა და დიარბექირის ბეგლარბეგის თანამდებობაზე. გარდაიცვალა დაახლოებით 1582 წლის შემდეგ ხანებში. (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 114).

<sup>10</sup> ყ ა რ ა მ ა ნ ი ს ვ ი ლ ა ი ე თ ი — იგივეა, რაც კონიის ვილაიეთი. „თურქულ საისტორიო ნწერლობაში კონიის ვილაიეთი დიდხანს ყარამანიის სახელით იყო ცნობილი. საქმე იმაშია, რომ სელჩუკიანი თურქების სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენებულ ფეოდალურ სამთავროთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ყარამანიანთა დინასტიის სამთავროს ეჭირა, რომელიც ცენტრალური ანატოლიის სამხრეთ ნაწილში, (თანამედროვე თურქეთის კონიის ვილაიეთის ტერიტორიაში) მდებარეობდა.“



რიაზე) მდებარეობდა. ამ სამთავროს ეწოდა დინასტიის დამაარსებლის, ძლიერი ფეოდალის ყარამანის-ძეთა (Karaman oğulları), მანის სახელი, ხოლო სამთავროს დინასტიის გამგრძელებელი ყარამანის-ძეთა (Karaman oğulları), სახელით იყვნენ ცნობილნი. სამთავროს პოლიტიკური ცენტრი უმთავრესად ქალაქი ლარანდა იყო, თუმცა ერთ დროს ყარამანის კონიაშიც იხსენდნენ. შემდეგში, როდესაც XV საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალებმა დაიმორჩილეს ყარამანის დანი და მათი სამთავრო საბოლოოდ შეუერთეს ოსმალეთს, ლარანდას ყარამანი ეწოდა, ხოლო ყარამანისთა ქვეყანას Karaman eli, და კონიის ვილაიეთიც ყარამანის ვილაიეთად იხსენიებოდა...“ (ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უყანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. აკად. მარის სახელობის ვენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოაპბე, XIII, თბ. 1942, გვ. 210).

11 986 წლის მოპარამის თვე—1578 წლის 10 მარტი—8 აპრილი.

12 ს კ უ ტ ა რ ი—სტამბოლის აზიური ნაწილი.

13 ა რ ტ ა ა ნ ი—ცნობილი გეოგრაფიული რაიონი სამხრეთ საქართველოში. მის შესახებ დაწვრილებით იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა. თბ. 1958. გვ. 497—559;

14 ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე—ცნობილი ისტორიული პუნქტია სამხრეთ საქართველოში. მისი ადგილმდებარეობისა და ისტორიული წარსულის შესახებ იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გვ. 531—532; ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 112;

15 ა ხ ა ლ ი ს ც ი ხ ე—კონტექსტის მიხედვით, ველის ციხის მახლობლად მდებარე გეოგრაფიული პუნქტი ჩანს. სამწუხაროდ, მას არ იხსენიებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და არც გურჯისტანის ვილაიეთის რუკაზეა აღნიშნული.

16 თ ო ქ მ ა ქ - ხ ა ნ ი—ყოზილბაშთა ლაშქრის სარდალი.

17 ჩ ი ლ დ ი რ ი ს ვ ე ლ ი—მდებარეობს დაახლოებით ჩრდილის ციხის რაბათთან, რომელიც პროფ. ს. ჯიქიას დაკვირვებით თითქმის ჩრდილის ლავას ცენტრია (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 379. იხ. აგრეთვე „გურჯისტანის ვილაიეთის რუკა“).

18 ო ზ დ ე მ ი რ ო ლ ი ო ს მ ა ნ ფ ა შ ა—ახალგაზრდობიდანვე დაწინაურდა სასახლეში, 1568—1569 წ. სასახლის მთავარი მეკარისა და უმცროსი მირახორის თანამდებობებზე მუშაობდა, შემდეგ წლებში იემენის ბეგლარბეგი იყო. მალე დიარბექირის ვალის თანამდებობა მიიღო. ირანელებთან ლაშქრობაში სარდალად იქნა დანიშნული. სარდლობის თანამდებობაზე ყოფნისას ძალიან გაითქვა სახელი. 1584 წელს სადრაზაში გახდა. გარდაიცვალა 1585 წელს. (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 113—114);

19 ბ ა ჰ რ ა მ ფ ა შ ა—სულთნის სასახლეში გაიზარდა. 1571—1572 წ. სახელმწიფო დავთარს განაგებდა. შემდეგ ბეგის თანამდებობა მიიღო. იყო არზრუმისა და დიარბექირის ბეგლარბეგი. 1579—1580 წ. იგი გაანთავისუფლეს ამ თანამდებობიდან და თბილისში გაგზავნეს, სადაც გარდაიცვალა კიდევ (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გვ. 114);

20 ა ჰ მ ე დ ფ ა შ ა—წყაროების მიხედვით, კანცელარიის მწვერობიდან დაწინაურდა და იანიჩართა მდივანი გახდა. მალე მთავარი დეფთერდარის თანამდებობა მიიღო. შემდეგ, სხვადასხვა დროს იყო მარაშის, ალექსოსა და დიარბექირის ბეგლარბეგი (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 114);

21 მ ა ნ უ ჩ ა რ ი—დღესიმიდისა და ქაიხოსრო ათაბაგის ძე. იგი აქტიურად იბრძოდა სამცხეში ოსმალთა მოძღვრების წინააღმდეგ. გამაჰმადიანების შემდეგ მუსტაფა ფაშას სახელით იყო ცნობილი (იხ. სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ, თბ., 1890); სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საიბეგლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 114—115; ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940; მ. სვანიძე, ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში, გვ. 382—400; გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგოს ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. გახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წლის 46, 47 და 48 ნომერებში (20. XI, 27. XI 4. XII).

22 ქ ა ი ხ ო ს რ ო—ქაიხოსრო II ათაბაგი (1522—1573).

23 ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე—ყვარყვარე IV, ქაიხოსრო II ათაბაგის შვილი (ათაბაგობდა 1574—1581 წწ.).

24 ა ლ თ უ ნ ყ ა ლ —ცნობილი ისტორიული პუნქტი სამხრეთ საქართველოში. იხ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი III, გვ. 153; ს. ჯიქია, მე-18 საუკუნის თურქული

დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ. 1960. გვ. 161—185;

25 ს ა ნ ჯ ა ყ ი — თურქ. Sancak, დროშა, Sancaklık, სადროშო—ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული, ვილაიეთის შემადგენელი ნაწილი.

26 ხ ა ს ი — ოსმალური მიწისმფლობელობის ერთ-ერთი ფორმა. მიწის ნაკვეთს, რომლის წლიური შემოსავალი 99.999 ახჩაზე მეტი იყო, ხასი ეწოდებოდა.

27 ჯ უ მ ა დ ა ლ - ა ხ ი რ ი ს თ ვ ი ს მ ე ო ც ე დ დ ე — 24 აგვისტო (1578 წ.).

28 და უ დ - ხ ა ნ ი — დუთხანი, ლუარსაბის ძე, სიმონ I-ის ძმა, ქართლს განაგებდა 1562—1578 წლებში.

29 ლ უ ა რ ს ა ბ ი — ქართლის მეფე ლუარსაბ I (1530—1556).

30 თ ა შ მ ა ს ბ ი — სეფიანთა ირანის შაჰი თაჰმასპ I („შაჰთაჰმაზი“) (1524—1576);

31 ი ს ლ ა მ ი ს ჯ ა რ ი — ივულისხმება ოსმალეთის ლაშქარი.

32 რ ე ა ი ა — عايع არაბ. მრავლობითი, მხოლოდითი—عاعر რაყიდან, ნიშნავს ოსმალეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომს, რომელიც იხდის გადასახადებს. რეაიაში ივულისხმება ოსმალეთის იმპერიის მწარმოებელი საზოგადოება, გლეხობა.

33 კ ა ბ თ რ ი — მდინარე იორი. (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 122—124);

34 ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ლ ე ვ ა ნ ხ ა ნ ი ს ძ ე — კახეთის მეფე ალექსანდრე (1574—1605).

35 ზ ა გ ე მ ი ს გ ა მ გ ე ბ ე ლ ი — ივულისხმება კახეთის მეფე. ზაგემი კახეთის ერთ-ერთი ქალაქი იყო, რომელსაც ბაზარიც ეწოდებოდა. ოსმალურ წყაროებში მოლიანად კახეთის აღმნიშვნელად ხშირად ზაგემი იხსენიება. (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 116);

36 ჯ უ მ ა დ ა ლ - ა ხ ი რ ი ს 27-ე დ დ ე — 31 აგვისტო (1578 წ.).

37 კ ა ნ ი კ ი — მდინარე ალაზანი. (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 122);

38 ს ი ფ ა შ ი — ოსმალური ფეოდალური ლაშქრის ერთ-ერთი სახეობა.

39 შ ე ქ ი ს ც ი ხ ე — ერთ-ერთი უძველესი ქალაქი აზერბაიჯანში, დღევანდელი ნუხა.

40 ჩ ა უ შ ი — چاوش ჩაუშები ოსმალეთის ლაშქარში ადრუტანტებისა და სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი თანამდებობის პირთა მოვალეობის შემსრულებელნი იყვნენ.

41 კ ო რ უ ჯ უ — გარკვეული სამხედრო თანამდებობა ყიზილბაშთა ლაშქარში.

42 ა ჯ ე მ თ ა ო ლ ლ ა ნ ო ბ ა — აჯემთა ოლლანი სიტყუასიტყუით ნიშნავს არამუსლიმან, უცხოელ, ქრისტიანთა ბავშვებს, ოსმალეთის იმპერიაში აჯემი ოლლანს ეიხანდენ იანიჩართა კორპუსის დასაკონტროლებლად უცხო ქვეყნიდან მოყვანილ ქრისტიანთა ბავშვებს, რომლებსაც იანიჩართა ყაზარმებში ზრდიდნენ. ესენი შემდეგში იანიჩართა რიგებს აესებდნენ.

43 ფ ო დ ლ ა — ოსმალეთის ლაშქრისთვის დაწესებული საგანგებო ულუფა.

44 რ ა ჯ ა ბ ი ს თ ვ ი ს მ ე ც ხ რ ე დ დ ე — 11 სექტემბერი (1578 წ.).

45 ა რ ე შ ი — ქალაქი შირვანში.

46 დ ე მ ი რ ყ ა ფ უ — (თურქ.—რკინის კარი) ქალაქი დარუბანდი, დარუბანდის კარი.

47 ს უ ნ ი ტ ე ბ ი — ისლამის რელიგიის ერთ-ერთი მიმდინარეობის მიმდევრები. სუნიტობა ოსმალეთის ოფიციალური სარწმუნოება იყო.

48 მ ა რ ც ხ ე ნ ა უ ლ უ ფ ე ჯ ი ე ზ ი — სულთნის სასახლის მხედართა ერთი სახეობა, რომელიც ცხენოსანი ჯარის კმაყოფაზე იმყოფებოდა.

49 დ ე ვ თ ე რ დ ა რ ი — ოსმალეთის იმპერიაში საფინანსო საქმეების გამგებელი.

50 986 წლის შაბანის თვის მეექვსე დღე—1578 წლის ოქტომბერი.

51 ს ი მ ო ნ ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ძ ე — ქართლის მეფე სიმონ I (1156—1601).

52 ა ლ ა მ უ თ ი ს ც ი ხ ე — მიუდგომელი ციხე-სიმაგრე ჩრდილოეთ ირანში, ყაზვინის ახლოს.

53 მ ო შ ა მ ე დ ხ ო დ ა ბ ა ნ დ ე — სეფიანთა ირანის შაჰი (1578—1587).

54 რ ა მ ა ზ ა ნ ი ს თ ვ ი ს 21 — ნოემბრის 20 (1578 წ.).

55 შ ე მ ა ხ ი ს ც ი ხ ე — შემახია. შირვანის სახანოს დედაქალაქი.

56 შ ე რ ე ფ - ხ ა ნ ბ ი თ ლ ი ს ი — XVI საუკუნის სპარსულენოვანი ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია. იგი ჭეშრთების ისტორიის—„შარაფ-ნამეს“ ავტორია. იხ. კ. ტაბატაბაი, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, „კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 159—188; Шараф-Хан ибн Шамсаддин Бидляси, Шāраф-наме, т. I. Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой. М., 1967.

- 57 სულთან სულეიმანი—ოსმალეთის სახელგანთქმული სულთანი (1520—1566), რომლის დროსაც სახელმწიფომ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია.
- 58 987 წლის ჯუმადა ალ-ავალის თვის დასაწყისი—1579 წლის ივნისის მიწურული.
- 59 ზემოხსენებული თვის 15-ე დღე—10 ივლისი (1579 წ.).
- 60 ჯუმადა ალ-ახირის თვის ბოლო რიცხვები—აგვისტოს ბოლო რიცხვები (1579 წ.).
- 61 წმინდა ფეთვა—ამა თუ იმ საკითხზე უმაღლესი სასულიერო პირის მიერ ბრძანების გამოცემისას რელიგიური რიტუალის შესრულება.
- 62 მირმირანი—میرمیران იგივეა რაც ბეგლარბეგი.
- 63 რამაზანის თვის შუა რიცხვები—ნოემბრის დამდეგი (1579 წ.).
- 64 ჯუმადა ალ-ახირი—ივლისის ბოლო რიცხვები (1579 წ.).
- 65 ახაკი—იგივე აზოვია (შავ ზღვასთან).
- 66 ზღვის კაფუდანობა—ადმირალის თანამდებობა.
- 67 შაბანის თვის მეხუთმეტე დღე—7 ოქტომბერი (1579).

### سرداری لالا مصطفی پاشا بسفر عجم

عجم شاهی اسماعیلدن مقدما مغایر صلح بعض حرکت صدور ایتمکله اوزرینه سفر اولنمق ملحوظ ایکن ارزن روم طرفندن بلاد عجمده اختلال وقوعی عرض اولنمغله تاکید اعزم ایدوب وزیر ستان پاشا بغداد طرفندن و لالا مصطفی پاشا ارزن روم طرفندن ارسال اولنمق اوزره ایکن دخی استانبولدن چیقمان سردارلرک اراستنده مخالفت و شقاق ظهور ایتمکله اول عزیمت فسخ اولنوب ۹۸۵ ده لالا مصطفی پاشا مستقلا عجم سفرینه سردار نصب وبش بیک یکمچری و بر قاچ بیک بلوک خلقی و دیاربکر والیسی درویش پاشا ایالتی عسکری ایله وارزن روم والیسی بهرام پاشا و مرعش بکلیسی بکیسی مویتاب زاده احمد پاشا و حلب بکلیسی بکیسی بوسنوی محمد پاشا و قرمان بکلیسی کوزلجه محمد پاشا ایالتلری عسکرلری ایله سفره مأمور قلندیلر ۹۸۶ محرمنده سردار اسکنداره کچوب ارزن رومه وصول بولدقده امرانک صوابدیلری اوزره ابتدا کرجستان فتحه عزیمت و اردھانه وصولنده قزلباشه تابع محمود قخان ایالتندن وله قلعهسی بعده یکی قلعهسی فتح ایلدی بعدذلک چقر سعد حاکمی وقمق خان و قره خان و کنجه حاکمی امام قولی خان و سائر جمعا طقوز نفر عجم خاندلری اوتوز بیک یاخود یکریمی بیک عسکر ایله چلدیر صحراسته نزول و ذخیره چیلره ایصال مضرت ایلدکلری خبری وصول بولمغله دیاربکر بکلیسی درویش پاشا ایالتی عسکری ایله انلرک اوزرینه ارسال اولندی ایریشوب چنکه باشلیدیلر درعقب اوزدەر اوغلی عثمان پاشا دخی ارسال اولندیکه اول وقت دیاربکر ایالتندن معزول ایدی تمام چنک قزشدیغی وقت ایریشوب آج قورد قیون سوریسنه صونار کبی قزلباشلره صوندی بو طرفدن سردار ارزن روم بکلیسی بهرام پاشایی ایالتی عسکری ایله و سابقا مرعش بکلیسی احمد پاشایی دخی متعاقبا ارسال ایتمش ایدی جمله سی ایریشوب قوشلق وقتندن یاتسویهدک چنک و آشوب مهتد اولدی بش بیک قزلباش مقتول وبش بیک اسیر اولوب عاقبت عسکر اسلامک اوکندن برطرفه چکلیدیلر امر سردار ایله چلدیر صحراستنده قزلباش سرلرندن منارلر ترتیب اولندی

و بر مقدار از ناوور عسکری ایله ارسال و قنغی طرف غالب اولورسه اکا اتباع ایدهسز دیو امر ایتمش ایدی کلوب اهل اسلامک غلبه سنی مشاهده ایلدکده منوچهر کلوب عرض اطاعت ایلدی سردار اکا اکرام ایدوب خلعت کیدیردی و قزلباشدن اخذ اولنان طبل و علملری ویردی بعده اردهان بکی عبدالرحمانی ارسال ایدوب جلدیر و تومک و خرتیز و آخل کلک نام حصونی فتح و تسخیر ایلدی ذکر اولنان منوچهر ملوک کرجستانک عظاماسندن اولوب باباسی کیخسرو هلاک اولدقده کندو و برادری غورغور کوچک قالدیلر انالری ددهسمد امور مملکت نظامنه قیام کوستروب انتون قلعه پادشاهی دیو مشوره اولدی منوچهر برادری غورغور ایله حضور سرداره کلوب شرف اسلام ایله مشرف اولدقنرندده فوق الغایه الثفات و اکرامه مظهر اولدیلر منوچهری مصطفی و برادری غورغوری دخی اهل اسلام اسماسندن براسم ایله تسمیه ایدوب مصطفایه ارغور سنجاغی و برادرینه اولتی سنجاغی توجیه و انالرینه اوچ بیوک قلعه یی خاص تعیین و سائر مملکتلرینی ضبط ایلدی بعده اول محلندن ارتحال و دارالملک کرجستان اولان تفلیس شهرینه وصول بولدی وصولی جمادی الاخره نك ایگرمنجی اکونی وقوعبولمشدر شهر مزبوری سکانشدن خالی بولمغله بی جنک و جدال ضبط ایلدیلر مقدما انک پادشاهی اولان داود خان بن لوارصاب طهماسبه اتباع و زعملرنجه سلامه کلوب شاه اکا تاج کیدیرمش ایدی بودغه عسکر اسلامک توجهلرندن خبردار اولوب رعایاسنی طاغله اجلا و کندوسی شاه طرفنه اتجا ایدوب شهری بوش براقمش یدی صولاق فرهاد پاشازاده محمدبک که قسطنونی بکی ایدی تفلیس ایالتنه والی انصب و لوازم محافظه سی تکمیل و صغیر و کبیر بر مقدار طوب دخی براغوب اندن ارتحال و کره نهری عبور اولندی اندن صکره قابور نام نهر کنارنده برقاچ کون آرام و استراحت اولندی کرجستان ملوکنک اعظم و اشجعی اولان الکسندر بن لوند خان که زکم حاکمی ایدی شاه طهماسب قزقنداشنی تزوج ایتمش ایکن شاهدن تاج کیوب اطاعت ایتمه مش ایدی سردار انک طرفنه خبر کوندروب اطاعته دعوت ایتدکده مخالفت ایتمیوب جمادی الاخره نك یگرمی سکرنجی کون اردویه وصول بولدی بالجمله اعیان استقبالنه چیقوب تعظیم ایله سردار اوتاغنه کتوردیلر کماینبغی اکرام و ولایتی بکیر بکیلک رتبه سیله کندویه توجیه ایدوب الکسندر دخی سنوی بر مقدار مال ویرمکه التزام واردو ایله معا ارتحال ایلدی شروان حدودنده قانق نام نهر وصول بولندقده بر بلوک یکیچری اشقیاسی سردار اوتاغنه هجوم و عودت اولنمغه ابرام ایلدیلر سردار انلری رقله دفع ایدوب اندن صکره شاه محمدک وزیری ایمر خان یگرمی بیک قزلباش ایله قیون کچدی نام معبردن نهر مذکور عبور ایدوب عسکری باصمق فکرنده اولدیغی مسموع اولمغله سردار بنوب بنلری باصدی ایمر خان ایله بر مقدار عجم خلاص بولوب ماعداسنک کیمی قتل و اسیر و کیمی غرق اولدی مقدما سردار الکسندر خانی کندینک اوچ بیک کرجی عسکری و میرزا علی بک ولاغوش احمد بک و بر مقدار سپاهی ایله شکی قلعه سی تسخیرینه ارسال ایتمش ایدی واروب اقرب ازمانده بالجمله لواحتی ایله تسخیر ایدوب بو اتناده انک دخی مژده سی ورود ایلدی سردار اول ممالکی خدمتی مقابله سنده الکسندر خانک ارغلی ارکلا میرزایه توجیه ایتدی بعدذلک سردار امر ایدوب عسکرک نصفی مرتبه سی نهری مرور ایلدیلر لکن نهر طغیان اوزره اولمغله عظیم زحمت چکلدی کیچه

ایرشد کده سردار دخی عبور ایلدی بری طرفده طوپ وجبه خانه و عسکرک نصقی  
 قالدقارنده مخالفت و عناد ایدوب مرعش بکدر بکیسی مصطفی پاشایی کندو اوزرلرینه  
 سردار اختیار و رجوع مراد ایلدیلر صکره یکیچیری طائفه سی کیرو انلره مخالفت  
 وصوبی کچوب سرداره ملحق اولملری ایله سائری دخی بالضروره بالجمله عبور  
 ایتدیار سردار بو اطاعتلری مقابله سنده یکیچیری طائفه سنه انعام و احسان ایدوب بش  
 نفریبا باشیلرینه چاوشلق و یوزنفره سپاهیلک والتمش نفره قوروجلق و بوسفرده  
 بولنان یکیچیریلردن هرکیمک بلوغه ایرمش اوغلی وار ایسه برر اچجه ایله عجم  
 اوغلانغی و نابالغ اولنلرینه برر فودله ویردی بعده کوچوب رجبک طقوزنجی کون  
 ارشه وصول بولدیله اردوده قحط وار ایدی ارشده مستوفی ذخیره بولنوب اون سکر  
 کون انده مکث و برایلق ذخیره تدارک اولندی عسکرک عددی اتباع ومواش ایله  
 یوز بیکه بالغ اولوردی ارش شهرینه متصل بر باغچه نك اشجاری قطع ویر هفته  
 ایچنده اطرافنه سورو درت قلعه بنا واوچ قپو قونیلوب اطرافنه خندق حفر و بر  
 مقدار ضربن طویار وضع و محافظه سنه صاروخان بکی قیطاس بک نصب و مومی  
 ایله ارشر بکدر بکیسی قیلندی دمر قپو خاقلی سنی اولملری ایله بو ائناده قزلباش  
 طرفندن اوزرلرینه حاکم اولان چراخ بکی اخذ واوچ یوز نفر اتبا عنی قتل ورؤس  
 مقطوعه ایله چراغ بکنی حضور سرداره کتوردیلر کلنلرک اعیاننه خلعتلر الباس  
 و قلعه به محافظ نصب و چراغ بک قتل اولندی شروان ممالکی تمام فتح اولندقدن  
 صکره سردار اول ولایته اوردمر اوغلی عثمان پاشایی شجاعت ونجابتنه بناء وائی نصب  
 و وزارت توجیهی ایله بکام وایالتی سنجاقلرینی برر مستحق کیمسه به توجیه خصوصنی  
 کندویه سپارش و التمش التی پاره طوپ و ضربن و یوز سکمان صدق جیه خانه  
 کند ویه تسلیم ایدوب پاننده بیک یکیچیری و بالجمله یسار علوفه جیلرینی التی  
 آیه دک علوفه لری ایله وارزن رومک یمین و یسار بلوکلرینی واردهان عسکرینی  
 الیقویوب یکیدن دخی اوچ بیک شروان قولی یازدی و اردو دفتر داری نصب ایلدی  
 محصولات شروان اول وقت همان یالکز خزینه عامر به تخمینا ایکوز یوک اچجه مقداری  
 کلوردی بعدذک ۹۸۶ شعباننک التنجی کون سردار ارشدن ارتحال و قانق نهری  
 اوزرینه مد اولنان جسردن عبور و سکر کوندن صکره سلطاننچق مر حله سنه  
 نزول ائناسنده الکسندر اوغلی ارکلا میرزابه که قولاغورلق خدمتنده ایدی ولایته  
 عودت ایتمک اوزره اذن ویردی اول محله طاغستان حاکمی شمخال اردویه کلوب  
 بالجمله اعیان استقبال واکرام ایله کتوروب اوتاغ سرداره ایندیردیلر سردار اکا مبالغه  
 اکرام و احترام ایدوب ققتان کیدیردی سابقا تملیس حاکمی سیمون بن لوارصاب که  
 طهماسب زمانندن بری آلموت قلعه سنده قلعه بند ایدی محمد خدابنده انی اطلاق  
 و تفلیسی لواحقی ایله طرفندن اکا توجیه و سردار فتحنه مشغول ایکن ارسال ایلمش  
 ایدی کلوب باشنه بروافر کرجی ازناورلری جمع و عسکر اسلام عودت ایتدکده  
 یول اوزرنده بعض دربندلری سد و نیجه احمال و ائقال و دواب ورجالی نهب  
 و غارت و اهل اسلامه کلی ایصال خسارت ایلدیلر سردار کلوب تفلیسده بش کون  
 مکث و آرام ایلدکدن صکره ارتحال و کوری قلعه سنه نزول و انک محافظه سنی  
 کردی حسین بکه سپارس و ایچنه التمش یکیچیری و بر مقدار عسکر دخی وضع  
 ایلدی بومنزله عظیم قار یاغوب صغوقدن چوق طوار و آدم هلاک اولدی اندن ارتحال  
 و مشقت عظیمه ایله رمضان شریفک بکرمی برنجی کونی ارزن روم مشتاسنه وصول

بولندی او طور د قلردن ماعدا یوز اوتوز مرحله تعداد اولنمشدر پاشالره و بکلره قیشالار  
 تعیین و هر برینه مشالرینه کتمکه اذن ویریلوب رومایی سکدر بکیسی محمود پاشا  
 پاسین اباد محافظه سنه تعیین اولندی بو طرفده شروان بکلر بکیسی اوزدمر اوغلی  
 عثمان پاشا سردار کتدکن صکره یاننده اولان اون بیگ عسکردن بر مقدار آدم  
 انتخاب وارش بکلر بکیسی قیطاس پاشا ایله اتفاق ایدوب ارش قرینده کر نهری اوزرینه  
 مداولنان جسردن عبور و قره باغک وافر قرا و قصباتنی نهب و غارت و غنائم موفوره ایله  
 عودت ایدوب عثمان پاشا دارالملک شروان اولان شماخی قلعه سی محافظه سنه کتدی  
 سابقا قزلباش طرفندن شماخی حاکمی اولان ارش خان قره باغدن بر مقدار اشقیبا  
 جمع و کندویه قصد اوزره اولدبغندن خبردار اولوب بو ائشاده امام قولی خان  
 و ایمیر خان و سائر بر قاچ خانلر اون بش بیگ قزلباش ایله ارش قلعه سنه قصد  
 ایلدیلر ارش محافظی قیطاس بک متهورانه حرکت ایدوب بران آدم ایله قارشولدی  
 و جنکده کندوسی نابود اولوب عسکردن دخی عمری اوزون اولنلر نجات بولدی  
 اقرلباش کلوب ارش قلعه سنی ایچنده اولان مهمات وافر ایله اخذ ایلدیلر اندن صکره  
 ارش خان یکر می بش بیگ قزلباش ایله سالیان حصنی مقابلندن نهری عبور و عثمان  
 پاشا اوزرینه هجوم ایلدی پاشای دلیرانلری قارشولوب ایکی کون صباحدن اخشاهه دک  
 اوچنجی کون دخی ایکندی و قنده دک جنک ایلدی لکن قزلباش چوق اولوب پی  
 ندر پی امداد لری دخی ایرشمکله اهل اسلام غایت بی تاب و توان اولوب انزازه قریب  
 اولمشدر ایدی مقدا سردار قریم خانی محمد کرایه عسکر اسلام ایله معا بولنما  
 سیچون خبر کوندرمش ایدی لکن مشارالیهک مانع قوبسی ظهور ایتمکله اجابت ممکن  
 اولمیوب برادری عادل کرای و سعادت کرای و اوغلی مبارک کرای قرق بیگ تاتار  
 صبار قاتار ایله ارسال ایتمش ایدی یوم مزبورده عسکر اسلام انزازه یوز طوتمشدر  
 ایکن لاعن قصد تاتار عسکری محل معرکه یه ایریشوب هجوم ایتدکلرنده قزلباشدر  
 متهم اولوب اولکی کونلرده قریلانندن ماعدا اون بیگ قزلباش قلیچدن کچوب سردار لری  
 ارش خان گرفتار و امراسندن اکثری کیمی اسیر و کیمی مقتول و بالجمله اموال  
 و اشیا لری اغتنام اولندی ارش خان عثمان پاشا امری ایله صبرایعنی الی بغلو قتل  
 اولنوب بوندن صکره بقیه السیوف قزلباشدر ارش خان و سائر قزلباش امراسنک خیمه لری  
 و حرملری و اغرلقلری ایله بر محلهه تجمع ایتدکلری خبر انمغله عثمان پاشا  
 امری ایله عادل کرای خان نهری کچوب محل مرقومه وصول بولدی و اوچ بیگ  
 اننیوز یکر می قزلباشی قلیچدن کچوروب ایکی بیگ دوه یوکی اغرلق و ارش خانک  
 خزینه سنی و خاتونلری و جاریه لری و برکوچک اوغلینی و سائر امر انک بالجمله  
 اشیا و حرملرنی اغتنام ایدوب بعده عادل کرای و غازی کرای ایله اون بش بیگ  
 تاتار عثمان پاشانک یاننده قالدیلر ماعداسی بالجمله خان و کیلی حاجی مصطفی بک  
 و خان زاده مبارک کرای ایله ولایتلرینه روانه اولدیلر بو انزاملک خبری شاهه  
 وصول بولدقده وزیر میرزا سلیمانی اوغلی حمزه میرزا و دولتنه تسلط اوزره اولان  
 زوجیه سی ایله که حمزه نک والده سیدر اخن انتقام ایچون شماخی محاصره سته ارسال  
 ایدوب یانلرینه قرق بیگ عسکر قوشدی کلوب شماخیده عثمان پاشایی محاصره  
 ایلدیلر کاه اچقندن و کاه وراه جداردن اولان جنکدرده یکر می بیگ قدر عجم  
 قلیچدن کچدی بو ائشالرده عادل کرای عسکر تاتار ایله اول حوالیده کشت و کذار اوزره  
 ایلدیلر عثمان پاشا انک طرفنه قزلباش عسکری کلدیکنک خبرنی یازوب کوندردی

قزلباشار اولاغی طوتوب احواله واقف اولدقلرنده محاصره یی براغوب تاتار عسکری  
 اوزرلرینه کتدیلر محمود اباد نام قصبه صحراسنده ملاقی اولوب اوچ کون محاربه دن  
 صکره عسکر تاتار منہزم وعادل کرای وبرادری غازی کرای برنیجه اتباعلری ایله  
 کرفتار اولدیلر بو خیر موحد عثمان پاشانک مسموعی اولدقلده همان برکیجه  
 شماخی قلعه سنده اولان بالجمله مهماتی الوب اندن متین اولان دمور قپو قلعه سنه  
 ارتحال ایلدی زیرا ولایت طاغستانه قریب اولمغله ذخیره تدارکی اسان ایلدی بو وقایعک  
 مجموعی سردار ارزن رومده ایکن ظهور ایتمشدیر اول ائئاده وقوعبولان اموردن  
 بریسی دخی نخجوان حاکمی و کردستان تاریخی مؤلفی شرفخاک بدلیسنک اطاعت  
 ایتدوکیدر که مومی الپیک پدیری شمس الدین اباعن جدبیس حاکمی اولوب دولت  
 علیه اطاعت اوزره ایکن برسبدن سلطان سلیمان حضرتلردن روگردان اولوب  
 شاهه اتباع ایلدی شاه اکاتاج کیدیردی شرفخان اول وقت عجمده قالبوب بعض مناصبه  
 دور ایده رک عاقبت نخجوان حاکمی اولدی بو ائئاده سردار انک طرفنه خبر ارسال  
 و اطاعته دعوت ایتدکده اهل و عیالی ایله کلوب اتباع ایلدی الباس خلعت واحسان  
 سیف مرصع ایله اکرام و ملک موروثی اولان بدلیس ابالتی کندویه توجیه اولندی  
 مقدا سردار ظفر شعار بغداد بکلر بکیسی حسین پاشا و شهرزور بکلر بکیسی  
 شمس الدین پاشا زاده محمود پاشایه امرلر ارسال ایتمش ایدی که ایالتلری عسکرلری  
 ایله واروب دیناور نواحیسنی غارت ایلیهلر مومی الپها حسب الامر اول طرفه واروب  
 قتل و نهب و تخریب ایده رک تاقزوینه برمرحله قاله جمجام نام محله دک وصول وانده  
 غنائم بیشمار ایله ققول ایلدیلر ۹۸۷ جمادی الاولیسی اوائلنده عساکر منصوره کپرو  
 سردار اردوسنه جمع اولوب یکیدن اناطولی بکلر بکیسی خادم جعفر پاشا و شام  
 بکلر بکیسی وزیر اعظم محمد پاشا و طویل اوغلی حسن پاشا وبصره دن معزول  
 رضوان پاشا ولحسادن معزول اسکندر پاشا زاده احمد پاشا بالجمله کلوب معسکر  
 سرداره ملحق اولدیلر پس سردار اکرم شهرمزبورک اون بشنجی کون مشتای ارزن  
 رومدن چیقوب حسن قلعه و چوبان کپرسی وخراسان بابا و صوغانلو یایلاقی اوزرلردن  
 جمادی الآخره غره سنده قارص صحراسنه نزول و حسب الامر قارص قلعه سنی تعمیره  
 مباشرت ایلدی مقدا ارزن رومدن چیقدیغی ائئاده مرعش بکلر بکیسی مصطفی  
 پاشایی اون ایکی بیگ عسکر ایله تفلیسه مهمات و ذخیره کوندیرمکه تعیین وارسال  
 ایلمش ایدی مومی الیه وصول بولوب قرق کون انده مکث و آرام و اطراف و اکنافه  
 اقلر صالوب غنائم بیشمار اخذ ایلدی بعده تفلیسنده اولان عسکر چوق زمان محاصره  
 چکمکه زبون اولوب یرلرینه توانا عسکر وضع اولنمق لازم ومهم اولمغین مصطفی  
 پاشا یانمه اولان امرادن قاسم بکی و حمید ایلی و سمندره و عربکیر و چورم بکلرینی  
 بشیوز آدم انده براغوب کندوسی عودت ایدیجک قاسم بک اللی نفر مقداری آدم  
 ایله قالبوب ماعدا بالجمله بر اقدیغی آدملر فرار ایتدیلر مصطفی پاشا حضور سرداره  
 کلوب احوالی افاده ایتدکده لحسادن معزول احمد پاشایی بر مقدار منتخب عسکر  
 ایله تفلیسه ذخیره ایصالی ایچون مأمور قیلدی مومی الیه یولده کیدرکن بردر بنده  
 کرجی اشقیاسی یولنه چیقوب محکم دوکشیدیلر احمد پاشانک اکثر اتباعی مقتول  
 و کندوسی مجروح اولمشار ایکن ینه منہزم اولمیوب تفلیسه داخل و ذخیره نک  
 تلف اولانندن ماعداسنی ایصال ایلدی بو طرفده سردار احمد پاشانک وصولندن  
 خبراله مدیغندن اندیشه یه دوشوب برقات ذخیره دخی ارسال ایتمک ملاحظه سنده اولدی

و ایکی بیگ یوک ذخیره تدارک و دیاربکر والیسنه و اکراد بکلرینه کوتورمک تکلیف ایلدکده عذرویهانه ایراد ایلدیلر صکره شام بکلر بکیسی محمد پاشا و طویل اوغلی حسن پاشا بوخدمتی ادایه تعهد ایتمکله سردار حظ ایدوب اکا دعای خیر ایلدی و تفلیمی حاجی بک زاده احمد پاشایه توجیه و کتمکره تعهد ایلدوکی ایچون دیاربکر والیسی بهرام پاشایی عزل ویرینه برادری رضوان پاشایی نصب ایلدی بونلرک ایکیسی دخی قره شاهین مصطفی پاشانک اوغلریدر والی حاصل کیده جک عسکر تفلیس والیسی احمد پاشا مقدمه و رضون پاشا ایالتی عسکری ایله ساقه و اوزر لرینه حسن پاشا سردار یصب و ارسال اولندی بونلر ایکی بیگ یوک ذخیره یی بولده نیجه نیجه کرجی اشقیاسنی قلیچدن کچوره رک سهولت ایله تفلیسه داخل اولدیلر حسن پاشا امور قلعه یه نظام ویرمک ایچون اوچ کون مکث ایدوب بعده عودت برله هنوز سردار عجبیا تفلیسه وصول بولدیلمی دیو فکدره ایکن اون التی کونده وصول بولدی سردار کمال سرورندن حسن پاشایی اوتاع قپوسنده استقبال و معانقه و دعای خیر ایلدی بو خصوص حسن پاشانک شبایی وقتنده جلادت و حسن تدبیر ایله شهرت بولمسنه سبب اولدی و احمد پاشا برمدت تفلیس محافظه سنده قالدی طوقماق خان عسکر اسلام ذخیره جملرینه ایصال مضرتدن خالی اولمدیغی سردار اکرمک مسموعی اولیجق اناطولی بکلر بکیسی خادم جعفر پاشایی اوتوز بیگ عسکره باشموغ و قرمان بکلر بکیسی محمد پاشا و روم ایلی بکلر بکیسی محمود پاشا و سابق دیاربکر بکلر بکیسی بهرام پاشایی معیننه مامور و طوقماق خان غائله سنی دفع ایچون روان اوزرینه ارسال ایلدی اوچنجی کون روانه واصل اولدیلر طوقماق خان فرار ایلدی پس عسکر اسلام بالحمله اول نواحی یی غارت و تخریب ایلدکدن صکره شهر روانی دخی بالکلیه غارت و اهالیسنک قلیجه کلنلرینی قتل و صیبانلرینی اسیر و غنائم بیشار ایله اردویه عودت ایدوب ویریلان فتوای شریفه موجبنجه انان اسیرلری بیع ایلدیلر الده قانلردن ماعداهمان بکرمی بیگ اسپریع اولندی اولوقت روان اطرافنده اولان رعایا اکثری ارمنی ایدیلر قارص قلعه سی بناسی و میرمیران ایچون سرای ودرت جامع شریف و عسکری قیشالری و مکتب انشاسنه مباشرت اولنوب بونلرک جمله بنالری طقسان کونده تمام اولوب و جه اکمل اوزره بالحمله مهمات قلعه کورلدکدن صکره رمضان شریف غره سنده سردار قارصدن ارتحال ویدنجی کون پاسین آباه نزول و انده عسکره اذن برله ارزن رومه توجه ایلدی و وصولندن برکون مقدم وزیر اعظم محمد پاشایی طویلک فوتی خبری اردویه واصل اولدی که برکون مشارالیه سراینده ایکندی دیوانی ایدرکن بر مجنون آدم ایلر وکلدی چاوشلر دفعنه قادر اوله میوب بالاخره هجوم ایلدی مجنون قتل ایلدیلر یرینه رستم پاشانک صهری احمد پاشا وزیر اعظم اولوب وزارت ثانیه یه سردار اکرم لالا مصطفی پاشا متعین اولمغله بولنان اعیان وارکان تبریک ایلدیلر مقدا طرف شریاریدن قریم خانی محمد کرایه شروان ممالکنه وارمق اوزره امر عالی ارسال بیورلمش ایدی مشارالیه جمادی الاخره ده عظیم عسکر ایله باغچه سرایدن چیقوب ازاق سنجاق بکی اون بیگ تاتار ایله عثمان پاشایه ذخیره تدارکی ایچون ایلرویه کوندردی مومی ایله جنک و حرب امورینه واقف شجیع و صاحب رای کیمسه اولمغله عثمان پاشا انی شروانه حاکم نصب و بحر شروان قپودانلغنی ضم ایلدی بغده شعبانک اون بشنجی کون تاتار خان دخی باغچه سرایدن



یتمش بشنجی منزله ایریشوب عثمان پاشایه ملاقی اولدی وابتدا شماخی قلعه سنی  
قزلباشدن استرداد ایچون بر مقدار عسکر تعیین وارسال ایلدیلر واروب محافظی  
اولان مازندران حاکمی محمد خانی بالجمله اتباعی ایله قتل و قلعه بی تسخیر ایلدیلر  
بعده بر مقدار تاتار دخی باکو یه کوندروب ایچنده بولنان قزلباشلر قلیچدن کچورلدی  
اندن صکره پاشای دلیر خان عالیشان ایله معا شماخی به واردیلر اندن کر نهرینی  
کچوب اول حوالیده اولان قزلباش ممالکنه بلوک بلوک عسکرلر ارسال ایلدیلر تاقریل  
اغاچه دک وصول وتمام مرتبه نهب و تخریب و احراق و بی نهایه قزلباش قتل و غنائم  
بی شمار ایله عودت ایلدیلر بعده عثمان پاشا خان اتباعندن لاجین اغا نام کیمسه بی  
تمشیر ایچون ارزن رومده سرداره ارسال ایلدی وصولنده یاننه بر چاوش قوشیلوب  
در دولتته کوندردی.

ილია ტაბაღაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის ისტორიიდან

(1715 წ. იანვარი — 1716 წ. მაისი)

სულხან-საბა ორბელიანის საქმიანობა კონსტანტინოპოლში დასავლეთ ევროპიდან მისი დაბრუნების შემდეგ არ არის ჯერჯერობა შესწავლილი. საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ თვითონ სულხან-საბას დღიურში კონსტანტინოპოლში მის ყოფნას მცირე ადგილი (დაახლოებით ერთი გვერდი) უკავია, ხოლო მის დიპლომატიურ მოღვაწეობაზე ამ ქალაქში ყოფნისას სრულებით არაფერია ნათქვამი. ეს გასაგებიცაა. თურქების გარემოცვაში მყოფ სულხან-საბას არ შეეძლო თავისუფლად ეწერა თავის პოლიტიკურ მისიასზე. არ იყო გამორიცხული, რომ ეს დღიური ხელში ჩაგარდნობათ მის მოწინააღმდეგეებს. ალბათ ამიტომაც, რომ სულხან-საბას დღიურში საერთოდ ნაკლებადაა აღწერილი ევროპაში მის დიპლომატიურ საქმიანობაზე. ამ საკითხის შესახებ საარქივო მასალიდან უფრო მეტს ვგებულობთ, ვიდრე სულხან-საბას დღიურიდან.

ავიღოთ ერთი მაგალითი. კუნძულ მალტიდან კონსტანტინოპოლში მიმავალი საფრანგეთის გემი, რომლითაც მიემგზავრებოდა სულხან-საბა, სპირანაში გაჩერდა. გემზე 30-მდე „მგზავრი“ თათარი ავიდა. მათ იქ სულხან-საბას „სახელი შეიტყვეს უნდობათ კონსტანტინეპოლეს ერთი რომ ჩხუბი ექნათ“ — წერს სულხან-საბა. მაგრამ საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში გრაფმა დეზალორმა, რომელიც ელოდა სულხან-საბას, საფრანგეთის გემს ნავი შეახვედრა, სანამ იგი ნაპირს მოადგებოდა, და იქიდან სულხან-საბა და დავით მეგრელი პირდაპირ საფრანგეთის საელჩოში მიიყვანეს. „თუ ის ნავი არ მოგვსვლოდა — წერს სულხან-საბა საფრანგეთის მინისტრს და სახელმწიფო მდივანს (კანცლერს) გრაფ დე პონშარტრენს — არ ვიცი, თათრები რას იქმედენ: ეს რომ ნახეს თათრებმა, ვეზირს მოახსენეს. მაგრამ ელჩის საქმით, მოვრჩით“<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, თურქეთის დაზვერვა თვალყურს ადევნებდა ვახტანგ VI-ის წარმომადგენლის — ორბელიანის მოღვაწეობას.

აღნიშნულ ფაქტზე არაფერია ნათქვამი სულხან-საბას დღიურებში. ამ დღიურების შესაბამის ადგილას ვკითხულობთ მხოლოდ შემდეგს: „ი“ (19) იანუარს დილაზე დესპანს ნავი ებოძა, ენვიჩრები. გამოვედით ხომალდიდან“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. I, 1959, გვ. 241.

<sup>2</sup> M. Brosset, Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Louis XIV, „Nouveau Journal Asiatique“. Paris, 1832, ტ. IX, გვ. 445.

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. I, გვ. 241.

საფრანგეთსა და იტალიაში მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს გზაზე დამდგარი<sup>4</sup> სულხან-საბა კონსტანტინოპოლში 1715 წლის 19 იანვარს ჩავიდა. აქ ის დარჩა 1716 წლის მაისამდე<sup>5</sup> (და არა 1715 წლის სექტემბრამდე, როგორც მიუთითებს ბროსე<sup>6</sup>). კონსტანტინოპოლში სულხან-საბა უნდა დალოდებოდა საფრანგეთის მეფის წარმომადგენელს (რომელსაც ეკისრებოდა შაჰის კარზე ვახტანგის საკითხის მოგვარება) და მისიონერებს (რომლებიც უნდა ჩამოსულიყვნენ საფრანგეთიდან და იტალიიდან), რათა მათთან ერთად საქართველოში გამგზავრებულიყო.

ფრანგი მისიონერის უან რიშარის სახელზე რომიდან საფრანგეთში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ეკითხულობთ: „თავადმა სულხან-საბამ, მიემგზავრებოდა რა იტალიიდან, რათა დაბრუნებულიყო საქართველოში, ითხოვა“ რომ იმას. ვისაც ეს შეეხებოდა, შეესრულებინა „დაპირება, რომელიც მან (სულხან-საბამ. — ი. ტ.) მეფის (ლუი XIV — ი. ტ.) სახელით გადასცა პაპს: გაგზავნოს და მოაწყოს სამიგრელოში საფრანგეთის რვა ან ათი მისიონერი...“<sup>7</sup> როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ამ საკითხზე ლაპარაკი ყოფილა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სა და რომის პაპის კლიმენტი XI-ის მიმოწერაშიც. აქვე ნათქვამია, რომ „ათასი ეკიუ წელიწადში საკმარისი იქნება ამ მისიონერების შესანახად“<sup>8</sup>. პარიზში წმ. ლაზარეს სახლის წინამძღვარს უკვე სცოდნია ყოველივე ეს, ხოლო სულხან-საბა ორბელიანს გადაწყვეტილი აქვს დაელოდოს მათ კონსტანტინოპოლში, რათა თვითონ გააცილოს ისინი თავის ქვეყანაში<sup>9</sup>.

სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში გრაფ დეზალორს. ისევე კარგად მიუღია, როგორც საქართველოდან ევროპაში გამგზავრებისას. დეზალორმა სულხან-საბა და დავით მეგრელი მოათავსა საელჩოში — „საფრანგეთის სასახლეში“. მათი შენახვის ყველა ხარჯი იკისრა საფრანგეთის მთავრობამ. „ბატონმა ელჩმა ერთს სახლში დაგვაყენა კაის ბატივიო, ხელისშეწყობით. როგორც უწინ მის ვიყავით, ისრე ახლო გაგვირიგა“ — სწერდა სულხან-საბა პარიზში დე პონშარტრენს<sup>10</sup>.

კონსტანტინოპოლში ჩასვლისთანავე სულხან-საბამ მისთვის ჩვეული ენერგიით განაგრძო აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა. იქ მას დახვდა თავისი ძმებისა და ვახტანგ VI-ის წერილები, საიდანაც გაიგო ახალი ამბები საქართველოსა და ვახტანგ VI-ის შესახებ. ვახტანგის წერილი დაწერილი იყო 1714 წლის ივნისში. ვახტანგ მეფე ატყობინებდა სულხან-საბას, თუ როგორ ავიწროებდნენ მას სპარსელები ქრისტიანობის გამო და აიძულებდნენ მიეღო მაკამდიანობა, როგორ ურყევად იღვა იგი თავის სარწმუნოებაზე. სულხან-საბა აღფრთოვანებული იყო ვახტანგის სიმტკიცით. „მიხარიათ, — სწერდა სულხან საბა დე პონშარტრენს, — რომ [ვახტანგი] მაგრა დგას, და, რამდენიც შეაწუხონ, უფრო გამაგრდება“<sup>11</sup>.

<sup>4</sup> ი. ტაბაძე, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში, „მაცნე“, 1965, № 3. № 5. მისივე, ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები, „მაცნე“, 1966, № 6.

<sup>5</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. I, გვ. 243.

<sup>6</sup> M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 444.

<sup>7</sup> Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. Le Seigneur Richard, missionnaire, le 26 février 1715. „Perse“ ტ. 4, ფ. 203.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 203.

<sup>10</sup> M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 438.

<sup>11</sup> იქვე.

სულხან-საბა შემდეგი სიტყვებით გადასცემს დე პონშარტრენს ვახტანგისა-  
გან მიღებული წერილის შინაარსს: „ჩემთან ეს მოეწერა „ჩემი იმედი, ღმრთე-  
და, არა არი რაო, და შენ იცი ჩემს საქმეზე რასაც გაირჩებიო, და დიდის მეფის  
შეწვევისა, და შველის მაცურებელი ვარო“<sup>12</sup>.

სულხან-საბა თხოვს ამავე დროს დე პონშარტრენს, შეასრულოს ის დაბი-  
რებები, რაც საფრანგეთის მეფემ მისცა ვახტანგ მეფის წარმომადგენელს<sup>13</sup>:  
„თქვენ ხომ მრავალს გაისაჯენით, მაგრამ ამას გეხვეწები, კიდე უფრო გაისა-  
ჯოთ, რაც დიდმა მეფემ თავის უტყუარის პირით წყალობა მიბრძანა, მისი მომ-  
ლოდინე ვარ“<sup>14</sup>.

სულხან-საბას წერილიდან ჩანს, რომ დე პონშარტრენს უთქვამს საბას-  
თვის რომ ჩასულიყო კონსტანტინოპოლში და იქ დალოდებოდა პასუხს  
საფრანგეთიდან ვახტანგისადმი დახმარების შესახებ, ხოლო ცნობებს ყოველი-  
ვე ამის თაობაზე საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში გრაფი დეზალორა  
მიიღებდა. მაგრამ აი უკვე 1715 წლის თებერვალი იყო და საფრანგეთიდან  
არაფერი ისმოდა.

ამავე დროს სულხან-საბა სწერდა პონშარტრენს, რომ მას მიეჩქარებოდა  
საქართველოში, მაგრამ ხელცარიელი იქ ვერ დაბრუნდებოდა: „ჩემს ძმებს  
ხვეწა მოეწერა ჩემი მისვლისა. ჩემი ქვეყანა აშლილა, და ყველას უნდა მალე  
მივიდე. მაგრამ, თუ [საფრანგეთის] მეფის წყალობა, და ან ეგ მოციქულები  
არ მოვლენ, მე ვერ წავალ: ჩემი საქმე, და ჩემის ქვეყნისა გამიშვა, და უწინ  
უნდა მაგ მოციქულების საქმე ვინაღლო, მერმე ჩემს თემს წავიდე“<sup>15</sup>.

სულხან-საბა ამავე დროს არწმუნებს პონშარტრენს, რომ იგი, საბა, არ  
უშინდება მისიონერების საქართველოში გაგზავნის საქმეს; თუ ისინი მშვიდო-  
ბიანად გაივლიან თურქეთსა და შავ ზღვას, საქართველოში მათ საფრთხე არ  
მოელოთ. მაგრამ რაც მთავარია, სულხან-საბა მიუთითებს იმაზე, რომ მისი  
დიდხანს დარჩენა კონსტანტინოპოლში არ ივარგებს. შეიძლება ამან თურქების  
ყურადღება მიიქციოს, გახმაურდეს მისი ელჩობის მიზნები და ამით საქმე წახ-  
დეს. „ჩემი აქ ყოფა გრძლად არ ვარგა, მისთვის, რომ ვინ იცის, თუ ჩემი რამ  
იქცა, და საჯაროდ გამოვიდა, მრავალი საქმე წახდება“<sup>16</sup>.

სულხან-საბა განმეორებით სთხოვს საფრანგეთის კანცლერს, გაუწიოს  
მფარველობა საქართველოს: „ჩემი საქმე, და ჩემის ქვეყნის ყველა თქვენს სა-  
ფარველს ქვეშ შემომიგდია, და შენ იცი“.

ამასთანავე, სულხან-საბას არ ავიწყდება ხომალდის კაპიტანი, რომელმაც  
ის კონსტანტინოპოლში ჩამოიყვანა, და საფრანგეთის ელჩი კონსტანტინო-  
პოლში, რომელიც დიდ ყურადღებას იჩენდა სულხან-საბასა და საქართველოს  
მიმართ. იგი სთხოვს პონშარტრენს, მიიღოს ეს მხედველობაში, რათა ისინი  
„წყალობას გარეთ არ დარჩნენ“.

საფრანგეთის მინისტრისა და სახელმწიფო მდივან პონშარტრენისადმი  
გავზავნილ სულხან-საბას ამ წერილს (1715 წლის 18 თებერვალი) თან დაა-

<sup>12</sup> M. Brosset, დასახ. ნაშ., გვ. 438.

<sup>13</sup> ი. ტაბაღლა, ეროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები.  
გვ. 140.

<sup>14</sup> M. Brosset, დასახ. ნაშ., გვ. 438—439.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 439—440.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 440.

თული ჰქონდა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა — „ახალი ამბები საქართველოდან“.

როგორც სარჩევო მასალებიდან ჩანს, სულხან-საბას წერილობითი კავშირი არ შეუწყვეტია ჟან რიშართან, რომელიც სულხან-საბასა და დაეით მეგრელს ახლდა მთელს მათ მოგზაურობაში საქართველოდან რომამდე და ჩამოშორდა მხოლოდ 1714 წლის 25 იელისს. რიშარი დაბრუნდა საფრანგეთში. იგი სულხან-საბა ორბელიანის საქმეზე დიდ მზრუნველობას იჩენდა საფრანგეთის სამეფო კარზე. ამასთანავე იგი ემზადებოდა საქართველოში გასამგზავრებლად კონსტანტინოპოლის თანამდებობაზე.

ჯერ კიდევ 1714 წლის 21 ოქტომბერს რიშარი სწერდა პონშარტრენს, რომ მზადაა გაემგზავროს საქართველოში მისიონერებთან ერთად. როგორც ამ წერილიდან ჩანს, თვითონ პონშარტრენიც თანახმა ყოფილა რიშარის გამგზავრებისა საქართველოში. გარდა ამისა, რიშარს სპეციალურად უთხოვია საფრანგეთის მინისტრისა და საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მარკიზ დე ტორსისათვის, ეშუამდგომლა მეფე ლუი XIV-ის წინაშე სამეგრელოში 12 მისიონერის გაგზავნის თაობაზე. იმ დროს, ამავე საკითხზე დე პონშარტრენს საფრანგეთის მეფისათვის გადაუცია რომის პაპის წერილი. დე ტორსის შეუსრულებია რიშარის თხოვნა. მას საუბარი ჰქონია მეფესთან და პონშარტრენთან.

„სრულიად არ მეეჭვება თქვენო უგანათლებულესობაზე — სწერს რიშარი დე პონშარტრენს, — რომ თქვენი დიდებულება, რომელმაც გამოიჩინა იმდენი ნიშანი განსაკუთრებული ღიკეთისა ბატონ სულხან-საბასადმი, მსურველი იქნება — უზრუნველჰყოს იგი ყოველივე ნუგეშით, რაც კი დამოკიდებული იქნება თქვენზე, ...თქვენ მას ეს იმდენჯერ აღუთქვით“<sup>17</sup>. შემდეგ ჟან რიშარი სთხოვს პონშარტრენს სულხან-საბას სახელით ნება დართოს მას, გასცეს განკარგულება, რათა შეასრულონ ყოველივე ის, რაც საფრანგეთის მეფემ სულხან-საბას აღუთქვა: სახელდობრ, მისიონერები, რომლებიც სულხან-საბამ მეფეს სთხოვა, დაუყოვნებლივ შეუერთდნენ სულხან-საბას, რათა ქართლში ჩასვლამდე სულხან-საბამ მოათავსოს ისინი თავიანთი მისიის ადგილებში; მოაწყოს, განამტკიცოს და დასტოვოს იქ იმ შემთხვევაში, თუ დაინახავს, რომ მისიონერები შესძლებენ თვითონ მოუარონ თავიანთ თავს, ე. ი. გადალახავენ ენების დაუფლებისა და საჭირო ცოდნა-განათლების შეძენის სიძნელეს<sup>18</sup>.

როგორც საბუთებიდან ჩანს, რიშარმა იცის, თუ რა ხდება საქართველოში, რა მდგომარეობაშია ვახტანგი ირანში და სხვ. ამ შემთხვევაში მისთვის წყაროს წარმოადგენს არა მარტო წერილები, რომელთაც სულხან-საბა უგზავნის კონსტანტინოპოლიდან; იგი უშუალოდ ცნობებს ღებულობს ირანიდანაც. იმავე წლის 29 ოქტომბერს ჟან რიშარი დე პონშარტრენს სწერდა: „მოწყალეობ ხელმწიფევე, ეს-ეს არის მივიღე თქვენი დიდებულებისათვის თავრიზის მისიების წინამღერის მამა პიერ დ'ისუდენის წერილი, რომელიც შეეხება საქართველოს მეფეს ვახტანგს... სხვათაშორის, ის მაცნობებს, რომ მათ (ქართველებმა. — ი. ტ.) ძვლები დათხარეს საქართველოს პატრიარქს იმის გამო, რომ მან

<sup>17</sup> Commerce du Levant. 21 octobre 1714. Le Seigneur Richard. Archives. Paris, „Perse“, ტ. 3, ფ. 225-226.

<sup>18</sup> იქვე, ფ. 226.

მოსურვა მუსლიმანობა მიედო და ხელთ ეგდო საქართველო, და რომ ყველა დიდებული განწყობილია თავი დაიცვას სეფიანებისაგან“<sup>19</sup>.

ჟან რიშარის ეს წერილი გვაფიქრებინებს, რომ საფრანგეთის მეფესა და დე პონშარტრენს წერილები გაუგზავნიათ ვახტანგისათვის, მაგრამ ჟან რიშარს ეს საკმარისად არ მიაჩნია და სთხოვს მათ, წერილები მისწეროს ირანის შაჰს: „მე ვევედრები თქვენს დიდებულებას, — სწერს იგი დე პონშარტრენს, — ჩაუფიქრდეთ იმას, რომ მისი უდიდებულესობის ეპისტოლე და თქვენი დიდებულების წერილი არ გამოდგა იმისათვის, რომ განემტკიცებინათ თავის რწმენაში კეთილი მეფე ვახტანგი, რომლის სიმამაცე მე მგონია, სიამოვნებას მოჰგვრის საფრანგეთის მეფეს. (საფრანგეთის მეფის — ი. ტ.) წერილი შაჰისადმი მნიშვნელოვნად წაწევდა მისი (ვახტანგის — ი. ტ.) საქმეს“<sup>20</sup>.

რიშარი აღნიშნავდა, რომ როგორც კი მიიღებდა ბრძანებას საქართველოში გამგზავრების შესახებ, მაშინვე შეასრულებდა ამ განკარგულებას. თუმცა ერთი საბუთიდან ჩანს, რომ სამეგრელოში წამსვლელ მისიონერებს ვერ გაუბეღიათ კონსტანტინოპოლში გამგზავრება თურქების შიშით. იმავე საბუთში აღნიშნულია, რომ „თურქები დაემუქრნენ ბატონ სულხან-საბას“<sup>21</sup>. მაგრამ ყოველივე ეს დაბრკოლებად არ მიაჩნდა რიშარს. ის შენიშნავს: „მე ვაცნობე, რომ ეს საშიშროება არც ისე დიდია“<sup>22</sup>.

სამეგრელოში გასაგზავნი მისიონერების მთავარ წინამძღვარს ბონეს ამის თაობაზე წერილი მიუწერია პონშარტრენისათვის. ამ უკანასკნელს საქმის ვითარება მოუხსენებია მეფისათვის, რის შემდეგაც პონშარტრენი ბონეს პასუხობს: მის უდიდებულესობას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პირველად გაემგზავროს სამი მისიონერი რიშართან ერთად, რათა ამ უკანასკნელმა ისინი მიიყვანოს დანიშნულ ადგილამდე. ამასთანავე, ზუსტად უნდა შესრულებულიყო ის ინსტრუქცია, რომელსაც მისცემდა ბატონი დეზალორი მისიონერთა კონსტანტინოპოლიდან სამეგრელოში გადასვლის თაობაზე<sup>23</sup>.

მარკოზ დე ტორსისადმი მიწერილ წერილში რიშარი აღნიშნავდა: „...იმისათვის რომ შეეძლო ნაყოფიერად ვიმუშავო ხუთ ან ექვს მისიონერთან, რომლებიც შემდგომში ჩემთან ერთად გაემგზავრებიან და რომლებთან ერთად მე ვიმედოვნებ შევასრულო განსაკუთრებული მისია, ამისათვის აუცილებელია მქონდეს თითქმის ისეთივე წერილი, როგორც მისმა უდიდებულესობამ მისწერა მეფე ვახტანგს; აგრეთვე სხვა წერილებიც სპარსეთის სამეფო კარისათვის, განსაკუთრებით კი ერთი სარეკომენდაციო წერილი ბატონ დეზალორთან“<sup>24</sup>.

ამასთანავე რიშარი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სთხოვდა „საქართველოსა და მეზობელი მხარეების კონსულის მოწმობას, რომელიმე ხელფასით“<sup>25</sup>. გარდა ამისა, ის ითხოვდა სამგზავრო თანხას და წერდა, რამდენადაც ანლოვდება სეზონი შავი ზღვით მოგზაურობისა, კარგი იქნებოდა, რომ დაუყოვნებლივ გავდგომოდი გზასო<sup>26</sup>.

რიშარის ერთ წერილში ჩანს ის დიდი სიმპათია, რომლითაც გამსჭვალუ-

<sup>19</sup> Commerce du Levant. 29 octobre 1714. Le Seigneur Ricard. Archives. Paris. „Perse“. ტ. 3, ფ. 227 ა.

<sup>20</sup> Archives. Paris. „Perse“, ტ. 3, ფ. 227 ბ.

<sup>21</sup> Le 5 mars 1715. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 10.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 11 ა.

<sup>26</sup> იქვე.

ლი ყოფილა მარკიზ დე ტორსი სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგისა. აი რას სწერს ამის შესახებ რიშარი დე ტორსის: „თქვენ ღრმად განიცდით ყოველივეს, რაც მას (სულხან-საბას — ი. ტ.) და მის დისშვილს — საქართველოს მეფეს შეეხება. ეს თქვენ კიდევ უთხარიით მას ვერსალში. ეს წმ. ბერი (სულხან-საბა — ი. ტ.) ყოველთვის მეტუბნებოდა, რომ მას მუდამ იმედი ჰქონდა თქვენი კეთილი ვულისა“<sup>27</sup>.

მთავარია, წერს რიშარი, რომ საქმე დაგვირგვინდეს, ე. ი. მიეცეს მას საშუალება გამგზავროს „სპარსეთის შაჰის კარზე...“ თუ მას დაუყოვნებლივ გაგზავნიდნენ ირანში, მაშინ, წერს იგი, „მე შევძლებდი მოემზადებინა ვახტანგის განთავისუფლების საქმე, ანდა სულ ცოტა რომ ვთქვათ, ამისათვის გზას გაკვათავდი სპარსეთის ყურეში ჩვენი გემების ჩამოსვლამდე“<sup>28</sup>.

ჟან რიშარის წერილში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მეფეს გამოუყვია „ათასი ეკიუ ყოველწლიურად წმ. ლაზარეს კონგრეგაციიდან [შერჩეული] ათი მისიონერის უზრუნველსაყოფად“<sup>29</sup>.

მეფე ლუი XIV-ის ამ ბრძანებულების გაცემისთანავე, საქართველოში გასამგზავრებლად განწესებული მისიონერების „მთავარმა წინამძღვარმა ბატონმა ბონემ გასცა განკარგულება თავი მოუყარონ მათ“, ბონემ პონშარტრენის განკარგულების თანახმად, „მისცა ინსტრუქცია ამ მისიის ხელმძღვანელებს, წერილობით და ზეპირად, თუ რა ცნობები უნდა გამოუგზავნონ მას [საფრანგეთში] როგორც კი გაეცნობიან ქვეყანას. ეს იმისათვის, რათა [საფრანგეთში:] იცოდნენ, თუ რა უპირატესობა შეიძლებოდა ჰქონოდა ამ მხარეებზე გამავალი გზებით სპარსეთთან ვაჭრობას“<sup>30</sup>.

რაც შეეხებოდა რიშარს, იგი სწერდა დე ტორსის: „მე უკვე არაფერი არ მიშლის ხელს, რომ გავემგზავრო“<sup>31</sup>.

საქართველოში გამგზავრების წინ, ოჯახთან გამომშვიდობების მიზნით, ჟან რიშარმა ინახულა თავისი მშობლიური მხარე — საბლე. აქ 1715 წლის 2 აპრილს მას მიუღია სულხან-საბა ორბელიანის წერილი კონსტანტინოპოლიდან. სულხან-საბა ატყობინებდა მას საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ და კათალიკოსი დომენტის ცდაზე — ხელთ ეგდო ქართლის სამეფო ტახტი. ამასთანავე, სულხან-საბა თხოვდა ჟან რიშარს, რაც შეიძლება მალე გამგზავრებულიყო მისიონერებთან ერთად საქართველოში და ირანში. ამასთან დაკავშირებით ჟან რიშარი სწერს თავის მინისტრს: „ამ ვითარებაში ერთი სიტყვა თქმული [საფრანგეთის მეფის მხრიდან სპარსეთის შაჰისადმი] დიდად იმოქმედებდა. ის (სულხან-საბა. — ი. ტ.) მაჩქარებს მე შევევედრო თქვენს აღმატებულებას გამგზავნონ დაპირებულ მისიონერებთან ერთად“<sup>32</sup>.

საქართველოსა და ირანში რიშარის გამგზავრების დაყოვნების ერთ-ერთი მიზეზი ყოფილა ირანის ელჩი მოჰამედ რეზა ბეგი, რომელიც იმ პერიოდში იყო ყოფებოდა პარიზში, იგი წინააღმდეგი იყო ირანში რიშარის გამგზავრებისა, სანამ თვითონ არ დაბრუნდებოდა თავის ქვეყანაში.

<sup>27</sup> M. l'Abbé Richard à Paris, le 8 mars 1715. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 19—19 ბ.

<sup>28</sup> იქვე, ფ. 19 ბ.

<sup>29</sup> იქვე, ფ. 21.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> იქვე, ფ. 21 ბ.

<sup>32</sup> M. l'Abbe Ric hard, le 2 avril 1715. Archives. Paris „Perse“, ტ. 4, 488—49.

კონსტანტინოპოლიდან პარიზში იტალიურ ენაზე მიწერილ ერთ-ერთ წერილში, რომლის ავტორია დელა როკა და რომელიც რიშარის სახელზე უნდა იყოს გაგზავნილი, ჩანს, რომ რადგან ირანში გამგზავრება ჭინჭურდება. იქ გასაგზავნად შეუტრეხვიათ კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს მდივანი დე ბეზი, „რომელსაც უნარი შესწევდა კარგად წარემართა საქმე“<sup>33</sup>. ასეთი ყოფილა ელჩი დეზალორის აზრი. ამის შესახებ მიუწერიათ დე პონშარტრენისათვის. დე ბეზის კანდიდატურა მოუწონებია სულხან-საბას<sup>34</sup>, რომელსაც წერილი მოუწერია რიშარისათვის და უთხოვნია ხელი შეეწყოს ამ საკითხის დადებითად გადაჭრისათვის<sup>35</sup>.

სულხან-საბას ამ საკითხზე წერილი მიუწერია აგრეთვე დე პონშარტრენისათვის: „ეს მუსუ ბეზო (დე ბეზი. — ი. ტ.) ჭკვიანი კაცია, და ელჩიც (დეზალორი. — ი. ტ.) ამას არჩევს აჯამში (ირანში. — ი. ტ.) გაგზავნასა. აჯამის საქმე კარგად იცის“ — სწერდა სულხან-საბა დე პონშარტრენს<sup>36</sup>.

თვითონ სულხან-საბას მაღალ შეფასებას აძლევს ყველა, ვისაც კი მასთან ჰქონია ურთიერთობა. მაგალითად, დელა როკა სწერს რიშარს, რომ სულხან-საბა ორბელიანი ყოველგვარი მხარდაჭერის ღირსია: „ხსენებული ბატონი თავისი იშვიათი ღირსებით საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს“<sup>37</sup>.

თუ სამეფო კარზე, — სწერს დელა როკა რიშარს, — მიღებულია რაიმე გადაწყვეტილება საქართველოს მეფის მიმართ, მაცნობეთ, რათა დავამშვიდო ბატონი სულხან-საბა. ასევე მაცნობეთ, გადაწყდა თუ არა მისიონერების გაგზავნის საკითხი. კარგი იქნებოდა თუ ისინი ახლო მომავალში ჩამოვიდოდნენ [კონსტანტინოპოლში], რადგან ბატონ სულხან-საბას არ შეუძლია აქ დიდხანს გაჩერება მისი პირადი საქმე და საქართველოს დიდი საქმეები დაყინებით მოითხოვენ მის დაბრუნებას [საქართველოში]; იმის გამო, რომ სასწრაფოდ საჭიროა [საქართველოში] მისი ხელმძღვანელობა და რჩევა. მას რომ თავს არ ელოდოს მისიონერების ადგილზე მიყვანა იგი აქამდე უკვე გაემგზავრებოდა კიდევ კონსტანტინოპოლიდან საქართველოში<sup>38</sup>.

1715 წლის 7 აპრილს სულხან-საბა ორბელიანმა კვლავ წერილი მისწერა დე პონშარტრენს, რომელშიც ისევ ეხება საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, იესეს მმართველობას, ბაქარსა და იესეს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, საქართველოში მისი გამგზავრების აუცილებლობას და სხვ. მაგრამ იმეორებს, რომ ელოდება იმ დაპირებების შესრულებას, რომლებიც მას საფრანგეთის მეფემ მისცა: „ამ ამბების მომლოდინე ვარ, და მისიონერებისა. არცად მისიონარები გამოჩნდენ. ამ საქმემ დიად გამაღონა“<sup>39</sup>.

შემდეგ სულხან-საბა სწერს დე პონშარტრენს: „ვხატანგის შველის დრო ეს არის, თუ დიდს მეფეს ეპრიანება: ყიზილბაშნი ერთს პირზე არ დადგებიან. მუსუ რიშარც კარგა იცის: და, თუ მისი შველა გინდათ, მაღე უჯობს“<sup>40</sup>.

<sup>33</sup> Reverando Mio Signor Carissimo, 2 avril 1715. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4. ფ. 52.

<sup>34</sup> იქვე

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> M. Bosset, დასახ. ნაშრ. 447.

<sup>37</sup> Reverando Mio Signor Carissimo, 2 avril 1715. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4. ფ. 52.

<sup>38</sup> იქვე, ფ. 52 ბ.

<sup>39</sup> M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 447.

<sup>40</sup> იქვე.



და ბოლოს სულხან-საბა ჰაბიძის საფრანგეთის მინისტრს და სახელმწიფო მდივანს, რომ უმაღლეს აცნობებდა მას, თუ რაიმე ახალი საინტერესო ამბავი მოვიდოდა საქართველოდან.

1715 წლის 3 მაისს, ეან რიშარი დე პონშარტრენს სწერდა: „ბატონ ბონე-საგან გავიგე, რომ თქვენს დიდებულებას სიფრთხილით გადაუწყვეტია ჩემთან ერთად სამი მისიონერი გაგზავნოს. და გავიგე, რომ თქვენ განწყობილი ხართ, ეს მოაწყოთ, მე ვუთხარი მას კიდევ ერთხელ, რომ მზად ვარ“<sup>41</sup> [გასამგზავრებლად]. შემდეგ, რიშარი აღნიშნავს, რომ მისი თხოვნა დააკმაყოფილა საფრანგეთის მეფემ და რომ მას არაფერი უშლის ხელს გაემგზავროს. ეან რიშარს ნიადაგი მოუსინჯია სპარსეთის ელჩ მოჰამედ რეზა ბეგთანაც (ამ უკანასკნელის ისპაჰანში დაბრუნებამდე) რიშარის ირანში გამგზავრების შესაძლებლობის შესახებ. ახლა ყველაფერი დე პონშარტრენზე იყო დამოკიდებული. „ასე რომ, — სწერდა რიშარი დე პონშარტრენს, — ყველაფერი თქვენი დიდებულების ხელშია, ვინაიდან არავის არ შეუძლია თქვენზე უფრო სწრაფად იმოქმედოს ამ შემთხვევაში“<sup>42</sup>.

იმავე წლის 7 მაისს რიშარი სწერდა მინისტრსა და სახელმწიფო მდივანს: „თუ წმ. მამა ლე ტელიე, რომელმაც თქვენი დიდებულებისაგან კარგი რეკომენდაცია მიიღო ინებებს დაპირებისამებრ რაიმე გააკეთოს ჩემთვის, მე შევძლებ საქართველოს კონსულის ტიტულით არამარტო გავძლო ჩვენი მისიონერების დახმარების გარეშე, არამედ სხვა მისიონერებსაც დავეხმარო“<sup>43</sup>.

რაც შეეხება სულხან-საბას რიშარი სწერდა დე პონშარტრენს: „ბატონი სულხან-საბა, რომელიც მე [წერილებს] მწერს ჯერ მოუთმენლად ელოდება მისიონერებს სამეგრელოსათვის. ბატონი გრაფი დეზალორის მდივნის ბატონი დე ბუზისაგან გავიგე, რომ კონსტანტინოპოლში სამიშროება არც ისე დიდია“<sup>44</sup>.

იმავე წლის 21 მაისს რიშარი სწერდა მინისტრს: „ეს-ეს არის მივიღე წერილი ბატონი დომინიკოსაგან, რომელიც იმყოფება ბატონ სულხან-საბასთან. ის მწერს, რომ ეს ბერი (სულხან-საბა ი. ტ.) მოუთმენლად ელოდება სამეგრელოსათვის განკუთვნილ მისიონერებს. ის მაცნობებს, რომ მას (სულხან-საბას. — ი. ტ.) უნდა წინ გაგზავნოს ერთი ბერი, სახელად დავით მეგრელი, რომელიც ყოველთვის თან ახლდა და რომელიც იჩენს მისწრაფებას კათოლიკური სარწმუნოებისადმი, რათა მოამზადოს ყველაფერი სამეგრელოში. რაც შეეხება თვითონ მას (სულხან-საბას. — ი. ტ.) ის გაემგზავრება კონსტანტინოპოლიდან მხოლოდ იმისათვის, რათა გააცილოს მისიონერები. ასე რომ, თქვენი ბრწყინვალეობა ხედავს, რომ სამიშროება მათი გადასვლისათვის არც ისე დიდია“<sup>45</sup>.

რიშარი თხოვს პონშარტრენს, ამიერიდან არ გადასდონ ცხრა მისიონერის გაგზავნა საქართველოში, თუ საერთოდ სურთ მათი გაგზავნა. ამ წერილიდან, ჩანს, რომ რიშარი უნდა გამგზავრებულიყო საქართველოსა და ირანში მას შემ-

<sup>41</sup> 3 may 1715. M. l'Abbé Richard de Paris. Commerce de Levant. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 80.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 80—80 ბ.

<sup>43</sup> M. l'Abbé Richard. Commerce du Levant. Ce may 1715. Archives. Paris. „Perse“ ტ. 4, ფ. 106.

<sup>44</sup> იქვე, 106 ბ.

<sup>45</sup> 21 maj 1715 M. l'Abbé Richard. Commerce du Levant. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 91 ა—91 ბ.

დევ, როცა ირანის ელჩი მოჰამედ რეზა ბეგი დაამთავრებდა მოლაპარაკებებს პარიზში: „მე გავემგზავრები მხოლოდ მას შემდეგ, როცა დავინახავ, რომ ელჩის საქმეები დამთავრებულია“ — სწერდა იგი დე პონშარტრენს<sup>46</sup>.

სამი დღის შემდეგ — 24 მაისს, რომარი უკვე ითხოვს დე პონშარტრენისაგან მარსელში დაუყოვნებლივ წასვლის ნებართვას, საქართველოში გასამგზავრებელი ხომალდის საკითხის მოსაგვარებლად. ამ წერილს იგი ურთავს „მცირე მოხსენებით ბარათს“ იმის თაობაზე, თუ „საერთოდ რას აკეთებენ და რისი გაკეთება შეიძლება როგორც საქართველოში, ისე სპარსეთში“<sup>47</sup>.

იმავე 1715 წლის 24 მაისს დე ტორსის სახელზე გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს მდივანი დე ბეზი, თან დართული აქვს მოხსენებითი ბარათი. იგი შეეხება „სულხან-საბას, საქართველოს მეფის ბიძას, რომელიც ჯერ ისევ კონსტანტინოპოლშია, სადაც [საფრანგეთის] ელჩი იძულებულია უზრუნველჰყოს საზრდოთი ის, 12 მისიონერი და სხვები“<sup>48</sup>. აქ ლაპარაკია 12 იტალიელ კაპუჩინელ მისიონერზე, რომლებიც რომის პაპის განკარგულებით იტალიიდან ჩამოვიდნენ<sup>49</sup>.

„სხვათა შორის, თქვენო უმაღლესობავ, — სწერს დე ბეზი დე ტორსის — მე აქ<sup>50</sup> ვნახე ბატონი რომარი, რომელიც ემზადება გასამგზავრებლად მრავალი მისიონერით“<sup>51</sup>. საფრანგეთის მეფის განკარგულებით, ეს მისიონერები მომარაგებული ყოფილან იმგვარად, რომ არ დასჭირდებოდათ კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის თანხები. დე ბეზი ურჩევს დე ტორსის, რომ უმჯობესია რომარი და მისი თანამგზავრები საქართველოში სულხან-საბას შემდეგ ჩავიდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „წააწყდება დიდ სიძნელებებს, ისევე როგორც იტალიელი კაპუჩინები, თუმცა ამ უკანასკნელთა უკვე აქვთ მიჩენილი ადგილსამყოფელი ობილისში“<sup>52</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლში სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთის საელჩოს „საფრანგეთის სასახლეში“ ცხოვრობდა. მაგრამ ერთხელ მას უთხოვია ნებართვა საფრანგეთის ელჩისაგან „გაატაროს მარხვა კაპუჩინებთან, რომ იქ იყოს უფრო განმარტოვებული“<sup>53</sup>. იმავე წერილში ნათქვამია, რომ სულხან-საბა იქამდე აყოვნებს თავის გამგზავრებას საქართველოში, სანამ არ ჩამოვლენ [კონსტანტინოპოლში] ის მისიონერები, რომლებსაც (იგი) საფრანგეთიდან ელოდება“.

კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოდან პარიზში გაგზავნილი ერთერთი მოხსენებითი ბარათის ავტორის აზრით: „არსებობს სამი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის (სულხან-საბას. — ი. ტ.) მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მე, — წერს მოხსენებითი ბარათის ავტორი, — მას შევთავაზებ: გაემგზავ-

<sup>46</sup> 21 may 1715. M. l'Abbé Richard. Commerce du Levant. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 92.

<sup>47</sup> A Paris, ce 24 may 1715. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 94.

<sup>48</sup> Suite de la lettre du 8 avril. Le 24 may 1715. A M. le Marquis de Torcy Ministre et Secretaire d'Etat. Le Sr. de Bizy. Archives. Paris „Perse“, ტ. 4, ფ. 68ბ.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> ამ წერილიდან არ ჩანს, თუ სადაა ის დაწერილი.

<sup>51</sup> Archives. Paris. „Perse“. ტ. 4, ფ. 68ბ.

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> A la Suit du 8 avril 1715. 29 may, 3<sup>e</sup> Mémoire qu'il faut communiquer à M. le Marquis de Torcy. Sur Solkan Saba. Archives, Paris. „Turquie“, ტ. 55, ფ. 71.

როს თავის ქვეყანაში მცირერიცხოვანი თანმხლები პირებით. რათა მოაწყოს მისიონერები ჩანოსვლისთანავე.

პირველი — ეს არის დაბრება, როძელიც მან (სულხან-საბამ — ი. ტ.) მისცა საფრანგეთსა და რომში: დაელოდოს მისიონერებს კონსტანტინოპოლში და თვითონ წაიყვანოს ისინი საქართველოში.

მეორე: მას უძნელდება... დაბრუნდეს თავის ქვეყანაში (ისევე, როგორც იმ მხარეებში, რომლებიც მან გაიარა), სადაც იმედი მისცა, რომ ჩაიყვანდა ადამიანებს, რომლებსაც ეცოდინებოდათ სამედიცინო საქმე. ისინი ამ საბაბით შესარულებდნენ [საქართველოში] თავიანთ მისიონერულ მოვალეობას.

მესამე: ეს არის სიძნელე... დაბრუნდეს მანამ, სანამ მას აცნობებენ იმ ვითარების შესახებ, რომელიც შეიქმნება [საქართველოში] მისი დისწულის — მეფე ვახტანგის მეცვლით, რომელსაც [ვახტანგ VI-ს] სპარსეთის შაჰმა წაართვა საქართველოს ტახტი, რათა გადაეცა ის ზემოხსენებული ვახტანგის ერთ-ერთ გამაჰმადიანებული ძმისათვის<sup>54</sup>.

„ამ სამ მიზეზს. — აგრძელებს მოხსენებითი ბარათის ავტორი, — შეიძლება დამატებოდა სხვაც, რომელიც გათვალისწინებულია მის სიტყვებში — ეს არის შიში... [ქართლში] მმართველი მეფის წინაშე, რომელიც იცნობს მას, როგორც ტახტწართმეული ქრისტიანი მეფის მომხრეს“<sup>54</sup>.

„სულხან-საბას განზრახვები, — აგრძელებს მოხსენებითი ბარათის ავტორი, — იყო და არის კარგი და ღვთის მამებელი“. მაგრამ საჭიროა თუ არა გაიგზავნონ მისიონერები საქართველოში, სანამ არ ვართ დარწმუნებული, რომ ვახტანგი აღდგენილი იქნება ტახტზე... მისი ძმის, რომელიც ამჟამად მეფობს, ნებართვის გარეშე? — კითხულობს მოხსენებითი ბარათის ავტორი. მისი აზრით, სულხან-საბას, რომელიც ძლიერ ჰკვიანი პიროვნებაა და მეტად გამოცდილი თავის ქვეყნის საქმეში, შეუძლია სხვაზე უკეთ კავთვალისწინოს რამდენად სახიფათოა საქართველოში შესვლა მანამ, სანამ არ იქნება მიღებული ზოგიერთი საჭირო ზომა მისიების იქ დასაფუძნებლად. ავტორი მიუთითებს, რომ ამჟამად საქართველოში მეტად არაბელსაყრელი ვითარებაა მისიონერებისათვის.

„თუ სპარსეთის შაჰი საქართველოში ტახტზე მჯდომ მეფეს მისცემს მისიონერებისათვის საჭირო მითითებებს, მაშინ მათი იქ მოწყობა შეიძლება განხორციელდეს წარმატებით. თუ სპარსეთის შაჰთან ვაწარმოეთ მოლაპარაკება ვახტანგ მეფის [ტახტზე] აღდგენის შესახებ, საქმე გაგრძელდება დიდხანს, ზოლო ამ დროის განმავლობაში შეიძლება შეიქმნეს იმის საშიშროება“, რომ მისიონერები დაზარალდნენ საქართველოში და ვერ დაბინადნენ მათთვის განკუთვნილ ადგილებში<sup>55</sup>.

იმავე მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ კონსტანტინოპოლში „უკვე ჩამოვიდა ათი კაპუჩინი იმ რიცხვიდან, რომელიც განკუთვნილია საქართველოსათვის. ისინი პაპმა დაუყოვნებლივ გამოგზავნა სულხან-საბას განზრახვების შესასრულებლად“. მაგრამ ისინი მაშინვე არ გაუგზავნიათ კონსტანტინოპოლიდან საქართველოში, ვინაიდან „არ იცოდნენ რა ხდებოდა ამ ქვეყანაში...“ სამაგიეროდ „მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, რისი მიღებაც კი შეიძლება, მათი გამგზავრების უშიშროებისათვის“<sup>56</sup>.

<sup>54</sup> A la suit du 8 avril 1715. 29 may, 3<sup>e</sup> Mémoire qu'il faut communiquer à M. le Marquis de Torey. Sur Solkan Saba. Archives, Paris. „Turquie“, ტ. 55, ფ. 71—71ბ.

<sup>55</sup> Archives, Paris. „Turquie“, ტ. 55, ფ. 71 ბ.

<sup>56</sup> ი ქ ვ მ, ფ. 72.

1715 წლის 7 ივნისს საფრანგეთის ელჩი დეზალორი კონსტანტინოპოლიდან ატყობინებს პარიზს: „მე გამოვინახე საშუალება რვა დღის წინათ გამეგზავნა ხუთი მისიონერი კაპუჩინელი საქართველოში. ვიმედოვნებ რომ ამ ავანგარდს მიჰყვება მებრძოლი კორპუსი, რომლის მეთაური იქნება სულხან-საბა, რომელიც მხოლოდ ამისათვის ელოდება მისიონერების ჩამოსვლას, რომლებიც, როგორც ამბობენ, უნდა ჩამოვიდნენ საფრანგეთიდან და იტალიიდან“<sup>57</sup>.

იმავე წლის 6 ივლისს უან რიშარი ატყობინებს დე პონშარტრენს: „გუშინ შივიდე ამა წლის 16 მაისის წერილი ბატონი გრაფი დეზალორისაგან, რომელიც მაცნობებს, რომ ბატონი სულხან-საბა ჯერ ისევ მასთან იმყოფება და რომ მას არ შეუძლია გადაწყვიტოს გამგზავრება კონსტანტინოპოლიდან, სამეგრელოსათვის განკუთვნილი მისიონერების ჩამოსვლამდე“.

„ეს ლოდინი ცხადყოფს, რომ ამ მისიონერების [საქართველოში] გადასვლის საშიშროება არც ისე დიდია, როგორც ფიქრობდნენ და სასურველი იქნებოდა მათ ასე დიდხანს არ გადადონ გამგზავრება, იმიტომ, რომ ეს კეთილი ბერი (სულხან-საბა. — ი. ტ.) თუმცა საჭიროა საქართველოში, უკვე ხუთი თვეა მხოლოდ მათ გამო იმყოფება კონსტანტინოპოლში“<sup>58</sup>.

რიშარი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დე პონშარტრენმა მხარი დაუჭირა მას, როცა საქართველოში საფრანგეთის კონსულის თანამდებობა ითხოვა.

3 აგვისტოს რიშარი სწერს მინისტრს: „საქართველოს მეფე, ამ კეთილი ბერის (რომელიც თქვენმა ბრწყინვალემა ნახა) დისწული, ისევ ისპაჰანშია... ალი ყული ხანი მის მაგივრად მმართველობს საქართველოში, თუმცა მაჰმადიანია და უკანონო“<sup>59</sup>.

18 აგვისტოს რიშარი ატყობინებს დე პონშარტრენს ირანიდან მიღებულ წერილების შინაარსს და შენიშნავს, რომ „საქართველოს მეფე ვახტანგი ისევ ისპაჰანშია და მაჰმადიანი ალი ყული ხანი მეფობს მის ნაცვლად. ვახტანგის „საწყალი ოჯახი კი იძულებულია თავი შეაფაროს კავკასიის მთებში“<sup>60</sup>.

20 აგვისტოს რიშარი აცნობებს დე პონშარტრენს, რომ გარდა გამგზავრების შესახებ ბრძანებისა საჭიროა ფულიც. ამ წერილში იგი ისევ ხაზს უსვამს იმ გარემოებას თუ რა მნიშვნელობა აქვს მისთვის საქართველოში საფრანგეთის კონსულის მოწმობას, კეთილი საქმეების გასაკეთებლად, როგორც მისიონერებისათვის, ისე ფრანგი ვაჭრებისათვის<sup>61</sup>.

11 სექტემბერს ელჩი დეზალორი ატყობინებს პარიზში: „სულხან საბა მოუთმენლად ელოდება მისიონერებს, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა დაბრუნდეს მათთან ერთად თავის ქვეყანაში, საიდანაც ის არღებულობს არავითარ ცნობებს ისევე, როგორც მე, ...აი უკვე დიდი ხანია, რაც არ მოდის იმ მხარიდან ქარავანი. ხსენებულმა სულხან-საბამ გადმომცა, რომ მას არა აქვს ტანისამოსი და მთხოვს მივსცე რაიმე ჩასაცმელი თვითონ მას და იმ პირებს, რომლებ-

<sup>57</sup> A Constantinople, le 7 Juin 1715. M. Desajjeurs. Archives. Paris. „Turquie“, ტ. 55, ფ. 87 ბ—88.

<sup>58</sup> A Paris, 6 Juillet 1715. Commerce du Lovant. Archives. Paris „Perse“, ტ. 4, ფ. 124.

<sup>59</sup> A Paris, 3 aout 1715. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 124 ბ.

<sup>60</sup> 18 aout 1715. M. l'Abbé Richard. Commerce du Levant. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 270.

<sup>61</sup> 20 aout 1715. Archives. Paris. „Perse“, ტ. 4, ფ. 277.

ბიც. მასთან არიან. მან ასევე მაგრძობინა, რომ როცა ჩაჯდება ხომალდში, მივ-  
ცე იმდენი [ფული], რომ შესძლოს დაბრუნება“ საქართველოში<sup>62</sup>.

ერთ-ერთ უთაროდო დოკუმენტში, რომელიც შედგენილია რიშარის ხე-  
ლით, ჩამოთვლილია ის წერილები და საბუთები, რომლებითაც აღჭურვილი  
ყოფილა საქართველოსა და ირანში გასამგზავრებლად მომზადებული რიშარი:

1. საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის წერილი ვახტანგისადმი;

2. სხვა წერილები ირანის შაჰის კარისადმი;

3. საქართველოსა და მისი მეზობელი მხარეების საფრანგეთის კონსულის  
რწმუნების სიგელი;

4. ინსტრუქციები და განკარგულებები, რომელთა შესრულება რიშარს მო-  
უხდება.

5. სარეკომენდაციო წერილები ელჩ დეზალორისადმი.

და ბოლოს, რიშარი დასძენს: „რამდენადაც მე უკვე მიცნობენ საქართვე-  
ლოში, როგორც ადამიანს, რომელიც სარგებლობს ზოგიერთი პატივისცემით  
სპარსეთის კარზე, შესაძლებლობა მექნება დავეხმარო ჩვენს სოვდაგრებს: იმა-  
ვე დროს ვიმუშაო ხუთ ან ექვს მისიონერთან, რომლებსაც უფრო გვიან შეუძ-  
ლიათ შემომეშველონ კერბაყვანისმცემელთა მოქცევაში, რომლებიც ცხოვ-  
რობენ ამ ქვეყნის [საქართველოს] ჩრდილოეთით.“<sup>63</sup>.

ყველა განკარგულება გაცემული იყო. საფრანგეთის მეფემ „გამოყო 7 ათა-  
სი ლივრი წლიურად ამ კეთილი საქმის მხარდასაჭერად. ბატონი ბონე, ალბათ,  
აღფრთოვანებულია იმით, რომ მიეცა შესაძლებლობა გააფართოვოს ამ გზით  
კომპანია და გამოიყენოს მისი მონაწილეები სამოციქულო ფუნქციების შესას-  
რულებლად უფრო შორეულ ქვეყანაშიც კი. მან მამინვე დანიშნა პირები, რომ-  
ლებიც უნდა გაემგზავრონ სამეგრელოში, გამოიძახა რომიდან ბატონი გრიუერი;  
გაგზავნა პარიზიდან მისიის ხუთი თუ ექვსი სხვა მონაწილე; უმრავლესობა ამათ-  
გან ახალგაზრდა ბერებია. გარდა ბატონი ალენისა, რომელიც უნდა ყოფილიყო  
წინამძღვარი. ბატონი ალენი გაემგზავრა მარსელს, სადაც ჩამოვიდა რომიდან  
ბატონი დე გრიუერი. დანარჩენები გაჩერდნენ ლიონში.

მაგრამ აქ გაიგეს ორი არასასიამოვნო ამბავი, რომელთა შედეგად დაიკარ-  
გა ამ მისიის ყველა შესანიშნავი იმედი. პირველი, საფრანგეთის ელჩმა კონს-  
ტანტინოპოლში ბატონმა მარკიზ დე ბონაკმა (რომელმაც შესცვალა გრაფი დე-  
ზალორი. — ი. ტ.) გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ სულთანი არ გაატარებ-  
და მისიონერებს ევროპიდან და, მეორე, კიდევ უფრო სამწუხარო, მეფე ლუი  
XIV-ის გარდაცვალება, რაც მოხდა 1715 წლის 1 სექტემბერს.

სწორედ ამ დიდ ხელმწიფეს... უნდოდა განეხორციელებინა ეს დიდი ჩანა-  
ფიქრი, და ის მონახავდა საშუალებას აქმულებინა დათანხმებულყო ამაზე  
სულთანი. თანხა, რომელიც მან (საფრანგეთის მეფემ. — ი. ტ.) გამოჰყო, შეჩე-  
რებული იქნა: სახსრების უქონლობის გამო შეუძლებელი გახდა ამ მგზავრობის  
განხორციელება“<sup>64</sup>.

ბატონი ბონე წერდა 1716 წლის 1 იანვარს: „მეფის სიკვდილმა გადადო  
ან სულ მოსპო სამეგრელოს მისიის პროექტი“<sup>65</sup>.

<sup>62</sup> A Constantinople, le 11 septembre 1715. Archives. Paris. „Turquie“, ტ. 55, ფ. 170.

<sup>63</sup> იქვე, ფ. 81—81 ბ.

<sup>64</sup> Annales de la Congrégation de la Mission. Paris. 1902 გვ. 592.

<sup>65</sup> იქვე.

ლუი XIV-ის გარდაცვალების შემდეგ საფრანგეთში ხელმძღვანელობაჲ ჩამოსცილდნენ გრაფი დე პონზარტრენი, მარკიზ დე ტორსი, გრაფი დეზალორი და სხვ., რომლებთანაც პირადი ურთიერთობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანს. საფრანგეთის ელჩებს და წარმომადგენლებს დაეგზავნათ ახალი ინსტრუქციები და მითითებები.

ყოველივე ამის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის ლოდინს კონსტანტინოპოლში აზრი არ ჰქონდა. 1716 წლის 13 მაისს სულხან-საბა და დავით მეგრელი საქართველოში გამოემგზავრნენ<sup>66</sup>.



---

<sup>66</sup> ი. ტაბაღულა, ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები, გვ. 159.

რეზიუმე კონკრეტული

„ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაბრძნლების  
წყაროების საკითხისათვის

ვახტანგ VI-ის თაოსნობით საქართველოში ფართოდ გაშლილი კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქციის შექმნა, მისი შეესება-გაგრძელება. „ქართული ფეოდალური კულტურის დიდი მოამაგე ვახტანგ VI თანაბრად ზრუნავდა სახარებაზე, „ვეფხისტყაოსანზე“ და „ქართლის ცხოვრებაზე“. საღმრთო წერილის ბეჭდვა, „ქართლის ცხოვრების“ რედაქცია-გაგრძელება და „ვეფხისტყაოსნის“ „საღმრთოდ“ თარგმნა ქართული ეროვნული კულტურის ამ სამი სვეტის შემადგრება-შემტკიცების ცდა იყო“<sup>1</sup>.

გონიერ სახელმწიფო მოღვაწესა და მწიგნობარს ვახტანგ VI-ს კარგად ესმოდა საკუთარი ქვეყნის წარსულის შესწავლის მნიშვნელობა ეროვნული გრძნობის გაღრმავება-განმტკიცებისათვის და საისტორიო წყაროების როლი ამ დიდ სამამულიშილო საქმეში. ამიტომ მან იმთავითვე სათანადო ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „უამთა ვითარებისა-გან „ქართლის ცხოვრება“ განაწყვილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე უამთა ვითარებისაგან არღარა წერებულყო“<sup>2</sup>. ვახტანგმა შეეკრიბა „მეცნიერნი კაცნი“ და დაავალა მათ როგორც „ქართლის ცხოვრების“ არსებული ტექსტის შეესება-გამართვა, ისე მომდევნო ხანის ისტორიის აღწერაც. „აქედან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ დროს ისტორიოგრაფიას, როგორც იდეოლოგიურ იარაღს“<sup>3</sup>.

კომისიის წევრებმა დიდი მუშაობა გასწიეს და, „რომელი განაწყვილ იყო, განმართეს“<sup>4</sup>. გარდა ამისა, მათ მოიძიეს ბევრი ქართული და უცხოური წყარო, გაითვალისწინეს მომხდარი ამბების თვალთ მხახველთა და მონაწილეთა მონათხრობი და შექმნეს XIV—XVII სს. საქართველოს ისტორიის შემცველი თხზულება, რომელსაც მოგვიანებით, ბეჭდურ გამოცემებში. „ახალი ქართლის ცხოვრება“ ეწოდა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, შესავალი წერილი კრებულისა „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1966, გვ. 8.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, დასაბამითაჲ მეთატყარამეტე საუქუნემდის, I, მ. ბროსეს გამოც., სპბ., 1849, გვ. 15.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითადი ხაზი, თბ., 1964, გვ. 7.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, დასაბამითაჲ მეთატყარამეტე საუქუნემდის, I, გვ. 8.

<sup>5</sup> ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჭავჭავაძის შვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940; ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 326—442.

როგორც ცნობილია, მეცნიერმა ბატონიშვილმა ვახუშტიმ მრავალი შეუ-  
საბამობა და ფაქტიური შეცდომა ნახა კომისიის ნაშრომში და, ვინაიდან ამ  
თხზულებას იმდროინდელ საქართველოში ვახტანგის სახელს უკავშირებდნენ.  
საქვეყნოდ გამოაცხადა: „თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით  
არღარა განუხილავს ვითარება მისიო“<sup>6</sup>. ვახუშტის აუცილებლად მიუჩნევია  
ახლად შეედგინა XIV—XVIII სს. საქართველოს ისტორია, რომელშიც სცადა  
გაეწაფებინა კომისიის წევრთა მიერ დაშვებული შეცდომები<sup>7</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების შევსება-გადაკეთების საქმეში ვა-  
ხუშტის მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. იმავე XVIII საუკუნეში შეიქმნა კიდევ  
რამდენიმე გადაკეთებული გაგრძელება „ქართლის ცხოვრებისა“<sup>8</sup>. ამ გაგრძე-  
ლებათაგან ჩვენ ამჟამად გვინტერესებს ის საისტორიო ნაშრომები, რომელ-  
შიც 1454—1605 წწ. ისტორია არის გადმოცემული (დასაწყისი: „ქორონიკონ-  
სა რ<sup>მ</sup>შ: დაჟდა მეფედ ძე გიორგისა ბაგრატ...“). ივ. ჯავახიშვილს ეს თხზუ-  
ლება „ქართლის ცხოვრების“ მეორე გადაკეთებულ გაგრძელებად მიაჩნდა<sup>9</sup>,  
ხოლო ს. ყაუხჩიშვილმა 1959 წლის გამოცემაში მას პირობითად „ახალი ქარ-  
თლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი უწოდა<sup>10</sup>.

მართალია, ჯერ კიდევ თანამედროვეებმა აღნიშნეს ვახტანგის კომისიის  
ნაშრომის ბევრი ნაკლი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ საერ-  
თოდ ყველაფერი დასაწუნებელი იყო. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „სწავლულ“  
ავტორების სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მათ, როგორც ეტყობა, უმთავრესი  
საისტორიო თხზულებები, საქართველოს წარსულის დამსურათებელნი, რო-  
გორც ადგილობრივი, ისე სპარსული, სომხური და ბერძნულიც, შეუკრებიან,  
ამასთანავე უსარგებლიათ ქორონიკონებითაც. ორსავე შემთხვევაში მომავალ  
მკვლევართ გზა გაუკაფეს და თითქმის მთელი მასალა შეუგროვეს“<sup>11</sup>. ს. ყაუხ-  
ჩიშვილის აზრით, „რომ იქ ბევრი რამ კარგად იყო აღწერილი, იმით მტკიცდებ-  
და, რომ თვით ვახუშტიც იმეორებს იმავე ცნობებს, რომლებიც ბერი ეგნატა-  
შვილის ნაშრომში მოიპოვება“<sup>12</sup>. ამიტომაც იყო, რომ „ქართლის ცხოვრების“

<sup>6</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, უწყებულება მკითხველთა-თს, ქართლის ცხოვრება, და-  
საბამითან მეთატყრაშეცე საუკუნემდის, II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854, გვ. 2.

<sup>7</sup> „ხოლო ჩვენი შრომა ესე ამის-თს იყო, ვინად-გან მეფის ვახტანგის სახელით აღწერათ  
და ვიხილეთ ესე-ოდენი წინა-აღმდგენი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორენით და განვაპართ-  
ლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ კსთჳუს მხილველ-მან ამის-მან შეუტაცება  
რამე“ (იქვე, გვ. 10).

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ.  
352—361; ქ. ბრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 305 შმდ.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 352. „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე  
წიგნში ივ. ჯავახიშვილი აერთიანებს პირველ („დაჟდა მეფე ადარნასე...“) და მეორე გადაკეთე-  
ბულ გაგრძელებებს და „ქართლის ცხოვრების“ პირველ შეესებულ-გადაკეთებულ გაგრძელებას  
უწოდებს მას, ხოლო მეორე გაგრძელებად ე. წ. „პარიზის ქრონიკა“ მიაჩნია.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 024. 477—540. ეს არის რიგით მესამე გამოცემა გადა-  
კეთებული გაგრძელებისა. პირველად იგი დაისტამბა ბროსე-ჩუბინაშვილის გამოცემაში  
(ქართლის ცხოვრება, დასაბამითან მეთატყრაშეცე საუკუნემდის, I, გვ. 476—477; II, გვ.  
259—306), ხოლო მეორედ ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ და-  
მატების სახით (ქართლის ცხოვრება, მარიამ ღედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილი-  
ლის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 892—972).

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

<sup>12</sup> ს. ყაუხჩიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომის შედგენილობა, ქართლის  
ცხოვრება, II, გვ. 037.



გაგრძელების გადამკეთებელს კომისიის ნაშრომი აუღია საფუძვლად<sup>13</sup> და ზოგიერთი ადგილი თითქმის სიტყვასიტყვით გადაუღია<sup>14</sup>. მაგრამ ამასთან ერთად, ანონიმ ავტორს უფრო სრულად გამოუყენებია კომისიის წევრთათვის ცნობილი წყაროები, ახალი წყაროებიც მოუშველებია და იქიდან ამოკრებილი მასალით შეუვსია და განუფრცია თხრობა.

ამჯერად ჩვენ მიზნად არა გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებისა და გადაკეთებული გაგრძელების (ან, სხვაგვარი ტერმინოლოგიით, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე. წ. პირველი და მესამე ტექსტების, A<sub>1</sub>-სა და A<sub>2</sub>-ის) დეტალური შეჩერება (ასეთი სამუშაოს ჩატარება უთუოდ საყურადღებო მასალას შესძენს ქართულს წყაროთმცოდნეობას „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებელთა მუშაობის მეთოდის შესასწავლად და მათ მიერ გამოყენებული წყაროების გამოსავლენად). წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ჩართულ რამდენიმე ცნობას აყყოთნულს ანუ თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს (1468—1501) მბრძანებლების უზუნ-ჰასანისა (ჰასან-ბეგის) და იაყუბის შესახებ.

„მეცნიერნი კაცნი“ მოგვითხრობენ, რომ საქართველოში შემოსევის შემდეგ უზუნ-ჰასანს „შეედვა... სენი სასიკუდინე“, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ „იბრიანა ღმერთმან და მოკუდა ყაენი“<sup>15</sup>. ამავე წყაროს ცნობით, „მას უკანის დაჯდა ყაენად ასანბეგის შვილი იაღუბეგ“<sup>16</sup>. ასეთივე ცნობები მოეპოვება ვახუშტისაც<sup>17</sup>.

ამგვარად, ვახტანგის კომისიას უზუნ-ჰასანის საქართველოში მხოლოდ ერთი შემოსევა აქვს მოხსენიებული და ისიც უთარილოდ<sup>18</sup>. უზუნ-ჰასანის შემდეგ ამ თხზულებაში აყყოთნულს სახელმწიფოს მბრძანებლად დასახელებულია იაყუბი.

ცნობები უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევათა შესახებ მოიპოვება როგორც აღმოსავლურ, ისე ევროპულ წყაროებში. ამ წყაროთა მონაცემებით დასტურდება თურქმანთა სამი ლაშქრობა ჩვენს ქვეყანაში<sup>19</sup>. აღსანიშნავია, რომ გადაკეთებულ გაგრძელებაშიც სწორედ სამი შემოსევა იხსენიება. მართა-

<sup>13</sup> ე. თაყაიშვილს პირველი და მეორე გადაკეთებული გაგრძელებაც ვახტანგისგულად მიანდა. იგი ვარაუდობდა, რომ მხოლოდ აქა-იქ იყო ტექსტი გადაკეთებული ვახუშტის მიითითებით (E- T a k a y š v i l i, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, вып. I, 1906, გვ. 132); ივ. ჯავახიშვილის აზრით კი, „აქ თავითგან ბოლომდე ყველაფერი ხელმეორედ არის გადაკეთებული“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 352).

ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომ „ქართლის ცხოვრების“ გადამკეთებელს საფუძვლად ჰქონდა აღებული ვახტანგისეული კომისიის მიერ შედგენილი ისტორია XIV—XVII საუკუნეებისა (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 028).

<sup>14</sup> რამდენიმე საამისო პარალელური წყვილი იხ. ს. ყაუხჩიშვილის დასახ. ნაშრომში, გვ. 028—030.

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 341.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> ვახუშტიც მოკლედ აღნიშნავს, რომ „შეედვა სენი სასიკუდინო უზუნ-ასანს“, და შემდგომად „მცირედისა მოკუდა უზუნ-ასან და დაჯდა მის წილ ასან-ბეგის ძე იაყუბ ყაენად“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთატყრაშეცხე საუკუნემდის, II, გვ. 12).

<sup>18</sup> ვახუშტიც ერთ შემოსევას იხსენიებს და 1488 წლით ათარიღებს ამ ამბავს (იქვე).

<sup>19</sup> რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, VII, 1964, გვ. 118—122.

ლია, ქრონოლოგია ამ შემოსევებისა (1456, 1462 და 1476 წწ.) არ არის ზუსტი და ზოგჯერ მოვლენათა თანამიმდევრობაც დარღვეული ჩანს<sup>20</sup>, მაგრამ მაინც „მეცნიერ კაცთა“ ნაშრომთან შედარებით უფრო ვრცელი მასალაა მოტანილი. აქვე ავტორს ჩართული აქვს ცნობა აწყურის ღვთისმშობლის ხატის თურქმანთაგან დატყვევებისა და გატაცების შესახებ<sup>21</sup> და მხოლოდ ამის შემდეგ იხსენიება უზუნ-ჰასანის ავად გახდომა და სიკვდილი: „იბრანა ღმერთმან და იწყინება ამოწყუტა საქრისტიანოსა. შეედვა ყაენსა სენი სასიკუდინე, ქმნა ღმერთმან და მოკუდა ყაენი უზუნ-ასან და მიიღო პატრონობა ძემან მისმან სულთანმან. და ძმა მისი იალუბ ეშურებოდა მიღებად პატრონობასა“<sup>22</sup>.

როგორც უკვე ვნახეთ, „მეცნიერ კაცთა“ კომისიას და ვახუშტის იაყუბო მიაჩნიათ უზუნ-ჰასანის მომდევნო ფადიმაჰად, გადაკეთებული გაგრძელების ავტორი კი ასახელებს უზუნ-ჰასანის ვაჟს სულთანს, რომელსაც მიაივებ ძმა იაყუბო ეცილებოდა ტახტს. რომელია ამ ორი ცნობიდან მართალი?

იაყუბის მეფობის ისტორიისათვის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს ფადლაჰ იბნ რუზბეჰანის „თარხ-ე ალამ-არა-იე ამინი“, რომელიც XV საუკუნის 90-იან წლებშია შედგენილი ირანში. ავტორი ოთხ წელიწადზე მეტ ხანს იმყოფებოდა სულთან იაყუბის კარზე და თვითმხილველია მის მიერ აღწერილი ბევრი ამბისა<sup>23</sup>. ფადლაჰას აღნიშნული აქვს, რომ უზუნ-ჰასანს გარდაცვალების შემდეგ (1478 წ.) ხუთი ვაჟი დარჩა: სულთან ხალილი, ყიას ედდინ მაყსუდი, იაყუბი, იუსუფ-ბაჰადური და მასიჰ-მირზა. უზუნ-ჰასანს სიცოცხლეშივე მესამე ვაჟი იაყუბი დაუნიშნავს ტახტის მემკვიდრედ, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ სულთან ხალილმა მოაკვლევინა მაყსუდი და მიიტაცა ტახტი<sup>24</sup>.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებლის მიერ დამატებით შეტანილი ცნობა სულთან ხალილის გამეფების შესახებ ზუსტია და სხვა წყაროებითაც დასტურდება.

არა ნაკლებ საყურადღებოა გადამკეთებლის მიერ ჩართული ცნობები კონსტანტინესა და ყვარყვარე ათაბაგის ძის მზეჭაბუკის თეთრბატნიან თურქმანთა სასახლის კარზე ყოფნის შესახებ. სულთან ხალილი და „მკითხველნი სჯულისანი თათრისანი“ გამუსლიმანებას სთავაზობდნენ მათ, მაგრამ აღმოსავლური ენების კარგი მცოდნე და მუსლიმანურ ღვთისმეტყველებაში განსწავლული მზეჭაბუკი მათივე წიგნებით ებაეჭებოდა თურმე და ამარცხებდა კიდევ მათ, ხოლო როდესაც მორკინლობაზე მიდგა საქმე, ერთი თურქმანი გმირი, რომელიც „ჰმატდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყრთა ერთ, ანუ უფ-

<sup>20</sup> მაგალითად, ცნობილია, რომ უკანასკნელი შემოსევის დროს (1477 წ.) თურქმანებმა თბილისი და გორი აიღეს, ჩვენს წყაროში კი სამცხის დარბევანზე საუბარი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 478).

<sup>21</sup> „იყარა ყაენი და წარვიდა საყაენოსა თქსსა და ტყუე ჰყვეს ხატი აწყურისა ღმრთისმშობელი, და წარიყვანეს ქუეყანასა მათსა. და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მიუთხოვრებელი სრულად მესხთა ზედა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 479).

<sup>22</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 479.

<sup>23</sup> იბნ რუზბეჰანის და მისი თხზულების შესახებ დაწვრ. იხ. V. Minorsky, Persia in A. D. 1478—1490. An abridged translation of Fadlullah b. Ruzbihan Khunji's Tarikh-i 'Alam-ara-yi Amini, London, 1957, გვ. 5—17; რ. კიკნაძე, ფადლაჰ იბნ რუზბეჰანის „თარხე ალამ-არაიე ამინი“, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962.

<sup>24</sup> თარხ-ე ამინი, გვ. 25; რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 282.

როსცა“, „აღიყვანა და უბატოდ მიწასა ზედა დასცა“. მალე სულთან ხალილ-მა შეიწყალა და საქართველოში გამოისტუმრა კონსტანტინე და მზეკაბუკი<sup>25</sup>.

სულთან ხალილმა მხოლოდ ნახევარ წელს გასძლო ტახტზე. მასა და იაყუბს შორის გაიმართა სასტიკი ბრძოლა ტახტისათვის. ბაიანდურისა და მოვსილუს ტომთა ლაშქრის დახმარებით იაყუბმა ხოისთან დაამარცხა ხალილი, რომელიც ამ ბრძოლაში მოიკლა<sup>26</sup>. აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს ტახტი იაყუბმა დაიკავა იმავე 1478 წელს<sup>27</sup>. გადაკეთებული გაგრძელების ავტორმა ეს ამბავიც იცის: „მას უკანის მძლე ექნა სულტანსა იაღუბ, დაიპყრა პატრონობა განზრახვითა ეშმაკისათა“<sup>28</sup>.

მეფე ბაგრატის გარდაცვალების ამბის თხრობაში გადამკეთებელი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს „მეცნიერ კაცთა“ ნაშრომს:

A<sub>1</sub>

ამას შინა გამოხდა ხანი და სოფელ-მან თჳსი ბეგარა არ დაიკლო და მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭას, იყო გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა. აღიღეს და დამარხეს გელათს, მათსა სამარხოსა შიგან.

(ქართლის ცხოვრება, II, გვ. 342).

ტექსტის მსგავსება აქ (ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც) იმდენად აშკარაა, რომ, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს არა საერთო წყაროს გამოყენებასთან, არამედ მზა ტექსტის პირდაპირ გადმოწერასთან.

ამის შემდეგ გადამკეთებელს კვლავ საყურადღებო კორექტივი შეაქვს კომისიის ნაშრომის ცნობაში:

A<sub>1</sub>

ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა ბაგრატისა დაჯდა მის წილად ძე მისი კონსტანტინე, ქრისტეს აქათ ჩუდა... და მეფობდა მეფობითა კეთილითა, და არღარა იყო წყენა თათართაგან. მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი, აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილობდეს კახნიცა. არა სადა იყო წყენა ქრისტიანეთა; იყო მოსუენება და დაწყენარება.

(ქართლის ცხოვრება, II, გვ. 343).

როგორც ვხედავთ, ტექსტის დიდ მსგავსებასთან ერთად აქ პრინციპული ხასიათის განსხვავებასაც აქვს ადგილი. კომისიის ნაშრომში კონსტანტინე ბაგრატის ძედ არის გამოცხადებული, ხოლო გადამკეთებელს იგი ალექსანდრე I-ის შვილიშვილად, დიმიტრის ძედ მიაჩნია. ამას გარდა, ეს ორი წყარო კონსტანტინეს გამეფების სხვადასხვა თარიღებს იძლევა.

A<sub>3</sub>

ამას შიგან გამოხდა ხანი და სოფელმან მისი ბეგარა არ დაიკლო. მიიცვალა მეფე ბაგრატ რაჭასა, და იყო დიდი გლოვა და მწუხარება სამეფოსა ზედა; აღიღეს და დამარხეს გელათს, მათსა სამარხოსა შიგან.

(ქართლის ცხოვრება, II, გვ. 480).

A<sub>3</sub>

ქორონიკონსა რაგ: დაჯდა მეფედ ალექსანდრე მეფის ძის დიმიტრის შვილი კონსტანტინე და მეფობდა კეთილითა მეფობითა: არღარა იყო წყენა თათართაგან; მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი და აფხაზნი. მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა; არა სადა იყო წყენა ქრისტიანეთა; იყო მოსუენება და დაწყენარება.

(ქართლის ცხოვრება, II, გვ. 480).

<sup>25</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 479.

<sup>26</sup> თარხ-ე ამინი, გვ. 32—37.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 38.

<sup>28</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 479.

აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ჯანაშვილისეულ ნუსხაში კონსტანტინეს სახელის გასწვრივ არშიაზე გაკეთებულია შენიშვნა: „ეს გიორგი მეფის ძე იყო და არა ბაგრატისი“. კ. გრიგოლიას აზრით, ამ შენიშვნის ავტორი (ისევე როგორც ხელნაწერში არსებული სხვა კრიტიკული შენიშვნები-საც) „უფრო ვახუშტის სამეცნიერო სკოლასთან ახლომდგომი პიროვნება უნდა იყოს“<sup>29</sup>. მართლაც, ვახუშტი ბაგრატიონი „უწყებულებაში მკითხველთათვის“ აღნიშნავს: „არამედ ესე მეფე კონსტანტინე არს ძე გიორგი მეფისა და მამა დავით მეფისა და გიორგისა“<sup>30</sup>, ხოლო კონსტანტინეს ტახტზე ასვლის ამბავს რომ მოგვეთხრობს, ვახუშტი წერს: „ქს ჩუჲა, ქრ. რწხ. ინდიკტიონსა ბ. შემდგომად მეფისა გიორგისა დაჰდა ძე მისი კონსტანტინე“<sup>31</sup>.

ამგვარად, წყაროებში კონსტანტინეს მამისშვილობისა და გამეფების თარიღის სამი სხვადასხვა ვერსია გვხვდება (ბაგრატის ძე, გიორგის ძე, დიმიტრის ძე; 1461, 1469, 1478 წ.წ.)<sup>32</sup>. ივ. ჯავახიშვილმა კონსტანტინეს მიერ გაცემული სიგელ-გუჯარებისა და სხვა დამატებითი მასალის შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებელს ამ შემთხვევაშიც სწორი ცნობები აქვს მოტანილი: კონსტანტინე ალექსანდრე I-ის ვაჟის დიმიტრის ძე იყო და 1478 წელს დაიკავა ტახტი“<sup>33</sup>.

შემდეგ გადამკეთებელი კვლავ უბრუნდება თურქმანთა მიერ გატაცებული აწყურის ღვთისმშობლის ხატის თავგადასავალს და ვრცლად გადმოგვცემს მისი სასწაულმოქმედებისა და კვლავ სამცხეში დაბრუნების ამბავს<sup>34</sup>.

იაცუბის სამცხეში ლაშქრობა და ახალციხისა და აწყურის აღება<sup>35</sup> გადამკეთებელს კომისიის ნაშრომის მიხედვით აქვს აღწერილი, მაგრამ ამჯერადაც საინტერესო დეტალებით ავსებს თხრობას და, რაც მთავარია, თარიღებსაც აღნიშნავს<sup>36</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებოა, ჩვენი აზრით, გადამკეთებლის მიერ დამატებით მოტანილი ცნობები თურქმანთაგან აწყურის ციხის აღების შესახებ.

„მეცნიერ კაცთა“ ნაშრომში ეს ამბავი მოკლედ არის გადმოცემული: „და მერმე აიყარნეს და მოადგნენ ციხესა და ქალაქსა აწყურისასა. ეზრახნეს ცი-

<sup>29</sup> კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 146.

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, დასაბამითაჲნ მეთოცხრამეტე საუკუნემდის, II, გვ. 7.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>32</sup> ასეთივე თარიღი მოიპოვება „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთ გადამკეთებულ გაგრძელებაში, რომელსაც „ცხოვრებამა საქართველომასა“ ან, პირობითად, „პარიზის ქრონიკა“ ეწოდება: „ქკსა რჲგ დაჰდა მეფეთ კონსტანტილუ“ (ცხოვრებამა საქართველომასა, მ. ბროსეს გამოც., პარიზი, 1834, გვ. 3).

<sup>33</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 127—130.

<sup>34</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 480—481.

<sup>35</sup> ვახუშტის ცნობით, თურქმანებს ამ ლაშქრობის დროს ჯერ ახალქალაქი აუღიათ, ხოლო შემდეგ ახალციხე და აწყური: „ხოლო წელსა ქს ჩუპე, ქრ. როდ მოვიდა იაცუბ ყენი, გამოვლო აბოცი და მოადგა ახალ-ქალაქს და აოხრებდა გარემოთა ჭვეყანათა მოწყვეტითა და ტყვე-ყოფითა: ამან მანუჩარ კერ წინ-აღუდგა და ვერღა-რასმე ავნებდა სპათა მისთა. გარნა მცდელობდა მიგრებასა ციხე-ჭვეყანისასა. არამედ ყენმან მცირეს ხანსა შინა შემუსრა ახალ-ქალაქი და გამოიყვანა მუნით მესხნი წარჩინებულნი და ტყვენი მრავალნი მუნ-ყოფნი სრულიად. მერმე მოსწვა ქალაქი და მუნდ-გან მოადგა ახალ-ციხეს“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამითაჲნ მეთოცხრამეტე საუკუნემდის, II, გვ. 156). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფაღალაჲ იბნ რუზუხპანიც არ იხსენიებს ახალქალაქის აღებას.

<sup>36</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 482—484.

ხოვანთა და უქადეს მშვიდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა, ამას ზედა გამოვიდნენ და მიენდენენ“<sup>37</sup>.

გადამკეთებელი იმეორებს კომისიის ნაშრომის პირველ ფრაზას („მერმე აიყარნეს და მოადგეს ციხესა და ქალაქსა აწყურისასა“<sup>38</sup>) და უმატებს: „და მოწუეს აწყურისა და მოაოკრეს ქალაქი, და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წარსვლა ინებეს“<sup>39</sup>. ვახუშტის სიტყვით, „მაშინ მოქალაქეთა ვერარისა შემწისა მპოველთა ითხოვეს ზავი ყეენისა-გან, რათა არა ტყვე-ჰყვეს და არცა შემუსროს ეკლესია, მისცენ ქალაქი ყეენსა“<sup>40</sup>. გადამკეთებელს კი კვლავ „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ფრაზა გამოუყენებია უცვლელად (და, ჩვენი აზრით, არასწორად): „მაშინ ეზრახნეს ციხოვანთა და უქადეს მშვიდობა და არა-დაქცევა საყდრისა და ციხისა. ამას ზედა გამოენდენეს“<sup>41</sup>.

ამრიგად, ჩვენი ავტორი ერთგვარ წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მხრით იგი აღნიშნავს, თურქმანებმა ციხის ბრძოლით აღება ვერ შესძლეს და წასვლა დააპირესო, მეორე მხრით კი, უმატებს, მომხდურნი მეციხოვნეებს შეუთანხმდნენ და უვნებლობა აღუთქვესო. ჩვენი აზრით, ცნობათა ასეთი შეუთანხმებლობა გადამკეთებლის უყურადღებობით უნდა იყოს გამოწვეული. მან უცვლელად გადმოიტანა კომისიის ნაშრომიდან გამზადებული ფრაზა და ანგარიში აღარ გაუწია, რომ ეს ფრაზა ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე ჩამატებულ ცნობას. ჩვენს ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს გადამკეთებლის მიერ ჩართული შემდგომი თხრობაც: იგი აღნიშნავს, რომ „შესცთენ მცველნი იგი ციხისანი და მაწყურელი და მას თანა სხუანიცა ჩინებულნი განიზრახნეს, აღიხუნეს კლიტენი ციხისანი და თჳნიერ თხოვნისა და ბრძოლისა უღმრთოსა მას მთავარს მიართვეს“<sup>42</sup>. როგორც ვხედავთ, ამჯერად გადამკეთებელი სავსებით ეთანხმება ვახუშტის და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეციხოვნეებმა „თჳნიერ თხოვნისა“ ჩააბარეს აწყურის ციხე მტერს. ვახტანგის კომისიისა და ვახუშტისაგან განსხვავებით გადამკეთებელს მოეპოვება აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ მაწყურელი ეპისკოპოსიც აწყურში იმყოფებოდა თურქმანთა შემოსევის დროს და სწორედ მან გადასცა ციხე მტერს.

ცნობები თეთრბატკნიან თურქმანთა სამცხეში ლაშქრობის შესახებ სპარსულ წყაროებშიც მოიპოვება. კერძოდ, ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანი დაწვრილებით აღწერს აწყურის (ან, როგორც ის უწოდებს, „ხათუნის“) ციხის აღებას. ირანელი ავტორის სიტყვით, ეს ციხე ისეთი მტკიცე ყოფილა, რომ მანამდე ვერც ერთ ხელმწიფეს ვერ მოეხერხებინა მისი აღება. ამ ციხეს ქართველ დედოფალთა განძის შესანახად იყენებდნენ თურმე. კერძოდ, იმ დროს ყვარყვარე ათაბაგის მეუღლის ქონება და ძვირფასეულობა ყოფილა აწყურში დაცული. ფადლალაჰის ცნობით, ციხეში მყოფმა მთავარმა მღვდელმა (ტექსტშია — „ყადი“), იმ უშვინდურთა შეიხმა და მოძღვარმა, კაცი გამოუგზავნა იაყუბს და უვნებლობა ითხოვა იმ პირობით, რომ ციხესაც და მთელ ქონებასაც ჩააბარებდა.

<sup>37</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 343.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 482.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> ქართლის ცხოვრება, დასაბამოთაგან მეთატრამეტე საუქუნემდის, II, გვ. 156.

<sup>41</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 482.

<sup>42</sup> იქვე (ხაზგასმა ჩვენი).

მეორე დღეს იგი გამოვიდა ციხიდან, იაყუბს ეახლა და მორჩილება განუცხადა<sup>43</sup>.

ასეთივე ცნობა მოეპოვება XVI ს-ის ავტორს ჰასან რუმელუსაც, რომელიც ამ შემთხვევაში იბნ რუზბეჰანის თხზულებით უნდა სარგებლობდეს<sup>44</sup>. ჰასან რუმელუ შედარებით უფრო მოკლედ გადმოგვცემს თურქმანთა მიერ აწყურის ციხის აღებას. იგი მოგვითხრობს: „უავგუსტოესი დრომები აწყურის ციხისაკენ<sup>45</sup> გაემართნენ. მაშინ ყვარყვარეს დედამ, რომელიც ამ ციხე-სიმაგრეში იყო, ერთი მღვდელი<sup>46</sup> გამოგზავნა იაყუბ ფადიშაჰთან და უვნებლობა ითხოვა. ხელმწიფემ აღარ დასაჯა ისინი, ციხის ქონება კი აიღო“<sup>47</sup>.

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ცნობები უფრო ეთანხმება იბნ რუზბეჰანის ცნობებს, ჰასან რუმელუს თხრობა კი რამდენადმე განსხვავდება მათგან (ეს უკანასკნელი ყვარყვარეს დედას იხსენიებს, ფადლაჰი და გადამკეთებელი კი მაწყვერელ ეპისკოპოსს). ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გადამკეთებლის მიერ დამატებით მოტანილი ცნობები მაწყვერელი ეპისკოპოსის გამცემლობის შესახებ სავსებით დასტურდება სპარსული წყაროებითაც.

ამ შემოსევის დროს თურქმანებმა მეორედ ჩაიგდეს ხელი აწყურის ხატი, რომელიც ყვარყვარე ათაბაგის ბრძანებით, აწყურის ციხეში „საჭურჭლესა შინა“ იყო დაცული. იაყუბს ძლიერ გაუკვირდა თურმე „შემკობილება ხატისა მის და პატიოსნება თულათა“: მან საკუთარი ხელით „განძარცუა შემკობილება ხატისა“, შემდეგ კი ცეცხლში ჩააგდებინა იგი<sup>48</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გადამკეთებლის მიხედვით, იაყუბის ამ შემოსევის დროს სამცხის ათაბაგად ყვარყვარე ყოფილა. სპარსული წყაროებიც ყვარყვარეს (قرقره) ასახელებენ, ხოლო ვახუშტის აზრით, შემოსევა მანუჩარის ათაბაგობაში მომხდარა<sup>49</sup>. ამჟამად ჩვენს ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ დადასტურებულია, რომ ამ შემთხვევაში გადამკეთებლის ცნობა უფრო ზუსტია<sup>50</sup>, ხოლო მანუჩარი (იგი ყვარყვარე II-ის მეექვსე შვილი იყო) საერთოდ არც ყოფილა ათაბაგად<sup>51</sup>.

ასე თანდათანობით, უხმაუროდ ასწორებს და სასარგებლო ცნობებით ავსებს უცნობი გადამკეთებელი ვახტანგის კომისიის ნაშრომს. რა თქმა უნდა, მის მიერ დამატებით მოტანილი ყველა ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს და

<sup>43</sup> თარხი-ე ამინი, გვ. 52; რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 125.

<sup>44</sup> რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 126, შენ. 71.

<sup>45</sup> იბნ რუზბეჰანის მსგავსად ჰასან რუმელუც „ხათუნის ციხეს“ იხსენიებს (قلعه خاتون).

<sup>46</sup> სპარსულ ტექსტშია—„ქეშიში“ (کشیش).

<sup>47</sup> ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურაძემ, 1966, გვ. 18 (შდრ. სპარსული ტექსტი, გვ. 7).

<sup>48</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 482; შემდეგ მოთხრობილია ვინმე „არამართლმადიდებელი ქრისტიანის“ მიერ ხატის გადარჩენისა და წაღების, და ბოლოს, კვლავ სასწაულებრივად დაბრუნების ამბავი (იქვე, გვ. 482—483).

<sup>49</sup> ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთოცხრამეტე საუკუნემდის, II, გვ. 155—156.

<sup>50</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 147; ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 133—136.

<sup>51</sup> ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

თანაბრად მისაღები არ არის თანამედროვე მკვლევრისათვის<sup>52</sup>. მაგრამ როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიერ დამატებით მოტანილი მასალა სხვა წყაროებითაც დასტურდება, დიდ ნდობას მისახურებს და შეიძლება გამოყენებულ იქნას ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად.

დასასრულს, შეგვხვებით „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადაწყვეტილების მიერ ჩართულ კიდევ ერთ ცნობას, რომელსაც, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების დასადგენად. გადაწყვეტილებელი აღნიშნავს, რომ აწყურის ღვთისმშობლის ხატის ხელმეორედ სამცხეს დაბრუნების შემდეგ „მიავილია ყოვლად-წმიდამან დედოფალმან რისხვა საშინელი სახლსა ზედა იაღუბისასა, და ნათესავსა მისსა, და ყოველსა გუარსა მისსა. და მცირესა ჟამსა სრულიად დაემკუტნეს და მოიხპუნეს და აღოჯრდეს. რამეთუ იაღუბს უღმრთოსა ესევეთარი სიკუდილი ეუფლა, რომლითა გელითა იკადრა წმიდისა ამის ხატისა მახვლისა შეხება, მითვე ხელითა განზავა სასმელი მკუდინებელი, რეცა-თუ კეთილ-საგონებელ უჩნდა შეცთომილსა მსჯავრთა მით საღმრთოთა, და შესუა მან, და მიუძღუნა მისგან დედასა თვისსა და ძმასა; და მიიღეს მათცა, რამეთუ არა ეგებოდა ურჩება მათგან. და ვითარცა სუეს, ერთბაშად მოსწყდეს ერთსა შინა ჟამსა სიკუდილითა საღმრთობიერითა. და მათთანა სხუანიცა მთავარნი და წარჩინებულნი სახლისა მათისანი მოიხრნეს, რომელნიმე მახვლითა და სხუანი სიკუდილითა უცნაურითა. და მიერიტგან სრულიად დაემხუა მთავრობა მათი, უკეთუ ცოდვითა ჩუენთა სამხილებლად მიშუებითა ღმრთისათა მოივლინეს და სახლი ღმრთისა და წმიდანი სამსახურებელნი დათრგუნნეს. არამედ ყოვლად-წმიდამან ღვთისმშობელმან შეურაცხება ხატისა თვისისა არა თავს-იდვა და ესევეთარი რისხვა მიუვლინა, ვითარმედ ნათესავი მათი ეიდრე დღეს-აქამომდეცა არღარა სადა იპოვების“<sup>53</sup>.

მსგავსი ცნობა არ მოიპოვება არც კომისიის ნაშრომში და არც ვახუშტის თხზულებაში.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა ქართული თუ უცხოური წყაროების საკითხს ბევრი მკვლევარი შეხებია და არა ერთი საგულისხმო მოსახრებაც არის გამოთქმული<sup>54</sup>. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური (კერძოდ,

<sup>52</sup> მაგ. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ არადეთის ბრძოლის ამბავი გადაკეთებულ გაგრძელებაში უზუნ-მასანის მიერ აწყურის ხატის უკან დაბრუნებასთან არის დაკავშირებული და „სასწაულებრივ-საარაკო ცნობებით არის უხვად შემკული“. „შეგვ.-გადაკ. გაგრძელების მოთხრობა ისე უხვად არის დაუჯერებელი ამბებით შემკული, რომ თანამედროვე მკითხველს უფრო არაყად ან თქმულებად ეჩვენება, ვიდრე ისტორიული მოვლენის აღწერილობად“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 138, 139). სხვა ადგილას ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ რამდენადაც აწყურის ხატის დაბრუნების ამბავი ვახუშტის მარტივად და ბუნებრივად აქვს მოთხრობილი, იმდენად სასწაულებრივი ბურუსით აქვს მოცული „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადაწყვეტილებს (იქვე, გვ. 147).

<sup>53</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 486.

<sup>54</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 320—327, 353—361; ს. კაკაბაძე, თარსიდან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, II, ტვ., 1925, გვ. 206—208; კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 268—270, 308; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 26—28; ს. ყაუხჩიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომის შედგენილობა, გვ. 037—038; დ. კაციტაძე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 160—165; დ. კაცი-

სპარსული) წყაროების ძიების დროს მკვლევართ ძირითადად თემურ-ლენგის შემოსევების აღწერა ანდა XVI—XVII საუკუნეთა ამბები აინტერესებდათ, ხოლო საკუთრივ XV საუკუნის ისტორიის უცხოური წყაროების საკითხი ყურადღების გარეშე რჩებოდა.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ XVII—XVIII საუკუნეთა ქართველი ისტორიკოსები უპირატესად უცხოურ წყაროებს იყენებდნენ<sup>55</sup>. საფიქრებელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადაწყვეტელსაც უცხოური წყაროდან ამოეკრიბა მასალა თეთრბატკიან თურქმანთა დინასტიის შესახებ.

ცნობები იაყუბისა და მისი მახლობლების უეცარი სიკვდილის შესახებ მოიპოვება სპარსულ, სომხურ და იტალიურ წყაროებში. განვიხილოთ ცალცალკე ამ თხზულებათა მონაცემები.

ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანი, რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს იაყუბის მეფობის ამბებს, ჟამიანობის რამდენიმე შემთხვევას ახსენებს აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს დედაქალაქ თავრიზში (1488, 1490 წწ.), რასაც დიდი სიკვდილიანობა გამოუწვევია<sup>56</sup>.

იბნ რუზბეჰანის სიტყვით, 1490 წლის ზაფხული იაყუბმა უჯანში გაატარა, სადაც აღადგენინა ყაზან-ხანის დროინდელი ციხე-სიმაგრე, რომელიც ჟამთა ვითარებისაგან დანგრეულიყო<sup>57</sup>. ცოტათი რომ აგრილდა, მან გადაწყვიტა ზამთარი თავრიზში გაეტარებინა, მაგრამ შაჰზადეები და დედა ყარაბაღს წასვლას ურჩევდნენ. ამ დროს ხმა დაიჩხა, ჭირის ებიდემიამ ისევ იფეთქაო თავრიზის მიდამოებში. ამბის შესატყობად გაიგზავნა იაყუბის ძმა იუსუფი. მან დაადგინა, რომ თითქოს მხოლოდ ერთი შემთხვევა ყოფილიყო დაავადებისა თავრიზის მახლობელ სოფელში, საიდანაც მოსახლეობა ბაღებში გახიზნულიყო. გულდამშვიდებული უფლისწული უკან გამობრუნდა, მაგრამ გზაში შეიტყო, რომ რამდენიმე წვრილი მოხელე ემსხვერპლა ჟამიანობას. ამის გამო იაყუბმა შესცვალა თავისი გეგმა და იუსუფი და დედამისი სასწრაფოდ ყარაბაღს გაემგზავრნენ. მალე სულთანიც იქ მივიდა. ყარაბაღში იმ ზაფხულს ძლიერი გვალვა ყოფილიყო, რამაც, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო მძიმე სენის გავრცელებას. საზამთრო სადგომის მოსამზადებლად გაგზავნილი მუშები ზედიზედ იხოცებოდნენ. ბოლოს დედოფალიც ავად გახდა და გარდაიცვალა 895 წლის ზულ-ჰიჯას თვის მეორე ნახევარში (1490 წ. ნოემბერი). ცოტა ხნის შემდეგ იუსუფსაც მოერია სენი, ხოლო 896 წლის საფარის თვის 11-ს (1490 წ. 24 დეკემბერს) იაყუბიც გარდაიცვალა<sup>58</sup>.

დაახლოებით ასეთსავე ცნობებს გვაწვდის XVI საუკუნის ირანელი ავტორი აჰმედ იბნ მოჰამედ ალ-ყაფარი ალ-ყაზვინი. ისტორიკოსის მამა, მოჰამედ ყაფარი რეის ყადი ყოფილა, ხოლო თვითონ აჰმედი ყაზვინის ყადი იყო. მან

ტაძე, ფ. გორგჯანიძის თხზულების და ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა XVI—XVII საუკუნეების სპარსული წყაროები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1960, № 2, გვ. 132—144; დ. კაციტაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ XVII საუკუნის ქართული წყაროები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, VI, 2, თბ., 1962, გვ. 105—121.

<sup>55</sup> ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 27.

<sup>56</sup> თარხ-ე ამინი, გვ. 87, 107—108.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 99—100.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 107—111.



1552 წელს შეადგინა და შაჰ-თამაზ I-ს მიუძღვნა ისტორიული ანეგდოტების კრებული — „ნეგარესთანი“ („სტრათების ვალერია“). მეორე მისი ნაწარმოებია, რომელიც აგრეთვე შაჰ-თამაზს მიუძღვნა, არის მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულება — *خاستان جهان آرا* („ნოსახ-ე ჯაჰან-არა“ — „ქვეყნის შემამკობლის ნუსხები“)<sup>59</sup>. მისი წერა ავტორს 972 (1564/5) წელს დაუმთავრებია. „ჯაჰან-არა“ სამი „ნუსხისაგან“ შედგება, რომელთაგან, პირველში მოთხრობილია წინასწარმეტყველთა, მოჰამედისა და თორმეტი იმამის ამბები, მეორეში — ისლამის პერიოდის დინასტიების ისტორია, ხოლო მესამე ნუსხა მთლიანად დათმობილი აქვს სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიას (1565 წლამდე)<sup>60</sup>.

„ჯაჰან-არას“ მეორე ნუსხის ბოლო თავში აჰმედ ყაფარი გადმოგვცემს აყყოთნულს დინასტიის ფაღვანების ისტორიას და იაყუბის გარდაცვალებასაც ეხება. იგი აღნიშნავს, რომ იაყუბის ურდო ზამთრის გასატარებლად სულთანბუღს (ყარაბაღში) დადგა. მოულოდნელად სულთნის დედა ავად გახდა და გარდაიცვალა [8]95 წლის ზულ-ჰიჯას თვის 28-ში (1490 წ. 5 ნოემბერს). იუსუფი და იაყუბიც შეუძლოდ ყოფილან უკვე, ამიტომ მათ დაუმალეს ეს ამბავი. მალე იუსუფიც მომკვდარა (896 წ. მოჰარამის 10-ში — 1490 წ. 23 ნოემბერს). მისი სიკვდილიც არ გააგებინეს იაყუბს, რადგან იგი დღითიდღე უარესად ხდებოდა. ბოლოს, 1490 წლის 24 დეკემბერს, მწუხრის უამს, იაყუბიც გარდაიცვალა<sup>61</sup>.

ამგვარად, იბნ რუზბეჰანის და ყადი აჰმედ ყაფარის ცნობით, იაყუბი და მისი მახლობლები ავადმყოფობით დახოცილან. ხონდემირი, იაჰია ყაზვინი (XVI ს.) და ოსმალო ისტორიკოსი მუნეჯიმ-ბაში (XVII ს.) მხოლოდ აღნიშნავენ იაყუბის სიკვდილის ფაქტს, მიზეზს კი საერთოდ არ ასახელებენ<sup>62</sup>.

ვ. მინორსკის სიტყვით, პირველი ისტორიკოსი, ვისაც მოეპოვება ცნობა იაყუბის მოწამლის შესახებ, არის XVI საუკუნის ავტორი მოსლეჰ ედ-დინ ალ-ლარი ალ-ანსარი. იგი დაიბადა სპარსეთის ყურის ჩრდილო ნაპირზე მდებარე ოლქის ლარისთანის მთავარ ქალაქ ლარში. განათლება, როგორც ჩანს, მიიღო თავრიზში მირ ყიას ედ-დინ შირაზისა და მირ ქემალ ედ-დინ ჰოსეინის ხელმძღვანელობით. შემდეგ მოსლეჰ ედ-დინი ინდოეთში წავიდა, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს დიდ მოღოლთა სახელმწიფოს მბრძანებლის ჰომაიუნის (1530—1556) კარზე. ჰომაიუნის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში დაწყებული არეულობის გამო იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ინდოეთი; ჯერ მექა მოინახულა, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლს ეწვია. აქ მას, როგორც ჩანს, სათანადო პატივისცემით არ შეხვდნენ, გასამრჯელოც იცოტავა და გადასახლდა დიარბექრში, ამიღში, სადაც ისქანდერ ფაშამ თავისი შვილების მასწავლებლად მიიწვია, მერე კი ხოსროვ ფაშას მედრესეს მუდარისადაც დანიშ-

<sup>59</sup> თხზულება არ არის გამოცემული. სსრ კავშირის წიგნსაცავებში მისი ხელნაწერები არ მოიპოვება. „ჯაჰან-არას“ ხელნაწერთა შესახებ იხ. Ch. Storey, Persian literature, a bibliographical survey, sect. II, fasc. 1, London, 1935, გვ. 116.

<sup>60</sup> „ჯაჰან-არას“ შინაარსის შესახებ დაწერილებით იხ. Ch. Rieu, Catalogue of the Persian manuscripts in British Museum, I, London, 1879, გვ. 111—115.

<sup>61</sup> აჰმედ ყაფარი, ნოსახ-ე ჯაჰან-არა, ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი, Or. 141, ფ. 193ა (ამ ხელნაწერის მიკროფილმი ბრიტანეთის მუზეუმიდან ინგლისელი ჭარბველოლოგის დავით ლანგის შემწეობით მივიღეთ, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვასხენებთ).

<sup>62</sup> V. Minorsky, Persia in A. D. 1478—1490, გვ. 128.

ნეს. სამოც წელს გადაცილებული მოსლევ ედ-დინი ამიღში გარდაიცვალა 979 წ. ზულ-ჰიჯას თვეში (1572 წ. აპრილი-მაისი)<sup>63</sup>.

მოსლევ ედ-დინ ლარი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო. მას დაწერილი აქვს ბევრი განმარტება და კომენტარი ასტრონომიულ ტრაქტატებზე. საღვთისმეტყველო თხზულებებზე და მუსლიმანური სამართლის ძეგლებზე. მასვე ეკუთვნის მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოები — *مرآة الادوار و مرآة الاخبار* („მირათ ალ-ადვარ ვა მირკათ ალ-ახბარ“ — „ეპოქების სარკე და ამბავთა კიბე“)<sup>64</sup>. თხზულება შესავლის („მოყადამე“) და ათი კარისაგან („ბაბ“) შედგება. მეცხრე კარში მოთხრობილია თეთრბატნიან თურქმანთა სახელმწიფოს ისტორია.

ქვემოთ მოგვყავს სპარსული ტექსტი (ლენინგრადული ხელნაწერების მიხედვით) და ქართული თარგმანი მოსლევ ედ-დინის ცნობისა იაყუბისა და მისი მახლობლების მოწამლვის შესახებ<sup>65</sup>.

آخر بنا بر آنکه<sup>66</sup> مادرش میل به<sup>67</sup>  
پسر خود خورد<sup>68</sup> یوسف بیگ<sup>67</sup> داشت  
جهت وی طعامی مسموم کرد<sup>69</sup> و چون  
آن طعام حاضر گردانید سلطان مادر و  
برادر<sup>70</sup> چشاند همه<sup>71</sup> از آن خوردند  
و روح به قابض ارواح سپردند\* ای برادر  
مادر دهر ار خورد خونت مرنج\* چون  
ترا خون برادر همچو شیر مادر است\*  
تابوت ایشانرا در يك روز بر آوردند

ბოლოს, იმის გამო, რომ დედა-  
მისს უმცროსი შვილი იუსუფ-ბეგი  
უნდოდა [ხელმწიფედ], საჭმელი მო-  
უწამლა [იაყუბს]. როდესაც ის საჭ-  
მელი მოამზადა, სულთანმა დედის  
და ძმას გაასინჯვინა. ყველამ იგემა  
და სული სიკვდილის ანგელოზს მია-  
ბარეს.

ჰე, ძმაო, თუ საწუთროს დედამ შენი  
სისხლი დალია, ნუ გეწყინება,  
რადგან თვითონ შენთვის ძმის სისხლი  
დედის რძესავით ტკბილია.

სამივეს კუბო ერთ დღეს გაასვენ-  
ნეს.

მოსლევ ედ-დინ ლარის თხზულება თურქულად თარგმნა და შეავსო სა'დ ედ-დინმა, რომელსაც იაყუბის დედის მიერ მოწამლვის ამბავიც უცვლელად გადაუტანია თარგმანში<sup>72</sup>.

<sup>63</sup> Ch. Rieu, Catalogue of the Persian manuscripts in British Museum, I, გვ. 116; Ch. Storey, Persian literature, a bio-bibliographical survey, sect. II, fasc. 1, გვ. 116—117.

<sup>64</sup> თხზულება არ არის გამოცემული. ხელნაწერთა შესახებ იხ. Ch. Storey, დასახ. ნაშრომი, გვ. 117. ორი ხელნაწერი არის აგრეთვე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში. Персидские и таджикские рукописи Института народов Азии АН СССР (Краткий алфавитный каталог), часть 1, М., 1964, გვ. 539, № 3996, 3997.

<sup>65</sup> სსრკ მეცნ. აკად. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწ. В 662, ფ. 211 ა; С 427, ფ. 238 ბ.

<sup>66</sup> С 427: بنابران که

<sup>67</sup> С 427-ში გამოტოვებულია.

<sup>68</sup> В 662: خرد

<sup>69</sup> С 427: ساخت

<sup>70</sup> С 427 უმატებს: از آن

<sup>71</sup> В 662: هم

<sup>72</sup> V. Minorsky, Persia in A. D. 1478—1490, გვ. 128.

XVII ს-ის სომეხ ისტორიკოსებს არაქელ დავრეჟაციისა და ზაქარია სარკავაგს სრულიად განსხვავებული ცნობები მოეპოვებათ ამავე საკითხზე. კერძოდ, არაქელი მოგვითხრობს, რომ იაყუბის დამ, რომელიც არდებილის შეიხის ჰეიდარის ცოლი იყო, ქმართან ერთად გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა იაყუბი, რათა ტახტი ჰეიდარს დაემკვიდრებინა. მათ ლზინში მიიწვიეს იაყუბი და მოწამლული კერძი მიართვეს. სულთანმა რალაც იეჭვა და, თვითონ რომ შეჭამა, დასა და სიძესაც დააძალა. მათაც გასინჯეს და სამივე ერთდროულად დაიხოცა<sup>73</sup>.

თითქმის ზუსტად ასეთსავე ვერსიას იმეორებს ზაქარია სარკავაგიც, ოღონდ უმატებს, იაყუბს მემკვიდრე არა ჰყავდა, რომ მის შემდეგ ტახტი დაეკავებინა, ამიტომაც გადაწყვიტეს მისი მოკვლა<sup>74</sup>.

ამ შემთხვევაში სომხური წყაროების ცნობები ნდობას არ იმსახურებს, რადგან, მართალია, იაყუბის და ცოლად ჰყავდა არდებილის შეიხს<sup>75</sup>, მაგრამ ჰეიდარი ჯერ კიდევ 1488 წლის ივლისში დაიღუპა თეთრბატანიან თურქმანთა და იაყუბის სიმამრის შირვანშაჰ ფაროხ ისარის გაერთიანებულ ლაშქართან ბრძოლაში<sup>76</sup>. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იაყუბი არ ყოფილა უშვილო. მისი ორი ვაჟი — ბაისონყორი და მურადი, ერთ ხანს სულთნებადაც იყვნენ მამას სიკვდილის შემდეგ.

XV—XVI სს. იტალიელი ელჩებისა და მოგზაურთა თხზულებებში კიდევ ერთი განსხვავებული ვერსია გვხვდება

კატერინო ზენო მოკლედ იტყობინება, იაყუბი (Giacuppo) მოიკლა მისი ცოლის ხრიკების წყალობით, რომელიც კარგი საქციელის ქალი არ იყო<sup>77</sup>.

ანჯოლელოსა და XVI საუკუნის ანონიმურ ვაჭარს უფრო ვრცელი აღწერილობა მოეპოვებათ ამ ამბისა. მათი ცნობით, იაყუბის ცოლი, ერთ-ერთი ირანელი წარჩინებულის ასული, ავბორცი დედაცაი ყოფილა. იგი სასახლის ერთ დიდებულს გაუმიჯნურდა თურმე და გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ქმარი, რათა შემდეგ შეყვარებულს გაჰყოლოდა ცოლად და, როგორც სულთნის ახლო ნათესავი, ტახტზეც დაესვა იგი. როდესაც ქმარი თავის რვა-ცხრა წლის შვილთან ერთად აბანოში შევიდა, ცოლმა, რაკი იცოდა მისი ჩვეულება, რომ აბანონის შემდეგ რამე უნდა დაეღია, საწამლავი შეუმზადა. აბანოდან გამოსული იაყუბი რომ პარამხანაში შევიდა, ცოლი წინ შეეგება მოწამლული ღვინით სავსე ოქროს თასით. იმისათვის რომ დაეფარა ბოროტი განზრახვა, იგი ჩვეულებრივზე უფრო ალერსიანად შეხვდა ქმარს, მაგრამ ისეთი ფერწასული იყო, რომ იაყუბს ეჭვი გაუჩნდა. მან უბრძანა ცოლს, რომ თვითონ გაესინჯა სასმელი. თავზარდაცემული ქალი იძულებული გახდა, ცოტა მოესვა. დანარჩენი იაყუბმა და

<sup>73</sup> Livre d'histoires par vartabied Arakel de Tauriz. M. Brosset, Collection d'historiens Arméniens, I, SPb., 1874, გვ. 542.

<sup>74</sup> Mémoires historiques sur les sofis par le diacre Zakaria, Collection d'historiens Arméniens, II, SPb., 1876, გვ. 5.

<sup>75</sup> ამას ფარსადან გორგიჯანიძეც აღნიშნავს: უზუნ-ჰასანმა „თავისი ქალი თავის ყმას შეიხს სედის ნათესავს სულთან ჰაიდ[ა]რს მისცა და დიდი პატივნი მი[ა]პყრა“. (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., „საისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1925, გვ. 210).

<sup>76</sup> თარხი-ე ამინი, გვ. 81; ჰასან რუმლუ, აჰსან ათ-თავარის, ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, დორნის კატალოგი № 287, ფ. 156 ა.

<sup>77</sup> Caterino Zeno, Travels in Persia. A narrative of Italian travels in Persia in the XV and XVI centuries. Transl. by Ch. Grey, London, 1849, გვ. 43.

მისმა ვაჟმა დალიეს. საწამლავი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ შუღამისას სამივე დაიხოცა<sup>78</sup>.

ამგვარად, XV—XVII საუკუნეთა წყაროებში იაყუბისა და მისი ოჯახის წევრთა მოწამლვის სამი სხვადასხვა ვერსია გვხვდება: სპარსული წყარო სულთნის მოწამლვას დედამისს მიაწერს, სომხური წყაროები — დასა და სიძეს, ხოლო იტალიური წყაროები — ცოლს.

სომეხ და იტალიელ ავტორთა მონათხრობი იმდენად განსხვავდება „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ცნობებიდან, რომ ქართველი ავტორის მიერ ამ წყაროების გამოყენება სავსებით გამორიცხული ჩანს. სამაგიეროდ, მოსლევ ედ-დინ ლარისა და გადამკეთებლის ნაამბობში, როგორც დავრწმუნდით, ბევრი რამ არის საერთო, თუმცა კი ზოგიერთი სხვაობა აქაც შეინიშნება. ეს განსხვავება, ჩვენი აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ ქართველმა ავტორმა წყაროში ამოკითხული ამბავი თავისებურად, თავისი მიზნის შესაფერისად გადააკეთა და ისე შეიტანა თავის თხზულებაში. რამდენადაც იგი ყოველნაირად ცდილობს აწყურის ღვთისმშობლის ხატის განდიდებას, იაყუბისა და მისი სახლეულის უეცარი დახოცვაც ამ ხატის სასწაულმოქმედებას დაუკავშირა. როგორც ჩანს, დედის მიერ შვილის მოწამლვა საკმაოდ ეფექტური არ ეჩვენა გადაკეთებელს; ამიტომ, მან საკუთარი ხელით შეაზავებინა საწამლავი იაყუბს.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ყველა წყაროში აღნიშნულია, რომ იაყუბმა ეჭვი აიღო და თავის მომწამლველსაც გაასინჯა საწამლავი. ქართველი ავტორიც აღნიშნავს, რომ „მიუძღუნა მისგან დედასა თჳსსა და ძმასა; და მიიღეს მათცა; და შესუეს, რამეთუ არა ეგებოდა ურჩება მათგან“.

თუ პირველ შემთხვევაში (უცხოური წყაროების მიხედვით) სავსებით გასაგები იყო, რატომ შესთავაზა იაყუბმა დედას (დას, ცოლს) მოწამლული სასმელი (ან საჭმელი) და რატომ ვერ გაბედა მან უარის თქმა, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებულ გაგრძელებაში ამას არავითარი გამართლება არა აქვს. ჩვენი აზრით, ცნობათა ასეთი შეუთანხმებლობა ადასტურებს იმას, რომ ქართველ ავტორს სწორედ მოსლევ ედ-დინის მიერ მოყვანილი ვერსია უნდა ჰქონდეს გამოყენებული, ოღონდ თავისებურად, რამდენადმე უყურადღებოდ გადაუკეთებია იგი.

იაყუბის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო გაუთავებელი ბრძოლა ხელისუფლებისათვის უზუნ-ჰასანის ნაშიერთა შორის. მომთაბარე ფეოდალთა ძლიერ დაჯგუფებებს ზედიზედ აჰყავდათ ტახტზე სხვადასხვა პრეტენდენტები, რათა მათი სახელით თვითონ განეგოთ ქვეყანა. ამ ბრძოლას შეეწირა სულთნის ოჯახის ბევრი წარმომადგენელი<sup>79</sup> და კიდევ უფრო მეტი დიდი თუ მცირე ფეოდალი.

<sup>78</sup> Giovan Maria Angiolello, A short narrative of the life and acts of king Ussun Cassano. A narrative of Italian travels in Persia, გვ. 98—99; The travels of a merchant in Persia, იქვე, გვ. 183—184. ჩვენი აზრით, იტალიელი ავტორების ცნობა იაყუბთან ერთად მისი რვა-ცხრა წლის ვაჟის მოწამლვის შესახებ ზუსტი არ უნდა იყოს. საქმე ის არის, რომ იაყუბის უფროსი ვაჟი ბაისონყორი 1481 წელს დაიბადა და 1490 წელს სწორედ ცხრა წლისა ივნებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ბაისონყორი სულთანად იყო ორი წლის განმავლობაში (1490—1492).

<sup>79</sup> წყაროების მონაცემების მიხედვით, 1490—1501 წწ. ხელისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირნენ იაყუბის ძმა მასიპ-მირზა, მისი შვილები ბაისონყორი და მურადი და მისივე ძმისწულები ალი, მაჰმუდი, როსთემი, აჰმედი, ალვანდი და მოჰამედი (დაწვრ. იხ. აჰმედ ყაფარი, ნოსახე-

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადამკეთებელს არც ეს მოვლენები გამოჰპარვია. „და მათ თანა სხუანიცა მთავარნი და წარჩინებულნი სახლისა მათისანი მოისრნეს, რომელნიმე მახვლითა და სხუანი სიკუდილითა უცნაურითა“<sup>80</sup>. — აღნიშნავს ქართველი ავტორი და იქვე დასძენს: „ყოვლად-წმიდამან ღვთისმშობელმან შეურაცხება ხატისა თჳსისა არა თავს-იღვა და ესევეთარი რისხვა მიუფლინა, ვითარმედ ნათესავი მათი ვიდრე დღეს-აქამომდეცა არღარა სადა იპოვებისო“<sup>81</sup>. ამგვარად, გადამკეთებელი თეორბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს მთელი სამეფო დინასტიის გადამენებასაც აწყურის ხატსა და ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის ყოვლისშემძლეობას უკავშირებს. მაგრამ თუ მთელ ამ თხრობას ჩამოვაცილებთ ხატის ამბავს, ისევე როგორც წინა შემთხვევებშიც, დაგვრჩება საკმაოდ სარწმუნო ცნობები, რომელთა მსგავსიც XV—XVI საუკუნეთა სპარსულ საისტორიო ნაწარმოებებშიც მოიპოვება.

რასაკვირველია, ძნელია გადაჭრიო: თქმა, უშუალოდ გამოიყენა თუ არა ქართველმა ავტორმა ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული სპარსული თხზულებები (მხედველობაში გვაქვს ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის და მოსლეჰ ელ-დინ ლარის საისტორიო ნაწარმოებები), მაგრამ ის გარემოება, რომ გადამკეთებლის მიერ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში დამატებით ჩართული ცნობების ერთი ნაწილი სხვა წყაროებითაც დასტურდება, გვაძლავს უფრო მეტი ყურადღებითა და ნდობით მოვეკიდოთ მის ნაშრომ-ნამოღვაწარს.

ჯაჰან-არა, დასახ. ხელნაწერი, ფ. 193 ბ—196 ა; A chronicle of the early Safawis being the Ahsanut-tawarikh of Hasan-i Rumlu, ed. by Ch. Seddon (persian text), Baroda, 1931, გვ. 1—22; იხ. აგრეთვე, И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV веке, Сборник статей по истории Азербайджана, I, Баку, 1949, გვ. 176—179).

<sup>80</sup> ადვილი შესაძლებელია „უცნაურ სიკვდილში“ კვლავ ჟამიანობა იგულისხმებოდეს.

<sup>81</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 486.

მაცნეზე გერმანიზმი

ძველი ქართული პოლიგრაფიული ტერმინები

ქართული სტამბის ისტორია ვერ იქნება სრული და ზუსტი, თუ არ გარკვევით მაშინდელი პოლიგრაფიული ტერმინების მნიშვნელობა. ასეთია, მაგალითად, ტერმინი „მწერალი“. დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი (გარდ. 26. VIII. 1927) თავის „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“-ში (თბ., 1929) ამ სიტყვას ასე განმარტავს: „მწერალი, ალბათ, ჩამოსასხმელი ასოების ნიმუშების დამწერი“-ო (გვ. 98). ასევე აქვს ეს სიტყვა განმარტებული პროფ. დავით გვრიტიშვილს, იგი წერს: „როგორც ვარაუდობენ, ეს უნდა იყოს ასოების ნიმუშების დამწერი“-ო (თბილისის ისტორია, თბ., 1955, გვ. 330). როგორც ვხედავთ, ამ ტერმინის გაგებაში ახალი არა თქმულა რა მთელი 30 წლისა და მეტის მანძილზე და ისიც, რაც თქმულა, მხოლოდ ვარაუდია („ალბათ“ ან „ვარაუდობენ“). საჭირო კია ამის ზუსტად გარკვევა-დადგენა, რადგან ეს ტერმინი და საერთოდ „წერა“-დან ნაწარმოები სიტყვები („დაწერა“, „წერილი“, „მწერლობითა“) ძალიან ხშირად გვხვდება ძველნაბეჭდ ქართულ წიგნებში. მეტადრე ხშირად გვხვდება ფორმა „მწერლობითა“, მერე ისეთ კონტექსტში, რომელიც არ იძლევა საშუალებას მისი აზრ-შინაარსის ამოხსნისას. მაგალითად: „დაიბეჭდა მწერლობითა დიაკონის გიორგისათა“ (წიგნის პალატის გამოცემა „ქართული წიგნი“, ქვემოთ ყველგან შემოკლებით ქ. წ. თბ., 1941, № 63, გვ. 64); „მწერლობითა მამაცასშვილის პეტრესითა“ (იქვე); „მწერლობითა პანტელეიმონისათა“ (ქ. წ., № 85, გვ. 78); „მწერლობითა და ზედამხედველობითა სოლომონ რაზმაძის გივის ძისათა“ (ქ. წ. № 127, გვ. 92) და ბევრი სხვა.

სხვა კონტექსტში რომ ავიღოთ, ეს სიტყვა-ტერმინი „მწერალი“ დავით კარიჭაშვილის ვარაუდს არ უდგება. დავჯერდეთ ერთს წიგნს. 1751 წელს თბილისში დაბეჭდილი „კონდაკის“ ბოლო გვერდზე ვკითხულობთ: „იუწყეთ, შვილნო ეკლესიისანო, რომელ ესე წიგნი ...ჟამთა ვითარებისაგან საქართველოსა ქვეყანასა შინა მწერალთა მიერ განრყენილ იყო“ (ქ. წ. № 40, გვ. 52). ცხადია, აქ ლაპარაკია გადამწერლებზე და არა ჩამოსასხმელი ასოების ნიმუშების დამწერზე. ან კიდევ იმავე ადგილას დაბეჭდილია: „რუსულსა ...წიგნსა ზედა შევამოწმეთ და ჩვენი პირველი, რომელი მას ეწაა, იგი დავსწერეთ, ხოლო რომელი მწერალთა შეეძინათ, იგი ყოველივე დაუტევეთ“. ცხადია, აქაც „მწერალთა“ ნახარია ისევ „გადამწერთა“ მნიშვნელობით. ასოთა ნიმუშების დამწერი ტექსტს — ორივე შემთხვევაში კი სწორედ ტექსტზეა ლაპარაკი — ვერც შესძენდა რასმე და ვერც შერყენიდა. ის ხომ მარტო ასოთა ნიმუშებს წერდა!

მაგრამ გადამწერის გარდა „მწერალს“ ქართულ სტამბაში სპეციფიკური მნიშვნელობაც ჰქონდა და, ჩანს, ძალიან გავრცელებულ-მიღებულიც, რადგან მეტად ხშირად გვხვდება. მის სწორ ახსნა-გაგებაში დიდ დახმარებას გვიწევს ლექსიკოლოგ საბას ლექსიკონში შეტანილი ორი ინტერპოლაცია — ორი პოლიგრაფიული ტერმინი: გონია და ხეჩეჩეჩი. გონია ასეა განმარტებული: „გონია არს თითბრისაგან ქმნილი იარაღი, ჟამსა სტანბის ასოებისათვის სახმარი, რომელ პირველ ამაში ჩააწყობს ასოებს და დასწერს და მერე იმით პლაკში ჩასდებს დასაბეჭდავად“<sup>1</sup>. აქ მშვენივრად არის განმარტებული ახლანდელი საბჭურე (верстатка) და ნათლადაა მოცემული პროცესი ანაწყობის დასაბეჭდავად გამზადებისა. გონიაში ანუ საბჭურეში ანაწყობი სტრიქონები მერე გადააქვთ პლაკში. „პლაკი“ ახლანდელი მკითხველისათვის გაუგებარია, მაგრამ მისი ერთი მნიშვნელობა ვიცით უკვე თვით საბასაგან: „პლაკი ელენთ ენაა. ფიცარი“-ო<sup>2</sup>. მართლაც ბერძნულში ἡ πλάξ, πλαξიς ფიცარს ნიშნავს. დღეს მათ ჩვენს სტამბებში დაფას ეძახიან. სწორედ ამ დაფაზე ანუ ძველებურად „პლაკში“ გადააქვს ასოთამწყობს საბჭურეში ანუ გონიაში აწყობილი სტრიქონები და მერე გვერდებად ან სვეტებად ჰკრავს. გონიას განმარტებაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია შემდეგი სიტყვები: „პირველი (ჯერ, პირველად) გონიაში ჩააწყობს ასოებს და დასწერს. და მერე იმით პლაკში ჩასდებს დასაბეჭდავად“-ო. აქედან ნათლად ჩანს, რომ გონიაში ასოების ჩაწყობას ანუ ჩვენი დროის აწყობას ძველად ეწოდებოდა „დასწერა“ ან „წერა“.

მეტად საგულისხმოა, რომ ანონიმ ინტერპოლატორის „გონია“-ს განმარტებას საცვებიც უდგება ერთი ოფიციალური დოკუმენტიც 1803 წლისა, როცა მთავარმმართველი პავლე ციციანოვი დაინტერესდა ქართული სტამბის ბედით და მიიჩნია ადგენა განიზრახა. ესაა სია იმ სასტამბო იარაღებისა, რომელნიც ინახებოდა ერეკლე-გიორგის დროინდელ მესტამბე მღვდელ ქრისტესია-ქრისტეფორე კეჭერაშვილ-ბაღრიძესთან. აქ 5 №-ის ქვეშ ვკითხულობთ: „два инструмента, один железный, другой медный для набирания букв, гония называемые“<sup>3</sup>.

აქაც დადასტურებულია, რომ ასოთჩასაწყობ ხელსაწყოს („для набирания букв“) ეწოდებოდა გონია.

ახლა ვავეცნოთ მეორე ძველი პოლიგრაფიული ტერმინის განმარტებას, რომელიც ეკუთვნის საბას ინტერპოლატორსავე: „ხეჩეჩეჩი სტამბაში სახმარი ფანჯარის სახედ ოთხთვალისანი ქალაღზე დასაფარები. რომელიც ოთხ გვერდს დაწერილს გამოიყვანს ბეჭდვის დროს“<sup>4</sup>. ეს სომხური წარმოშობის ტერმინი ნიშნავს რამკეტს. ესაა ვიწრო ჩარჩო ზედ დაწებებული სქელი ქალაღით, რომელსაც აქვს მართლა ფანჯრის მსგავსი ოთხკუთხი ამოჭრილები, გვერდებად შეკრული ანაწყობი ტექსტის ზომისა, რომ ბეჭდვისას საღებავი ანუ წამალი მარტო ანაწყობს წაეცხოს, ქალაღის კიდეები კი გაეხუპნი-

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყოფშიძისა და ა. შანიძის რედ. თბ., 1928, გვ. 71.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 273.

<sup>3</sup> АКАК II, № 2056, с. 1048, приложение. ხაზი დოკუმენტისაა.

<sup>4</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყოფშიძისა და ა. შანიძის რედ., თბ. 1928, გვ. 454.

საგან დაიფაროს. აქ ახლა ჩვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რომ დასაბუქდალ გამზადებულ ანაწყობ გვერდებს ეწოდებოდა „დაწერილი“: „ოთხ გვერდს დაწერილს გამოიყვანს ბეჭდვის დროს“-ო.

ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ერეკლესელი სტამბის ყოფილი გამგია, მუშრიბ დავით ყორღანაშვილის მოხსენების რუსულ თარგმანიდან ერთი გაუგებარი ფრაზა, სადაც ნახმარია ეს ტერმინი „დაწერილი“. 1803 წ. 12 აპრილს მთავარმმართველ პ. ციციანოვს დავით მუშრიბი თბილისის სტამბას ისტორიიდან მოახსენებდა სხვათა შორის შემდეგს: „я хотел было печатать Постную Триодь, для чего и дощечки (პლაკები) были уже написаны, но царь приказал мне Постную Триодь оставить, а печатать Триодь Цветную“<sup>5</sup>. ეს საგულისხმო დეტალი ავსებს ჩვენს ცოდნას „ზატკის“ (Триодь Цветная) გამოცემის ისტორიისას, რომელიც დაიბეჭდა 1788 წელს მართლაც ამ დავით მუშრიბის გამგებლობის დროს („ზედამდგომარეობითა და სტამბის სახმართა ზედა გარჯითა ყორღანას შჯლის დავით მუშრიბისათა“: ქ. წ. № 65. გვ. 66), ჩვენთვის აქ ისაა საინტერესო, რომ სტამბაში დაუწყიათ „მარხვანის“ (Постная Триодь) აწყობა, გვერდებადაც კი შეუქრავთ და დაუბეჭდებოდა („პლაკებზე“) გადაუტანიათ, მაგრამ მეფის ბრძანებით შეუჩერებიათ და „ზატკის“ ბეჭდვას შესდგომიან. ამ რეალიის მოხსენებისას დავით მუშრიბს უეჭველია უხმარია ფრაზა — „პლაკები უკვე იყო დაწერილი“, ე. ი. აწყობილია. მაგრამ რაკი მთარგმნელს „დაწერილის“ სპეციფიკური აზრი არ სცოდნია, რუსულად იგი უთარგმნია სიტყვა-სიტყვით: „дощечки были уже написаны“ — „набраны“-ს მაგიერ, თანაც „дощечки“-სათვის ქართული დედნის შესატყვისიც მიუწერია ფრჩხილებში — პლაკებო. ასე რომ ახლა ცნობიერი ხდება სხვაფრივ გაუგებარი ფრაზა: „для чего и дощечки были уже написаны“, რადგან ჩვენ უკვე ვიცით „написаны“-ს ნამდვილი მნიშვნელობა.

ახლა, რაკი ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ანაწყობ მასალას ეწოდებოდა „დაწერილი“, ხოლო თვითონ აწყობის პროცესს ერქვა „წერა“ („ჩააწყობს ასოებს და დასწერს“), ძნელი აღარაა დავადგინოთ „წერა“-დან წარმოებული ტერმინის „მწერალი“-ს აზრ-მნიშვნელობაც. იგი სტამბაში იხმარებოდა ასოთამწყობის გაგებით.

აი ამის საილუსტრაციო ფაქტებიც. ათანასე თბილელის „დავითნის“ მეორე გამოცემის ბოლოს სწერია: „...ღმრთისმშობლის დაუჯდომელში, მეორმოცდაექვს გვერდზე, ზეიდამ მეცამეტე და მეთოთხმეტე სტრიქონში... მწერი ს შეცთომით უსწორო სიტყვა მოვიდა“ (ქ. წ. № 46. გვ. 55). ცხადია, აქ ლაპარაკია იმ კორექტურულ შეცდომაზე, რომელიც დაუშვა მწერალმა ანუ ასოთამწყობმა და კორექტორსაც გაეპარა.

უფრო თვალზმიერად მწერალ-ასოთამწყობის იგივეობას ვხედავთ რომანოზ ზუბაშვილის მიმართებაში გაიოზ ებსკოპოსისადმი. ცნობილია, რომ თბილისიდან ლტოლვილმა რომანოზმა გაიოზის წინადადებით მოზღოქში მოაწყო ქართული სტამბა და ამის აღწერებამდე 1796 წ. 1 ოქტომბერს სანიმუშოდ დაბეჭდა ეს მიმართვა, რომელიც ქართული სტამბის ისტორიის თვალსაზრისით იშვიათი ღირებულების ძეგლს წარმოადგენს. აქ ვკითხულობთ: „თუმცა წერილისა ასოსა წარმომადგინებელი იქაც (საქართველოში, თბილისს) მე გახლ-

<sup>5</sup> АКАК II, № 2055, стр. 1047.



დი, მაგრამ ჩამომსხმელნი, მწერალნი, დაზგის მმართველნი, მბეჭდავნი სხვანი გახლდნენ“ (ქ. წ. № 78, გვ. 73).

ეს ჩამოთვლა სტანბის მუშაკებისა თავისდათავად მეტად ძვირფასი მოწმობაა იმისი, რომ ერეკლე მეფის დროის თბილისის სტამბაში შრომა საკმაოდ დიდფერენცირებული ყოფილა: თვითონ რომანოზ ზუბაშვილი იყო მარტო „მწერლისა ასოსა წარმომადგინებელი“ ანუ, როგორც მერე გავარკვევთ, პუნსონ-პატრიცის გამკეთებელი, დანარჩენები კი ზოგი ასოს ასხამდა („ჩამომსხმელნი“), ზოგი აწყობდა „(მწერალნი“), ზოგი მეტრანაჟობდა („დაზგის მმართველნი“), ზოგი კიდევ ბეჭდავდა („მბეჭდავნი“).

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ დასახელებულია მარტო სასტამბო საქმის, ასე ვთქვათ, შავი მუშაკები, უფრო მაღალი რანგისა კი არა. მაგალითად, არაა მოხსენებული კორექტორი, რომელსაც ეწოდებოდა „პრობის მმართველი“ ან „ჩამკითხავი“. ამ შავ მუშებში ასოთამწყობი მოხსენებული სრულიად არაა, ის კი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხსენებული, რადგან სტამბა უსათამწყობოდ წარმოუდგენელია.

ჩამოთვლაში ისიც იპყრობს ყურადღებას, რომ ბეჭდვითი საქმის სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებელნი დასახელებული არიან ბეჭდვის პროცესის გარკვეული თანამიმდევრობით: პუნსონის გამკეთებელი, ჩამომსხმელი, მწერალი, დაზგის მმართველი და მბეჭდავი.

ახლა იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ამ ჩამოთვლაში მწერალი, ანუ ჩვენი გაგებით: ასოთამწყობი, დასახელებულია ჩამომსხმელთა შემდეგ და დაზგის მმართველთა ანუ მეტრანაჟების წინ. ცხადია, ასოთამწყობი ვერას აწყობდა, თუ მას ჩამოსხმული ასოები არ ჰქონოდა. და ვერც მეტრანაჟი რასმე გამართავდა დაზგაზე, თუ მას აწყობილი მასალა არ ექნებოდა. სწორედ აი ის ადგილი, რომელიც მიმართვაში მწერალს მიჩენილი აქვს ჩამომსხმელსა და დაზგის მმართველს შუა და ისიც, რომ ასოთამწყობნი აქ სრულიად არ იხსენიებიან, პირდაპირ იმას გვიჩვენებს, რომ მწერლებად იგულისხმებიან სწორედ ასოთამწყობნი და არა სხვა სასტამბო ფუნქციის შემსრულებელნი. ასოთამწყობის დასახელება კი — ვიმეორებთ — აქ გარდუვალი იყო: უიმისოდ სტამბა წარმოუდგენელია და მიტომ.

მწერლებად რომ სწორედ ასოთამწყობები იგულისხმებიან, ამას უფრო ნათლად გვიჩვენებს ზუბაშვილის იმავე მიმართვის შემდეგი კონტექსტი: „თუშცა მზათ გასწავლებულთა მბეჭდავთა ინებებთ მოყვანასა, უმჯობესი იქნების. თუ არ ინებებთ და უსწავლელთ კაცთ განაწესებთ, ისიც ნება თქვენია — ახლავ ინებეთ, რომ ისწავლონ რამე: მწერალ მან წერა, მბეჭდავთა ბეჭდვა. ყოველთა თავთავისი საქმე ვასწავლო და მე განმათავისუფლოთ“ (ქ. წ. № 78, გვ. 73). ცხადია, აქ ლაპარაკი გახლავთ მოზდოკის სტამბისათვის კადრების მომზადება-დახელოვნებაზე, სახელდობრ, მწერლისა და მბეჭდავისა. მეორე მხრით ისიც ცხადია, რომ სტამბას ჩვეულებრივი მწერალი, ე. ი. დამწერ-გადამწერი არ ესაჭიროებოდა. ამიტომ ამკარაა, რომ აქ მწერლად, რომელმაც სტამბაში წერა უნდა ისწავლოს, რომანოზი გულისხმობს სწორედ ასოთამწყობს და არა დამწერ-გადამწერს.

რახან ჩვენთვის გარკვეულია, რომ „მწერალი“ ნიშნავს ასოთამწყობს, „წერა“ — აწყობას, ხოლო „დაწერილი“ — აწყობილს, ძნელი აღარაა ტერმინის — „მწერლობითა“ — განმარტებაც. ეს ფორმა „მწერლობითა“ ძალიან ხშირად გვხვდება ერეკლეს დროს დაბეჭდილ ქართულ წიგნებში. ამის ნიმუშები ნაწი-

ლობრივად თავშივე მოვიყვანეთ და ახლა კვლავ მათი ჩამოთვლა მეტია. ცხა-  
დია, „მწერლობითა“ ნიშნავს „ასოთამწყოლობითას“ მამაცასშვილის პეტრე-  
სითა, დიაკონის გიორგისათა და სხვა მრავალთა. ტერმინი „მწერლობა“ ყველგან  
ისეთი ფორმით არის მოცემული, რომ მისი მნიშვნელობა ვერ გაირკვეოდა, თუ  
წინასწარ არ გამოვარკვევდით „მწერლის“, „წერის“ ანუ „დაწერის“ და „და-  
წერილის“ აზრ-მნიშვნელობას.

ამ ფორმას — „მწერლობითა“ — გვინდა დავუკავშიროთ თითქოს განსხვა-  
ვებული ფორმა „დამწერლობითა“, რომელიც გვხვდება „კიტაიის სიბრძნის“  
ბოლოში. ქართულ სასტამბო ტერმინთა ნუსხის შემდგენელს (ეს ნუსხა ერთვის  
„ქართულ წიგნს“, გვ. 465—469) ეს ფორმა ტერმინად მიუჩნევია და ნუსხაშიც  
ცალკე შეუტანია. ფორმალურად ასეც უნდა მოქცეულიყო. არსებითად კი მისი  
საკუთარ, დამოუკიდებელ ტერმინად მიჩნევა არ შეიძლება. მართალია, „დამ-  
წერლობითა“ ფორმა გვხვდება მარტო ერთგან. „კიტაიის სიბრძნის“ წიგნში.  
სხვაგან კი, არსად, მაგრამ ეს არ კმარა „დამწერლობითას“, როგორც დამოუკა-  
დებელი, საკუთარი ტერმინის, უარყოფისათვის. მთავარი აქ ისაა, რომ ფორმა  
„დამწერლობითა“ აშკარა კორექტურულ შეცდომად ჩანს: უნდა ყოფილიყო  
ორი სიტყვა „და მწერლობითა“, დაბეჭდილი კია კავშირ „და“-სთან გაერთი-  
ანებული და ამრიგად გაჩნდა ცალკე ტერმინი „დამწერლობითა“. აი რა კონ-  
ტექსტშია ის ნახმარი: „განსრულდა... სეკდემბერსა დ ქკს უობ ქელითა მეს-  
ტამბე ზუბაშვილის მოურავის ძის რომანოზისათა, დაზგის მმართუჭლობითა დარ-  
ბიაშვილის თედორე დიაკონისათა. დამწერლობითა გოგელიძე ზაქარია-  
სათა. შენდობას ვითხოვთ. ახალ მოსწავლენი გახლდით. მოძღუარსა ჩვენსა და  
მასწავლებელს მისის უმაღლესობის კარის ხუცესს ქრისტესიას შენდობა უბრ-  
ძანეთ“ (ქ. წ. № 61, გვ. 64). აქ ჩვენ ვხედავთ „კიტაიის სიბრძნის“ ბეჭდვაში  
მონაწილე მესტამბეთა ჩამოთვლას, თვითოეულის საქმიანობის დასახელებას:  
„ხელითა“, „დაზგის მმართუჭლობითა“ და „მწერლობითა“. ამიტომაც კავშირს  
„და“-ს ცალკე ვყოფთ და მის წინა წერტილსაც ვშლით. ამრიგად გამოდის:  
„დაიბეჭდა... ქელითა... რომანოზისათა, დაზგის მმართუჭლობითა დარბიაშვილის  
თედორე დიაკონისათა და მწერლობითა გოგელიძე ზაქარიასათა...“ ვვაქვს კი  
ასეთი კონიექტურისათვის საბუთი? ვვაქვს. ესაა მდარე კვალიფიკაცია. ამას  
გოგელიძე ზაქარია თითონაც აღიარებს — ახალმოსწავლე გახლდითო — და  
საქმიანთა ჩანს, რომ გამოუცდელი ასოთამწყოები ყოფილა და ამიტომ კორექ-  
ტურული შეცდომები სხვაც ბევრი აქვს. ამისათვის კმარა დავხედოთ მისი  
აწყობილი „კიტაიის სიბრძნის“ თავფურცლის ფოტოს (ქ. წ. გვ. 63) და ხელათ-  
ვე ვიპოვით სხვა შეცდომებთან ერთად (მათ არ ვასახელებთ) სიტყვათა გადაბ-  
მასაც და უადგილო პუნქტუაციასაც, ე. ი. სწორედ იმას, რის მსგავსი შესწო-  
რება შეგვაქვს ჩვენ სიტყვა „დამწერლობაში“. „გაიოსისმიერ“ ერთადაა. „თე-  
ლავისასემინარიისა“ ერთადაა; მეორე მხრით, „აწ არს არხიმანდრიტი“ გა-  
ყოფილია წერტილით, რომელიც ზედმეტად ზის „არს“-ის მერე; ასევე ზედმე-  
ტადაა წერტილი დასმული „წელსა“-ს შემდეგ ასე: „წელსა. 1777“. ასევე უად-  
გილო ადგილას, „გარდმოღებული“-ს მომდევნოდ ვხედავთ წერტილს ასე:  
„გარდმოღებული. არხიდიაკონის გაიოსისმიერ“. აი სწორედ ასეთ კორექტუ-  
რულ შეცდომათა სიმრავლის გამო ერთი სიტყვა „დამწერლობითა“ ორად გავ-  
ყავით, ე. ი. კავშირი „და“ დავაცილეთ სიტყვას „მწერლობითა“ და ვკითხუ-  
ლობთ მას ორ ცალკე სიტყვად „და მწერლობითა“. ამრიგად: „დამწერლობითა“

ცალკე პოლიგრაფიულ ტერმინად ვერ ჩაითვლება და იგი როგორც სასტამბო ტერმინი უკუსაგდება.

ძველ ბეჭდურ ქართულ წიგნებში ტერმინის მნიშვნელობით გვხვდება კიდევ „წერა“-დან წარმოებული ზმნები: „დავსწერეთ“, „ვეწერდით“, „აღვსწერეთ“. თუ „წერა“, „დაწერილი“, „მწერალი“, „მწერლობითა“ თავისი აზრ-მინაარსით ასოთაწყობას უკავშირდება, ეს ზმნები უკვე განსხვავებული, სახელდობრ, დაბეჭდვის გაგება-მნიშვნელობით იხმარება.

აი ამის საილუსტრაციო ანუ სადოკუმენტაციო კონტექსტებიც. კონტექსტის გარეშე ტერმინის აზრი ხომ ვერ გაირკვევა. 1717 წ. „ლოცვანში“ ნიკოლოზ ორბელიანი აღნიშნავს: „უამნობა და თვენი ბერძული რიგით და ვ წერეთ“ (ქ. წ. № 18, გვ. 25). დაიწერებოდა მართო ხელნაწერში, დაბეჭდილში კი აუცილებლად უნდა დაბეჭდილიყო. ამიტომ ცხადია, რომ აქ „დავწერეთ“ დაბეჭდვით-ის მნიშვნელობითაა ხმარებული.

ამავე გაგებით არის ხმარებული ეს ზმნა 1764 წ. „კურთხევეანში“: „გუშბრძანა ბეჭდუაჲ კურთხევეანისა და, ვიწყევით რა, ვითა დედანსა ეწერა, და ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა, იბილა უწმიდესობამან..., რომელ გარეგან ღრამმატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩუშნი და დედანიცა, რომელსა ზედა ვჰსწერდით“ (ქ. წ. № 47, გვ. 55—56). აქ მხედველობაში უნდა მივიდეთ ის, რომ 1764 წ. კურთხევენის აწყობა-ბეჭდვისას დედნად ჰქონდათ 1713 წელს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი კურთხევეანი კვიპრიანე სამთავნელის მიერ ბერძნულთან შედარებულ-შესწორებული (ქ. წ. № 16, გვ. 22). ამიტომ ფრანზა „ვიწყევით ბეჭდვა, ვითა დედანში ეწერა“ — უნდა გავიგოთ ასე: ვიწყევით ბეჭდვა ისე, როგორც სამთავნელის გამოცემაში იყო დაბეჭდილი. სხვაგვარად „ეწერა“-ს ახსნა-გაგება ტექსტის აზრს არ უღდება. ასევე უნდა გვესაძოდეს იმავე კონტექსტში მეორე ადგილას ხმარებული „ვჰსწერდით“ და ფრაზაც — „გარეგან ღრამმატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩუშნი და დედანიცა, რომელსა ზედა ვჰსწერდით“ — ასე უნდა გადმოვაქართულოთ: ჩვენი ნაბეჭდიც და ის დედანიც, რომლის მიხედვით ვბეჭდავდით (ე. ი. სამთავნელის რედაქცია), გრამატიკის კანონებსა და წესებს არ იცავდაო. აქაც „ვჰსწერდით“ ვბეჭდავდით-ის მნიშვნელობით არის ნახმარები. ავი თვითონ მესტამბენივე აცხადებენ: „ორი და სამი ფურცელი რომ დაიბეჭდაო“, მაშინ პატრიარქმა ნახა, რომ გრამატიკის წესების წინააღმდეგ იყო დაბეჭდილი.

ამავე გაგებით იხმარება „დაგვიწერიეს“ 1788 წ. „ზატიკში“. ეს წიგნი დაბეჭდვამდე ერთკლე მეფემ ბერძნულთან შეამოწმებინა ქართულში დახელოვნებულ ბერძენ მწიგნობარს იოანე ქსიფილიოსს; აღმოჩნდა, რომ ქართული ტექსტი ბერძნულთან „ყოვლითურთ თანჳმა იყო და არა რაათამე მეტ ანუ ნაკლ“. თუ გნებავთ, — წერს ბოლოსიტყვაში თვითონ მეფე, „თქვენცა შეამოწმეთ ბერძულსა... და უიჳველ იქმნენით“-ო. მაგრამო — დასძენს ერთკლე — კონდაკნი და იკონსი ძველ ქართველებს „სძლისპირებთა ზედა გაემართათ და დატკობით ჰქონდათ“-ო, ამიტომ „ქვემოთე ამის წიგნისა ესეცა მუხლი და გვიწერიეს და ორნივე წინადაგვიდვიეს, რომელნიცა ჳერ გიჩნდესთ, იგი მიიღეთ“-ო. (ქ. წ. № 65, გვ. 65). აქაც, უკვე სრული გარკვეულობით, „დაგვიწერიეს“ ნახმარია დაგვიბეჭდავს-ის გაგება-მნიშვნელობით.

ასევე გარკვეულად დაბეჭდვის აზრით გვხვდება 1791 წ. სამოციქულოში ზმნა „ვერ დავჰსწერეთ“ შემდეგ კონტექსტში: „ეს წმინდა სამოციქულოც სახარების კელზე დაიბეჭდა. ორსავ ბეჭდის მომჭრელი ეს ოსტატი იყო [რომანოზ

„ზუბაშვილი“. სახარებაში ვერ დავჰსწერეთ“-ო (ქ. წ. № 71, გვ. 67). „სახარებაში ვერ დავჰსწერეთო“, ცხადია, „ვერ დავბეჭდეთ“-ის მნიშვნელობით არის ნახმარი. „კელზე“ და „ბეჭდის მოჭრაზე“ მერე გვექნება საუბარი.

დაბეჭდვისავე აზრით ნახმარია ზმნა „აღვჰსწერეთ.“ 1751 და 1793 წწ. „კონდაკშიც“. ეს წიგნი რუსულს შეადარეს და იმის თანახმად დაბეჭდეს, ოღონდ „სივრცისათვის არა ყოველნივე აღვჰსწერეთ“-ო, ვკითხულობთ ორივე გამოცემის ბოლოში (ქ. წ. № 40, გვ. 52; № 73, გვ. 68). ცხადია, აქაც „ვერ აღვჰსწერეთ“ ვერ დავბეჭდეთ-ის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

ერთი სიტყვით, ყველგან ძველ ბეჭდურ წიგნებში ზმნები „დავსწერეთ“, „გწერდით“, „დაგვიწერიეს“, „აღვწერეთ“ დაბეჭდვის აზრით არის ნახმარი.

დაგვრჩა განსაზღვრელი ზმნა „წერა“-დან ნაწარმოები კიდევ ერთი ტერმინი „წერილი“. ეს ტერმინი გვხვდება მოსკოვის ათანასე თბილელის სტამბაში ნაბეჭდ „დავითწმი“ და აგრეთვე რომანოზ ზუბაშვილის მიმართვაში. კონტექსტში მოცემული „წერილი“ იმდენად ნათელი აზრ-შინაარსისაა, რომ მას დასაბუთება სრულიად არ ესაჭიროება. 1768 წ. დავითწმი ვკითხულობთ. „ჩლად მსხვილი წერილით დავითნი დაიბეჭდა ღვ (706) ჩლ(ა)შ. აჰ წერილით დავითნი დაიბეჭდა ცი (1010)“<sup>6</sup>. აქ ოდნავადაც არაა საჭირო დიდი მიხვედრილობა, რომ ვთქვათ: „წერილი“ ნიშნავს შრიფტს. მართლაც, დავით კარიჭაშვილის დაკვირვებით, ათანასესეული დავითნის პირველ გამოცემაში „შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია“, ხოლო მეორე გამოცემაში „შრიფტი“ წვრილი ნუსხა ხუცურია“ (გვ. 58, 59).

ზუბაშვილის მიმართვაში „წერილი“ სამჯერ არის ნახსენები, ოღონდ აქ მისი მნიშვნელობა ათანასეს დავითნის ცნობასავით არაა ცხადი. აი რა კონტექსტებში გვხვდება ეს ტერმინი: „იხილეთ წინამდებარე წერილი ესე ნატვიფრი პრობა“ (ქ. წ. № 78, გვ. 71). აზრი აქ ასეთია: ნახეთ, ეს სასინჯად („პრობა“) დაბეჭდილი („ნატვიფრი“) შრიფტით („წერილი“). ტერმინის აზრი უფრო ნათლად ჩანს მესამე კონტექსტიდან: „და თუ სხვას წერილს ინებებთ რასმე, საცა გახლდები მიძახნეთ და მზა გახლავარ სამსახურსა შინა“ (გვ. 73). აქაც „წერილი“ შრიფტის აღსანიშნავად არის ხმარებული. მეორე კონტექსტში „წერილი“ გვხვდება მსაზღვრავი სიტყვის მნიშვნელობით: „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი იქაც (საქართველოში) მე გახლდი“, „წერილი ასო“ ნიშნავს იმავე შრიფტს. სანამ ამაზე მოვისაუბრებთ, საჭიროდ ვთვლით მოვიხსენიოთ, რომ წერილისა და შრიფტის შესატყვისობა პირველად აღნიშნა „სასტამბო და საგამომცემლო ტერმინებს“ ავტორმა, ოღონდ მიუთითა მართო ზუბაშვილის მიმართვაზე (ქ. წ. გვ. 469), თუმცა ეს შესატყვისობა უფრო მკაფიოდ ჩანს ათანასეს „დავითნის“ მეორე გამოცემიდან.

ეხლა კი გავარკვიოთ, რას ნიშნავს „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი“? ჯერ გავარკვიოთ „წარმოდგა“. მოვიყვანოთ კონტექსტი მთლიანი სახით: „...ჩემნი ამხანაგნი, რომელნიც პირველსა მათის უმაღლესობის (ერეკლე მეფის) სტანბასა შინა ეიმყოფებოდით, იგინი ჩვეულებისამებრ ჩემთანა არა იღვწოდნენ. თუმცა წერილისა ასოსა წარმომადგინებელი იქაც მე გახლდი, მაგრამ ჩამომსხმელნი, მწერალნი, დაზგის მმართველნი, მბეჭდავნი — სხვანი გახლდნენ. და აწ ესე ყოველნი კელოვნებანი სტამბისა ამის მარ-

<sup>6</sup> ქართული წიგნი, № 51. გვ. 57. ასეთი დიდი ტირაჟი იმდროინდელი ქართული ბეჭდვითი პროდუქციისათვის უჩვეულოა და ამიტომ საფიქრებელია კორექტურული შეცდომა.

ტომან ვინუშაყე და განვმართე საბეჭდავი ესე“ (ქ. წ. № 78, გვ. 73). „წერილი ასოს“ მნიშვნელობა უკვე ცხადყავით: ესაა შრიფტი. „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი“ კი ნიშნავს შრიფტის გამკეთებელს, შრიფტის ანუ დასაბეჭდავ მოჭრილი ასოს ავტორს. ეს იმიტომ, რომ ზმნა „წარმოდგა“ ნიშნავს „გაკეთდა“-ს. აი ამის დამადასტურებელი მაგალითებიც. 1764 წ. კურთხევანში ვკითხულობთ: „და აწ ბრძანებითა... მეფისა ჩვენისა ირაკლისათა განახლდა რა და წარმოდგა ბეჭედი სტამბისა ამის, დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი...“ (ქ. წ. № 47, გვ. 55). „განახლდა რა [სტამბა] და გაკეთდა შრიფტი [„წარმოდგა ბეჭედი“], დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი“ — აი ამგვარად გადმოქართულებული ფრაზა სავსებით ცნობიერი ხდება. არა ნაკლებ ცხადად ჩანს ეს მნიშვნელობა „წარმოდგა“-სი 1783 წელს დაბეჭდილ კონდაკში: „წარმოდგა ასლისა ამის ბეჭდისა ასოჲ პოდოს... კონსტანტინეპოლელისათა“ (ქ. წ. № 56, გვ. 62). „წარმოდგა ასო“ შეეცვალოთ სიტყვით „გაკეთდა ასო“ და აზრი სავსებით ნათელი ხდება. ასე რომ ზუბაშვილის მიმართვაში ხმარებული ტერმინი „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი“ უეჭველად ნიშნავს შრიფტის „გამკეთებელს“, შრიფტის ავტორს.

შრიფტის გაკეთება-დამზადებაში სამი ეტაპია ერთი მეორისაგან გასარჩევი. პირველი ეტაპია პუნსონის ანუ პატრიცის დამზადება-გაკეთება. ესაა ფოლადზე ამზონქით ამოჭრილი ასო, ოღონდ შებრუნებული. პუნსონი ჩვენშიც ისევე, როგორც სხვაგან, იჭრებოდა საგანგებო იარაღით — ხელსაწყოთი, რომელსაც შტიხელს ეძახიან საერთოდ, ჩვენში კი მას თავისი სახელი არა ჰქონია. ეს კარგად ჩანს ზუბაშვილის განცხადებიდან: „თვით თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა მიმოწმებს, რომ რომელიც ამ კელოვნების საკადრისი ასოს მომჭრელი იარაღია, არა მქონდა“-ო (ქ. წ. № 78, გვ. 72—73). მეორე ეტაპია პუნსონ-პატრიციდან სპილენძის ფირფიტაზე მატრიცის გაკეთება ჩაღრმავებით, ასე რომ ასო იღებს თავის ნორმალურ სახეს. ხოლო მესამე ეტაპია ამ პატრიციდან ასოს ანუ ლიტერის ჩამოსხმა. ჩამოსხმისას ასო, ცხადია, კვლავ უკუღმა გამოხატულებას იღებს. ასოს ასხამენ ჰარტისაგან, ჰარტში შედის უმთავრესად ტყვია და აქ ურევენ კალას და ანტიმონის ანუ სურმას (საგრემელს). ჩვენში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხმარობდნენ ტყვიას და კალას. სურმის გარევა კი არა ჩანს.

შეტად საგულდობხმოა რომანოზ ზუბაშვილის მიმართვაში ის, რომ თბილისის სტამბაში „ჩამომსხმელნი... სხვანი გაკლდნენ“. ეს ნიშნავს იმას, რომ ზუბაშვილი აქ, თბილისის სტამბაში, აკეთებდა მარტო პუნსონსა და მატრიცას, ე. ი. ასრულებდა შრიფტის დამზადება-გაკეთების პირველსა და მეორე ეტაპს, ასოს ჩამომსხმელნი კი, ე. ი. მესამე ეტაპის შემსრულებელნი, ყოფილან სხვანი. შეაკრად რომ ვილაპარაკოთ, საკუთრივ შრიფტის დამამზადებელნი სწორედ ეს ჩამომსხმელნი არიან, პუნსონ-პატრიცისა და მატრიცის გამკეთებელი კი ანუ „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი“ იყო რომანოზ ზუბაშვილი.

აქედან ჩანს, რომ პუნსონ-მატრიცის ოსტატი უშუალოდ არ უკავშირდება სტამბას და იმიტომ სავსებით გასაგებია რომანოზ ზუბაშვილის განცხადება: „ჩემნი ამხანაგნი, რომელნიც პირველსა მათის უმაღლესობას სტანბასა შინა ვიმყოფებოდით, იგინი ჩვეულებებისამებრ ჩემთან არ იღვეწილდნენ“-ო.

ცალკეულ ეტაპთა გათვალისწინება გიშვჯლის ნათელი მოვლენით მოწმობს

დავით ყორღანაშვილის მოხსენების შემდეგს ბუნდოვან ადგილს: „Я велел ему (ე. ი. რომანოზს) наделать стальных полосок для букв Постной Триоди и для другого сорта букв и наложить их на меди, купил свинца и олова для отливки шрифта Постной Триоди“<sup>7</sup>. აქ სრულად გარკვევით ჩანს, რომ რომანოზ ზუბაშვილი სწორედ ფოლადისაგან ჰკვეთდა ასოებს, ე. ი. პუნსონ-მატრიცას, ხოლო სპილენძისაგან აკეთებდა მატრიცას. შრიფტის ჩამოსასხმელად კი უხმარიათ ტყვია და კალა (სურმა არ იხსენიება).

დავით მუშრების სიტყვები იმ მხრივაც არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ საესებით ადასტურებს ზუბაშვილის მიმართებაში აღნიშნულ მის საქმიანობას თბილისის სტამბაში, სახელდობრ იმას, რომ ზუბაშვილი აქ ნამდვილად ყოფილა „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი“, ე. ი. ფოლადის პუნსონ-მატრიცისა და სპილენძის მატრიცის გამკეთებელი.

ამავე დროს კი, თბილისის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებში ზუბაშვილს უწოდებენ ბეჭდის მომჭრელ ოსტატს. 1791 წ. სამოციქულოს ბოლოში წერია. „დაიბეჭდა წიგნი ესე სამღვდელო სამოციქულო... ხელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა. ეს წმინდა სამოციქულოც სახარების ხელზე დაიბეჭდა. ორსავე ბეჭდის მომჭრელი ეს ოსტატი იყო. სახარებაში ვერ დავსწერეთ.“ (ქ. წ. № 71, გვ. 67). რაკი გაიოზისადმი მიმართვიდან ჩვენ ვიცით, რომ რომანოზი აქაც, საქართველოში, „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი“ იყო, აქ დაბეჭდილ წიგნში კი „ბეჭდის მომჭრელ ოსტატად“ იხსენიება, ცხადია, „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი“ და „ბეჭდის მომჭრელი“ სინონიმებია. ერთი და იმავე ცნების გამომხატველი ტერმინებია და ორივე სიტყვა აღნიშნავს პუნსონ-მატრიცის გამკეთებელს. „ბეჭედი“ კი — ეს ბუნებრივად გამომდინარეობს — ნიშნავს პუნსონ-მატრიცას, უფრო ფართო გაგებით — შრიფტს.

მაგრამ „ბეჭედზე“ მერე. ახლა კი უნდა ვთქვათ, რომ ზუბაშვილზე ადრე „ასოს წარმომადგინებელი“ გვხვდება 1751 წ. თბილისის დაბეჭდილ „კონდაკში“ ამავე სასტამბო ფუნქციის შემსრულებლად ცნობილი კალიგრაფი ნიკოლოზ გაბრიელის ძე მიქაძე, ამბროსი ნეკრესელის ძმა. ამ გამოცემაში ის იხსენიება შემდეგნაირად: „მომღუშაყებელი და წარმომადგინებელი ასოსა ამის სიონის დეკანოზი ნიკოლას“ (ქ. წ. № 40, გვ. 52). ოღონდ ამ კონტექსტით „ასოსა წარმომადგინებელის“ ფუნქცია, თუ ზუბაშვილის მიმართება არა, ისე ვერ გარკვეოდა. ამიტომაც იყო, რომ დავ. კარიჭაშვილმა ის მიიჩნია „ასოების ჩამოსახმელად“ (იხ. მისი წიგნის გვ. 98).

მეტად საგულისხმოა და ამიტომ ხაზგასასმელიც, რომ ზუბაშვილი 1791 წ. სამოციქულოს გარდა არსად, არც ერთს წიგნში, რომელიც კი მისი მონაწილეობით დაბეჭდილა თბილისის სტამბაში, არ იხსენიება არც „ბეჭდის მომჭრელად“ და არც „ასოსა წარმომადგინებლად“. ამავე დროს კი მისი განცხადებიდან ვიცით, რომ აქ, საქართველოში, ის იყო სწორედ „ასოს წარმომადგინებელი“ ანუ „ბეჭდის მომჭრელი“. ამავე ფაქტს ადასტურებს, როგორც ვნახეთ. მუშრები დავით ყორღანაშვილიც.

ამიტომ გვმართებს ძველ ბეჭდურ წიგნებში გულისყურით მოვეკიდოთ ყველა იმ კონტექსტს, სადაც კი ზუბაშვილი იხსენიება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1791 წ. სამოციქულოს ბოლოში შემდეგი მინაბეჭ-

<sup>7</sup> АКАК II, № 2055, стр. 1047.

დი: „დაიბეჭდა წიგნი ესე... კელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილი-სათა. ეს წმიდა სამოციქულოც სახარების კელზე დაიბეჭდა. ორსავ ბეჭდის მომჭრელი ეს ოსტატი იყო. სახარებაში ვერ დაფსწერეთ“ (ქ. წ. № 71, გვ. 67). და ცოტა ქვემოთ კვლავ გამეორებულია „კელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა“.

ერთი შეხედვით რაკი აქ წერია — „დაიბეჭდა წიგნი ესე... კელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა“ — შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს წიგნი დაიბეჭდა მისი მარჯვენით და „კელითა“ უნდა ნიშნავდეს მარჯვენას, ე. ი. რომანოზი გვევლინება ამ წიგნის თითქოს დამბეჭდავად. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზუბაშვილი საქართველოში იყო პუნსონ-მატრიცის გამკეთებელი ანუ ბეჭდის მომჭრელი, ე. ი. შრიფტის ავტორი, ხოლო „ჩამომსხმელნი, მწერალნი, დაზგის მმართველნი და მბეჭდავნი სხვანი გახლდნენ“. მამასადაამე, რაკი ამ 1791 წ. სამოციქულოშიც ის ბეჭდის მომჭრელად იხსენიება, ამიტომ სხვა რაიმე სასტამბო ფუნქციის შემსრულებლად მას ვერ ვიგულისხმებთ, კერძოდ, ვერ ვიგულისხმებთ მბეჭდავად. მამასადაამე, „კელი“ ბეჭდვას არ აღნიშნავს, ეს გარკვევით ჩანს იმავე ტექსტში დაცული შემდეგი ფრაზიდან: „ეს სამოციქულოც სახარების კელზე დაიბეჭდა“, რასაც უშუალო გაგრძელებად მისდევს თქმა: „ორსავ ბეჭდის მომჭრელი ეს ოსტატი იყო“-ო. რას ნიშნავს: „სახარების ხელზე დაიბეჭდა“-ო? თუ „კელითა“ შეიძლებოდა სიტყვა-სიტყვით გაგვეგო, როგორც „მარჯვენითა“, სახარების კელზე სამოციქულოს დაბეჭდვა ასეთ გააზრებას სრულიად გამორიცხავს. „კელზე“ კი გასაგები იქნება, თუ მას შრიფტის შესატყვისად მივიჩნევთ. მაშინ „კელზე დაიბეჭდა“-ო ცნობიერი ხდება: ეს სამოციქულოც იმავე შრიფტით დაიბეჭდა, როგორითაც სახარებოა. სწავგვარი ახსნა კი სიტყვისა „კელზე“ არა ხერხდება.

„კელი“ რომ ნამდვილად შრიფტის შესატყვისი ტერმინია და ჩვენი გაგებაც ამ სიტყვისა არაა ნებისმიერი, ამას თვალნათლივ გვიდასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილი. თავისი ბიბლიოთეკის კატალოგში 45 №-ის ქვეშ ცნობილი მწიგნობრის ტარასი ალექსი-მესხიშვილის „დეოლოგიული ლექსიკონის“ დასახელებისას თეიმურაზი წერს: „თარგმნილია რუსულისაგან ქართულსა ზედა ენასა ტარასის მიერ მღვდელ-მონაზონისა ალექსიევისაგან, ტფილისის აზნაურთა გვარისაგან, და მხედრულს ხელზედ სტამბაში დაბეჭდილი“-ო<sup>8</sup>. ეს წიგნაკი მართლაც მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი პეტერბურგში 1824 წელს. ასე რომ ამიერიდან არ შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ „კელი“ ყოფილა სასტამბო ტერმინი და ნიშნავდა სხვათა შორის შრიფტსაც, კერძოდ 1791 წ. სამოციქულოში ის ნახმარია სწორედ ამ გაგებით.

კიდევ ერთი საბუთი ჩვენი გაგების სასარგებლოდ. იგივე თეიმურაზ ბატონიშვილი 1837 წ. 16 ივლისს მარი ბროსეს სწერდა: „ვარლამმა გააკეთებინა მატრიცები. ასობეც დამოადინეს და ის უცხო ხელი იყო, მსხვილი. იმისი ფორმა მონახონ, ე. ი. მატრიცა“<sup>9</sup>. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მატ-

<sup>8</sup> კატალოგი წიგნთ-საცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა. თბ., 1948, გვ. 11, № 45; შდრ. ოდნავი განსხვავებით აღწერა А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб. 1894, стр. 156, № 39. ზუსტი აღწერილობა იხ. ქ. წ. № 137 გვ. 96.

<sup>9</sup> იგულისხმება მიტროპოლიტი ვარლამი, საქართველოს პირველი ეგზარქოსი, ქსნის ერისთავის დავითის შვილი. S—4797.

რიციდან ჩამოსხმული („დამოადინეს“) ასოები, ე. ი. შ რ ი ფ ტ ი, ი ყ ო სა უ-  
ცხოო ხ ე ლ ი. ამრიგად ხელისა და შრიფტის შესატყვისობა უეჭველია.

ამავე დასკვნას გვაძლევს 1811 წელს ს. წესში დაბეჭდილი „გამოკრებული  
სადღესასწაულო“. აქ ვკითხულობთ: „დაიბეჭდა ...ქელითა მესტამზე რომა-  
ნოზ ზუბაშვილისათა, რომელიცა მიცუალებულ იქმნა უწინარეს ბეჭდვისა ამის,  
ხოლო შემდგომად მიცუალეებისა მისისა მე, ქემან მისმან მესტამზემ დავით,  
ვიწყე და აღვასრულე“<sup>10</sup>. აქ თითქოს შეუსაბამობაა: წიგნის ბეჭდვა დაიწყო  
და დათავა კიდევ დავით ზუბაშვილმა, ამავე დროს კი აღნიშნულია, რომ ეს  
წიგნი დაიბეჭდა მისი მიცვალებული მამის რომანოზის „კელითა“, მაგრამ შეუ-  
საბამობა გაქარწყლდება, თუ „კელითა“-ს გავიგებთ შრიფტის მნიშვნელობით:  
მამის გაკეთებული შრიფტით შვილმა დაიწყო და დაასრულა წიგნის ბეჭდვა.

ერთი სიტყვით, „კელი“ და შრიფტი სინონიმებია, ერთი და იგივე ცნებაა.

ამის შემდეგ საეხებით ცნობიერი ხდება, თუ რას ნიშნავს „კელითა“ ყვე-  
ლა იმ წიგნში, სადაც კი რომანოზ ზუბაშვილი არის მოხსენებული, მით უფრო  
რომ, მისივე განცხადებით, თბილისში „მათი უმაღლესობის სტანბასა შინა“ ის  
იყო მარტო „წერილისა ასოსა წარმომადგინებელი“, ე. ი. პუნსონ-მატრიცის ოს-  
ტატი, დანარჩენ სასტამბო ფუნქციათა ანუ მისებურად „ქელოვნებათა“ შემს-  
რულებელნი კი სხვანი იყვნენ. ცხადია, „ქართული წიგნის“ რეგისტრში 61, 65,  
69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, და 77 №№-ით აღრიცხული წიგნები ყველა და-  
ბეჭდილია ამ რომანოზ ზუბაშვილის გაკეთებული შრიფტით ანუ უფრო ზუსტად  
მისი დამზადებული პუნსონ-მატრიცით. იგივე ითქმის იმ წიგნების შესახებაც,  
რომელნიც რომანოზის „კელითა“ დაიბეჭდა იმერეთში XIX საუკ. დამდეგ  
წლებში, ოღონდ იმას კი ვერ ვიტყვით, რომ იმერეთშიც რომანოზი მარტო  
პუნსონ-მატრიცას ამზადებდა, სტამბის სხვა ფუნქციებს კი არ ასრულებდაო.

„კელისა“ და შრიფტის იდენტურობა გვავალებს გავარკვიოთ რომანოზ  
ზუბაშვილის წინამორბედთა ვინაობაც. ერთი მათგანი აშკარად ჩანს, ესაა სიო-  
ნის დეკანოზი ნიკოლოზ მიქაძე, რომელიც იხსენიება 1751 წ. „კონდაკში“  
ზუბაშვილისავით, როგორც მომმუშაკებელი და წარმომადგინებელი ასოსა ამის“  
(ქ. წ. № 40, გვ. 52). შემდეგ ხანებში კი ამ ნიკოლოზს ვხედავთ უკვე „მესტამ-  
ბეთა უხუცესის“ ტიტულით. ასე იხსენიება ის უთარილო და დეფექტურ „და-  
ვითნი“-ში (ქ. წ. № 44, გვ. 53), რომელსაც დავით კარიჭაშვილი ათარიღებს  
1763 წლით!<sup>11</sup> აღბათ იმ მოსაზრებით, რომ ის იხსენიება უკვე 1764 წელს დაბეჭ-  
დილ „კურთხევანში“ ასე: „განახლდა რა და წარმოდგა ბეჭედი სტამბისა ამის,  
დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი, მეორედ კონდაკი, მესამედ კვალად ფსალმუ-  
ნი“-ო (ქ. წ. № 47, გვ. 55); რაკი ერეკლეს სტამბაში პირველად დაბეჭდილ  
„დავითნი“ აქვს თარიღი 1749 წ. (ქ. წ. № 38, გვ. 51) — ცხადია, ეს მეორედ და-  
ბეჭდილი „დავითნი“ ჩვენამდე უთარილოდ მოსული, 1763-ზე უგვიანესი ვერ  
იქნებოდა. ნიკოლოზი შემდეგ იხსენიება ამ „კურთხევანში“ და უკანასკნელად  
1772 წლ. „პარაკლიტიკოსში“ (ქ. წ. № 56, გვ. 61). „ქართული წიგნი“ მასვე  
მიიჩნევს იმ მესტამბედ, რომელიც უსახელოდ იხსენიება სიონის დეკანოზის  
ტიტულით 1749 წელს გამოცემულ „დავითნი“ (ქ. წ. № 38, გვ. 51). შეიძ-  
ლება ეს ასეც იყოს და ნიკოლოზმა ერეკლეს სტამბაში მოღვაწეობა მართლაც

<sup>10</sup> ქართული წიგნი, № 101, გვ. 87.

<sup>11</sup> ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 1929, გვ. 88.



მესტამბეობით დაიწყო, მაგრამ რადგან მას დეკანოზის ხარისხით ვხედავთ მხოლოდ 1751-დან, მანამდე კი მისი ხელიდან გამოსულ არც ერთს საბუთსა და ხელნაწერში ამ ხარისხით არ იწოდება, გადაჭრით მის 1749 წელს მესტამბეობაზე თქმა ძნელია. ეს სხვათა შორის. ჩვენთვის კი მთავარი ისაა, რომ 1751 წელს ნიკოლოზ მიქაძე სტამბაში იყო „ასოს წარმომადგინებელი“ და ამრიგად კვევლინება რომანოზ ზუბაშვილის წინამორბედად.

---

## პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“

საქართველოს ისტორიის უცხოურ წყაროთა შორის ბერძნულს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ბერძნული წყაროების გათვალისწინების საჭიროებას ყოველთვის გრძნობდა ქართული ისტორიოგრაფია.

XIX ს-ის ისტორიკოსები, რომელთაც დაწერეს ნარკვევები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ძველი ბერძნული მწერლობის ცნობებს, მაგრამ, ჯერ ეს ერთი, უშუალოდ ბერძნული დედნით იშვიათად თუ ვინმე სარგებლობდა და შემდეგ — ჩვეულებრივ იმ მწერლებს ცნობებს იყენებდნენ, რომლებიც საგანგებოდ პოპულარულები იყვნენ.

ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ბერძნული წყაროები ხელმისაწვდომი გახდა მას მერე, რაც გამოვიდა ვ. ლატიშევის კრებული „Сведения греческих и римских писателей о Скифии и Кавказе“ 1890—1904 гг.), დღემდე მეტისმეტად საჭირო და მნიშვნელოვანი.

მაგრამ რადგან კრებული შედგება თხზულებათაგან გამოკრეფილი ნაწყვეტებისაგან, ზოგი საჭირო ადგილი უნებურად არის მასში გამოტოვებული და ზოგიც ისეთი არის შიგ შეტანილი, რაც სინამდვილეში არ ეხება საგანს.

საისტორიო მეცნიერების მიმართ წაყენებული ახალი დიდი მოთხოვნების საფუძველზე ანტიკური საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისას აუცილებელი გახდა საკუთრივ საქართველოს ისტორიის ბერძნული წყაროთმცოდნეობის დამუშავება.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ბევრი შრომა გამოქვეყნდა, სადაც შესწავლილია ცალკეული ბერძენი ავტორის თხზულება, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის. ამ ნაშრომებში მოცემულია ბერძნული ტექსტი უახლესი კრიტიკული გამოცემის მიხედვით (ზოგჯერ სრულად, ზოგჯერ ნაწყვეტების სახით), მისი ქართული თარგმანი კომენტარებითა და გამოკვლევით. ასეა მოცემული: ლოგოგრაფოსები, პეროდოტე, ჰიპოკრატე, სტრაბონი, მემნონი, აპიანე, არიანე, კლავდიუს პტოლემეაძიოსი... ამავე რიგისაა კრებული „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში“<sup>1</sup>.

1966 წელს გამოვიდა კიდევ ერთი ახალი წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი: „დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა“. წიგნი გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიამ.

დიონ კასიოსის (II—III სს.) „რომის ისტორია“, რომელშიც მიმოხილულია ხანა ლეგენდარული ენეასის დროიდან 229 წლამდე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია რომაული ისტორიოგრაფიისა. ნაშრომში ძირითადად ყურად-

<sup>1</sup> ძველ ბერძენ მწერლებზე უფრო ადრე დაიწყო დამუშავება ბიზანტიელი ავტორებისა. 1934 წლიდან დღემდე გამოქვეყნებულია „გეორგიის“ 7 ტომი.

ღება ექცევა რომის საგარეო ურთიერთობასა და პოლიტიკურ მოვლენებს. ავტორისაჲვის, ცხადია, მთავარი არ არის საქართველოს შესახები ცნობების მოცემა, მაგრამ მის „ისტორიაში“ ასახულია ის ურთიერთობა, რაც პქონდა რომის ქართულ სახელმწიფოებთან, — იბერიასა და კოლხეთთან. ამ პრობლემის შესასწავლად უცხოურ წყაროთა შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ტაციტუსის, აპიანესა და დიონ კასიოსის ნაწარმოებებს.

ვისაც კი საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები უკვლევია, ვერავის აუხვევია გვერდი დიონ კასიოსის „რომის ისტორიისა“ და მისი ცნობებისათვის საქართველოსა თუ მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ, მაგრამ ეს მკვლევარები საამისოდ ჩვეულებრივ იყენებდნენ ხოლმე ვ. ლატიშევის ზემოთხსენებულ კრებულს, თანაც მათთვის დიონ კასიოსი იყო ერთი რიგითი ავტორი.

საქართველოს შესახები მასალა, დაცული დიონ კასიოსთან (და არა მარტო საკუთრივ საქართველოს შესახები), მონოგრაფიულად პირველად სარეცენზიო ნაშრომშია შესწავლილი. ქართულადაც „რომის ისტორიის“ ნაწყვეტები (საკმაოდ დიდი მოცულობით) და უშუალოდ ბერძნული დედნიდან პირველად ნოდარ ლომოურმა თარგმნა.

ჯერ მარტო ეს არის საკმარისი იმისათვის, რომ ნ. ლომოურის წიგნი დიონ კასიოსის შესახებ საინტერესო და საჭირო ნაშრომად მივიჩნიოთ და მივიღოთ. საქართველოს ანტიკური ისტორიით დაინტერესებული პირები ამიერიდან დიონ კასიოსის ტექსტისა და მისი შესახები სამეცნიერო ლიტერატურის ვასაცნობად პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ნ. ლომოურის შრომას მიმართავენ და ეს იქნება ამოსავალი მათთვის ამასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შემდგომი კვლევისას.

წიგნი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: შესავალი (სადაც რამდენიმე ქვეთავია), ტექსტი და თარგმანი, კომენტარები, რუსული რეზიუმე, ბიბლიოგრაფია და საძიებლები. აღნაგობა შრომისა კარგია, თუმცა, სჯობდა, თავი „ბიბლიოგრაფია“ (გვ. 149—154) არ ყოფილიყო, რადგან იგი სრული მაინც არ არის, და ის, რაც „ბიბლიოგრაფიაშია“ შეტანილი, ავტორს ტექსტშივე (შესავალსა და კომენტარებში) აქვს მოხსენებული და არის შრომები, რომლებიც ტექსტშია მოხსენებული და „ბიბლიოგრაფიაში“ მათ აღარ ვხვდებით.

რასან გამოყენებულ და დამოწმებულ ლიტერატურაზეა ლაპარაკი, აქვე უნდა შევნიშნო, რომ ბევრი წიგნი, რაც ნ. ლომოურს აქვს დასახელებული, საკმაოდ მოძველებულია და რადგან ისინი საგანგებოს არაფერს აძლევენ ავტორს თავის მსჯელობისას, სჯობდა მათი მოუსხსნებლობა. მაგ., Fr. Schoell-ის 1830 წელს გამოცემული ბერძნული ლიტერატურის ისტორია. 1966 წელს უხერხულია ამ წიგნზე დაყრდნობა მაშინ, როდესაც XX ს-ის (და ამ საუკუნის მეორე ნახევრის) უამრავი ბერძნული ლიტერატურის ისტორია გვაქვს სხვადასხვა უცხოურ ენაზე და, ამას გარდა, ქართულ და რუსულ ენებზედაც (მითუმეტეს, რომ ქართულ ენაზე დაწერილ ბერძნულ ლიტერატურის ისტორიასაც იმოწმებს ნ. ლომოური Fr. Schoell-ის წიგნთან ერთად).

რუსული რეზიუმე (გვ. 142—148) კარგად არის დაწერილი, დალაგებული და მასში უკეთ ჩანს ნ. ლომოურის მიღწევები და მინაკვლევი, ვიდრე შესავალსა და კომენტარებში, სადაც ეს საკმაოდ გაბნეულად არის წარმოდგენილი.

შესავალი ნაწილი (გვ. 7—34) და კომენტარები (გვ. 84—141) ძირითადად რამდენიმე სახელმძღვანელოსა და ე. შვარცის საენციკლოპედიო სტატიის მიხედვით არის დაწერილი, მაგრამ კომენტარებში არის ნიმუშები, რომლებიც

წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელი საინტერესო კვლევის შედეგს. ასეთი კომენტარებია: გვ. 95—100, შენიშვნა 48. გვ. 104—106, შენ. 3. გვ. 111, შენ. 18. გვ. 119—123. შენ. 3. გვ. 125—130, შენ. 1, სადაც დაზუსტებულია ბომბეუსის იბერიაში ლაშქრობის მარშრუტი, დადგენილია ტექსტში მოხსენიებული ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტი, გადმოცემულია დეტალები მითრიდატე იბერიელის ისტორიიდან და კრიტიკულად არის განხილული ნერონის აღმოსავლურ პოლიტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

ეს კომენტარები იმდენად საინტერესოა, რომ უმჯობესი იქნებოდა მათი წინ წამოწევა — შეტანა შესავალი ნაწილის ქვეთავში: „დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“ (გვ. 24—30), რომელიც ძალიან ზოგადია და ნაკლებ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რას წერდა დიონ კასიოსი საქართველოს შესახებ, რას ამბობდნენ ნ. ლომოტრზე აღრინდელი მკვლევრები და რა შესძინა მეცნიერებს ახალი ნ. ლომოტრმა.

მართებულია ნ. ლომოტრის მსჯელობა წიგნის 27—28 გვერდებზე, სადაც ის ასწორებს იმ შეცდომას, რაც მოსდიოდათ ქართველ მკვლევრებს იმასთან დაკავშირებით, რომ დიონ კასიოსის ერთი ადგილის *τὰ ἐν τῇ Ἰβηρίᾳ* ეს-მოდათ როგორც ჩვენი იბერია, მაშინ როდესაც სინამდვილეში თბრობა ენებოდა დასავლეთის იბერიას (ესპანეთს).

„კომენტარებთან“ დაკავშირებით ერთი შენიშვნა მინდა გავაკეთო: „კომენტარების“ ნაწილი უნდა წასულიყო წინასიტყვაობაში, როგორც ზემოთ ვთქვი, ნაწილი კი გადასულიყო საძიებელში (მაგ. გვ. 86, შენ. 8 „არსაკე“... იგივე წერია, რაც შემდეგ საძიებელში. ასევე გვ. 87—„კინტუს მარციუს რექსი“. გვ. 116 „არტაბანე“ და სხვ.), ხოლო ნაწილიც უნდა წასულიყო ტექსტის ქვემოთ, სქოლიოში (მაგ., გვ. 86. შენ. 6 „ეს ცნობა იმ მხრივ არის საყურადღებო“... და „ეს ცნობა“ კი 36-ე გვერდზეა, ან კიდევ — 67 გვერდის 20-ა შენიშვნაში). კომენტარში 112 გვერდზეა და ტექსტობრივი ხასიათისა). ბევრი შენიშვნა, დაცილებული ტექსტს, უფრო ართულებს ვითარებას და საძიებლადაც უხერხულია, მით უმეტეს, რომ „რომის ისტორიის“ ყოველ წიგნს ცალკე ნუმერაციით აქვს კომენტარები. ზოგი კომენტარი საერთოდ ზედმეტია — მაგ. გაიუს იულიუს კეისარი (გვ. 112, შენ. 2), კოლხიდა (გვ. 92, შენ. 4), მეოტისი, ბოსფორი (იქვე), რადგან მათში ზოგადი არასრული ცნობების მეტი არაფერია და ისინი უფრო შეეფერება მეცნიერულ პოპულარულ ნაშრომს, ვიდრე სპეციალურ წყაროთმცოდნეობით ნარკვევს; ზოგი კომენტარი გადატვირთულია ზედმეტი არა არსებითი ცნობებით, რომელთაც დიონ კასიოსთან არაფერი აქვთ საერთო (გვ. 124, შენ. 8. ტიგრანს ვინ ჰყავდა წინაპრები, სულ არ გვჭირდება მისი და კორბულონის ურთიერთობასთან დაკავშირებით);

ზოგში კიდევ განმარტება მოცემულია არაარსებითი ნიშნების მიხედვით (მაგ., გვ. 115, შენ. 2) „პუბლიუს კანიდიუს კრასუსი — მეორე ტრიუმვირატის... წევრის, იულიუს კეისრის ახლო მეგობრის მარკუს ანტონიუსის ერთ-ერთი მხედართმთავარი, რომელიც ძვ. წ. 36 წ. არმენიაში იმყოფებოდა“. განა კანიდიუსის ამიერკავკასიაში ყოფნასთან დაკავშირებით მეტი ცნობის მოტანა არ შეიძლებოდა თუნდაც ბერძნული წყაროებიდან? ან მარკუს ანტონიუსის განმარტება ამგვარია საჭირო? მისი ძირითადი ნიშანი ისტორიისათვის ისაა, რომ ის იულიუს კეისრის ახლო მეგობარი იყო?). ზოგი კომენტარი აშკარად იწვევს სურვილებს, რომ ამ პიროვნებასა თუ ფაქტებთან დაკავშირებით სხვა ავტორთა მასალაც იყოს მოყვანილი და შეფასებული. მაგ., გვ. 69 — ფარნაკე, მისი შე-

ნიშვნა № 3 გვ. 113-ზე, სადაც ერთი სიტყვით არაფერია თქმული ფარნაკეს კოლხიდაში საქმიანობაზე (თუმცა თვითონ დიონ კასიოსს აქვს ამაზე ტექსტი), რაც, როგორც ცნობილია, სხვა მწერლებსაც აქვთ აღნიშნული.

შენიშვნას იწვევს შესავლის ქვეთავი: „დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ წყაროების საკითხისათვის“ (გვ. 15—23). ამ ნაწილში ზოგადად ნაშრომის წყაროებზეა ლაპარაკი ძირითადად ე. შვარცის სტატიის მიხედვით, საერთო სურათისათვის შეიძლება ესეც ყოფილიყო, მაგრამ აუცილებელი იყო გამოეყო, უფრო რელიეფურად ეჩვენებინა ნ. ლომურს ის წყაროები, რომლითაც სარგებლობდა ისტორიკოსი საქართველოს შესახებ მასალის დამუშავებისას. თუ ეს არ გაკეთებულა აქამდე არსებულ ლიტერატურაში, მითუმეტეს უნდა გაეკეთებინა ეს ქართველ მკვლევარს, რომელიც მონოგრაფიულად სწავლობს საკითხს.

ნაშრომი კარგი ქართულით არის დაწერილი და ადვილად იკითხება, მიუხედავად ამისა თვალში საცემია რამდენიმე უხეირო წინადადება. მაგალითად, გვ. 21: „დასკვნები პოულობენ დადასტურებას“ გვ. 45 „სიმშვიდეს ინახავდა“. გვ. 46 „მითრიდატე... იყო... განლაგებული“, გვ. 92 „პონტოს მეფისათვის... სომხეთის ტახტზე თავისი შვილიშვილის ყოფნა უფრო აწყობდა“, გვ. 120 „გაანთავისუფლებდა“, გვ. 127 „მოდერნიზატორული მიდრეკილება“ და სხვ.

ნ. ლომოური ბერძნული მიმღეობის გადმოსაცემად ხშირად ხმარობს თანამედროვე სალიტერატურო (და მითუმეტეს სალაპარაკო) ქართულისათვის ჩემი თვალსაზრისით მიუღებელ, ხელოვნურ კონსტრუქციას:

„იწოდებიან რა ნიკოპოლიტებად“ (გვ. 53).

„გაიგო რა ამის შესახებ“ (გვ. 54). „უთხრა რა“ (გვ. 55), „გაპყო რა“ (გვ. 57), „ისრებს ისროდნენ რა“ (გვ. 66) და სხვ. მრავალი.

უცხო სახელთა გადმოცემა ქართულ ენაზე ერთ-ერთი საჭირობოროტო საკითხია მათთვის, ვინც მთარგმნელობას ეწევა. ბერძნულ სახელთა გადმოცემის წესი ქართულად თითქოს დადგენილია, მაგრამ ყოველი ძეგლის თარგმნისას ეს საკითხი კვლავ წამოიჭრება ხოლმე: რა ვუყოთ სახელებს, დავწეროთ იმ ფორმით, როგორც ეს ბერძნულ ტექსტშია, თუ გადმოვცეთ იმ ფორმით, რომელიც ქართველის ყურს უფრო ნაკლებ ეხამუშება. ყოველ შემთხვევაში, თარგმნისას ერთი რამ მაინც არის უდავო: ერთსა და იმავე ძეგლში რამდენჯერმე ხმარებული ერთი და იგივე სახელი ყოველთვის ერთი და იგივე ფორმით უნდა წარმოვადგინოთ.

ნ. ლომოურს კი ეს ერთგვარობა დაცული არა აქვს: მაგ., სისტემატურად გვხვდება: „დიონ კასიოსი“ და „დიონ კასიუსი“ (გვ. 14, 15, 119 და სხვ.). „ფრაატეცა“ და „ფრაატიც“ (გვ. 25, 66, 118, 124). „ასანდრე“ და „ასანდრი“ (გვ. 114, 115). „ანტიოქე“ და „ანტიოქოსი“ (გვ. 38, 75, 91). „ტირიდატე“ და „ტირიდატი“ (გვ. 81, 123). „ვოლოგეზე“ და „ვოლოგეზი“ (გვ. 81, 123), „გაიუსი“ და „გაიოზი“ (გვ. 67, 96) და სხვ. ასევე გაუმართლებლად მიმაჩნია ფორმები: გაიუს სალუსტიუს კრიპსე (გვ. 17), ავლე გაბინიუსი (გვ. 65, 89), ელიუს სპარტიანე (გვ. 138), ლუციუს კორნელიანე (გვ. 140) — თუ ლათინური სადაბოლოება ერთ სახელშია დატოვებული, უფრო ბუნებრივი იყო მეორე სახელიც ასევე დაწერილიყო (ე. ი. კრისპუს, ავლუს, სპარტიანუს, კორნელიანუს).

სახელი *Τρυφάνης* ნ. ლომოურს „ტივრანი“-ს ფორმით აქვს გადმოცემული, მაშინ როდესაც ანალოგიური სახელები (მაგ. *Μοναίτης*, *Ἀριβαρζάνης*, *Ἀρτά-*

აქვს) მას მუდამ—ე—დაბოლოებით აქვს ნახმარი (მონესე, არიობარზანე, არსაკე). ვფიქრობ, დიონ კასიოსის ტექსტისთვის სჯობდა ფორმა „ტიგრანე“.

მდინარე **Tigris** თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში რატომღაც გავრცელდა ფორმით „ტიგროსი“, ასევე ხმარობს მას ნ. ლომოურცი (გვ. 41, 65, 85 და ა. შ.). ქართულში—ოს დაბოლოება ამ შემთხვევაში სრულიად გაუმართლებელია და საჭიროა სიტყვა ვწეროთ ფორმით „ტიგრისი“.

ბევრი ბერძნული სიტყვაა შემოსული სხვა ენათა შორის ქართულშიც. მათ გადმოცემასაც თავისი საკმაოდ დამკვიდრებული წესები აქვს, ამიტომ გვ. 123-ზე თვალში გვხვდება „პოლიტიკოსის“ გვერდით „სტრატეგი“.

ამას გარდა საძიებელში ზოგ სახელს აქვს გვერდით ბერძნული და ლათინური დაწერილობა, ზოგს არა (მაგ., აგრიპინა, ამიანე, დიოფანტე, ნიკომედე, პლინიუსი, სვიდა, სენეკა, ტიტე ლივიუსი და სხვ.). საჭირო იყო აქაც ერთგვარობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს წყაროს ანალიზს, ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვას, მაგრამ ამ ხასიათის წყაროთმცოდნეობითი ნაშრომის ძირითადი ღირებულება მაინც ტექსტის ზუსტად და სწორად გაგება და თარგმნაა (არსებითად მისი კარგი ანალიზიც ხომ მის სწორად გაგებაზეა დაფუძნებული). ნ. ლომოურის თარგმნილი ტექსტი უნაკლო არ არის. პირველი, რაც ამ მხრივ უნდა შეინიშნოს, ეს არის ის, რომ ნ. ლომოურმა თარგმანში არ შეიტანა X წიგნის მე-28 თავის მე-7 პარაგრაფი, სადაც ნახსენები მითრიდატე იბერიის მეფე მითრიდატე კი არ ყოფილა, არამედ ბოსფორის მეფე მითრიდატე (გვ. 28). რაკილა დიონ კასიოს ტექსტში აქვს **Μιθριδάτης ὁ τῶν Ἰβήρων βασιλεύς**, ეს უნდა შესულიყო ნაშრომში და თუ ისტორიკოსს რაზე ეშლება, მას გამომცემლის შესაფერისი განმარტება უნდა დართვოდა. მეორეს მხრივ, განა ტექსტში მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესახები ადგილი ცოტაა? მაშინ ასევე უნდა ყოფილიყო გამოტოვებული ბევრი სხვა ფრაგმენტიც, სადაც მაგ., მითრიდატე პერგამელია მოხსენებული (გვ. 73), ან კიდევ, სადაც ბოსფორის გამგებლის ფარნაკესი და მისი მეამბოხე მხედართმთავრის ასანდრეს ამბებია მოცემული (გვ. 69; გვ. 70—71, თავი 46) და სხვ. ყველა ეს ადგილი საჭიროა და ამაზე კიდევ უფრო იყო საჭირო ნ. ლომოურის მიერ ამოღებული ადგილი, რომელიც მისცემდა გამომცემელს საშუალებას მის ნამდვილობაზე, თუ მცდარობაზე მსჯელობისას. ტექსტთან და თარგმანთან დაკავშირებით ერთი შენიშვნა არის ასეთი: a. არის ადგილები ბერძნულ ტექსტში, რაც ქართულად არ არის თარგმნილი და b. არის ქართულად ისეთი ტექსტი, რისი შესაბამისი ბერძნულში არ ჩანს.

მაგ. a. გვ. 45, § 1 *πρωταξιουσμενός τε ἄμα αὐτὸν ἐς μάχην*. გვ. 59 § 1 *ἐπιλέμῃσε μὲν καὶ τοῖς Ἀλβανοῖς* და სხვ.

b. გვ. 51 § 4 „ამის გამო, იგი დაიძრა ისე, რომ შუადღისას დასასვენებლად მჯდომმა ბარბაროსებმა ეს ვერ შეამჩნიეს და გაიარა გზაზე, რომლითაც (ბარბაროსებს) უნდა გაევილიათ.“ გვ. 59, § 2 „ემეზობლებიან ერთი მხრით ალბანელებს და მეორე მხრით არმენიელებს“.

მაქვს კიდევ ერთი ზოგადი ხასიათის შენიშვნა: ბერძნული და სხვა ნაცვალსახელისა და მისი თარგმანის რიცხვი ყოველთვის არ შეესაბამება ერთმანეთს (გვ. 49, 51, 59, 74. მაგ. ბერძნული *ἀπὸ τῆς* და ქართული — „მას“), რასაც, ცხადია, აზრის უზუსტობაც მოსდევს.

არ ჩამოვთვლი იმ მაგალითებს, როდესაც ბერძნული ტექსტისა და ქართულის პარაგრაფები არ თანხვედბა (ამ შემთხვევაში რა აზრი აქვს პარაგრაფების დანომრვას, არ ვიცი). — ასეთი ძალიან ხშირია. არც იმას, როდესაც ქართულ ტექსტში აზრის სიცხადისათვის ჩვეულებრივად კვადრატულ ფრჩხილებში ჩამატებული სიტყვები უფრჩხილებოდ გვხვდება — ამისი მაგალითიც ბევრია. არც ყველა ისეთ ადგილს მოვიტან, რომლებიც ზუსტად და გამართულად არ არის თარგმნილი, მაგრამ ავტორის აზრს ძირითადად მაინც სწორად გვაგებინებენ.

სანიმუშოდ სულ ორ მაგალითს მოვიყვან:

გვ. 51, § 2 *Ἐφορήθη και οὐκ ἔτι κατὰ χώραν ἔμεινεν* „მაშინ მითრიდატე უიმედო პირობებში აღმოჩნდა, მან გადასწყვიტა ამ ადგილს გასცლოდა“. უნდა იყოს: „(მითრიდატე) შეშინდა და აღარ გაჩერდა (ამ) ადგილას“.

გვ. 64, § 4 *οἱ μὲν ἐπὶ δεξιά, οἱ δ' ἐπὶ μᾶτερα ἀντῶν περιελθόντες*. „ხოლო ცხენოსნებმა მოუარეს მარცხნიდან და მარჯვნიდან“ უნდა იყოს: „მოუარეს (ზოგმა) მარჯვნიდან, (ზოგმა კიდევ) მეორე მხრიდან“, ცხადია ეს მეორე მხარე მარცხენა იქნება, მაგრამ ტექსტში ასე სწერია.

ამგვარად თარგმნილი ადგილი ნაშრომში ძალიან ბევრია. შედარებით უფრო სრულად მოვიტან თარგმანების მხოლოდ ისეთ ნიმუშებს, რომელთა შესწორება აუცილებლად მიმაჩნია.

გვ. 38, § 1. *ὃς οὐκ ἐμειλήσας τὸν πόλεμον...καταλῆναι παρὰ τε τοῖς ἄλλοις και παρὰ τοῖς πολίταις ἔσχε* „იმის გამო, რომ მან არ დააბოლოვა ომი..., მოქალაქეებმა ისევე, როგორც სხვებმა, ბრალი დასდეს“.

უნდა იყოს: „რადგან მან (ლუკულუსმა) არ მთავრდა ომი, სხვებმაცა და მოქალაქეებმაც მას ძალაუფლება ჩამოართვეს“.

გვ. 40, § 2 *ἔς τῆν πολεμίαν γῆν ἐστράλξεν*.

„მტრის ქვეყნის დაპყრობა“ უნდა იყოს: „მტრის ქვეყანაში შექრა“.

გვ. 41, თავი 5. § 2 *ἄσπε τὰ βέλη, εἴτε ἐμμένοι πῆ τοῖς σάμασιν εἴτε και ἐξέλαστο, τάχιστα ἀπὸ διολλῆναι*.

„იარაღი ორმად ერჭობოდა სხეულში და, თუ მის ამოღებას მოახერხებდნენ, ძალიან მალე მოსწამლავდა სხეულს“.

უნდა იყოს: „ისრები სასწრაფოდ სპობდნენ (აღამიანებს), (სულერთია), გარჩებოდნენ (ისინი) სადმე სხეულში, თუ ამოძრობდნენ (მათ)“.

გვ. 43, თავი 8. § 2 *ἀντὶς δὲ ἐς τῆν ἐχαστὴν Ἀρμενίαν ἦλθε*.

„თვითონ კი არმენიაში შევიდა“, უნდა იყოს: „თვითონ კი თავის არმენიაში შევიდა“ (საქმე ეხება ტიგრანეს; ხოლო ამ ნაწარმოებში რამდენიმე არმენიაა გარჩეული, ისე, რომ მნიშვნელობა აქვს, რომელ არმენიაზეა ლაპარაკი).

*οἱ δὲ ἐπὶ τῶν Λαύσουλων... ἐπεβλήθησαν ἀντὶ*.

„სანამ ლუკულუსმა... მაშველი არ გამოუვზავნა“ — უნდა იყოს: „სანამ ლუკულუსი არ მიეშველა“.

გვ. 46, თავი 14, § 2 *συναγχοῦς ἀπέκτεινεν* „ერთიანად დახოცა“.

უნდა იყოს: „ბლომად დახოცა“ (ტიგრანეს სიძე მითრიდატე თავს დადევსა რომაელებს, რომლებიც მას ერთ-ერთ შეტაკებისას, ცხადია, ერთიანად არ ამოუხოცია).

გვ. 48, § 3 *πιστήμειος τῶντο κατέδεισε*.

„(მითრიდატემ) მთელი გამბედაობა დაჰკარგა“. უნდა იყოს: „ეს რომ შეიტყო, შეშინდა“.

გვ. 48, § 5 *ἐν μὴ ψευδάμεινος... μὴλὶς αὐτοὺς κατέσχευεν.*

„მას რომ მოგონილი განცხადებით... ისინი არ დაემშვიდებინა“ უნდა იყოს: „რომ (ისინი) არ მოეტყუებინა... და (ამით) ისინი ძლივს შეაკავა“.

გვ. 55, § 3 *ἔς τῆν γῆν πεσόντα προσκυσσόντα.*

„ქვე დაემხო“, უნდა იყოს: „მიწაზე დაემხო და თაყვანისცა“.

გვ. 59, § 1 *καὶ προτέροις γε τούτοις καὶ παρὰ γυνάμην ἡγαγάσθη συνεινεχθήναι.*

„მათთან ყოველგვარი მოლოდინის გარეშე უფრო ადრე მოუხდა შებმა“.

უნდა იყოს: „ის იძულებული გახდა სრულიად მოულოდნელად შებმოდა მათ“.

(საქმე ეხება ჰომპეტუსის ბრძოლას. ნ. ლომოურს, ისევე როგორც ვ. ლატიშევს, უყოყმანოდ მიაჩნია, რომ ეს მოულოდნელი ბრძოლა არის იბერებთან; ტექსტში, ვფიქრობთ, საეჭვო ვითარებაა—შესაძლოა აღბანებთან ბრძოლასაც აღნიშნავდეს ეს ფრაზა).

გვ. 62, § 2 *διὰ τὸν ἐνοικουόντα αὐτῆν „მცხოვრებთა სისასტიკის გამო“.*

უნდა იყოს—„მცხოვრებთა გამო“ (ჰომპეტუსმა ვაიკო, რომ ზღვით წასვლა კოლხიდიდან ბოსფორისაკენ ძნელია, ერთი იმიტომ, რომ სანაპიროზე ნავსადგურები არაა, და მეორე იმიტომ, რომ მოსახლეობა ართულებს ამ მგზავრობას. თუ რითი ართულებს ამას მოსახლეობა, დიონ კასიოსი ამის შესახებ არაფერს ამბობს).

გვ. 66, § 1 *πρὸς τῆν ἐπίκλησιν αὐτῶν ἔβρισεν.*

„მან შეურაცხყო (ფრაატე) მისი წოდების გამოც“ უნდა იყოს—„მან დაამცირა (ფრაატე) მიმართვაში“ ან „შეურაცხყო მიმართვითაც“ (ჰომპეტუსმა ფრაატეს „მეფეთა მეფე“ კი არ უწოდა, არამედ მხოლოდ „მეფე“).

იქვე § 3 *Φραάτης... δεδιώς τε αὐτὸν καὶ φεραπέσαν* „ფრაატეს (ჰომპეტუსის) ეშინოდა და მისი მეგობრობა უნდოდა“. უნდა იყოს „კიდევაც ეშინოდა და ემსახურებოდა, ან პატივსცემდა“, *φεραπέსა* არასოდეს ან ნიშნავს „მეგობრობა უნდოდა“—ეს არის: *служить, прислуживать; заботиться, почитать, уважать. лечить, исцелять*: А. Вейсман, Греческо-русский словарь.

გვ. 67, § 5 *πρέσβεις τε αὐτῶν πρὸς αὐτὸν ἀπέστειλε.*

„(ფრაატემაც) ხელახლა გაუგზავნა (წერილი)“.

უნდა იყოს—„კვლავ გაუგზავნა ელჩები“.

გვ. 68, § 3 *ἔπειθ' ἔβριον τινῶν τῆν διαφορὰν αὐτῷ πρὸς τὸν Ἰνδράνην εἶναι*

„(ფრაატეს) დავა აქვს ტიგრანთან ერთი ოლქის გამო“ უნდა იყოს—„სახლეობის გამო“ (და არა ოლქის გამო).

გვ. 79, § 6 *Κορβύλων... πρὸς τὸν Ἐνφράτην ἔλθῶν ἐνταυθ' ἔπιπέμεινεν „კორბულონი... მივიდა ევფრატის ნაპირას, სადაც იგი დაელოდა უკან დახეულ ძალებს“.*

უნდა იყოს: „კორბულონი... მივიდა ევფრატის ნაპირას (და) იქ მოიცადა“.

გვ. 81, § 4 *ἐπὶ τούτοις „ამის გამო“ უნდა იყოს „ამის მერე“ (ამის მერე მიესალმნენ ნერონს და არა ამის გამო).*

გვ. 81–82, § 1. *γράφας δὲ τὰ πρῶτα τῷ Ἰραϊανῷ ὡς βασιλεύς, ἐπειδὴ μὴδὲν ἀντεγράφη, ἐπέστειλε τε αὐτῶν τὸ ὄνομα τοῦτο περιγράψας, καὶ ᾗτησε Μάρκον Ἰούνιον τὸν τῆς Καππαδοκίας ἄρχοντα περιφθῆναι οἱ ὡς καὶ δι' αὐτοῦ τι αἰτησόμενος.*



„მისწერა (პართომასირისმა) პირველად ტრაიანეს როგორც მეფემ, ხოლო რადგანაც (მან) არაფერი უპასუხა, მისწერა ხელმეორედ ამ სახელწოდების... გარეშე და სთხოვა კაბადოკიის მმართველს მარკუს იუნიუსს გამოეზავნა ყოფილიყვენ მასთან ისინი, რაიმეში ბრალდებულნი (?).

უნდა იყოს: „(პართომასირისმა) მისწერა პირველად ტრაიანეს, როგორც მეფემ; როდესაც არაფერი მიიღო პასუხად, კვლავ მისწერა, (მხოლოდ) ეს სახელი ჩამოიცილა და მოსთხოვა მარკუს იუნიუსს, კაბადოკიის მმართველი გამოეგზავნა მისთვის, რომ მისი საშუალებით (მომავალში) რაღაცა მოეთხოვნა“.

მიუხედავად იმისა, რომ შენიშვნები დიდი რაოდენობით დაგროვდა, მაინც მინდა გავიმეორო ის, რაც ზემოთაც ვთქვი:

ნ. ლომოურის მიერ გამოცემული წიგნი „დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“, უეჭველად ძალიან საინტერესოა და იგი აუცილებელია მათთვის, ვინც საქართველოს ანტიკური ხანის ისტორიას იკვლევს. ან სწავლობს.

თ. ყაუხჩიშვილი

„ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ“

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების შესწავლას კარგა ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მათი გამოცემა მყარ საფუძველზე დადგა მას შემდეგ, რაც ამ საქმეს ხელი მოჰკიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან აკად. გ. წერეთლის თაოსნობით დაარსებულმა საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიამ.

აღნიშნულმა კომისიამ უკანასკნელი წლების მანძილზე გამოსცა სხვადასხვა ენებზე არსებული წყაროების ცნობები საქართველოს შესახებ, რითაც ძვირფასი მასალა მიეცათ საქართველოს ძველი და ფეოდალური ხანის ისტორიის მკვლევარებს. კერძოდ, საყურადღებო ცნობები მოიპოვება ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიისათვის X—XVIII სს. სპარსულ წყაროებში.

საქართველოს ისტორიის სპარსული წყაროების გამოვლენასა და შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ ქართველ ირანისტს განსვენებულ ვლადიმერ ფუთურძეს, რომლის ერთი ასეთი ნაშრომი: „ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ“ 1966 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „მეცნიერებამ“<sup>1</sup>.

ჰასან-ბეგ რუმლუს საისტორიო თხზულება „აჰსან ათ-თავარიხ“-ი („უმშვენიერესი ისტორიათაგანი“) საუკეთესო პირველწყაროს წარმოადგენს XVI ს-ის ირანისა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის<sup>2</sup>.

თხზულების ავტორი ერთ-ერთი ყიზილბაშური ტომის, რუმლუს, ზედაფენას ეკუთვნოდა და 10 წლის ასაკიდან იზრდებოდა შაჰ-თამაზ I-ის (1524—1576) კარზე. იგი თან ხლებია შაჰ-თამაზს ომებსა და ლაშქრობებში, ყოფილა საქართველოშიც და პირადად მიუღია მონაწილეობა ერთ-ერთ ბრძოლაში 1547 წელს. ამდენად, მას საკუთარი თვალით უნახავს თხზულებაში აღწერილი ამბების უმეტესობა. თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებო, რომ XVI საუკუნის, ისევე როგორც წინა საუკუნის, ქართული ნარატიული წყაროები თითქმის არ

<sup>1</sup> ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1966.

<sup>2</sup> ცნობილია ამ თხზულების საკმაოდ ბევრი ხელნაწერი; ორი ნუსხა არის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. მათგან ერთი (დორნის კატ. № 287) თხზულების XI და XII ტომებს შეიცავს. თხზულების სხვა ხელნაწერთა შესახებ იხ. C. Storey, Persian literature, a bio-bibliographical survey, sec. II, fasc. 2, London, 1936, გვ. 307—308. არსებობს „აჰსან ათ-თავარიხის“ უკანასკნელი ტომის ბეჭდური გამოცემა ინგლისური თარგმანით: A chronicle of the early safawis being the Ahsanu't-tawarikh of Hasan-i Rumlu, edited by C. Seddon, „Gaekward's Oriental series“, №LVII (Persian text), Calcutta, 1931, №LXIX (English translation), Baroda, 1934.

მოგვეპოვება, მაშინ ცხადი გახდება საქართველოს შესახებ ჰასან რუმლუს ცნობების დადი მნიშვნელობა და ღირსება.

ჰასან რუმლუს თავისი თხზულება თორმეტ ტომად დაუწერია, მაგრამ ამჟამად ამ ნაშრომის მხოლოდ ორი უკანასკნელი ტომია ცნობილი.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „აჰსან ათ-თავარიხის“ XI ტომი ჭერაც არ არის გამოცემული და, ამდენად, სარეცენზიო წიგნში დაბეჭდილ სპარსულ ტექსტს (გვ. 5—8) მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

ვ. ფუთურიდის მიერ გამოცემული ცნობები საქართველოს შესახებ ქრონოლოგიურად 1414—1575 წლებს შორის თავსდება და ირან-საქართველოს ურთიერთობის 160-წლიან მონაკვეთს მოიცავს. აქედან, როგორც ითქვა, ცნობათა ერთი ნაწილი კომპილაციური ხასიათისაა, XVI ს-ის ორმოციანი წლებიდან კი ავტორი მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველად გვევლინება<sup>3</sup>.

„აჰსან ათ-თავარიხ“-ის ცნობები შეეხება პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს თითქმის ყველა მხარისა და კუთხის ისტორიას. სახელდობრ, ქარ-

<sup>3</sup> ვლ. ფუთურიძე სარწმუნოდ მიიჩნევს ჩ. სედონის აზრს, რომ ჰასან რუმლუს თავის თხზულებას უკანასკნელ ტომში გამოყენებული აქვს მოულანა იდრის ბიბლისის „ჰაში ბეჰეში“ („რვა სამოთხე“), დ. როსის მიერ გამოცემული ერთი უცნობი ავტორის საისტორიო ნაწარმოები და ყადი აჰმედ ყაფარის „ნოსახ-ე ჯაჰან-არა“ („ქვეყნის შემამკობელი ნუსხები“), ხოლო რაც შეეხება „აჰსან ათ-თავარიხ“-ის წინა ტომებს, ვ. ფუთურიძის ვარაუდით, ისინი წარმოადგენდნენ სხვადასხვა ავტორთა თხზულებების მიხედვით შედგენილ კომპილაციას, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი მიიჩნეოდა და ზონდემირის ნაშრომებს უნდა ეჭიროს. ამის გარდა, რ. კეჩაძის დაკვირვებით, ჰასან რუმლუს უნდა გამოეყენებინა, აგრეთვე, ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის „თარიხ-ე ალამარა-იე ამინი“ („ამინის ქვეყნის შემამკობელი ისტორია“).

ნათქვამს ისიც უნდა დაეუბნათ, რომ „აჰსან ათ-თავარიხში“ XV ს-ის ისტორიკოსის შერეფ ად-დინ ალი იეზდის სტილის ერთგვარი გავლენაც იგრძნობა, რაც ფაფიჭებინებს, რომ ჰასან რუმლუ კარგად იცნობდა მის „ზაფარ-ნამეს“, რომელიც მთლიანად თემურ-ლენგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას მიეძღვნა. ეს საესებით შესაძლებელია, რადგან შერეფ ად-დინი თემურიანთა ეპოქის პროზის მამამთავრად ითვლება. მისი სტილის მიმბაძველობა წითელ ზოლად გასდევს XV ს-ის მთელ საისტორიო მწერლობას და სეფიანთა დროსაც გრძელდებოდა.

თემური საქართველოში პირველად 1386 წლის ნოემბერში გამოჩნდა სამცხე-საათაბაგოს მხრიდან. საქართველოში უკვე სუსხიანი ზამთარი იდგა, რასაც შერეფ ად-დინი ასე აგვიწერს:

چون بيوسته ابر از هوا چون دست كرىمان سيم مى پاشيد و كوه از اسب سرما چون دل مخالفان بى دين از بيم مياريذ

„ღრუბელი მოკმული კაცის ხელივით ციდან ვერცხლს აბნევა განუწყვეტილ და მთა ისე ზანზარებდა ყინვის სუსხისაგან, როგორც თრთის შიშისაგან ურწმუნო მტრების გულები“ (The Zafar namah by Maulana Sharafuddin Ali of Iazd, ed. by Maulawi Muhammad Iahdad, I, Calcutta, 1887, გვ. 698).

შპ-თამაზი იმავე გზით შემოსია საქართველოს 1547 წელს. საქართველოში მაშინაც სუსხიანი ზამთარი ყოფილა, რაც ჰასან რუმლუმ ასე ვაღმოსცა თავის თხზულებაში:

ابرچون دست كرىمان سيم مى پاشيد و كوه از سبب سرما چون دل مخالفان دين از بيم مياريذ

„როგორც გულუხვი ადამიანის ხელიდან იფრქვევა ვერცხლი, ისე აფრქვევა ღრუბელი მიწაზე თოვლს, ხოლო მთა ისე ძრწოდა სიცივისაგან, როგორც ძრწის შიშისაგან სარწმუნოების მტრის გული“. (ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, გვ. 14, ქართული თარგმანი, გვ. 25).

როგორც ვხედავთ, ჰასან რუმლუს თითქმის სიტყვა-სიტყვით აქვს გამეორებული შერეფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეს“ აღნიშნული ადგილი. ასეთი მაგალითების მოყვანა სხვაეც შეიძლება.

თლის, კახეთის, იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს ამბებს. ხოლო, რაკი თხზუ-  
ლებაში ამ პერიოდის ამბების თხრობა ირან-ოსმალეთის ომის ფონზეა გაშლი-  
ლი, ამიტომ ცნობები საქართველოს შესახებ მოცემულია როგორც ირანის, ისე  
ოსმალეთის ამბებთან დაკავშირებით. აქვეა ცნობები, აგრეთვე, საქართველოსა  
და მისი მეზობელი ქვეყნების (შაქი, შირვანი, სომხეთი) ურთიერთობის შესა-  
ხებ. აქედან განსაკუთრებულ ყურადღებას ის ცნობები იმსახურებენ, რომლე-  
ბიც საკუთრივ საქართველოს შინაურ ვითარებას ასახავენ.

ჰასან რუმლუს ცნობებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართვე-  
ლოში შაჰ-თამაზ I-ის შემოსევათა აღწერას 1540—1554 წლებს შორის, ლუარ-  
საბ I-ისა და სიმონ I-ის თავდადებულ ბრძოლას ყიზილბაშ-ოსმალთა დამპყრობ-  
ბლების წინააღმდეგ, ამ ბრძოლის შედეგებსა და მიმართულებას. „ჰასან ათ-  
თავარიხ“-ის ცნობები საყურადღებო წყაროა XVI ს-ის შუა ხანების თბილ-  
ისის, საქართველოს სხვადასხვა ციხე-ქალაქის, გზების და, აგრეთვე, ვარძიის  
ტაძრისა და გამოქვაბულების შესასწავლად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობები თბილისისა და მისი ციხის  
შესახებ. თემურ-ლენგს, როგორც ვიცით, თბილისის ციხე არ დაუხგრევია, აღე-  
ბა კი მხოლოდ დიდი ცდისა და მეცადინეობის შემდეგ შეძლო სპეციალური  
სააღყო მანქანებისა და რკინის ჩელებების გამოყენებით. ყიზილბაშთა შემოსე-  
ვის დროისათვის თბილისის ციხე კვლავაც მკვიდრი ნაგებობაა და, ციხისთავის  
გულბაათის გამცემლობა რომ არა, ყიზილბაშებისათვის არც თუ ისე ადვილი  
ასაღები და დასამორჩილებელი იქნებოდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბირთვისის ციხის ამბავი, რომელიც  
ყიზილბაშებს იმავე ხანებში დაუპყრიათ თბილისის მოყოლებით. ბირთვისის  
ციხის აღებას თემურ-ლენგი 1403 წელს მთელი სამი კვირა მოუხდა და თითქ-  
მის სასწაულით დაიმორჩილა. ამ ციხის სიმტკიცე და მიუვალობა ზღაპრულად  
აქვთ წარმოდგენილი თემურ-ლენგის ისტორიკოსებს და მისი დაპყრობის ამ-  
ბავი ყველას ცალკე თავად გამოუყვია.

ჰასან რუმლუს ცნობის მიხედვით, XVI ს-ის 40-იანი წლებისათვის ბირ-  
თვისის ციხე კვლავაც ქართველებს უპყრიათ და საქართველოს დაცვა-განმტკი-  
ცების საქმეს ემსახურება. საკვირველი მხოლოდ ისაა, რომ ჰასან რუმლუს ამ  
ძლიერი და მიუდგომელი ციხის აღების ამბავი სხვათა შორის აქვს მოხსენებუ-  
ლი, თითქოს ყიზილბაშებს მისი დაპყრობა-დამორჩილება დიდად არც კი გას-  
ჭირვებიათ.

საერთოდ ჰასან რუმლუს ცნობების მიხედვით, ყიზილბაშები ქართველების  
წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც წესი, გამარჯვებას შედარებით ადვილად აღ-  
წევენ და ნაკლები ზარალიც მოსდით. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ვერ ასა-  
ხავს საქმის კემმარტ არსს და თხზულების ავტორის ტენდენციურობით უნდა  
აიხსნას. მუსლიმანთა ლაშქრის ძლევამოსილების აღწერა და ქრისტიან ქარ-  
თველთა როლის დამცირება მემკვიდრეობით მოსდგამდა სპარსულენოვან ის-  
ტორიოგრაფიას და ამ გზას, როგორც ჩანს, ვერც ჰასან რუმლუმ გადაუხვია.

მაგრამ სულ სხვაგვარია ჰასან რუმლუს განწყობა ქართველების მიმართ,  
როდესაც საქმე ოსმალ-ქართველთა ომის აღწერა-შეფასებას შეეხება. ირან-  
ოსმალეთის ომის დროს ქართველები ყიზილბაშებს თავიანთ მოკავშირედ მიაჩ-  
ნიათ და ისტორიკოსის სიმპათიებიც მთლიანად მათ მხარეზეა. აქ ჰასან რუმლუ  
ცდილობს შედარებით ობიექტური იყოს და მის ცნობებში მკვდრეთით ცოცხლ-

დებიან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ წინაპართა საგმირო საქმეებზე<sup>4</sup>.

ეს გარემოება გვკარნახობს, გავითვალისწინოთ ისტორიკოსის ტენდენციურობა და მის ცნობებში ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქართველები იმავე სახით უნდა წარმოვიდგინოთ და დავინახოთ, როგორც გვიხატავს იგი მათ ოსმალების წინააღმდეგ ომში.

ვლ. ფუთურიძეს „ჰასან ათ-თავარიხ“-ის სპარსული ტექსტი ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან (დორნის კატალოგით № 287) მისთვის დამახასიათებელი გულისყურითა და სიფაქიზით გადმოუწერია. ამ ცნობების ქართული თარგმანი შესრულებულია დიდი პროფესიული ოსტატობით. ძნელად სათარგმნელი სპარსული ტერმინებისათვის მოძებნილია ზედგამოჭრილი, თავანკარა ქართული შესატყვისები, თხრობა არის გამართული და გამჭვირვალე თავისი ენითა და სტილით.

წიგნს დართული აქვს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის რევაზ კიკნაძის მიერ შედგენილი შენიშვნა-განმარტებები (გვ. 43—66), რისი ვაკეთებაც თავის დროზე ვერ მოასწრო განსვენებულმა ვლ. ფუთურიძემ.

აღნიშნული შენიშვნები წარმოადგენს საქართველოს შესახებ ჰასან რუმლუს ცნობებში მოხსენიებული უცხო, ძირითადად აღმოსავლური სახელ-ტერმინების ახსნა-განმარტებას და სხვა სახის საცნობარო მასალას. რაც, ძირითადად სწორად არის შედგენილი და დიდ მოწონებას იმსახურებს. ზოგ შემთხვევაში იგი ბევრად ცილდება ჩვეულებრივი ახსნა-განმარტების ფარგლებს და ზრიგინალური მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფს წარმოადგენს. ასეთების რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, სარეცენზიო წიგნის 50-ე გვერდზე მოტანილი რიგით 69-ე განმარტება, რომელიც ჰასან რუმლუს თხზულებაში მოხსენიებული „ვახუშტი ქართველისა და ლუარსაბ შერმაზან ოღლის“ ენაობის ახსნას და ქართულ წყაროებში მათი გადმოცემის საკითხს შეეხება. ჰასან რუმლუსა და ისქანდერ მუნშის ცნობების მეშვეობით რ. კიკნაძე ადგენს, რომ მათ თმოგვისა და აყ-შაჰრის ოლქი ეკუთვნოდათ და ასწორებს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას, თითქოს ისინი ლორე-ბამბაკის პატრონები იყვნენ. გარდა ამისა, ქართულ წყაროებში (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტები) მათი სახელების დამახინჯებასთან დაკავშირებით იძლევა უაღრესად საინტერესო დაკვირვებას, რა თქმა უნდა, სათანადო მაგალითების ჩვენებით, რაც ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტების შერყვნილი ადგილების გასწორების საშუალებასაც იძლევა („შერმაზან ოღლი“ — ფარსადან გორგიჯანიძის „შერმაზან ავალი“-ს ნაცვლად და „ვახუშტი“ — „ახალი ქართლის ცხოვრების „ივჯუზ-იეჯუზ-იჯუზ“ ნაცვლად). ასევე საყურადღებოა 29-ე გვერდზე ვ. ფუთურიძის

<sup>4</sup> მაგალითისათვის იხ. ცნობა, სადაც გადმოცემულია ოსმალო-ქართველთა ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც ქართველები „[ოსმალებს] ყოველი მხრიდან გარს შემოერთყენენ, ასე რომ, ათასიდან ერთიც არ გადაარჩენილა, ამის შემდეგ ილაღით ფაშას წინააღმდეგ გაემართა. გვიანი დილა იყო, რომ დაეწია მას, შეუტია და ოსმალების სიცოცხლეს სული ამოართვა ცეცხლის მფრქვეველი ხმლით. ქართველებმა ლალისფრად შეღებეს ბრძოლის ველი მათი სისხლით და მრავალი ოსმალო, მუსა ფაშასთან და წარჩინებულ ოსმალებთან ერთად, დახოცეს, ხოლო მათი ბანაკი დაარბიეს და აიკლეს“ (გვ. 24).

მსგავსი ადგილების მოტანა მრავლად შეიძლებოდა ჰასან რუმლუს თხზულებიდან გამოკრებილი ოსმალო-ქართველთა ბრძოლის ამსახველი ცნობებიდან.

მეორე უთარგმნელად დატოვებული *منكوب*-ისა და *ارقد*-ის ციხეების „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე. წ. მესამე ტექსტში მოხსენიებულ „ვანის ქუბისა“ და „აწყურთან“ გაიგივება. (შენიშვნა 71, გვ. 60). როგორც ცნობილია, ჰასან რუმლუ პირადად მონაწილეობდა საქართველოზე შაჰ-თამაზის (1524—1576) ლაშქრობაში, როცა ყიზილბაშთა ლაშქარმა ვარძიასთან ერთად ზემოთ დასახელებული ციხეები აიღო. ამდენად, მართებული ჩანს ავტორის ვარაუდი, რომ ჰასან რუმლუს შესაძლებელია არასწორად ჩაეწერა ციხეების ქართული სახელები, ზოლო გადაწერებმა კიდევ უფრო მეტად დაამახინჯეს მათთვის უცნობი სახელები. მსგავსი მაგალითი სხვაც შეიძლება მოგვეყვანა და ამ მხრივ, გარდა ქებისა, წიგნის რედაქტორისა და კომენტარების შემადგენელისადმი სათქმელი სხვა არა გვაქვს რა, ოღონდ ის მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მით უფრო აჯობებდა წიგნის ეს ნაწილი გაცილებით ვრცელი ყოფილიყო და ჰასან რუმლუს ცნობებში მოხსენიებული ყველა სახელტერმინი ქონებოდა განმარტებული.

განმარტებას საჭიროებდა, მაგალითად, მე-16 გვერდზე ნახსენები „ლაზიების ლოცვა-დიდება“. თანაც, საჭირო იყო ჯერ თვითონ „ლაზის“ განმარტება, რომ ისინი საღვთო ომის მონაწილე, ისლამის რჯულისათვის მებრძოლი მეომრები იყვნენ და მერე იმისი ახსნა, თუ რა ლოცვა-დიდების შესახებაა აქ ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ აქ ჩვეულებრივი ლოცვა-დიდება კი არ არის ნაგულისხმევი, არამედ საქმე გვაქვს სხვა ამბავთან. 1414/15 წლის ამბებში მოთხრობილია, რომ მომხდარა დიდი ბრძოლა შაგბატნიან თურქმანთა სახელმწიფოს მბრძანებელ ყარა-უსუფსა და შირვანშაჰ შეიხ იბრაჰიმ I შორის 1414 წელს. შეიხ იბრაჰიმს ამ ომში ეხმარებოდა საქართველოს მეფე კონსტანტინე I, რომელიც ტყვედ ჩავარდა და მოკლულ იქნა თურქმანების მიერ<sup>5</sup>.

როგორც ჰასან რუმლუ გადმოგვცემს, შეიხ იბრაჰიმი მტკვრის ნაპირას დადგა და ბანაკს გარშემო ხანდაკი შემოავლო. ყარა-უსუფის ჯარმა მდინარე გადმოლახა, შირვანშაჰის ბანაკში შეიჭრა და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. რომლის დროსაც, ისტორიკოსის თქმით: „ბუმბერაზების ყიყინა, ლაზიების ლოცვა-დიდება და შირვანელთა და ქართველთა ღრიალი ცას აყრუებდა, საომარ ქოსთა და სტვირთა ხმა მთებს აზანხარებდა, აფორიაქებდა და შიშის ზარს სცემდა“ (გვ. 16).

აქ ეს „ლოცვა-დიდება“ არაა ნახმარი ჩვეულებრივი გაგებით, არამედ იმავე საომარ ყიყინასთან გვაქვს საქმე, რომელიც გამოხატულია ლოცვის სიტყვებით. ცნობილია, რომ საღვთო ომის მონაწილე ლაზიები, ბრძოლის დროს, ვაშას მაგიერ, გაიძახოდნენ ყურანის სიტყვებს: „ალაჰ აქბარ“ („დიდ არს უფალი“); და „ლა ილაჰა ილა ლაჰ“... („არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა“!). აქ სწორედ ასეთი საომარი ყიყინა არის ნაგულისხმევი და არა ჩვეულებრივი ლოცვა-დიდება, რასაც სათანადო განმარტება უფრო ნათელს გახდიდა.

ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ წიგნის დასათაურება-არქიტექტონიკის შესახებ. ისე როგორც ყველა წიგნს, სარეცენზიო ნაშრომსაც ახლავს სარჩევი, სადაც სხვა სათაურთა შორის არის თავი: „ჰასან რუმლუ, „ჰასან ათ-თავარიზ“ (ქართული თარგმანი)“ და მითითებულია მე-13 გვერდი. აღნიშნულ გვერდზე ტექსტის დასაწყისში იგივე სათაურია განმეორებული, ოღონდ ტექსტი

<sup>5</sup> ამ ბრძოლის თარიღის შესახებ იხ. რ. კიკნაძის წერილი: „ქართველი და აზერბაიჯანელი ზალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან“, თსუ შრომები, ტ. 108. 1964, გვ. 377—383.

ჰასან რუმელუს „აჰსან ათ-თავარის“-ის თარგმანს კი არა არამედ საქართველოს შესახებ ამ თხზულებიდან გამოკრებილი ცნობების თარგმანს წარმოადგენს. ამიტომ, აჯობებდა, რომ სათაურიც შესაბამისი ჰქონოდა, კერძოდ: ჰასან რუმელუს „აჰსან ათ-თავარის“-ის ცნობები საქართველოს შესახებ (ქართული თარგმანი) და შემდეგ ისე, როგორც სარჩევშია.

გარდა ზემოთქმულისა, ვფიქრობთ, აჯობებდა სპარსული ტექსტისა და ქართული თარგმანის გვერდი-გვერდ მოთავსება, რაც დიდად გააადვილებდა სთანადო ადგილების მოძებნა-გამოყენებას.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ წარმოდგენილი შენიშვნები ოდნავადაც ვერ ჩრდილავს წიგნის დიდ ღირსებას, მისი ავტორის ღვაწლს და რედაქტორის დამსახურებას. სარეცენზიო წიგნი საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მკვლევარებს.

კ. ტაბატაძე

---



მაქსიმე ღვინოსიძის ძე ბერძნიშვილი

წინამდებარე კრებულის რედაქცია ამ მოსახსენებელს დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით უძღვნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მაქსიმე ღვინოსის ძე ბერძნიშვილის სახელს — უმწიკვლო სახელს დაუღალავი მუშაისას სამეცნიერო და საგანმანათლებლო სარბიელზე, ნათელ ხსოვნას სახელოვანა მოღვაწისას პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

მაქსიმე ბერძნიშვილი დაიბადა 1889 წ. 13 (26) აგვისტოს. 1899 წ-დან დაწყებული მან შეასრულა დაწესებული კურსი თბილისის სასულიერო სასწავლებლისა და მერმე სასულიერო სემინარიისა, ხოლო უმაღლესი განათლება მიიღო ვარშავის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე (1912—1916 წწ).

თავის დარგში კარგად დასპეციალებული და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების მქონე, მაქსიმე ბერძნიშვილი 1917 წლიდან თბილისში იწყებს ენერგიულ სამსახურებრივ საქმიანობას. მ. ბერძნიშვილის კურიკულუმ ვიტე შეიცავს იმის მოწმობას, რომ ცარიზმის დამხობისა და საქართველოში ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების პირობებში იგი იყო ერთ-ერთი აქტიური მუშაი, რომელსაც თავისი წვლილი შეჰქონდა მაშინ ახლად შექმნილ დაწესებულებებში საადმინისტრაციო აპარატის გაეროვნულება-განმტკიცების მნიშვნელოვან დარგში. სახალხო განათლების სამინისტროში იგი იყო საერთო საქმეთა მდივანი, სხვა დროს — შრომის სახალხო კომისარიატში საქმეთა მმართველი, თბილისის აღმასკომში სახალხო განათლების განყოფილების კანცელარიის გამგე. 1925—1934 წლების მანძილზე მაქსიმე ბერძნიშვილი ხელმძღვანელ როლს ასრულებდა საქართველოს წიგნის პალატაში, — გარკვეულ დროს იყო მისი დირექტორიც. საადმინისტრაციო საქმიანობას ყოველთვის კარგად უთავსებდა პრაქტიკულ-მეცნიერულ მუშაობას. როგორც განათლების განყოფილების კანცელარიის გამგემ, მან დიდი ზრუნვა გამოიჩინა ქართული საკანცელარიო ტერმინოლოგიის შექმნაზე; წიგნის პალატაში გადმოაქართულა წიგნის შესახები ტექნიკური ტერმინოლოგია, საფუძველი ჩაუყარა ქართულ



უნაზე წიგნის ბიბლიოგრაფიულ დამუშავებას, თვით წიგნის პალატის ორგანოს „ბიბლიოგრაფიის მოამბეს“; იქვე დააარსა ჟურნალები „წიგნის მატინე“ და „გაზეთის მატინე“. ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის შექმნის პირველი ცდის განხორციელებისას (1932—1934 წწ.) იგი იყო სასიტყვანო განყოფილების გამგე.

ასეთმა ნაყოფიერმა საქმიანობამ, რომლის კვალი და გამოძახილები პრესაშიც იჩენდა თავს და სამეცნიერო გამოცემებშიც, მაქსიმე ბერძნიშვილს ნდობა და სიმპათია მოუპოვა ჩვენი დიდი ისტორიკოსების თვალში, სპეციალისტთა წრეებში. 1934 წელს მას თბილისის უნივერსიტეტში ძველი ისტორიის კათედრა იწვევს ძველი აღმოსავლეთისა და საბერძნეთ-რომის ისტორიის კურსების წასაკითხავად. ამ დროიდან მაქსიმე ბერძნიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა იმავე პროგრამით რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებელშიც გაიშალა (თბილისის სამასწავლებლო ინ-ტი, გორის, სოხუმისა და ზუგდიდის ინ-ტები). 1945 წლიდან სიცოცხლის მთელ მანძილზე მაქსიმე ბერძნიშვილი უფ. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას ასრულებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში.

აკადემიურ მუშაობაში უშუალოდ ჩაბმამ სტიმული მისცა მ. ბერძნიშვილს ახალი კონკრეტული გამოვლინება ეპოვნა თავისი სამეცნიერო ინტერესებისათვის, წარმატებული მცდელობა არ მოჰკლებოდა მის საქმეს — საუნივერსიტეტო კურსებში საკუთარი გარჯით მოპოვებული ახალი მასალა, ახალი სიტყვა გამოეყენებინა, საერთოდ მეცნიერებაში თავისი ძალისაებრი წვლილი შეეტანა. ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მ. ბერძნიშვილის მონაპოვარი ანტიკური ხანის საქართველოს სპეციალური კვლევის საქმეში. ჩვენ ვგულისხმობთ, პირველ რიგში, მ. ბერძნიშვილის მიერ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის — ფოთის ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლას. მ. ბერძნიშვილმა, კარგად ორიენტირებულმა კერძოდ კლასიკურ ფილოლოგიაში, ამოცანად დაისახა კონკრეტულ საისტორიო მასალაზე შემომწმებინა ერთხელვე, ზოგადი მოსაზრების საფუძველზე, საყოველთაოდ გაზიარებული ცნობა, რომ ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური წყაროების ქ. ფაზისი — ეს მერმინდელი ფოთია. წარმატებულმა ძიებამ მ. ბერძნიშვილს საშუალება მისცა შეექმნა მონოგრაფიული შრომა — ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის (არსებობს სათანადო თეზისებიც). ამ შრომის გარკვეული ნაწილი თავის დროზე გამოქვეყნდა ავტორის სპეციალური სტატიების სახით: „ფაზისის ლოკალიზაციისათვის“ და „ლევონდის (VIII ს.) ცნობა ფოთის შესახებ“.

ნარატიული წყაროების შესწავლა-შეჯამებამ და თანამედროვე ფოთის მონაპოვების ადგილზე გაცნობამ ავტორი მიიყვანა რიგ მტკიცე დასკვნამდე. კერძოდ, მან დაადგინა, რომ სიზუსტით გამოიჩინა ერთნაირი ცნობა ფაზის-დიოსკურიას შორის მანძილის შესახებ, რომელიც ეტოლება ფოთ-სოხუმის მანძილს და ფაზისის გვაგულისხმებინებს ფოთის მახლობელ ხაზზე; სტრაბონის, არიანეს და პროკ. კესარიელის მითითებანი ადასტურებენ მდ. ფაზისის იგივეობას აწინდელ რიონთან; ირკვევა ქ. ფაზისის მდებარეობა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, და ა. შ. სომეხთა ისტორიკოსის ლევონდის (იგივე ლევონდის) სათანადო ცნობების გადასინჯვა მ. ბერძნიშვილის მხრივ არ განსაზღვრულა ნაშრომის პასიური გამოყენებით, ლევონდის წაკითხვამ მკვლევარს აღუძრა მრავალი წყაროთმცოდნეობითი საკითხი, გამოათქმევინა საინტერესო მოსაზრებები, კერძოდ, ლევონდის ცხოვრების ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ და

ამასთან დაკავშირებით — ლევონდის თანამედროვე შაპუს რომელობის შესახებაც მ. ბერძნიშვილმა პირველწყაროთა შეჯერებით გარკვეული შეჭი შეიტანა ლევონდისთან მოთხრობილ ამბავში ზოგი სომეხი დიდებულის (სუმბატი და სხვ.) VIII ს-ში ფოთს (სომხურ ტრანსკრიფციაში — ფუფთ) დროებით დასახლების შესახებ და სხვ.

მაქსიმე ბერძნიშვილის კალამს ეკუთვნის საყურადღებო დებულებები შუა საუკუნეთა მწიგნობრის იოანე ვარაზ-ვაჩეს ვინაობის, აგრეთვე პირობით მონავატელად წოდებული გიორგის და ზოგ სხვა ისტორიულ პირთა ვინაობის შესახებ.

მაქსიმე ბერძნიშვილის სამეცნიერო ინტერესთა წრეში მთავარი ადგილი მიიღო XIX ს-ის საქართველოში საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საკითხებს ეკუთვნით. ჩვენი მკვლევარის ერუდიტობა, მახვილი დაკვირვებები, ცნობათა სიზუსტე სწორედ სამაგალითო იყო. მისი მონაპოვრები ამ დარგში მეტადრე ეფექტიანი ჩანს 1832 წლის ცნობილი შეთქმულების ისტორიისადმი მიძღვნილ იმ ნაშრომებში, რომლებსაც მათი ავტორი, მაქსიმე ბერძნიშვილი წლიდან წლამდე ავსებდა, დასაბეჭდად ამზადებდა. ის ერთი ნაწილი, ჩანაფიქრი დიდი გამოკვლევისა, რომლის შესრულებაც ავტორმა თავის სიცოცხლეში მოასწრო, უკვე მოცემული სახითაც დამოუკიდებელ შემეცნებით ინტერესს წარმოადგენს. მასში სანიმუშო სიფაქიზითა და გამჭირახობით შესწავლილია სათანადო personalia, კრიტიკულად ნაბიჯ-ნაბიჯ განხილულია შეთქმულების მთელ რიგ მონაწილეთა ცხოვრება-მოღვაწეობა და იდეოლოგია, ოფიციალური საგამომძიებლო კომისიის მიერ შეკრებილ მასალათა სანდოობისა და საზოგადოდ მათი ღირებულების საკითხები, შეთქმულთა გენეალოგია, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა და სხვ. შესწავლილ პირთა შორის წინ დგებიან ცნობილი ქართველი მოღვაწენი სოლ. დოდაშვილი, იონა ხელაშვილი, გლ. კილაშვილი, ალექსანდრე. ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, სოლ. რაზმაძე და მრავალი სხვა. მთელ რიგ შემთხვევებში მ. ბერძნიშვილის ძიებანი ამ დარგში წარმოადგენენ პირველ ცდას. ამასთან ერთად ზოგჯერ შეფასებულა ცალკეული მწიგნობრების მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისითაც (ალ. ყიფშიძე, ალ. ორბელიანი). ყურადღებას იპყრობს მ. ბერძნიშვილის ნაშრომი — „ორი სამეცნიერო საისტორიო სკოლა პირველი რევოლუციის წლებში“ და ა. შ.

მ. ბერძნიშვილის არქივში ცალკე დაცულია ენციკლოპედიური მნიშვნელობის მქონე ვრცელი ისტორიულ-ბიოგრაფიული კრებული, XIX ს-ის დიდთა თუ მეორე-მესამეხარისხოვან მოღვაწეთადმი მიძღვნილი მისი უხვი და ფაქიზად წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მაქსიმე ბერძნიშვილი დიდი მონდობებით სწერდა წერილებს — სპეციალურად ქართულ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიისათვის — XIX საუკუნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

ჩვენი ქვეყნის სასკოლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში უშუალო მონაწილეობამ, უმაღლეს სკოლებში სამეცნიერო-პედაგოგიურმა ხანგრძლივმა მუშაობამ გააძლიერა მ. ბერძნიშვილის ზრუნვა საქართველოში სწავლა-აღზრდის ისტორიის შესწავლის საქმეზე, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საჭირო ლიტერატურის შემატებაზე. მის შრომათა სიაში ყურადღებას იქცევს, კერძოდ, სათაურები: კ. მამაცაშვილი და მისი პროექტი სოფლად სახელოსნო სკოლათა დაარსების შესახებ; იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“; ტარასი

მესხიევის „ქართული ანბანი“; „ქართული აკადემიური შრიფტის ისტორიისათვის“ და სხვ.

უმადლესი სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობისათვის და ფართო მკითხველისათვის მ. ბერძნიშვილს დიდად შეუწყვია ხელი ზოგი სპეციალური ლიტერატურის კარგ ქართულ ენაზე გადათარგმნითაც. ქართველი ინტელიგენცია, ჩვენი სტუდენტობის თაობები მას იცნობდნენ როგორც პროგრესული მეცნიერების გავრცელებისათვის, პოზიტიური ცოდნის დანერგვისათვის დაუღალავ მუშაკს. მაქსიმე ბერძნიშვილი, განათლებული აღმზრდელი და მკვლევარი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პატრიოტული ერთგულებით ემსახურებოდა საქვეყნო საქმეს, უყვარდა შრომა, ხელნაწერების ჩხრეკა, გარდასულ და მის თანამედროვე მოღვაწეთა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმიანობის ძიება. მაქსიმე ბერძნიშვილი მის უახლოეს საზოგადოებრივ გარემოცვაში აღიარებული იყო როგორც XIX ს-ის საზოგადოებრივი ცხოვრების „ცოცხალი ენციკლოპედია“. მას ჰქონდა სამაგალითო მეხსიერება, რის საილუსტრაციოდ ამ სტრუქტურების ავტორი ნებას აძლევს თავს წინამდებარე წერილი დაასრულოს შემდეგი მოგონებით. ეს იყო 1946 წელს, ქალბატონი ელისაბედ ერისთავის დიდ ოჯახში თბილისს, სადაც მაშინ კიდევ იხილებოდა დიასახლისის მამისა და პაპის, უკვდავი მწერლების — დავითისა და გიორგი-გლუხარჩის დროინდელი. ერისთავიანთ საოჯახო რელიქვიები (პორტრეტები და სხვ.). ელისაბედ დავითის ასულმა წინ გადაშალა დიდი ზომის ფურცელი, რომელზეც გამოხატული იყო ერისთავიანთ გენეალოგიური მუხსასავით დიდი ხე მისი სათანადო ძირფესვებით, შტოებით და ა. შ. საჭირო აღმოჩნდა ისტორიკოსის კონსულტაცია ხეზე გამოკიდულ წინაპართა ვინაობის დასაზუსტებლად. მაშინვე ვიგრძენი უმაქსიმობა. ამას მოჰყვა მაქსიმე ბერძნიშვილის პირველი (და ვგონებ, უკანასკნელი) ვიზიტი, ჩემი თანხლებით იმავე ოჯახში. მაქსიმე ბერძნიშვილი ისე სხარტად „აღიოდნა“ ამ ხის ხშირ შტო-ტოტებზე, თითქოს მისი დარგული ყოფილიყო. ქ. ელისაბედი კმაყოფილების ღიმილით, ხოლო სხვები თვალის ცეცებით ისმენდნენ მაქსიმე ბერძნიშვილის ექსპრომტად შესრულებულ საკვირვალ ზუსტ განმარტებებს.

ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილება მადლიერების გრძნობით აღნიშნავს მაქსიმე ბერძნიშვილის ნათელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასეთ მხარეებს და ვარაუდობს საკუთარ საგეგმო საქმიანობაში ჯეროვანი ადგილი დაუთმოს თავის — უკანასკნელ დრომდე განუშორებელს — ღვაწლმოსილი თანამშრომლის მაქსიმე ბერძნიშვილის დაუბეჭდავი შრომების გამოქვეყნების თადარიგს.

მეცნიერული საზოგადოებრიობა ფაქიზად დაიცავს ძვირფასი მაქსიმეს ნათელ ხსოვნას.

ვ. დონდუა

მასიმი ბერძნიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია\*

დაბეჭდილი

1. შრომები თბილისი (სტატისტიკური ცნობები).—გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. № 533.
2. ივ. ჯავახიშვილის ახალი შრომა (პალიმფსესტების შესახებ. ბიბლიოგრაფია).—გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. № 549, 550.
3. საქართველოს წიგნის პალატა.—„ჩვენი მეცნიერება“, 1926 წ. № 16—17.
4. პირველი ბეჭდური ქართული არითმეტიკისათვის.—„სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“. 1937 წ. ტ. I.
5. ებიზიდი ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური მოღვაწეობიდან.—„სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, 1937 წ. ტ. 1.
6. პოემა „გორანცივის“ დათარიღებისათვის.—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. წერეთლის ხსენისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. 1940 წ.
7. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის.—„ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941 წ. № 2—3.
8. ნოტა-ბენეს ვინაობისათვის.—„ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941 წ. № 2—3.
9. ჭალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის.—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXIII. 1942 წ.
10. ლევონდის ცნობა ფოთის შესახებ.—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXVI B. 1944 წ.
11. ს. დოდაშვილი—ნ. ბარათაშვილის მასწავლებელი.—გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1945 წ. № 14.
12. იოანე-ვარაზ-ვაჩესათვის.—„ანალები“, ტ. I, 1947 წ.
13. ჟურნალ „სინათლის“ განცხადება.—„ბიბლიოგრაფიის შრომები“, 1948 წ. № 4—5.
14. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1944 წ. ნაკვ.: II“, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა.—„მიმომხილველი“, I, თბ., 1949 წ.
15. Грузия. Исторический очерк с древнейших времен до XVIII века включительно.—Большая Советская энциклопедия, т. 13, 1952 г.
16. მიხეილ ზაალიშვილი (1865—1920).—„განათლების მუზეუმი“, თბილისი, 1955 წ.
17. სალტერატურო მემკვიდრეობა. შენიშვნები.—სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961 წ., გვ. 373—384.
18. ერეკლეს კონფიდენტ გოდერძის ვინაობისათვის.—„ქართული წყაროთმცოდნეობა“, I, თბილისი, 1965 წ.
19. ტურინის კომპლაცციის გამო.—კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966 წ.
20. ძველი ქართული პოლიგრაფიული ტერმინები.—„ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბილისი, 1968 წ.

დაუბეჭდავი

1. ნიკოლოზ ბერძენოვი.—0,5 თაბახი. 1926 წ.
2. „ქართული ანბანი“ და მისი ავტორი ტარასი ალექსი-მესხიშვილი.—1,5 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში 1934 წ. 3 ნოემბერს.

\* შეადგინა მანისა ბერძნიშვილმა

3. კონსტანტინე მამაცაშვილი და მისი პროექტი სოულად სახელოსნო სკოლათა დაარსების შესახებ.—1 თაბახი, 1934 წ.
4. იოანე ქართველიშვილი, მისი მემუარი და „ქართული გრამატიკა“.—0,5 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად პედაგოგ. ინსტიტუტში 1935 წ. 28 მარტს.
5. სოლომონ დოდაშვილი და მისი საექო სიტყვა 1828 წლის 6 ივნისს საკეთილშობილო სასწავლებელში.—1 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად პედაგ. ინსტიტუტში 1935 წ. 22 დეკემბერს.
6. თბილისის სასულიერო სემინარიის რევიზია კერსკის მიერ.—1 თაბახი, 1935 წ.
7. ქართული პედაგოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფირების ძირითადი დებულებანი და წესები საკლასიფიკაციო სქემის პროექტით.—2 თაბახი, 1935 წ.
8. ქართული აკადემიური შრიფტის ისტორიისათვის.—1 თაბახი, 1936 წ.
9. ილია ჭავჭავაძის დემიუტის გამო (ბიბლიოგრაფიული ეტიუდი).—1 თაბახი, 1936 წ.
10. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის.—15 თაბახი, 1941 წ.
11. ძველ კოლხთა ჩვეულება მიცვალებულთა ხეზე დაკიდვისა.—1 თაბახი, 1942 წ.
12. მდ. ფაზისის ლოკალიზაცია ქსენოფონტეს „ანაბაზისის“ მიხედვით.—1 თაბახი, 1942 წ.
13. ფაზის—ორიზია—ფაზელიდი.—1 თაბახი, 1943 წ.
14. განათლებული იდეები ნ. ავალიშვილის გამოუქვეყნებელ წერილებში.—2 თაბახი, 1943 წ.
15. ვარაზ-ვაჩე და გიორგი ქართულ-ბერძნული წყაროებით.—1,5 თაბახი, 1944 წ.
16. გიორგი მაგისტროსის ლუსკუმაზე.—1 თაბახი, 1944 წ.
17. იოანე ქართველიშვილი და სწავლა-აღზრდის მასალები მის „ვითარებათა აღწერაში“.—1,5 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად სახალხო განათლების მუზეუმში 1944 წ. 2 დეკემბერს.
18. ქართველ საზოგადოებრიობის დებრესიისა და პირველი აღმავლობის ხანა (1833—1844 წ. წ.).—7 თაბახი, 1945 წ.
19. ქართველი საზოგადოება XIX საუკუნის 40-იან წლებში ზაქარია ფალავანდიშვილის წერილებით.—3,5 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად ისტორიის ინსტიტუტში 1945 წლის 31 დეკემბერს.
20. ალექსანდრე ფრონელი-ყიფშიძე როგორც ისტორიკოსი.—1,5 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად 1946 წ. 10 დეკემბერს ისტორიის ინსტიტუტის საჯარო სამეცნიერო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა თეიმურაზ ბატონიშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისა და ალ. ფრონელის გარდაცვალებიდან 30 წლისთავს.
21. მასალები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის XIX საუკ. I ნახევარში.—3 თაბახი, 1946 წ.
22. ქართველი საზოგადოებრიობა 1845—1857 წლებში (ნდობისა და თანხმობის ხანა).—5 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად ისტორიის ინსტიტუტში 1947 წლის 18 თებერვალს.
23. იონა ხელაშვილის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრები.—1 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად საქართველოსა და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე 1948 წ. 25 მაისს.
24. Краткий очерк истории грузин XIX века (дореформенный период)—1 თაბახი, 1947 წ.
25. მღვდვარება თბილისის სემინარიაში 1840 წელს.—2 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1948 წ. 23 ნოემბერს.
26. ალექსანდრე ორბელიანი—ისტორიკოსი.—4 თაბახი, 1948 წ.
27. ქართველი საზოგადოება XIX საუკ. პირველი ათეულებისა.—2 თაბახი, 1950.
28. დავით რექტორი (1749—1824).—1,5 თაბახი, 1950 წ.
29. ბეგლარ ზაალის ძე ორბელიანი.—3 თაბახი, 1950 წ.
30. „ყაზარმობის“ რაობისათვის.—6 თაბახი, 1951 წ.
31. ს. დოდაშვილის ლიტერატურული ჟურნალი, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების დოკუმენტი.—3 თაბახი. წაკითხულია მოხსენებად ისტორიის ინსტიტუტში 1952 წლის 14 თებერვალს.
32. გლახა ჭილაძე წერილების მიხედვით.—3 თაბახი, 1953 წ.
33. ლექსის „კავკასია“-ს თარიღი.—0,5 თაბახი, 1953 წ.
34. ალ. ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები და ქართველი საზოგადოება XIX საუკუნის 20—30-იან წლებში.—7 თაბახი, 1953 წ.
35. პოლიტიკური დაჯგუფებანი XVIII საუკ. მიწურულის საქართველოში.—2 თაბახი, 1954.
36. შენიშვნები მთიულეთის 1804 წლის აჯანყების შესახებ.—3 თაბახი, 1954 წ.
37. ორი სამეცნიერო-საისტორიო სკოლა საქართველოში პირველი რევოლუციის წლებში.—2 თაბახი, 1955.

38. კულტურისა და განათლების საკითხები 1905-1907 წწ. რევოლუციის დროს.—1,5 თაბახი. 1955 წ.
39. ერთი ძველბეჭდური წიგნის გამო.—2 თაბახი. 1956 წ.
40. ძველი სტამბის ტერმინი „მწერალი“—0,5 თაბახი. 1956 წ.
41. ზ. მ. ფალავანდიშვილი. წერილები: ფრანგული ტექსტი, ქართული თარგმანით, შენიშვნებითა და შესავალი წერილით.—7 თაბახი. 1957 წ.
42. ილია და სემინარიელები.—0,5 თაბახი. 1957 წ.
43. ილიას ნათლია ნინო ერისთავი (გენეალოგიური ეტიუდი).—0,5 თაბახი. 1957 წ.
44. სტატია რუსთაველას შესახებ „თბილისის უწყებებში“ 1829 წელს—1 თაბახი. 1958 წ.
45. 1832 წლის შეთქმულება. I. შეთქმულების მონაწილენი: ს. დოდაშვილი, ანტონ აფხაზი, ზაქარია ჩოლოყაშვილი, ოკროპირ ბატონიშვილი.—10 თაბახი. 1958 წ.
46. 1832 წლის შეთქმულება. II. შეთქმულების მონაწილენი: ალექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი.—3 თაბახი. 1959 წ.
47. 1832 წლის შეთქმულება. III. შეთქმულების მონაწილენი: ტარასი მესხიშვილი, ზაალ ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, იოსებ მამაცაშვილი.—6 თაბახი. 1960 წ.
48. 1832 წლის შეთქმულება. IV. შეთქმულების მონაწილე იესე ფალავანდიშვილი.—2 თაბახი. 1961 წ.
49. 1832 წლის შეთქმულება: V. შეთქმულების მონაწილენი: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი დავითას ძე ერისთავი.—5 თაბახი. 1962 წ.
50. 1832 წლის შეთქმულება. VI. შეთქმულების მონაწილენი: სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი იულონის ძე.—4 თაბახი. 1963 წ.
51. ბიოგრაფიული ლექსიკონი.—40 თაბახი. 1928—1967 წ. წ.
52. ერთი „ხარაბა ადგილის“ გამო.—1 თაბახი. 1968.
53. შენიშვნები ს. ხუციშვილის მიერ შედგენილ „ქართველ მწერალთა ნეკროპოლზე“.—0,5 თაბახი. 1961 წ.
54. „სამტკერიო“ ტერმინის მნიშვნელობისათვის.—0,5 თაბახი. 1961 წ.
55. ს. დოდაშვილის დაბადების თარიღი.—0,5 თაბახი. 1961 წ.
56. სულხანოვი ალექსანდრე ზაქარაის ძე.—0,5 თაბახი. 1962 წ.
57. იონა მროველის „მომოსვლის“ თარიღი.—0,5 თაბახი. 1962 წ.
58. სად გაატარა ბავშვობა ალექსანდრე ჭავჭავაძემ?—0,5 თაბახი. 1963 წ.
59. ზოგი რამე მაჩხანელ ბოსტაშვილზე.—1 თაბახი. 1964 წ.
60. გრიგოლ ორბელიანის დაბადების თარიღი.—0,5 თაბახი. 1965 წ.
61. ლ. ა.-დ („ტიფლისის უწყებებში“ დაბეჭდილი წერილის „რამე რუსთაველისათვის“ ავტორის ვინაობის შესახებ)—1 თაბ. 1967 წ.

### რეცენზიები

1. Отзыв на книгу В. В. Струве „История Древнего Востока“. Краткий курс. Москва, 1934 г.
2. Отзыв на конкурсный учебник для начальной школы по элементарному курсу „История народов СССР“, составленный Евой Кауфман. 1936 г.
3. რეცენზია მირიანაშვილის წიგნზე: „ეგვიპტე და ეგვიპტელები“.
4. რეცენზია გრ. ფურცელაძის საკანდიდატო დისერტაციაზე: „საგლეხო რეფორმა დასავლეთ საქართველოში“. 1941.
5. რეცენზია ი. კაჭარავას საკანდიდატო დისერტაციაზე: „იმერეთის რუსეთთან შეერთების საკითხი ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში“. 1943 წ.
6. რეცენზია გ. მელიქიშვილას საკანდიდატო დისერტაციაზე: „ურარტუს სამეფოს წარმოქმნა“. 1944 წ.
7. რეცენზია მ. გოცაძის შრომაზე: „1832 წლის შეთქმულების პეტერბურგის ორგანიზაცია“. 1945 წ.
8. რეცენზია აკ. ურუშაძის საკანდიდატო დისერტაციაზე: „არგონავტიკა“ და მისი ცნობები კოლხეიდის შესახებ“. 1945.
9. რეცენზია ვანგევის საკანდიდატო დისერტაციაზე: „Средневековая Алания“. 1946 წ.
10. რეცენზია პ. რატანის საკანდიდატო დისერტაციაზე: „ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი“, 1948 წ.
11. რეცენზია მ. გორგაძის შრომაზე: „Очерки по истории физкультуры Грузии“. 1947 г.
12. რეცენზია ვ. ტოგონიძის საკანდიდატო დისერტაციაზე: „მთიულეთის აჯანყება 1804 წელს“. 1948 წ.

13. რეცენზია ენიკოლოპოვის შრომაზე: „Участие Грибоедова в управлении Грузией“. — 1952 წ.
14. რეცენზია ლ. სანიკიძის საკანდიდატო დისერტაციაზე: „რომის ექსპანსია პონტოსა და იმერ-კავკასიაში ძვ. წ. ა. I. საუკ. I ნახევარში“. 1953 წ.
15. რეცენზია დ. გ. არონიშვილის შრომაზე: „მონოგრაფიული ნარკვევი სემინარიელთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარსულიდან“. 1963 წ.

### რ ე დ ა ქ ც ი ა

1. საბერძნეთის ისტორიული რუკა. შედგენილი დოროთე უჩანეიშვილის მიერ. 1938.
2. ძველი მსოფლიოს ისტორია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის მიშულინის რედაქციით. თარგმნილი რუსულიდან. 1941 წ.
3. შუა საუკუნეთა ისტორია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის, კოსმინსკის რედაქციით. თარგმნილი რუსულიდან. 1943 წ.
4. საქართველოს წიგნის პალატის შემდეგი გამოცემებისა, რომლებიც ქვეყნდებოდა 1925—1935 წლებში:

ა) წიგნის მატთანე,

ბ) გაზეთის მატთანე,

გ) საბარათო მატთანე (Карточная летопись),

დ) Bibliographia Georgica—საქართველოს სამეცნიერო ლიტერატურის სისტემატიური კატალოგი 1928 წლისა. 1930 წ.

5. Референции, направленные Книжной Палатой Грузии в Комиссию по индексам научной литературы СКНИ при СНК СССР за 1928—1934 гг.

### თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

1. ედ. მ ე ი ე რ ი, ძველი მსოფლიოს ეკონომიური განვითარება. სახელგამი, თბ., 1927 წ.
2. მ. პოკროვსკი. რუსეთის ისტორიის უმოკლესი კურსი. თბილისი, სახელგამი, 1932 წ.
3. ე. ს ტ რ უ ვ ე, ძველი აღმოსავლეთის ისტორია. მოკლე კურსი, თბ., 1936 წ.
4. ს. კოვალევი, საბერძნეთის ისტორია. თბ., 1938 წ.
5. ე. მოროხოვეცი, 1861 წლის საგლეხო რეფორმა, თბ., 1938 წ.
6. ვ. სერგეევი, ნარკვევები ძველი რომის ისტორიიდან, ტ. I, თბ. 1940 წ.
7. ვ. სერგეევი, ნარკვევები ძველი რომის ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1944 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქციისაგან . . . . .	5
თინათინ ყაუხჩიშვილი. არისტოტელეს ზოგიერთი ცნობისათვის . . . . .	7
თამარ ზაქოშია. ანდრძ-მინაწერთა შენდობის ფორმულა „გვედია“ . . . . .	27
ლიანა დავლიანიძე. მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“ . . . . .	27
<b>В. Д. Дондуа. Писание о вкладе Кахи Торели в Рконский монастырь . . . . .</b>	<b>50</b>
კარლო ტაბატაძე. რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ . . . . .	77 ✓
ბენიამინ სილაგაძე. მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის . . . . .	87
მამისა ბერძნიშვილი. სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV—XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის . . . . .	105
ნოდარ შენგელია. ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ . . . . .	133 ✓
ილია ტაბაღუა. სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის ისტორიიდან . . . . .	153
რევაზ კიკნაძე. „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების წყაროების საკითხისათვის . . . . .	156 ✓
მაქსიმე ბერძნიშვილი. ძველი ქართული პოლიგრაფიული ტერმინები . . . . .	181
<b>კ რ ი ტ ი კ ა დ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა</b>	
„დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“.—თ. ყაუხჩიშვილი . . . . .	193
„პასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ“.—კ. ტაბატაძე. . . . .	201
ნეკროლოგი. — მაქსიმე დავითის ძე ბერძნიშვილი . . . . .	207
მაქსიმე ბერძნიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია . . . . .	211



ГРУЗИНСКОЕ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე  
მხატვარი გ. ნადირაძე  
ტექნორედაქტორი ლ. ჯვებენავა  
კორექტორი თ. სამსონია

გადაეცა წარმოებას 14.3.68; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.11.1968;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 19.04; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 14.05; უე 01415; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 660  
ფასი 1 მან. 16 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15

---

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15  
გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова. 15

